

ПАПИРУСНО-ПЕРГАМЕНТНАЯ МИНЕЯ

Издали и исследованием снабдили
А. ШАНИДЗЕ, А. МАРТИРОСОВ
и
А. ДЖИШИАШВИЛИ

ПОД РЕДАКЦИЕЙ А. ШАНИДЗЕ



კვილი კართული ენის კვლევა

№ 15 №

ჭილ-ქტრატის იადგარი

გამოსცეს და გამოქვევა ღაურთეს

ა. შანიძემ, ა. მართროსოვმა

და

ა. ჯიშიაშვილმა

ა. შანიძის რედაქციით:



„ჰილ-ეტრატის იადგრის“ სახელწოდებით ცნობილია ხელნაწერი, რომელიც დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში სამ წიგნად (H—2123 I, II, III). იგი ძველი ქართული ენისა და ჰიმნოგრაფიული ლიტერატურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლთაგანია, წარმოდგენს საგალობელთა კრებულს, რომელთა უმრავლესობა წარმოშობით VII—VIII საუკუნისაა და გადაწერილია იერუსალიმში არა უგვიანეს XI საუკუნისა. ძეგლის ერთი ნაწილი დაწერილია ჰილზე (პაპირუსზე), მეორე კი — ეტრატზე (პერგამენტზე), რაც საერთოდ იშვიათი მოვლენაა.

ტექსტი წარმოდგენილია მთლიანად. მას ერთვის ძეგლის ზოგადი დახასიათება და ვრცელი გამოკვლევა ორთოგრაფიულ და ენობრივ თავისებურებათა შესახებ.

70103

} ----- 85—77

M 607(03)—77

წინასიტყვაობა

ძველი ქართული ენისა და ლიტერატურის ძეგლებს შორის ჭილ-ეტრახის იადგარს განსაკუთრებული ადგილი უკავია. შინაარსით იგი ჰიმნოგრაფიული ლიტერატურის მეტად მნიშვნელოვანი ძეგლია, მაგრამ, პირველ ყოვლისა, იგია ქართული ენის ძეგლი, რომლის ორთოგრაფიასა და სხვა ენობრივ მოვლენებს მრავალი თავისებურება ახასიათებს. ამიტომ მისი გამოცემა უცილებელიც არის და საშურიც.

ამ გამოცემას, პირველ რიგში, საენათმეცნიერო მიზნები აქვს დასახული. ახლა, როდესაც ჭილ-ეტრახის იადგარის ტექსტი მთლიანად არის დაბეჭდილი, იგი სათანადო სამსახურს გაუწევს სხვა დარგის სპეციალისტებს, რომ საუფქლოანად შეადარონ სხვა ჰიმნოგრაფიულ ძეგლებს და გამოარკვიონ მისი აღმოცენებისა, შედგენილობისა და სხვა საკითხები.

ორიოდე ნაწყვეტი ამ ძეგლიდან ცნობილი იყო წინანდელი გამოცემების მიხედვით: თავის დროს კ. კეკელიძემ აქედან დაბეჭდა აბოს საგალობლები¹, ხოლო მე — სტეფანე პირველმოწამისა და აბოს საგალობლების ნაწილი². ძეგლი მთლიანად მხოლოდ ახლა იბეჭდება³.

ჭილ-ეტრახის იადგარის ტექსტი მე აღრიდანვე მინტერესებდა, რადგანაც იგი ძველი ქართული ენის უძველეს ძეგლთაგანია და მრავალ მხრივ არის საყურადღებო. შიგ მკაფიოდ არის წარმოდგენილი აღმოსავლურ ხელნაწერთა (იერუსალიმისა და სინას მთის ხელნაწერთა) ორთოგრაფიული თავისებურებანი. ამიტომ ჭერ კიდეც 1939 წელს დავავალე ჩემს მაშინდელ ასპირანტებს არამ მარტიროსოვსა და ალექსანდრე ჭიშიაშვილს, გადმოეწერათ ტექსტი და მრეზადებინათ იგი გამოსაცემად. ამასთანავე მათ მიეცათ სადისერტაციო თემებად საკითხები ამ ძეგლის შესახებ. ეს დავალემა მათ პირნათლად შეასრულეს, სადისერტაციო ნაშრომები დაწერეს და შემდეგ წარმატებითაც დაიცვეს და კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მოიპოვეს ფილოლოგიურ მეცნიერებათა დარგში⁴. სადისერტაციო ნაშრომების თეზისები დაიბეჭდა თავის დროს⁵.

¹ К. Кекелидзе. Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение. Тифлис, 1908. с. 357—358.

² ა. შანიძე, ძველი ქართული ენის ქრესტომათია, ტფილისი, 1935.

³ მთლიანად, ვამბობთ, თუმცა ბოლო ფურცლების ნაფლეობის ტექსტი არ შემოვკატანია, რადგანაც ძეგლის ენისთვის მას ახალი არაფერი შემოაქვს.

⁴ ამჟამად პროფ. ა. მარტიროსოვი მუშაობს ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართულურ ენათა განყოფილებაში, ხოლო დოც. ა. ჭიშიაშვილი განაგებს ზოგადი ფილოლოგიის კათედრას უცხო ენათა ინსტიტუტში.

⁵ არამ მარტიროსოვი, ჭილ-ეტრახის იადგარის ორთოგრაფიული და ფონეტიკური თავისებურებანი. ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპო-

მაღე საბჭოთა კავშირი მსოფლიო ომის აღში იქნა ჩათრეული ჰიტლერელი ფაშისტების მიერ და ჰილ-ეტრატის იადგრის ტექსტის გამოცემის საქმე გადაიღო. გადადება, რა თქმა უნდა, არ ნიშნავდა საქმეზე ხელის აღებას. დიდი დაგვიანებით, მაგრამ მაინც იადგრის ტექსტი მოექცა ჩვენი საერთო ურადლებების ცენტრში.

1975 წელს, როცა რეალურად დადგა საკითხი ჰილ-ეტრატის იადგრის ტექსტის გამოცემისა, გამომცემლებმა საჭიროდ ცნეს, კიდევ ერთხელ შეედარებინათ დედნისთვის ადრე გადმოწერილი და სასტამბოდ დამზადებული ტექსტი. ამ მიზნით გამოვიყენეთ ხელნაწერის ფოტოკოპირები, რომლებიც გადააღებინა ენათმეცნიერების ინსტიტუტმა ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული მიკროფილმიდან.

გამოცემას ახლავს ხელნაწერის აღწერილობა, რომელიც ამ სტრიქონების ავტორს ეკუთვნის, და ა. მარტიროსოვისა და ა. ჭიშიაშვილის გამოკვლევები ამ ძეგლის შესახებ, რომლებიც გადახედულია და რამდენადმე შევსებული.

ა. შანიძე

ავტორი წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის თეზისები. 1941, 8 გვერდი (დისერტაცია დაკრულ იქნა 1941 წლის 1 ივლისს).

ავტორი წარმოდგენილი წიგნი ა. შანიძის, ჰილ-ეტრატის იადგრის მორფოლოგიურ-სინტაქსური თანმიჯნოვანი ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო შრომის თეზისები. 1941, 8 გვერდი (დისერტაცია დაკრულ იქნა 1941 წლის 17 ივნისს).

[თითუხსა დეკემბერსა კე შობად უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტემდსი]

(აკლია)

[1 ე] ჩუენ¹ ძალნი, ვიკადრებთ ქებასა და უღირსითა შევ-
სწირავთ ბაგითა...

ვითარ განუ...

სხუანი. განზრახვით გარდამოსლვასა შენსა მაღლით მამისა
მიერ კორცთა შესხმად შიშით განგეხმოდეს შენ ბჭენი ცათანი,
ღმერთო ჩუენო, რომელი იშვე ქუაბსა და ბაგასა დაიდევ სახუევ-
ლითა. შენ სთავან ხილვისა არა ... რ ო მ ე ლ ს ა გ ა ქ ე ბ ს
ყ ო ვ ე ლ ი ს უ ლ ი შენ.

... საუკუნეთა სიტყუ ... საჲ დღეს ქალწულისაგან ნათლად
სოფელსა გამოუბრწყინდი, წმიდაო ძრიელო, რომლისაგან შეძრ-
წუნებულ იქმნა ეროდე. მასკულავისა დადგრომითა შენ მივიპყრეს
ძღუენი მოგუთა, რ ო მ ე ლ ს ა ი გ ი ვ ე .

[V] დ(ასნი უ)კორცოთა ანგელოზთანი დ(ა მთავ)არანგელოზ-
თანი, (მთ)ა(ვრ)ობანი შენ ძალთა თანა თაყუანის-გ(კ)ემენ, წმიდაო
უკუდაო, ს[ულო] ჭეშმარიტისა ღმრთის მეცნიერებისაო, რომელი
თაყუანის-ცემულ ხარ ძისა თანა და თქუენ შორის იდიდების მამად,
რ ო მ ე ლ ს ა გ ა ქ ე ბ ს ყ ო ვ ე ლ ი...

ონითაჲ, კმაჲ ა. ყოველთა დაბადებულთა შემოქმედი ღმერთი
მამისა თანა მჯდომარეჲ, შენ, ღმრთისმშობელო, რომელმან კორ-
ცითა შევ, რომელი მწყემსთა ანგელოზთა მიერ ბეთლემს ღმერთი
გამოუბრწყინდა და ვარსკლავისა მიერ მოგუთა ეუწყა და თაყუანის-
სცეს. ჩუენცა უღირსნი ესე, ღმრთისმშობელო, შენგან შობილსა
ქრისტესა თაყუანის-ვსცემთ და გადიდებთ შენ, კურთხეულო დე-
დათა შორის.

ალელუიაჲ. შენ თანა არს მთავ ვიდრე: ვშვე შენ...

[2 ჭ] ღირს-იქმნეს მეო... სულისა წმიდისა ზეგ... ბანითა მათ
მეორ...თა სულისა წმიდისა ზეგ...

..... მგალობელნი... ბისანი ვედრებასა... შევსწირავთ სულსა
წმიდასა და...

¹ ამას მოსდევს 5 ასო ქარავით: უოიო.

აქებლითხა, კმაი ა... ლად გამოსჩნდ(ი)... დაბლით უწოდე ლთა (ძმ)ად, რომელ გეს ადგომამ, გაქებთ (შენ), რომელმან ალავესე ყ...

[V] ...ვეს შენი საკუირ(ველთ მო)ქმედებაჲ, რომელმან გა(ნა-ნა)თლენ ეკლესიანი, გა(ლობ)ასა შენდა შევესწირავთ...

...მიერ თქმული ადას(რუ)ლე, ქრისტე, და ნათესავისა...საგან კაცთა გამოუ... ხოლო მოციქულნი ღირს... თუალით ხილვ.....ა კელით მსახუ...დ შენდა ოხითა ვნენ სულნი ჩუენნი.

ოხითაჲ, [კმაი] ა. ეპა...

[3 ჭ] ეწამების ერთგ... მონად და კუალ... აჩინებს მამად, პირველ [სა]უკუნეთა ძისა ღ[მრთი]საგან გამოგუიბრწყინდა], კორცნი შეიმოსნა ნათ[ესა]ვისაგან ყოვლად წმიდისა ქალწულისა...თა ჩუენი...

ცხორებისა საუკუნისაჲთა სულნი განანათლენ, ეგრეთ შენცა, სანატრელო, მეგობრებაჲ მიგემაღლა თუისის(ა) უფლისაჲ და მისგან (დ)აცვად მართალი სარწმუნოებაჲ მოღუაწებით ეკლესიათა... მეოხებით(ა) ქრისტემს ღმრთისაგან სულთა ჩუენთათუის ღზინებაჲ და ღიდი წყ...

[V]... ღიდა ცხო... უკუნისამდე.

დახადებელი. ცანი...

... დ გუერდი.

დახადებელი. ეფუცა...

[კელ]თა ბანისაჲ, კმაი ა გუერდი. მღ... განწმედილნი მიუფენი... მსაჯულნი ერთა თა[ნათ]აყუანის-სცემენ ძალ[სა ჯ]უარისა შენისა-სა, უფალო, და ჩუენ შენ მიერ განათლებულნი ვლადადებთ და ვიტყუით: მამათ ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა არს სახელი შენი, კაცთ მოყუარე.

სხუაჲ. დავითის მიერ წინაწარმეტყუელისა... ისა და... დ მთავრისა სიტყუათა, (რომ)ლისა მიერ თქუმითა აღმას(რ)ულლებელ იქმენ ქალწულისაგან შობ(ი)ლი ქრისტე ღმერთი ჩუენი. წინათჲი [4 ე] წოდებულ იყავ უფალი უფლებათაჲ მარჯუენით მამისა თანა მჯდომარეჲ, ხოლო მეორედ განეცხადე ძედ შობილი ღელისაგან. განმათავისუფლებელ მექმენ ჩუენ, ყოველთა დამბადებელო უფალო, ძრიელებითა შენითა მოგუმაღლე ჩუენ ადგომამ და ცხორებაჲ საუკუნოჲ.

სინწმიდის შემოყვანებისაჲ, კმაი ა. კორცი უფლისაჲ, სისხლი მაცხოვრისაჲ წინა-ადგს, ზეცისა ძალნი უზილაჲად გამსახურებენ, ღაღადებენ და იტყუიან კმითა დიდებულითა: წ მ ი დ ა ხ ა რ, წ მ ი დ ა ხ ა რ, წ მ ი დ ა ხ ა რ შე ნ, უ ფ ა ლ ო.

თითუნსა დეკემბერსა კჳ

სტეფანეისი

დასადებელი

უფალო დალატყავსა, კჳმა ბ. ვადიდებდეთ მამასა და ძესა და წმი-
დასა სულსა ქსენებასა² ყოვლად ქებულისა და პირველ-მოწამისა შე-
ნისა სტეფანეისსა, უფალო.

[V] დღეს განწყობანი შემოკრიბნა დიდებულმან საგალობელმან
წინამძღუარმან მოწამეთა შენთამან, ქრისტე, პირველ-მოწამემან შენ-
მან, უფალო, წმიდამან სტეფანე.

განანათლნა მოწამენი შენმან სიმკნემან, ოდეს წარმართთა მოუ-
წოდე სიტყუითა, ქრისტეს მსახურო, წინამძღუარო მოწამეთაო
წმიდაო სტეფანე.

ანგელოზთა დიდებასა ღირს...

შენ ხარ სიქადული მღვდელთა და ყოველი აბრამეანი³ დღეს გან-
წესებული ქსენებაჲ პირველმოწამისა შენისა სტეფანეისი, უფალო,
ქებით აღესრულების⁴.

აკურთხევდითსა, კჳმა ა. რომელმან ყოველივე სიტყუითა აღას-
რულა და საცთურისაგან წარმართთაჲსა მი[5 ე]კსნა ჩუენ, ყ რ მ ა ნ ი
აკურთხევდით, მღვდელი უგალობდით, ერნი
უფროჲსად...

ქვისა დაკრებითა და სატანჯველითა ილუაწა წმიდამან სტეფანე
და მადლობით იტყოდა: ყრ...

ასპარესსა მას ძლევისასა მკნედ დგა წმიდაჲ სტეფანე და მაღ...
იგივე.

განსაკითხავსა მას ძლევისასა ილუაწა წმიდამან სტეფანე და
მაღ... იგივე.

ადიდებდითსა. შენ, რომელი გიხილა ბჭ...

შემდგომად შობისა და დიდებისა შენისა, ქრისტე, მოწამეთა შენ-
თაჲ ქადაგი პირველვე იწამა მოწამეჲ შენი.

შემდგომად ჯუარცმისა და ადგომისა შენისა, ქრისტე, მოწამეთა
შენთაჲ...

გუირგუინი ეკლესიათაჲ შენ ხარ, ქრისტე, და მოწამეთა. მეოხ-
გუეყვინით ჩუენთუის წმიდანო მო...

კურთხეულ არს უფალი, რომელმან გა...

[V] **აქებდითსა, კჳმა ბ.** გაქებთ შენ, ქრისტე, რომელი ასდევ და
ახარე მოციქულთა, გუირგუინ ექმენ მარტულითა, აცხოვნე სოფელი.

სიწმიდეჲ შეიმოსე, სტეფანე, ნეტრეულო პირველ-დიაკონო და
პირველ-მოწამეო, ანგელოზთა-თანაზიარო, მეოხ-გუეყავ სულთა
ჩუენთათუის.

² ქსენებასა.

³ აქ რალაც უნდა აკლდეს.

⁴ ამ საგალობლის გასწვრივ მარცხენა აშიაზე ცხრა სტრიქონად მიწერილია კალაპოსო
დევდორობასა (ასეა) კმოენე.

ვითარცა შურითა სათნოებისადათა მაცხოვარმან გუირგუინოსან გყო შენ, პირველ-მოწამეო სტეფანე, რამეთუ წინა აუდეგ შენ მთავართა და კელმწიფეთა და ქრისტე აიარე და ერსა მას ურჩულოსა არცხუენდი და ეტყოდე: ძეო ღმრთისაო, ნუ შეურაცხავ ამათ ცოდვასა ამას, არამედ შეივედრე სული ჩემი.

პირველ-მოწამემან შენმან, უფალო, იხილნა ცანი განხმულნი [6 ჭ] და შენ მჯდომარეა დაუ(საბა)მომას მამისა თანა. გამობრ(წყინდა) პირითა ვითარცა ანგელ[ოზისადათა] და მოილო სამძალი (ძლე)ვისა და გუირგუინი (მოლუა)წებისა და შენ მიერ, რომელი გა(მოსჩნ)დი მაცხოვრად ჩუენდა, მისითა მეოხებითა მოჰმადლე ერსა შენსა მშუილობა და დიდი წყალობა.

ოხითა ერთი მწუხრი, ერთი სამხრად, კმა...

დიდებულო პირველ-მოწამეო სტეფანე, მიმსგავსებულ იქმენ მაცხოვრისა და ჯუარცმული იტყოდე(ე): მამაო, შეუნდვენ ამა(თ ცო)-ღვანი ესე. [V] (შე)ნ ქვა-დაკრებული დალა(დებ)დი: უფალო, ნუ შეურაცხავ (ამ)ათ ცოდვასა ამას, რომლი..... მიერ მიკსნენ ჩუენ, ქრისტე (ღმერთო), და შეგუიწყალენ ჩუენ.

სხუა, დ გუერდი. ლოცვასა, მეუფისაო წმიდაო (სტე)ფანე, ერის მთავარ იქმენ... ბისა და ღმრთეება კერპთა დაჰქსენ და მათი იგი ძძლავრება შეურაცხ-ყავ და აწცა, ერსა შორის დიდებულო, ვითარცა გაქუს კადნიერება, ქრისტესა ევედრე სულთა ჩუენთათუის.

ფხალმუნი, დ გუერდი. იქადოდიან შენდამი... ვიდრე: ჰყავ იგი. დასადებელი... უებდენ შენდა...

ალელუია, კმა... დაადგ თავსა მისსა...

[7 ჭ] **კელთა ბანისა, კმა დ გუერდი.** გიხაროდენ უფლისა მიერ, სტეფანე გუირგუინ-შემოსილო, მიმსგავსებულო (ანგი)ლოზთაო. ამრთუ(ის)შენ პირველად სწა(მე) ქ(რისტემასა) მეუფისა ჩუენისა... და საცთური ურჩი... და ჰურიათა და... ენ, მეოხ-გუეყავ სულთა ჩუენთათუის.

სიწმიდის შუოყვანებისა, კმა ბ გუერდი. ვითარმედ გ... შენ, წმიდაო სტეფანე, ქერობინ .. რამეთუ შ... განისუენ... სერაბინად რამეთუ სუ... ადიდებდე მას [V] [ან]გელოზად, რამეთუ კორცნი (შე)ურაცხ-ჰყვენ ძლეგად, რამეთუ შენ (მ)იერ იქმნებიან კურნე(ბა)ნი და უფრომასად მა(დ)ლნი. მეოხ-გუეყავ (ც)ხორებისა ჩუენისათუის.

ოთხესა დეკემბერსა კმ

პეტრე-(კავ)ლეთა

დასადებელი

(**უფალო დალა**)ტყავსა, **კმა ბ.** (მოციქუ)ლნო უფლისანო, ქადაგნო ჭემპარიტებისანო და საცთურისა დამკსნელნო, რომელი აიარეთ ქრისტე ღმერთი ჩუენი, მას ევედრენით ცხორებად სულთა ჩ...

ყოვლად ქებულნო წმიდანო მოციქულნო, (რომელ)თა საცთური კერპთა [8 ჭ] დასთრგუნეთ ძალი[თა] სულისა წმიდისადათა, სარ-

წ(მუ)ნობაჲ სამებისაჲ და(ამტ)კიცეთ ყოველთა კიდეთა, ვითარცა (გაქ)უს კადნიერებაჲ ქრისტემს ღმრთისა მი(მართ)...
 მართლისა სარწმუნოებისათუის მკნედ მოლუაწენო, ივნე(თ) ვითარცა მკნეთა მკედართა ქრისტემს ღ[მრთის]ათა და..... მას სათ-(ნ)ო-ეყვენით. ილუაწეთ აწცა ეკლეს(ი)ათათუის კეთილად ზრუ(ნ)ვი-თა დაცვად მისი თქუენ მ(ი)ერ. (წყალ)ობაჲ, წმიდანო მოციქულნო....

გალობათა ათენაგენასა მპოენე.

კურთხეულ არსსა. [V] (გ)ანაძრიელენ, ქრისტე, წმიდანი (მოცი-ქუ)ლნი შენნი დადგრომად... ბელად სატანჯველსა... გამოცდილება-სა თა შენთა, ქრისტე, სატანჯვე(ელი შ)ეურაცხ-ყვეს და შენისა სასუ(ფევე)ელისათა...

წმიდათა მოციქულთა ას(წ)ავეს სოფელსა დიდებაჲ წ[მიდი]სა სამებისა ერთარსე(ბ)ისაჲ და იტყოდეს: კ უ რ ...

ყოველ(ნ)ი მ...

აკურთხევდითსა, გ. ... შენდა შესწირვიდეს მოციქულნი სატან-ჯველსა შინა სიხარულით, ლაღადებდეს და იტყოდეს: ა კ უ რ თ ხ ე ვ დ ი თ ყ ო ვ ე ლ ნ ი ს ა ქ მ ე ნ ი უ ფ ლ ი ს ა ნ ი ...

[9 ე] უქადაგეს მოციქულთა ყოველსა სოფელსა სახარებაჲ სა-სუფეველისაჲ დიდებად და სიტყუად. ა კ უ რ თ ხ ე ვ დ ი თ . . .

იხარებდეს მოციქულნი ღუაწლსა შინა, მოსაგებელსა რაჲ ხე-დიდეს და გალობით...

აქებდითსა. მეოხ გ...

გიხაროდენ, მოციქულნო, უფლისა მიმართ, რამეთუ ღუაწლი კე-თილი მოილუაწეთ და წინა აუღევით მეფეთა და მძლავრთა, სძლეთ ცეცხლსა და მახუილსა არა ჰრიდეთ, მკვცთა მიერ⁵ ველურთა შეიჭა-მებოდეს კორცნი თქუენნი, ქრისტემსა ანგელოზთა თანა ქებასა შეს-წირევდით, ზეცისა გუირგუინი მიიღეთ, ითხოვეთ მონიჭებად მშუე-ლობაჲ სოფელსა და დიდი წყალობაჲ.

კურთხეულ არს უფალი, რომელმან განაძრიელნა წმიდანი მო-ციქულნი ძლევად საცთურსა ძლევისასა.

ადიდებდითსა ზემო დამირჩეს და ქუმო დავწერენ, დედაჲ ალქატი იუო.

[V] შენ ყოვლად ქებულო და უბიწო, შენ ზეცათაო და დიდებისა მეუფეო, რომელი აგიარეს წმიდათა მოციქულთა და მიიღეს გუირ-გუინი ძლევისაჲ, გ ა ...

შენ, რომელმან ადიდენ წმიდანი მოციქულნი და კადნიერებაჲ მიანიჭე მათ მეოხებად ჩუენდა, გ ა ლ ო ...

მოციქულნო უფლისანო, რომელთა გაქუს სარწმუნობაჲ შეურ-ყვეელი, ძალი მალლით შეგიმოსიეს და წარმართნი საცთურისაგან ღმრთის მსახურებასა მოაქციენით, აწ მეოხ-გუყვევნით ცხორებად სულთა ჩუენთათუის.

⁵ მიმართ. ამავე სტრიქონის გასწვრივ მარჯვენა აწიანზე შეიდ სტრიქონად მიწერილია: გაა-დიდენით, წმიდანო მოციქულნო, თქუენ. გარდა ამისა, დედანში, მარცხენა აწიანზე 12 (კაი)ონად მიწერილია: ოკითაჲ, საღმუნ, კლთა ბანისაჲ ყრი ათენაგენასა მპოეო.

დეკემბერსა კო იონებისა და იაკობისი დახადებულნი განცხადებასა წინა მპონენ⁶

დასადებელი მღვდელთ მოძღუართანი თითუესა იანვარსა მართსა

უფალო დაღატყავსა, კჳამა ა გუერდი. ღირსნო მღვდელთ მოძღუარნო, წმიდასა საკსენებელსა [10 ე] თქუენსა გალობით და მადლობით აღვასრულებთ, რამეთუ თქუენ ქრისტემს მონანი ხართ ჭყეშმარიტნი, კადნიერებაჲ გაქუს, მეოხ-გუეყვენიით სულთა ჩუენთათუის.

ღირსნო მღვდელთ მოძღუარნო, ეკლესიათა იყვენით ღიდება და მღვდელთ მოძღურებისა სიქადულ და ღმრთისა მიმართ უბრალოდ მოხუედით ნათელსა მას დაუსრულებელსა. ამისთუისცა ერსა შორის წმიდათასა განისუენებთ, ნეტრეულნო.

ღირსნო მღვდელთ მოძღუარნო, ყოველსა ქუეყანასა განჯდა კჳამა სათნობათა თქუენთაჲ, ეშმაკათასა სძლეთ სიმრავლესა, ანგელოზთასა მიეწიფენით კრებულსა, [V] ღუაწლი თქუენი სიმჳნით მოიღუაწეთ, კადნიერებაჲ გაქუს, მე...

ეჳა წმიდანო მღვდელთ მოძღუარნო, ყუაჳილ-გარდაფენილა საკსენებელი თქუენი და ბრწყინვალე არიან ძალნი თქუენნი, განათლებულ არიან საყოფელნი თქუენნი და თქუენ მარადის გიხარის. მოიკსენებით⁷ სულნიცა ჩუენნი წინაშე უფლისა, ნეტრეულნო.

უგალობდითსა, კჳამა ა. ფარა...

მღვდელთ მოძღუართა ქრისტემსთა ღირსად პატივ-ვსცემდეთ, ვითარცა შემამკობელთა ბრწყინვალედ ეკლესიათასა სარწმუნოებითა და აწვაობითა მათითა აცხოვნნეს სულნი ჩუენნი.

[11 ჭ] წვალებაჲ დათრგუნეს მღვდელთ მოძღუართა შენთა, ქრისტე, და მართლითა სარწმუნოებითა ეკლესიაჲ შეამკვეს და სამებისა ერთარსებაჲ ღიდებად ასწავეს.

სამებისაჲ დაიცვეს სარწმუნოებაჲ ღირსთა მღვდელთ მოძღუართა, სისხლნი მათნი დასთხინეს და მტკიცედ მოღუაწებითა ქრისტემსთუის მოწყდეს და მის თანა მკუიდრ იქმნეს⁸.

სატანჯველთა და მჯეცთა მიერ ჳორცნი გალინეს მღვდელთ მოძღუართა, დაღადებით იტყოდეს: უგალობდით უფალსა...

მოიხილესა. [V] მოიხილე, ცაო, და ვიტყოდით...

დაიცვენ შენნი მოსავნი მეოხებითა მღვდელთ მოძღუართათაჲ, ქრისტე.

მართალ და წმიდა არს უფალი, რომელმან განადიდა ღღეს ქუეყანასა საკსენებელი ღირსთა მღვდელთ მოძღუართაჲ.

⁶ სოლომონი წინა. გადამწერის ეს ნაწევები გამოჩენილია და ფურცლის ბოლოს მიუწერია არა თავი, ათელოს.

⁷ მოიკსენით.

დიდება შენდა, დიდება შენდა, მეუფეო დიდებისაო, რომელმან სრულ-ჰყავ მღვდელთ მოძღუართა შენთა შრომაჲ კეთილისაჲ და მათ მიერ შეცთომილნი სარწმუნოებად მოგუაქციენ.

დიდება შენდა, დიდება შენდა, მეუფეო დიდებისაო, რომელმან სრულითა სიბრძნითა აღავსენ მღვდელთ მოძღუარნი და მათ მიერ ეკლესიაჲ შეამკვე სარწმუნოებითა.

[12 ჭ] **განძრეილდითსა.** განმძრეილე მე, ქრისტე, რომელმან მღვდელთ მოძღუართა საკსენებელი განაბრწყინე⁹, რამეთუ არა...

სარწმუნოებითა კეთილად მსახურებისაჲთა ღირსთა მღვდელთ მოძღუართა აღავსეს სოფელი და ანგელოზთა თანა იხარებენ შენ მიერ მეუფისა ქრისტეჲსა.

შეამკვნეს კეთილად მსახურებითა ღირსთა მღვდელთ მოძღუართა ყოველნი ეკლესიანი სამებისა ერთარსებისა დიდებითა ღმრთისა ჩუენისაჲთა.

უფალო მესმასა. გამოუბრწყინდა მადლი შენი მღვდელთ მოძღუართა და სოფელი განანათლეს სარწმუნოებითა. მეოხებითა შენითა აცხოვნენ სულნი ჩუენნი.

[V] სულითა წმიდითა გამობრწყინდეს მღვდელთ მოძღუარნი, დასცეს წვალებად და სარწმუნოებაჲ კეთილად მსახურებისაჲ მორწმუნეთა დაუმტკიცეს.

სამებისა ერთარსებისა დიდებითა ღირსნი მღვდელთ მოძღუარნი განათლდეს, რომლისათუის აწცა გამობრწყინებულნი მეოხ არიან სულთა ჩუენთათუის.

ღამითგანსა. ღამითგან ავიმსთობთ, შენდა დიდებასა შევსწირავთ, მაცხოვარ, ღირსთა მღვდელთ მოძღუართა შენთასა, მათითა მეოხებითა აცხოვნენ სულნი ჩუენნი.

[13 ჭ] ნათლად გამობრწყინდეს ცხორებისად ღირსნი მღვდელთ მოძღუარნი შენნი და სოფელი განანათლეს მართლმადიდებლობისა სარწმუნოებითა შენისა ცხორებისაჲთა, ქრისტე ღმერთო ჩუენო.

მეოხებითა, უფალო ჩუენო, ღირსთა მღვდელთ მოძღუართა შენთაჲთა შენდობაჲ ცოდვათაჲ მოგუმაღლე სულთა ჩუენთა, რომელნი გაქებთ შენ, მხოლოო მრავალ-მოწყალეო.

ღალატყავსა. შეამკვეს ეკლესიაჲ შენი სარწმუნოებითა, ქრისტე, წმიდათა მღვდელთ მოძღუართა დიდებად ძეჲ ღმრთისაჲ თანა-არსი სულით წმიდითურთ, ერთი ღმრთეებაჲ.

[V] სარწმუნოებით განმკნდეს მღვდელთ მოძღუარნი შენნი, ქრისტე, ერსა ასწავეს არარიდებად ჯორცთაჲ შენ ვნებულისათუის და საცხორებელად სულთა ჩუენთათუის.

მეოხებითა მღვდელთ მოძღუართა შენთაჲთა გვედრებითა შენ, მაცხოვარ, შენდობაჲ ცოდვათაჲ მოგუმაღლე სულთა ჩუენთა, რომელნი გიგალობენ შენ თანა მამით და სულით წმიდითურთ.

კურთხეულ არსსა. რომელი მაყოვანსა შინა გა...

⁹ განბრწყინე.

წვალებისა ნისლი წმიდათა მღვდელთ¹⁰ მოძღუართა განაქარვეს, სარწმუნოებითა ერი დაამტკიცეს. კ უ რ თ ხ ე უ ლ...

[14 ე] კორცნი მათნი მკვეცთა მისცნეს მღვდელთ მოძღუართა, ღუაწლსა შინა უხაროდა, ღაღადებდეს და იტყოდეს...

სატანჯველსა და ცეცხლსა ღირსნი შენნი მღვდელთ მოძღუარნი წამებულნი შენთუის, მაცხოვარ, დაუცხრომელად შენ გიგალობდეს, ღაღადებდეს და იტყოდეს...

მეოხებითა, ღმერთო, წმიდათა მღვდელთ მოძღუართა შენთაჲთა შეიწყალენ მონანი შენნი, რომელნი სარწმუნოებით შენ ყოვლითა გუ-
ლითა გიგალობთ: კ . . .

სამებისა ერთარსებითა წმიდათა მღვდელთ მოძღუართა განანა-
თლნეს მორწმუნენი მართლმადიდებლობითა დიდებად. კ უ ...

აკურთხევდითსა. გალობასა შენდა შესწირვიდეს მღვდელთ მოძ-
ღუარნი, სარწმუნობასა მართლმადიდებლობისასა აგამაღლებდეს და
იტყოდეს: ა კ . . .

[V] მკვეცთაგან არა შეძრწუნდეს მძუინვარებისა მღვდელთ მოძ-
ღუარნი, იწამნეს მკნედ. ა გ ა მ ა ლ ლ ე...

სარწმუნოებაჲ მართლმადიდებლობისაჲ მღვდელთ მოძღუართა
ეკლესიასა მიუპყრეს და გალობით...

ადიდებდითსა. შენ ზეცისა ბჭეჲ...

რომელმან გამოაჩინნა სოფელსა წმიდანი მღვდელთ მოძღუარნი
განმანათლებელად სულიერად და მათ მიერ ეკლესიაჲ შეამკო, ვ ა -
ღ ი დ ე ბ თ...

ნათლითა ეკლესიაჲ შეამკვეთ, წმიდანო მღვდელთ მოძღუარნო,
ერსა არწმუნეთ ყოვლითა გულითა ქადაგებად სამებისა ერთარსებაჲ.

აქებდითსა, კჲმაჲ ა. [15 ე] წმიდათა მღვდელთ მოძღუართა საჯსე-
ნებელსა მოვედით, ერნო, ვაქებდეთ გალობითა და შესხმითა სულიე-
რითა ქადაგთა მადლისათა, მნათობთა სოფლისათა, წყაროთა სამარა-
ღისოთა, რომელთაგან აღმოგუიცუნდების მორწმუნეთა კურნებაჲ.
ამათითა მეოხებითა მშუიდობა-ყავ და აცხოვნენ სულნი ჩუენნი.

წმიდანო მღვდელთ მოძღუარნო, თქუენ აწ ცათა შინა იქცევით.
ეჲსა საღმრთონო მღვდლობისა თავნო, ანგელოზთასა ხედავთ საყო-
ფელსა და ნეტართა კაცთა დიდებასა დიდად შუენიერებასა, მათ თანა
მაცხოვრისა წინაშე მდგომელნო, მეოხ-გუეყვენით, ღირსნო, ცხოვრე-
ბად სულთა ჩუენთათუის.

[V] წმიდანო მღვდელთ მოძღუარნო საკუირველთ მოქმედნო
ღმრთისანო, რომელნი სათნოთა მოქალაქობითა გამოჰბრწყინდით¹¹
და მნათობ სოფელსა ექმნენით, ევედრენით მაცხოვარსა და მეუფესა
ქრისტესა მონიჭებად სულთა ჩუენთა მშუიდობაჲ და დიდი წყალობაჲ.

სხუანი, კჲმაჲ დ გუერდი. დიდნი მღვდელთ მთავარნი ნების მყო-
ფელნი ქრისტემსნი, შემამკობელნი ეკლესიათანი, ბრწყინვალენი

მნათობნი სოფლისანი წმიდანი მღვდელთ მოძღუარნი, ღირსებისა კრებულნი, ღუაწლსა შინა მკნენი, საკუირველთ მოქმედნი, რომელთამე მახუილნი შეკრნეს, რომელთამე დაუყვნეს [16 ჭ] მკეცთა პირნი მათნი, რომელთა აგზებული იგი ცეცხლი უწესოვსა მის საცთური-საჲ სარწმუნოებითა დაშრიტეს, რომელნი აწ ცათა შინა სუფევენ და მეოხ არიან ცხორებად სულთა ჩ...

ჭეშმარიტი მოქალაქობაჲ ღირსებისა გულს-მოღვინებითა მწირობისა ამის ცხორებისაჲ სარწმუნოებით აღასრულეთ, წმიდანო მღვდელთ მოძღუარნო, რომელთა მოციქულთა მწრაფლ ქადაგებულნი¹² ეკლესიათა მიერ სოფელსა დაამყარეს მართალი სარწმუნოებაჲ, სამებისა ერთარსებაჲ თაყუანის-ცემად ერსა ასწავეს, მათითა მეოხებითა, მაცხოვარ, მონებისაგან მტერისა იკსნენ სულნი ჩუენნი, გივედრებით.

[V] რომელნი წვალებასა წინა-აუდევით და მწრაფლ მოაქციენით, საცთური დაპქსენით, რამეთუ გაქუნდა მახუილი სულისაჲ თანა-შემწედ და ბრძოლად მტერისა მიმართ სახითა ჯუარისაჲათა.

წმიდანო მღვდელთ მოძღუარნო, შეუშფოთებელსა მართლმსახურებისა რჩულის დებასა ვითარცა საფასესა ქველის მოქმედებისათუის განუყოფდით ყოველსა კაცსა, ეკლესიათა იღუწიდით. აწცა ევედრენით მაცხოვარსა და ღმერთსა, რაათა იკსნეთ სულნი ჩუენნი მონებისაგან მტერისა, წმიდანო მღვდელთ მოძღუარნო.

[17 ჭ] მწყემსნო სულიერნო სამწყსოთა მიერ ქრისტემსთა გამორჩეულნო, რომელნი საღმრთოსა ტაბლასა წინა განმზადებულსა ზედა-მდგომელ და მკურ... ველ იქმნენით, წმიდანო მღვდელთ მოძღუარნო. ესე უკდავი და ცხოველს-მყოფელი საიდუმლოჲ თქუენ მიერ მოძღურებითა შეწყნარებად ერსა ასწავეთ ეკლესიასა შინა, რომელსა მოვიღებთ წინამდებარესა ამას ზედა განმწმედელსა ლოდსა. შეწევნითა სულისა წმიდისაჲათა ღირსმცა ვართ ჩუენ ყოველნი ერთობით ყოველსა ჟამსა...

სხუანი, კჲაჲ დ გუერდი. შუენის სახლსა მშუიდობისა ქონებად მღვდელთ მოძღუარი [V] წმიდაჲ შემოსილი, გულისხმის-მყოფელი მადლისაჲ, მორწმუნეთა მდიდართა მიმართ მიმნიჭებელი კეთილთა საქმეთა, ზოლო გლახაკთა აქუს მკურნალი უძრულებათა მათთაჲ. მათ მიერ მოჰმადლე ერსა მშუიდობაჲ და დიდი წყალობაჲ.

ღირსნო და სათნონო ღმრთისანო წმიდანო მღვდელთ მოძღუარნო, გამობრწყინდეს საქმენი თქუენნი კეთილნი უფროჲს მზის თუალისა ბრწყინვალისა, რამეთუ დასლვამან მზისამან დღეჲ ღამედ და ადგრინის, ზოლო დასავლით მოძღურებითა თქუენითა ბნელსა შინა ნათელი გამოუბრწყინდა სოფელსა, რომელსა გაქუს კადნი...

[18 ჭ] **სხუანი.** ეჰა წმიდანო მღვდელთ მოძღუარნო...

კელნი თქუენნი იყვნეს მოქმ...

შრომის მოყუარე იყვე...

¹² ქღგე^რბბული.

და აწ გვედრებით თქუენ...

ოხითაჲ. მწყემსნო სულიერნო სამწყსოთა მიერ...

ზენო ხწერია მეორესა ფურცელსა¹³.

კელთა ბანისაჲ, კმაჲ დ. ნეტრეულ არიან საკსენებელნი თქუენნი, წმიდანო მღვდელთ მოძღუარნო, მოციქულნო და მონანო ქრისტემსნო, რამეთუ თქუენ მწირობით ქადაგებაჲ მოციქულთაჲ სოფელსა დაამყარეთ და წარმართნი კერპთ მსახურებისაგან და საცთურისა გამოიყვანენით მოძღურებითა პირისა თქუენისაჲთა. დიდ არიან საკსენებელნი თქუენნი და მრავალ არიან მადლნი თქუენნი და აწ თქუენ გეტყუის უფალი ძალთაჲ: მხიარულ იყვენით სასუფეველსა ზედა.

[V] **სიწმიდისაჲ.** დიდითა წყალობითა შენითა, ქრისტე, ღირსმყვენ ჩუენ წარდგომად წინაშე საკურთხეველსა შენსა წმიდასა და თქუმად ალელუიამ.

თთუესა დეკემბერსა კთ

იაკობ მოციქულისაჲ და იონანე მახარებელისაჲ

დასადებელნი

უფალო დაღატყავსა, კმაჲ დ. რომელი მიუწოდმელისა ბუნებისა ღმრთეებისაჲსა იქმენ მახარებელ და ქადაგ ჭეშმარიტისა განკაცებისა, რომელი ორთაგან ბუნებათა ერთი ძეჲ და უფალი ქრისტე ღმერთი ჩუენი იქადაგა შენ მიერ, პატიოსანო მოციქულო, რომლისაცა მკერდსა მიეყრდენ და გამოიხუენ მიერ საუნჯისაგან სიმდიდრისა სირღმენი სარწმუნოებისანი [19 ე] მიცემად ჭეშმარიტთა მოწაფეთა. მას ევედრე, სანატრელო, ცხორებად სულთა ჩუენთათუის.

რომელი გამოუთქმელთა საიდუმლოთა იქმენ მსახურ და საშინელისა ზიადვისა ზიარ მთასა მას ზედა წმიდასა, დიდებულ მოციქულო. რომლისათუისცა აუთქ უფალსა შენსა უქცეველად სასმელი მისი შესმად ესე თუით სიკუდილი¹⁴ მისთუის, ამისთუისცა...

მახუილი ეროდემსი მიითუალე ქედსა შენსა, რამეთუ ისწრაფდი მისლვად უფლისა თუისისა. რომელმან მოგცა შენ გუირგუინი ძლევისაჲ, მას ევედრე, სანატრელო, ცხორებად სულთა ჩუენთათუის.

ოხითა და გლობათა დასადებელი ყოელი მოციქულთაჲ ამსახურო. ათნაგენასა¹⁵ პპოვო.

[V] სამხრად

ფხალმუნი, კმაჲ ბ. ყოველსა ქუეყანასა...

დასადებელი. ცანი...

ალელუიამ, კმაჲ ბ. ყოველთა წარმართთა...

კელთა ბანისაჲ, კმაჲ დ. მოციქულნო და მოწამენო ქრისტემსნო

¹³ იხ. ფურც. 17.

¹⁴ სიკუდილი.

¹⁵ ათენასა.

მათ ვნებათანო და მერმისა მის გამორჩინებისა დიდებისა ზიარნო, არა თუ სიბრძნისა ზღაპართა შეუდევით და გეუწყა თქვენ უფლისა იესუ ქრისტეასი მოსლვაჲ და ძალი, არამედ თუით-მხილველ იქმნენით მისსა მას დიდებასა, რომლისათუის აწცა ნუ დასცხრებით მეოხებად ჩუენდა, ოდეს დღეჲ განათლდეს და მთიები გამობრწყინდეს გულთა შინა ჩუენთა.

სიწმიდისაჲ, კმაჲ დ გუერდი. ანგელოზთა ერნი შენდა დიდებასა შესწირვენ.

ალელუიაჲ. რომელმან აცხოვნა¹⁶ ძენი კაცთანი¹⁷.

აელელუიაჲ. და ჩუენ ქუეყანისანი, კსნილნი საცთურისაგან, ვითარცა ერთითა პირითა ვიტყუით: ალელუიაჲ.

[20 ე] იანვარსა ე

ც ი ს კ რ ა დ

ღამის თევად-ღა გათენებოლის

დასადებელი

აქებდითსა, კმაჲ ბ გუერდი. მზისა აღმობრწყინებასა მთუარეჲ და ვარსკულაენი არა ბრწყინვენ. ნათლისა მომცემელსა უგალობდეთ და ვიტყოდით: ალელუიაჲ.

ქრისტეს გამორჩინებასა აჩრდილი კედელთაგან მოაკლდა. ნათ...
ი გ ი ვ ე.

ჭეშმარიტებისა გამორჩინებასა რჩული და წინაწარმეტყუელნი დასცხრეს. ნათ... ი გ ი ვ ე.

[იანვარსა] 3

ბანცხადებაჲ

მწუხრისა უამსა თქუან

წარდგომაჲ, კმაჲ დ გუერდი. შენ შეჰქმენ თაბორი და ერმონი. სახელითა შენითა იხარებდენ, ხოლო ნათლის-ღებასა შენსა, ქრისტე, იორდანეს გზედვიდეს და ბორცუნი ვითარცა კრავნი ცხოვართანი იმღერდეს, რამეთუ ქუეყანით მშუიდობაჲ აღმოსცემნდი და სიმართლეჲ ზეცით გამოშჩნდი, კაცთმოყუარე უფალო, დიდებაჲ შენდა.

[V] დასადებელი. გამოსლვასა...

დიდებაჲ და იბაკოჲ, კმაჲ დ გუერდი. გშუენის, იოანე, სურნელე-ბაჲ, გშუენის ნათლის-მცემელსა ქებათა იგი შესხმაჲ, რამეთუ ამან ქადაგა დასაბამი ცხოვრებისა ჩუენისაჲ, რომელი იმღერდა საშოსა დედასასა და ქადაგებდა უდაბნოსა ზედა, ვითარმედ შეინანეთ. მეუფასაჲ

¹⁶ ასეა.

¹⁷ ამას მოსდევს „აა“ (ქარაგმით), რომელიც ზედმეტი ჩანს.

2. კილ-ეტრატის იადგარი

ესე ახოვანი წინამორბედი ნათლისაჲ, რომელი კრავსა მას პირველვე გუაუწყებდა და მაცხოვარსა ევედრების სულთა ჩუენთათუის...

შორეა, კმაჲ დ გუერდი. შენ, მაცხოვარ, დღეს მოხუედ იორდანედ, ნათელი მოილე იოანემსგან უცოდველმან, რამეთუ მოსდრიკენ ცანი ვითარცა კამარანი კელსა ქუეშე წინამორბედისასა, მოუდრიკე უხრწნელი [21 ჭ] თავი შენი. მაშინ კმაჲ მამისაჲ ზეგარდამო წამებით ისმოდა: ეგე არს ძეჲ ჩემი საყუარელი, რომელი საუკუნითგან სათნო-ვიყავ. დიდებაჲ შენდა.

დასადებელი

უფალო ღალატყავსა. ნათელი ნათლისაგან გამოუჩნდი სოფელსა ქრისტე მაცხოვარი ჩუენი, გამოჩინებული ღმერთი. მოვედით, ერნო, თაყუანის-ვსცეთ მას.

სხუანი. მწუხრისა მსხუერპლსა შევსწირავთ შენდა, ქრისტე ღმერთო, რომელმან ჯერ-იჩინე ნათლის-ღებაჲ ჯორცითა დღეს იორდანისა წყალთა. ვლალადებთ და ვიტყუით: დიდებაჲ აურაცხელსა შენსა, ქრისტე, სახიერებასა, კაცთმოყუარე.

[V] დღეს განსწმიდე ბუნებაჲ წყალთაჲ, მაცხოვარო ჩუენო, და მათ მიერ მოგუანიჭე მოტყევაჲ ცოდვათაჲ, რომელთა ჰრწამს განგებულებაჲ შენი, რომლისათუისცა გადიდებთ შენ, ქრისტე ღმერთო, თანა...

დღეს წყლითა და სულითა წმიდითა, ქრისტე ღმერთო, ბუნებაჲ კაცთაჲ, დაძუელებული ცოდვისაგან, განაახლე, რომლისათუის დაუცხრომელად მორწმუნენი თანა მამით და სულით წმიდითურთ გადიდებთ. მხოლოთ ქველის მოქმედ, შენ.

სხუანი. დღეს ნათლის-ღებითა შენითა, ქრისტე, უფრომსად ქველის მოქმედ [22 ჭ] მაცხოვარო ჩუენო, ბუნებაჲ წყალთაჲ განსწმიდე და მას შინა ნათელ-ღებულნი გიღალადებთ, კაცთმოყუარე.

ცროდეთ, ღრუბელნო სიმაართლესა საბანელისასა, რამეთუ მადლი იორდანეს დაენერგვის, უხრწნელებაჲ წყალთაჲ დაეთესვის, ცოდვაჲ წყალთა მიერ განიხრწნების, ამისთუისცა გიღალადებთ: რომელი ჩუენითუჲს განსცხადენ, ღმერთო ჩუენო, შეგუიწყალენ ჩუენ.

სხუანი. დღეს განსუენებით წინაწარმეტყუელთა კმანი გუირ-გუირისან იქმნებთან აღსრულებითა, რამეთუ წყალნი ზესკნელს ცათა იქმნებთან შეხებითა უხრწნელსა თავსა უფლისასა და წმიდაჲ იგი გულთა წინამორბედი ძწოლით [V] ღალადებს და იტყუის: ვითარ გუადრო ნათლის-ცემად, რომელსა უპყრიან დაბადებულნი?

დღეს მხეჲ იგი სიმაართლისაჲ იორდანისა მდინარესა ჯორცითა გამოწმენების, და ნათელი ღმრთეებისაჲ წყალთა მათ შინა განბრწყინდების, და უხრწნელი იგი კელითა წინამორბედი შიშით გუიჩუენებს ყოველთა მუფელსა და იტყუის: აჰა კრავი ღმრთისაჲ, რომელმან აბნის ცოდვიანი სოფ...

დღეს ყოველნი ცის კიდენი იხარებენ, რამეთუ ყოველთა მეუფე-

მან მონისა ხატისა შემოსითა წყალთა მათ შინა შემუსრა თავები ვე-
შაპისა და პირველი იგი ცოდვამ ჩუენი საბანელითა განწმიდა
[23 ჭ] და მონიჭა მორწმუნეთა უხრწნელებისა იგი სამოსელი.

ოხითაჲ. ქრისტეს ნათლის-ღებასა წყალნი განიწმიდნეს მოსა-
ტევებელად ცოდვათა, იხარებდეს ანგელოზნი, ცანი იშუებდეს, კიდენი
ქუეყანისანი გალობით ღალადებდეს: ღმერთი, უფალი და გამოგუი-
ჩნდა¹⁸ ჩუენ.

ფსალმუნი, ჳმამ დ. უფლისაჲ...

დასადებელი. ჳმამ უფლისაჲ ძრი...

ალელუიამ, ჳმამ დ. მოვედით, უგალ(ობდეთ) უფალსა...

კელთა ბანისაჲ, ჳმამ ბ. განმანათლებელი ჩუენი, რომელი განანა-
თლებს ყოველსა კაცსა, იხილა წინამორბედმან, რაჟამს ქრისტე ნათ-
ლის-ღებად მოვიდა. იხარებდა სულითა და ძწოდა, კელითა უჩუენებ-
და მას და ეტყოდა ერსა: აჰა ესერა ნუგეშინის-მცემელი [V] ჩუენი,
რომელმან აიხნეს ცოდვანი სოფლისანი. შეუცოდებელო ქრისტე
ღმერთო ჩუენო, შეგუიწყალენ ჩუენ.

სიწმიდისაჲ, ჳმამ ბ გუერდი. გიხილეს შენ წყალთა, ღმერთო, და
შეეშინა დიდებისაგან შენისა. ვერ შეგადგმენ თუალთა მათსა¹⁹ ქერო-
ბინნი, არცალა გიხილვენ სერაბინნი, არამედ შიშით დგანან და იფარ-
ვენ, რომელთამე უტუირთავ, და რომელნიმე ადიდებენ სახელსა შენ-
სა. მიუთხრობთ²⁰ ქებასა შენსა და ვიტყუით: რომელმან ნათელ-ილე
იორდანესა იოანესგან, შეგუიწყალენ ჩუენ.

წყლის კურთხევაჲ და გავიდოიან, ამას იტყოდიან.

ჳმამ დ გუერდი. ანგელოზთა მკედრობანი შეძრწუნდეს, გიხილეს
რამ [24 ე] დღეს იორდანესა განშუიშლებული²¹ შენ, მაცხოვარ,
მდგომარეჲ წყალთა მათ შინა ნათლის-ღებასა და უხრწნელი თავი შე-
ნი მოდრეკილი ნათლის-ღებად იოანესა. რამეთუ ნეფსით შენითა
დაგლახაკებითა სოფელი განათავისუფლე, უფალო, დიდებაჲ შენდა.

შინა-ღა შევიდოიან, ამას იტყოდიან

ჳმამ დ გუერდი. მსგავსად ჳმისა მის, რომელ ღალადებდა უღაბ-
ნოსა ზედა: განმზადენით გზანი უფლისანი, მოხუედ, მაცხოვარო
ჩუენო, ხატი მონებისაჲ შეიმოსე, ნათლის-ღებასა ითხოვ, რომელმან
არა²² იცოდე ცოდვამ. გიხილეს შენ წყალთა, ღმერთო, და შეეშინა.
შეძრწუნებულ იქმნა სულითა წინამორბედი, ღალადებდა და იტყოდა:
ვითარ ნათელს-ილებს²³ ნათელი ნათლისაჲ, ვითარ კელი დასდგას მო-
ნამან უფალსა? განმწმიდე მე და წყალნიცა ესე, ღმერთო, რომელმან
აიხუენ ცოდვანი სოფლისანი.

18 გამოგაოჩნდა.

19 შ'ოსა.

20 შ'თხრობთ.

21 ასეა.

22 ასეა.

23 ილბ'სს.

[V] შ უ ა ლ მ ი ს ა ნ ი

პირველი დახადებელი, კმაჲ ბ. ოდეს იოანე ქადაგებდა იორდანედ, მაშინ დაჯსნდა რჩულისა მსახურებაჲ და გამოჩნდა მადლი ცხორებისათუის ჩუენისა.

ფსალმუნი. შესწირევდით უფლისა...

ბ

იოანე დგა იორდანესა ზედა. დუმოილ იყო ყოველთა წყალთა, საკურველი დიდი იქმნა, რამეთუ მონაჲ უფალსა ნათელს-სცემდა.

ფსალმუნი. ვაკურთხოთ უფალი ყოველსა...

გ

სიხარული იქმნა დღეს ყოვლისა სოფლისაჲ ოდეს მოხუედ²⁴, მაცხოვარ, იორდანედ²⁵, ნათელი მოიღე იოანესგან ჩუენისა შეწევნისათუის.

[25 ე] **ფსალმუნი.** თქუეს ურჩულოთა...

დ

შიშმან შეიპყრა წინამორბედი იოანე, ოდეს შემოქმედი ყოველთაჲ გიხილა იორდანეს მამისა მიერ წამებული განწმედასა მას წყალთასა.

ფსალმუნი. ვითარცა სურინ...

ე

მსგავსად ტრედისა იხილა სული...

ფსალმუნი. ღმერთი ჩუენი შესა...

ვ

მამისა მიერ სული წმიდაჲ გარდამომავალი ქრისტესა ზედა იხილა იოანე, რომლისა მიერ წმიდაჲ სამებაჲ განცხადებულ არს, თაყუანისი იცემების...

ფსალმუნი. შენ გშუენის გალობა...

ზ

ღმერთი განკაცებული მონისაგან ნათელს-იღებდა. არა თუ სიშვენიერებით, არამედ რაჲთა აკოცნეს ცოდვანი სოფლისანი. მოვედით ჩუენსა და სიხარულით თაყუანის-ვსცეთ ღმერთსა გამოჩინებულსა.

[V] **ფსალმუნი.** კმითა ჩემითა უფალი...

ჴ კ მ ა ბ

გაქებთ შენ ღმერთსა, რომელი მოხუედ დაბადებულთა შენთათვის, რამეთუ გამოსჩნდი იორდანესა ზედა, ნათელი-მოილე იოანე-სგან, რომელმან აიხნა ცოდვანი სოფლისანი.

ფსალმუნი. უფალი სუფევს, შუე...

თ

შენ იორდანეს ნათელი მოილე, მაცხოვარ, წყალნი განსწმიდენ და ნები მონისაა შეიხე და ცოდვანი სოფლისანი აკოცენ²⁶. დიდ არს საი-ღუმლოდ გამოჩინებისა შენისაა! უფალო, დიდებად შენდა.

ფსალმუნი. უგალობდით უფალსა გა...

ი

კ მ ა ა გუერდი²⁷. მალლისა მიერ მოივლინა იოანე იორდანესა, რაჟამს ქრისტე ნათელს-ილებდა, ცანი განეხნეს და კ მ ა ბ მამისაა ზე-გარდამო წამებდა: ეგე არს ძეგ ჩემი საყუარელი, სათნო-ვიყავ...

ფსალმუნი. გამოსლვასა ის...

ია

გარდამოჰკედ იორდანესა...

ფსალმუნი. უფალო, ჴემშარიტება შევიყუარე, გამოუ...

[26 ჴ] უგალობდითსა, კ მ ა ა. უგალობდეთ გალობითა ახლითა მაცხოვარსა და ღმერთსა, რომელმან მონებისაგან მტერისა განმთავისუფლნა ჩუენ თუისისა ღმრთეებისა გამოცხადებითა და მიჯნა²⁸ ჩუენ, რ ა მ ე თ უ დ ი დ ე ბ ი თ დ ი...

მონისაგან ნათლის-ღებად თავს-იდევ, ქრისტე, რადთა მონანი შენნი უხრწნელებად გარდასცვალნე. უფროსად ქველის მოქმედ მაცხოვარ, აცხოვნენ სულნი ჩუენნი.

ნათლის-ღებასა შენსა, ქრისტე, იორდანეს დღეს ზეცით გარდამო მამისა კ მ ა მ ა მ ძეგ შენ გწამა და სულისა წმიდისა გამოცხადებითა ერთა გიცნეს სამებისა წმიდისა მგალობელთა.

[V] **ს ხ უ ა ნ ი.** შემოქმედი ყოველთა მობხუედ და შთაჰკედ სიმდაბლით იორდანესა, იოანესგან ნათელი-მოილე, რადთა შენ მიერ განწმდეს ნათესავი კაცთა და გალობდეს შენდამი: უ გ ა...

გაყენებდა და შეგივრდებოდა შენ წინამორბედი შენი, მაცხოვარ, და გეტყოდა: ვინაა ღირს ვარ მე განბანად დამბადებელისა? ხოლო შენ სიმდაბლით სათნო-იჩინე ნათლის-ღებად მონისაგან და სიხარულით

26 ასეა.

27 გ მ (ქარაგმით).

28 ასეა.

ულადღებდა ერსა: უგალობდეთ უფალსა, რამეთუ დიდებით დი...

[27 ჭ] რაჟამს შთაჰკვდ იორდანედ დამბადებელი წყალთა ნათლის-ლებად და სული წმიდაა ხილვითა ტრედისაჲთა მოვიდა შენ ზედა და კჷმა ისმა მამისა მალლით, შეძრწუნდა წინამორბედი და სინარულით ეტყოდა ერსა: უგა...

მოიხილება. მიეცით, ერო, დიდებაჲ ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა, რომელმან ნათელ-ილე დღეს იორდანისა წყალთა და მათ მიერ ცოდვანი სოფლისანი აჰკოცენ²⁹.

დამიცვენ ჩუენ, ქრისტე, ნათლის-ლებითა შენითა და კუალად შეცოდებულნი განმად[ი]დენ ჩუენ ცხოვრებად სინანულითა და გუაცხოვნენ ჩუენ, მრავალმოწყალე.

[V] იხილეთ, იხილეთ, რამეთუ მე ვარ, რომელმან ნათელ-ვილე დღეს იორდანისა წყალთა და არა დავაკლდი წიალთაგან მამისათა და³⁰ სულისაგან წმიდისა.

დიდებაჲ შენდა, დიდებაჲ შენდა, მეუფეო დიდებისაო, რომელმან წინამორბელსა მოუდრიკე თავი შენი ნათლის-ლებად და მორწმუნენი შენ თანა განანათლენ ნათლის-ლებითა.

სხუანი. მიეცით, ერო, დიდებაჲ ქრისტესა... ქრისტე, რომელმან განსწმადენ ცოდვანი სოფ... დამიცვენ შენნი მოსაგნი, ქრისტე ღმერთო.

განმადრიელთსა. განმადრიელე მე, ქრისტე...

განანათლე. ქველის მოქმედ, ნათლის-ლებითა შენითა კაცთა ნაცხადი, რამეთუ არაენ არს წმიდა შესნა...

[28 ჭ] ძეჲ მამისა თანა-არსი და მარადის სულისაჲ დღეს საცნაურ იქმენ³¹ ჯორციელად ნათლის-ლებითა, მაცხოვარ³², ნათესავის(ა)-თუის კაცთაჲსა.

ქალწულო, გიხაროდენ, უბიწოო, რომელმან გა...

სხუანი. ამას დღესა ქრისტეჲს ნათლის-ლებისასა ზღუად აივსო სინარულითა, რამეთუ ანგელოზნი ზეცით მოვიდეს და მსახურებაჲ შეწარეს მისა და კაცნი ღმერთსა ღმრთად იცნობენ და აიარებენ: დიდებაჲ შენდა, ქრისტე, რომელი მოხუედ დღეს იორდანისა წყალთა.

ამას დღესა ქრისტესს ნათლის-ლებისასა იოანე განსუენდების [V] და სამოსელი უზრწნელებისაჲ შეემოსების, რომლისათუის იორდანეჲ კუალად ქცეული იხილვებოდა და წინამორბედი სინარულით ღაღადებდა და იტყოდა: დიდებაჲ მოსლვასა შესნა, ქრისტე ღმერთო, რომელი მოხუედ დღეს იორდანისა წყალთა.

განმადრიელე მე, ქრისტე, რომელი უწინარეჲს საუკუნეთა მამისა

²⁹ ს. ცნ.

³⁰ განმადრიელთსა.

³¹ ჯორციელად ქვრ შეცდომით „იქმენ“ დაუწერია, შემდეგ ე ჩაუმბატებია, მაგრამ ზედმეტი „ს. წმ.“ დააწერებია.

³² ც. თო. ისეა დაწერილი, რომ შეიძლება ი-დაც იქნეს წაკითხული (მეზრ). თუ ი-დ წაიძიოთ, მაშინ „მეზრ ხარ“ გამოვა.

თანა განაგებდი და აღსასრულსა ჟამთასა იშევ ქალწულისაგან ღმერთი ჩუენი, რაათა...

უფალო მესმასა. გამოუბრწყინდა მადლი შენი წარმართთა და იხილეს ყოველთა კიდეთა დიდებაჲ შენი, რამეთუ ნათელ-ილე, ქრისტე, და ყოველი სოფელი აცხოვნე.

მოსცა უფსკრულმან კმაჲ თუისი და გადიდებდა შენ, ქრისტე მაცხოვარო ჩუენო, რამეთუ წყალთა მიერ ყოველი სოფელი აცხოვნე.

[29 ე] წმიდა ხარ, უფალო მაცხოვარო ჩუენო, რომელი პირველ საუკუნეთა მამისაგან იშევ და აღსასრულსა ჟამთასა ქალწულისაგან კორციელ იქმენ, ქრისტე ღმერთო ჩუენო.

დღეს იხარებენ ყოველნი კიდენი შეწყნარებითა მადლისა³³ ნათლის-ღებისა შენისაათა. სამებასა ვადიდებდეთ ერთსა ღმრთიებასა.

სხუანი. რომელი პირველ საუკუნეთა მამისა თანა წყალთა ზედა იქცეოდე და თუისისა შექმნულისა ქალწულისაგან შობაჲ კორციელად თავს-იდეჲ ნებითა მამისაათა და სულისა წმიდისაათა, ქრისტე ღმერთო ჩუენო, რომელმან განანათლე სოფელი წყლითა და სულითა წმიდითა, მაცხოვნენ ჩუენ.

რომელი წიაღთაგან მამისათა მარადის განუშორებელ ხარ, დღეს მოხუედ იორდანედ ნათლის-ღებად მონისა შენისა იოანესგან, რომლისათუისცა შეძრწუნებული [V] კედრებით იტყოდა: უფალო, მე შენგან მიკმს ნათლის-ღებაჲ, შენ ჩემდა მოხუალა? ქრისტე ღმერთო, მაცხოვნენ ჩუენ.

შთასლვასა შენსა, ქრისტე, ნათლის-ღებად იხილა ყოველმან დაბადებულმან იორდანეჲ კუალად ქცეული და კმაჲ ისმა მამისაჲ მადლით თანა-მოსლვითა სულისა წმიდისაათა, რომელმან წამა შენთუის და თქუა: ეგე არს ძმ ჩემი საყუარელი. მაგისი ისმინეთ და სცხოვნდეთ³⁴ უკუნისამდე.

ღმერთი უფალი და გამოგუიჩნდი ჩუენ, ნათელი ჭეშმარიტი, რომელი მოხუედ და ჯერ-იჩინე შთასლვაჲ წყალთა მათ შინა დამბადებულმან ყოველთამან, რაათა ჩუენ მორწმუნენი ცოდვათაგან განგუწმინდენ, ქრისტე, ნათლის-ღებითა შენითა მაცხოვნენ ჩუენ.

ღამითგანსა. [30 ე] ღამითგან ავიმსთობთ, შენდა დიდებასა შევსწირავთ, უფალო, რომელმან ნათელ-ილე დღეს იორდანისა წყალთა და ყოველთა მორწმუნეთა მადლსა შენსა მონიჭებ³⁵.

ნათელი გამოგუიბრწყინდა ჩუენ ცხორებისაჲ ნათლის-ღებითა შენითა, უფალო, რამეთუ ამით დასთრგუნე, ქრისტე, საჭურველი მტერისაჲ და განგუანათლენ ჩუენ ნათლის-ღებითა შენითა.

სხუანი. ღამისა ლოცვასა შევსწირავთ შენდამი, ქრისტე, დღეს ერი მორწმუნეთაჲ და უფრომად დიდების-მეტყუელებს კრებული

³³ მ' დლითა.

³⁴ სც' ჩენდეთ

³⁵ მნ' ჰა

წინაწარმეტყუელთა შენდაძი, რომელმან ნათელ-ილე და ჩუენ შე-
ნითა განგუანათლენ ნათლის-ლებითა, რამეთუ ნათელ ხარ შენ, რო-
მელმან დაჰბადე ნათელი.

მაცხოვარ, მარადის მადიდებელნი შენისა დღესასწაულისანი სი-
ხარულით აღვასრულებთ და ქებით გადიდებთ შენ, ქრისტე, რომელმან
ნათელ-ილე და ჩუენ განგუწმიდენ ცოდვათაგან და საცთურისაგან, რა-
მეთუ...

[V] მოსლვასა სულისა წმიდისასა მალლით შენ ზედა, ქრისტე,
დღეს განწმდეს იორდანისა ღელვანი და ჯამა მამისა და წამებდა შენ ძი-
სათუის, რაჟამს მდინარეთა წყალთა მათ შინა ნათელს-ილებდ კელითა
მონისა თუისისა იოანესითა და ჩუენ მოგუანიჭე განწმედაც ცოდვა-
თა და საბანელითა მით, რამეთუ ნათელ ხ...

ღალატყვასა, ჯამა ა გუერდი. ვღალატყა...

იშუე ქალწულისაგან ჯორციელად თანა-არსი მამისა და ნათელ-
ილე იორდანესა, რაათა აცხოვნო ნათესავი კაცთადა.

დღეს განწმიდნა წყალთა³⁶ ბუნება და ყოველთა, რომელთა
ქრისტემს მიერ ნათელ-გუილები³⁷, მოვილოთ მოტევება ცოდვა-
თადა.

სხუანი. ღალადებასა შენდა შევეწირავთ, ვითარცა იონა მუცელსა
ვეშაჰისასა. რომელმან ნათელ-ილე³⁸ იორდანესა იოანესგან და აღ-
მომიყვანენ ჩუენ სირღმეთაგან ცოდვათა ჩუენთადასა.

[31 ჭ] დღეს მოენიჭა მადლი სულისა წმიდისა და მღვთმარეთა
იორდანისათა³⁹ ნათლის-ლებითა მაცხოვრისადათა, რამეთუ ნათელ-
ილო ქრისტემან იორდანესა და ყოველი ძალი მტერისა და შემუსრა.

დღეს განცხადნა სამება და წმიდა წყალთა მათ ზედა იორდანისა-
თა და ჩუენ ყოველთა მოგუანიჭა ცხორება და მოტევება ცოდვათადა.

რომელმან შორის მოწაფეთა აუწყე დაპყრობად სასუფეველი
ღმრთისა და წყლითა და სულითა წმიდითა და მიჰმადლე ერსა შენსა ნა-
თელი უკუდავებისა და ნათლის-ლებითა შენითა.

კურთხეულ არსსა, ჯამა ა. რომელი მაყლოვანსა შინა გამოუ...

რომელმან განსწმიდე, ქრისტე, წყალთა ბუნება და მას შინა
მორწმუნენი სულისა წმიდისა თანა-ზიარ ჰყვენ, კ უ რ თ ხ ე უ . . .

[V] რომელმან ჯერ-იჩინე, ქრისტე, ნათლის-ლება მონისაგან,
რაათა მონანი ღირს-ჰყვენ შენისა⁴⁰ ღმრთეებისა გამოცხადებასა. კ...

დღეს ყოველნი მორწმუნენი შენისა ღმრთეებისა გამოცხადებასა
ანგელოზთა თანა ღალადებით და გალობით ვიტყუით: კ უ . . .

სხუანი⁴¹. საკუირველი საკუირველებათა, უფროს დიდებული,
წინაშე მონისა მღვთმარე ზეცისა მეუფე მოუღრეკს თავსა, რო-

³⁶ წყალთა.

³⁷ გთოღებოც . . .

³⁸ თრთლ.

³⁹ იორდანითა.

⁴⁰ განწმობებოლი, მავრამ ი-ს გამოკლებით (შრნსა).

⁴¹ . . .

მელმან მოდრიკნა ცანი, და ძწოდეს ანგელოზთა წესნი, რაჟამს დაძბადებული მონისაგან ნათელს-იღებდა. დაუცხრომელად ვლალადებთ და ვიტყუით: ღ მ ე რ თ ო მ ა მ ა თ ა . . .

[32 ჭ] რომელმან სიმრავლემ ზღუათამ დაამყარე, დღეს მოხუედ იორდანედ, მოუდრიკე მონასა უზრწნელი თავი შენი ნათლის-ღებად, რომლისათუისცა, იხილეს რამ წყალთა მათ განშიშულებამა შენი⁴² და უკუნ-იქცეს კუალსა და მამამა ზეცით გარდამო წამებითა იტყოდა: ეგე არს ძემ ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ... ი გ ი ვ ე .

რომელი უფალ ხარ ცათამ და ქუეყანისამ და შემოქმედი ყოველთა საუკუნეთამ, ეშინოდა იოანეს კელისა შეხებად და იტყოდა: ჰხედავ დაძბადებელსა, შემრწუნებულ ვარ და მეშინის დაძბადებელისა კელისა შეხებად. რომელი კაცთ მოყუარებით განსცხადენ ჩუენთუის, დაუცხრომელად ვლ... ი გ ი ვ ე .

აღვიარებთ მორწმუნე...

[V] აკურთხევდითსა. გალობასა შენდა შევსწირავთ ანგელოზთასა, რომელმან ნათელ-იღე იორდანე... ა გ ა მ ა დ ...

შენ, ქრისტე, გაკურთხევთ, ვითარცა მოწყალე ხარ, რომელმან ნათელ-იღე იორდანესა. ა...

იხილა რამ წინამორბედმან, ქრისტე მოწყალე, გარდამოსლვამ შენ ზედა სულისა წმიდისამ⁴³ და გალობით იტყო...

დღეს განაახლე ყოველი ბუნებამ კაცთამ ნათლის-ღებითა შენითა. ამისთუისცა გიღალადებთ: აკ...

სხუანი. განჰკორციელდი საშოსა ქალწულისასა თანაარსი მამისამ და სულისა წმიდისამ, სიტყუაო მამისა მიერ მოსრულო⁴⁴, აჯოცად ცოდვათათუის პირველ შექმნულისა კაცისათამ. მ ღ დ ე ლ ნ ი ა კ უ რ თ ხ ე ვ დ ი თ ძ ე ს ა მ ა მ ი ს ა მ ი ე რ მ ო ს რ უ ლ ს ა და ჴ მ ე რ თ ს ა მ ა მ ა თ ა ჩ უ ე ნ თ ა ს ა .

[33 ჭ] პირველ საუკუნეთა ძემ თანა დიდებული მამისამ და სულისა წმიდისამ იორდანედ მოხუედ დღეს ნათლის-ღებად იოანესგან, განშიშულდი⁴⁵ ჯორცითამ, აცხოვნე პირველ შექმნული ადამ. მ ღ დ ე ლ ნ ი ა კ . . .

სიწმიდით მოანიჭა მადლი. მსგავსად ტრედისა გარდამომავალი სული წმიდამ წყალთა განსწმედდა და მამამა ზეგარდამო წამებდა: ეგე არს ძემ ჩემი საყუარელი. დაუცხრომელად ვაკურთხევთ ძესა მამისამ მიერ... ი გ ი ვ ე .

პირველ საუკუნეთა სიტყუამ დღეს მოხუედ იორდანედ ნათლის-ღებად იოანესგან, ხოლო ზეცით გარდამო ზრახვამ იგი საიდუმლომ ოსმოდა. დადუმნეს მდინარენი და აღმოდიოდეს⁴⁶. [V] და მოსლკასა

42 შენი და.

43 წმ^რდსა.

44 მორ^რლო.

45 გ^რშიშული.

46 „დიოდეს“ ფორმის წინ წაშლილია რამდენიმე ასო (ალბათ შეცდომით დაწერილი). იო-პელთაგანაც უკანასკნელი (თ) გარკვევით იკითხება.

სულისა წმიდისასა ლელვანიცა დაყუნეს. რომელსა იორდანეს ბრძანებით ცანი განგეზბოდეს, ქრისტე, გაქებთ შენ და გაკურთხევთ შენ.

ადიდებლითხა. შენ ზეცისა ბჭეჲ, კარავი...

რომელმან ნათელ-ილე მონისაგან იორდანესა და წყალნი განსწმიდენ და მათ მიერ — კაცნი, ვითარცა ღმერთსა და კაცსა გალობით გადაიდებთ.

რომელმან მოანიჭა სოფელსა მადლი სულისა წმიდისაჲ ნათლის-ღებითა მისითა, ვითარცა ღმერთსა და უფალსა ცხორების მომცემელსა, გალო...

ხსუანი. განუყოფე...

რომელი ანგელოზთა მიერ იხილ...

რომელი მამისა მიერ იწამა ძეჲ...

ხსუანი. [34 ე] რომელი მამით და სულით წმიდითურთ თაყუანის-იცემების ძეჲ და ღღეს ქუეყანასა ზედა განცხადებულად სამებაჲ წმიდაჲ ეცნობა ყოველსა ერსა იორდანესა ზედა, ოდეს ძეჲ ღმრთისაჲ ნათელს-იღებდა და მამაჲ ზეგარდმო წამებდა და სული წმიდაჲ გარდაჰმძავალი იხილეს ვითარც ტრედი მის ზედა.

რომელი აღსასრულსა ჟამთასა განჰკაცვენ ცხორებისათუის ჩუენასა. ქრისტე ღმერთო, ღღეს მოხუედ იორდანედ ნათლის-ღებად ნათანქმასა, ხოლო მონაჲ იგი შეძრწუნებული შიშით ღაღადებდა და ეტყოდა: ვითარ განწმიდოს მიწამან წყაროჲ, ანუ ვითარ ვიკადრო დღებად კელი ჩემი თავსა მისსა, რომლისა კელსა შინა მისსა არიან ყოველნი კადენი ქუეყანისანი?

[V] შენ, სამებაო წმიდაო, იორდანესა ზედა განეცხადე ყოველსა ერსა: მამაჲ წამებითა, ძეჲ ნათლის-ღებითა და სული წმიდაჲ სახედ ტრედისა შენ ზედა გარდამოსლვითა. არამედ მორწმუნეთა ვითარ ეცნობა სამებისა ერთარსებაჲ, განათლდეს გონებანი მათნი და დაუცხრომელად ადიდებდეს მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, ერთარსებისა. ერთღმრთეებასა, სამებასა განუყოფელსა.

ხსუანი. რომელი თანა-დაუსაბამო...

რომელი ზეცით გარდამოჰ...

დაამტკიცე უ...

აქებლითხა. რაჟამს განშიშულდი⁴⁷ ჯორცითა, მაცხოვარ, წყალთა ზედა იორდანისათა, მტერი იგი. დამალული მას შინა ნათლის-ღებითა დასთრგუნე [35 ე] და მოუწოდე მორწმუნეთა გალობად და ქებად შენდა.

მოსლვასა სულისა წმიდისასა სახედ ტრედისა შენ ზედა, ქრისტე. ჩუენებდა წინამორბედი ერსა და ეტყოდა: ეჰა ძმჲ და კრავი ღმრთისაჲ ჯორცითა გამოგუიჩნდა⁴⁸.

⁴⁷ განშიშულდი.

⁴⁸ გამოგუიჩნდა.

წინამორბედისაგან იქადაგა განშიშულებული⁴⁹ ღმერთი წყალთა შინა და ჰრწმენა მისი სოფელსა და ადიდებდეს თანა მამით და სულით წმიდითურთ.

დაამტკიცებდა კჳმა მამისაჲ სიტყუასა მას წინამორბედისასა, ღრუბლით გამო რაჲ ესმოდა, ღალადებით იტყოდა: ეგე არს ძმ ჩემი საყუარელი, რომელი მე სათ...

ნათელ-ილო ქრისტემან იორდანესა კელითა წინამორბედისაჲთა, იმსახურა ანგელოზთაგან და იდიდა მორწმუნეთაგან ძმ თანა მამით და სულით წმიდითურთ.

[V] მანქანებაჲ ეშმაკისაჲ დაკსნდა ნათლის-ღებითა მაცხოვრისაჲთა, რამეთუ დაემტკიცნეს წარმართნი სარწმუნოებასა ახალსა.

წყალთა ღინებაჲ დაუტევეს, რაჟამს იცნეს დამბადებელი თუისი და ხედვიდეს მას ზედა სულსა წმიდასა სახედ ტრედისა მომავალსა.

სხუანი. დღეს შემოქმედი ცათაჲ და ქუეყანისაჲ მონისაგან ნათელს-იღებს და ყოველი დაბადებული⁵⁰ სიხარულითა აივსო, რამეთუ ანგელოზნი ზეცით მოვიდეს და მსახურებაჲ შეწირეს მისა, რომელმან წყარონი იგი მდინარეთანი შეიმოსნა და მზეჲ იგი სიმართლისაჲ იორდანეს განიბანა და სული წმიდაჲ იქცეოდა ზედა წყალთა.

[36 ჭ] დღეს ნათელსა მოიღებს ჭეშმარიტსა რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა მომავალსა სოფლად. განვერენით ჩუენ საცთურისაგან და შევეყვებით ჭეშმარიტებასა, რამეთუ დღეს განშუენდების ქრისტეჲს შემოსილი იგი კრებული. ოხრის ზღუაჲ და მას შინა მყოფნი იხარებენ. ი გ ი ვ ე.

დღეს იორდანეჲ პატიოსან იქმნა და ყოველი ურჩულოებაჲ დაითქა, რამეთუ იხილვა ქრისტე წყალთა მათ შინა მამისა მიერ წამებული და შეიწყნარა მდინარემან წყაროჲ იგი მოწყალებისაჲ [V] და ცეცხლი იგი საიდუმლოჲ შეზავა წყალთა და უფალმან მონისაგან ნათელი მოიღო და ... ი გ ი ვ ე.

სხუანი. შენ, მაცხოვარ, მოხუედ იორდანედ განთავისუფლებად დასაბამითგან დამონებულთა ცოდვითა. ე რ ნ . . .

იორდანეჲ შემრწუნებულ იქმნა, რაჟამს გიხილა შენ შემოქმედი შექმნულისაგან ნათლის-ღებად და ე რ ნ ი ა ნ გ ე ლ ო ზ . . .

აღმოსლვასა შენსა, ქრისტე, მიერ წყლით ცანი განეხნეს⁵¹ და კჳმა მამისაჲ ზეგარდამო წამებდა: ეგე არს ძმ ჩემი საყუარელი, რომლისა ანგელოზნი ქებასა შესწ...

[37 ჭ] ს ა მ ხ რ ა დ

ოხითაჲ, კჳმა ა. საიდუმლოჲ განგებულებისა შენისა სიბრძნისაჲ, მიუწლომელო, ნათლად სოფელსა გამოუბრწყინდა, მო-რაჲ-ხუედ

⁴⁹ იქადა განწმიდებული. გა წინა სიტყუასაჲ ეკუთვნის (იქადაგა) და შედგომისაჲ (განწმიდებული). რედ.

⁵⁰ დ რ დ ბ ღ ღ ი.

⁵¹ ასეა.

კორცითა უნებელი ნათლის-ღებად მონისაგან, რომლისათუის იორ-დანეა კუალად ქცევითა და ბორცნი⁵² სიმღერითა დაბადებისა შენისა პატივსა აჩუენებდეს ერსა, გარდამოსლვითა შენ ზედა სულისა წმიდისათა მადლით, მამისა კამან ძედ შენ ვწამა. რომლისათუის ჩუენცა, შენ მიერ კსნილნი, ზეცისა თანა გალობასა შენდა შევსწირავთ, შენ, მძლესა სიკდილისასა⁵³, გილაღადებთ: გამოუთქმელო უფალო, დიდებად შენდა.

[V] **ფხალმუნი, კმა დ გუერდი.** ღმერთი უფალი და გამოგ...
დასადებული. აუარებდით...

ალელუია. რაა არს შენ... ვიდრე: კუალსა.

კელთა ბანისა. იორდანისა ღელვათა შენ, წყაროდ ცხორებისა, შეგიწყნარეს და ნუგეშინის-მცემელი ჩუენი სახედ ტრედისა მოვიდა, მოუდრეკს თავსა რომელმან მოდრიკნა ცანი, ღაღადებს და ეტყუის მონაა შემოქმედსა: რაჲსა მიბრძანებ მე უფროს რჩულისა? რამეთუ მე მიკმს შენ მიერ ნათლის-ცემა, განმანათლებლო ქრისტე ღმერთო, შეგუიწყალენ ჩუენ.

სიწმიდისა, კმა ა გუერდი. შენ, ქრისტე, ნათელი მოიღე იორ-დანესა კელითა მონისა შენისა იოანესითა, ანგელოზნი თანა-ღვეს, სამებასა წმიდასა შეგამკობდეს ქებით, გალობასა ამას იტყოდეს: წმიდა ხარ, წმიდა ხარ, წმიდა ხარ შენ, უფალო.

თთუესა იანვარსა 6 წმიდისა აბოღსი

დასადებელნი

უფალო ღაღატყავსა, [38 კ] კმა დ. ეჰა დიდებუ(ლი) საკუირველი წმიდისა და ახოვანისა ქრისტემისისა აბოღსი, რამეთუ რომელი-იგი ისმაიტელი იყო რჩულითა, შური აიღო წმიდისა მოციქულისა პავლესი, რაჲთა ზე-აქუნდეს სახელი მისი ყოველთა კიდეთა სოფლისათა. მოვედით მორწმუნენო, ვადიდებდეთ საჯსენებელსა მისსა და უგალობდეთ ქრისტეს⁵⁴, რომელმან ღირსად გუირგუინოსან ყოიგი.

რაჟამს წარადგინეს იგი წინაშე მძლავრისა მის აგარეანისა, აიძულებდა მას და ეტყოდა, რაჲთამცა უარ-ყო ქრისტე, ხოლო მან აიარა ძეა მამისა თანა და არა უარ-ყო სამებად წმიდად. მოვედით, მორწმუნენო, ვადიდებდეთ ... იგივე.

ესე აბოღსნი დ ზატყისა, რომელ მეოთხესა სწერიათ⁵⁵ მ.ო... ა ერ.ბერ...

[V] მაშინ განრისხნა გულის წყრომითა მძლავრი იგი და ფერი პირისა მისისა ექცეოდა ზედა წმიდისა მოწამისა ქრისტემისისა აბო-

52 ა.გ.

53 ა.გ.

54 ქ.გ.

55 მის შემდეგ ასოები გადაღებულია დე ზოგი მათგანი არ იკითხება.

მსა, ხოლო იგი უფრომს ღალადებდა და იტყოდა: ღალაცათუ ცეცხლითა და ტანჯვითა აღმასრულოთ მე, არა უარ-ვეო სამებაჲ წმიდაჲ. მოვედით, მორწმუნენო... იგივე.

მაშინ აიჭურვოდეს ურჩულონი იგი წყობად ზედა წმიდისა მოწამისა ქრისტემისა აბოასა⁵⁶, ხოლო მან სიხარულით მოუდრიკა მახუილსა ქედი თუისი, რამეთუ სუროდა მისლვად უფლისა თუისისა და ისწრაფდა შესლვად სასუფეველსა მისსა. მოვედით... იგივე. **აკურთხევიდითსა**⁵⁷. ყოველნი საქმენი ღმრთისანი და ყოველი...

რაჟამს შეკრბეს⁵⁸ მოხუცებულნი ისმაიტელთანი [39 ე] წინაშე ურაკპარაკთა მათთა და განიზრახვიდეს ივინი წმიდისა მოწამისა ქრისტემისა აბოასთუის. მღდელნი აკურთხევიდით, რომელმან განამძრიელა იგი, ერნი უფრომსად აამაღლებდით⁵⁹ მას უკუნისამდე.

მაშინ უბრძანა მძლავრმან მან მოწოდებაჲ წმიდისა აბოასი და ეტყოდა მას: უკუეთუ ესე ესრეთ არს აბო⁶⁰, რასა-ესე შეგწამებენ შენ, მღდელნი აკურთხევიდით, რომელმან ძრიელებაჲ მიჰმადლა, ერნი...

მიუგო წმიდამან მოწამემან უფლისამან⁶¹ აბო⁶⁰ და რქუა მას: მშობელნი ჩემნი თუ ისმაიტელ არიან, ხოლო მე მსახური ვარ ჭეშმარიტისა ძისა ღმრთისაჲ. მღდელნი აკურთხევიდით, რომელმან განამძრიელა იგი, ერნი...

მაშინ განრისხნა მძლავრი იგი და ფერი პირისა⁶² მისისაჲ ექცეოდა ზედა წმიდისა და ახოანისა⁶³ ქრისტემისა აბოასა. იგივე.

ადიდებდითსა, კმაჲ დ გუერდი. დღეს ღალადებდა აბო⁶⁰ შორის სიმრავლესა წარმართთასა⁶⁴: ვითარ მიმეღოს მე ცხორებაჲ კაცობრივი და ვითარ წარმეკუეთოს თავი აბოს⁶⁵, [V] ვითარ მომმართოს⁶⁶ მახუილმან, ვითარცა ნაყოფმან კეთილმან, ვითარ აღმევსოს მე გული სისხლითა, ვითარცა მანანათა. მივსენ მე, უფალო, აგარეანთაგან.

ხოლო სიმრავლეჲ აგარეანთაჲ ღალადებს და ეტყუის აბოს⁶⁵: მოიქეც რჩულისა ჩუენისაებრ და იყო შენ ყოველთა უუესთაგან. ხოლო აბო⁶⁰ ღალადებდა და იტყოდა: არა მივმს მე თქუენგან ქრთამი ოქროჲ, არცა ანთრაკი, არცა ვეძიებ ცხორებასა ამის საწუთრომსასა,

56 აბოას.

57 ამის პირდაპირ მარცხენა აშიაზე წითურად მიწერილია თითქო: ა ვ ე და ორიოდ სხვა ასოც, რომლებიც გადალუულია და აღარ იკითხება.

58 შეკრდეს.

59 ამაღლებდით.

60 აბოას.

61 ამ სიტყვას მოსდევს და, რომელიც ზედმეტი ჩანს.

62 ამ სიტყვის წინ განმეორებით სწერია პირი.

63 ახოანისა.

64 წარმართთასა.

65 აბოას.

66 მომართოს.

არამედ რაფთა ვიზილო სული წმიდაჲ მარჯულ⁶⁷ მამისა მჯდომარეჲ, რომლისა სიტყუანი მისნი ტკბილ არიან უფროჲს თაფლისა მის გოლელულისა. არამედ ვითარ გნებავს, წარმართნო, აღმასრულეთ, რამეთუ არაჲინ არს მიმღებელ სულისა წმიდისა.

მაშინ მოწყუიდეჲ აბო⁶⁸ მახუილითა და გუჲამი მისი დაწუეს ცეცხლითა და წარიყვა [40 ე]ნეს იგი ანგელოზთა ღმრთისათა წინაშე უფლისა. იხილა და რქუა მას: გიხაროდენ, აბო⁶⁹, რომელ არა შეგაწუხნა მახუილმან, არცა სატანჯველთა, არცა სიმრავლემან აგარეანთამან. ამისთუისცა ღირს-იქმენ შესლვად სასუფეველსა ცათასა და ცხორებასა წარუალსა⁷⁰.

აქებლითსა, კჲმაჲ ა გუერდი. ტანჯვასა დაუთმო ისმაიტელთასა წმიდამან აბო⁶⁹, მკნდა და ეშმაკნი განასხნა და მსხუერპლად შეწირნა კორცნი თუისნი და ქრისტესა ქადაგებდა. ვითარცა მნათობმან და მოლუაწემან ყოვლისა სოფლისამან ილუაწა და სიკუდილი შეურაცხ-ყო და ზრუნვად ამის სოფლისაჲ დაუტევა და შენ მხოლოსა სათნო-გეყო და აწ მეოხ არს სულთა ჩუენთათუის დიდსა წყალობასა.

სუროდა მისლვად უფლისა თუისისა სანატრელსა მოწამესა ქრისტემსსა აბოს⁶⁹, დგა წინაშე მძლავრისა მის, [V] ჰხედვიდა მახუილსა აღმართებულსა, არა შეშინდა შინებისაგან მათისა, არამედ განიძურცა საძოსელი, მოუდრიკა მახუილსა თავი თუისი და დასთხინა სისხლნი თუისნი. და აწ მეოხ არს სულთა ჩუენთათუის დიდსა წყალობასა.

ღმერთმან დაგაქროს, ყოველთა შემინდვეთ: ესე დასადებელი არა ამის აღვილისანი. განა დედანი ურვილნი მქონდეს.

[120 ე] მე-3-სა ორშაბათსა

აკებდითსა, კმა გ გუერდი. გაქებთ შენ დაუსაბამოსა მამასა შემოქმედსა ყოველთასა, რომელმან სიტყუითა ქუყყანად წყალოთ ზედა დააფუძნე, წმიდაო ღმერთო და მაცხოვარო სულთა ჩუენთაო, გაქებთ შენ.

გაქებთ შენ სიტყუასა ღმრთისაგან განჯორციელებულსა ჩუენთუის წმიდისაგან ქალწულისა, რომელმან ინებე ქსნად ნათესავისა კაცთაჲსაჲ, წმიდაო ძრ... ი გ ი ვ ე.

გაქებთ შენ ცხორების მომცემელსა და ჭეშმარიტად ნუგეშინის-მცემელსა სულსა წმიდასა, რომელმან აღავსენ მადლითა დიდებულნი შენნი მოცაქულნი, წმიდაო უკუდაო... ი გ ი ვ ე.

ნათელი გამოგუიბრწყინდა ჩუენ წარუვალი ქრისტე ღმერთი ჩუენი, რომელმან მოგუცა²⁰⁹ ბეჭედი თუისი ჯუარის(აჲ) ძლევად მტიერისა, რომლითა დაითრგუნა სიკუდილი [V] და წარმოიტყუენა ჯოჯოხეთი. ამას თაყუანის-ვსცემთ, რამეთუ ამის მიერ ვიჯსნენით.

უფალო დაღატყავსა, კმა ა გუერდი. მოწყალეო მხოლოო სახიერო, ნუ უგულებელს-ჰყოფ ვედრებასა ჩემსა, არამედ მომეც მე სინანულისა ცნობაჲ, რაჲთა ვღალატყო ვითარცა მეძაემან მან: შიკცოდე, ღმერთო, შემწყალე მე.

მოყავ ჩემდა კელი შენი, რამეთუ ჰნებაჲს მტიერსა წარწყმედაჲ

209 მოქცა (= მოქუცა).

ჩემი, არამედ ისწრაფე განრინება ჩემი მისგან, უფალო, და მაცხოვრებე მე.

და აწვე მომიტევენ მე თა...

ოხითაჲ, კჳაჲ ბ გუერდი. რომელნი ბნელსა შინა ცოდვათასა ვიდოდეს, ნათელი გამოუბრწყინე, მაცხოვარ, ჟამსა მას მარხვისასა და დღეჲცა იგი დიდი ვნებისა შენისაჲ მიჩუენე ჩუენ, რაჲთა ვლალტყოთ: აღდეგ, ღმერთო, შემეწიე²¹⁰ ჩუენ.

ფსალმუნი. უფალო ღმერთო ძალთაო, ის...

დასაღებელი. რაბამ²¹¹ საყუარელ არი...

მე-3-სა სამშაბათსა

აქებდითსა, [121 ჳ] დ გუერდი. შემოქმედსა²¹² ცათასა ერნი ანგელოზთანი გაქებენ და იტყუიან: მას²¹³ მხოლოსა შუენის ქებაჲ.

ოთხ-ხატელნი²¹⁴ ცხოველნი ქერაბინ-სერაბინნი გაქებენ...
ი გ ი ვ ე.

და ჩუენ, ქუეყანისანი, ქმნულნი კელთა შენთანი, გაქებთ და გაკურთხევთ, შენდა დიდებასა შევსწირავთ.

ცოდვათა სიმრავლეჲ მთქამს²¹⁵ და გევედრები, ქრისტე, დაუძინებელითა თუალითა: მოიხილე ჩემ ზედა, ღმერთო ჩემო, და შემეწიყალე მე.

ქველის მოქმედ მაცხოვარ, დამიფარენ მარჯუენემან შენმან, რამეთუ ჭირი მახს მე და არავინ არს მწე ერისა შენისა. ნუ უგულუბელს-გუყოფ, კაცთ მოყუარე, და შეგუიწყალენ ჩუენ.

[V] **უფალო ღალატყავსა, კჳაჲ ა**²¹⁶. მოვედით, მორწმუნენო, და ვევედრებოდით ქრისტესა ცოდვათა ჩუენთათუის და კჳაჲ იგი ავაზაკისაჲ მის შევწიროთ და ვთქუათ: მომიჯსენე მე [უფალო, ოდეს მო]-ხუიდე [სუფევეითა შენითა].

რომელმან შეცოდება[ნი კაცთანი] უწყნი [და სი]ნან[უ]ლი ვნებისა²¹⁷ სულისა ჩემისაჲ, განმკურნე, ქრისტე ღმერთო, და შემეწიყალე მე.

210 შემეწიენ.

211 რ'რამეთუჲ).

212 შემოქმედსა.

213 მის.

214 ოთხ-ხატელნი.

215 მქმს.

216 ერთ დროს ეს (121) ფურცელი მომდევნოს (122-ს) მისწვებია. გათიშვისას წინა გვერდს აქაიქ აუვლეჭია მეორეზე ტილის ზედაპირი. ამის გამო წინა გვერდზე დაფარულია, მეორეზე კი ავლავლია დაწერილი ადგილები. ამას გარდა, ნაწილი ასოებისა ძალიან გადაწეულია და ძნელად იკითხება. 121 v-ზე კარგად იკითხება მხოლოდ პირველი და მეორე სტრიქონი, რევიანად იჩნება ბოლო სტრიქონები (12 — 17), სადაც მოცემული წაკითხვა თითქმის უფასოა, რამდენადავ სჯევეთა შუა სტრიქონების წაკითხვა, განსაკუთრებით მარჯვენა ნახევარ ნახევარ (ჩუენ).

217 ანგელები.

რაჟამს გამოჩნდებოდიან წინაშე შენსა, უფალო, საქმენი კაცთანი დაფარულნი და ცხადნი და მიაგებდე კაცად-კაცადსა საქმეთა მათთა-ებრ, [122 ჭ] მას ჟამსა დამიფარე მე ფრთეთა მათ ქუეშე მოწყალე-ბისა შენისათა და ნუ მეუფლებინ მე ცეცხლი იგი უშრეტი.

ოხითაჲ, კმაჲ დ გუერდი. განვიწმიდნეთ თავ[ნი ჩუენნი], ძმა[ნ]ო, ყოვლისა ადა..... მოწყალებითა, ნუმცა [შე]ვიჭამებით ურ-თიერთას ცილის-წამებითა, რამეთუ მოგუეახლა ჟამი, ოდეს სიძეე იგი გამოვიდეს მიგებად კაცად-კაცადსა საქმეთა მათთაებრ, [V] შე-მცა-ვალთ ქრისტეჲს ბრძენთა მათ თანა ქალწულთა და კმაჲ იგი ავა-ზაკისაჲ მის შევიწროთ და ვთქუათ: მ ო მ ი ჯ ს ე ნ ე მ ე, უ ფ ა ლ ო, ო დ ე ს მ ო ხ უ ი დ ე ს უ ფ ე ვ ი თ ა შ ე ნ ი თ ა.

ფსალმუნი. წყალობაჲ შენი, უფალო...

დასადებელი. არა შემეშინოს...

მე-3-სა ოთხშაბათსა

აქებდითსა, კმაჲ დ გუერდი. რაჟამს, მაცხოვარ, ბაგენი აღვახნე ქებად და ჳელნი ავიპყრნე ვედრებად შენდობასა ცოდვათასა და სიმ-რაველესა წყალობათა შენთასა ვითხოვდე, შენ მომმადლე და შემიწყა-ლე მე.

[123 ჭ] გულსა ჩემსა შემუსრვილსა და დამდაბლებულსა შევს-წირავ შენდამი, მაცხოვარ, შეიწირე, გევედრები, მომხედენ და შემი-წყალე მე, ჳეშმარიტო მამაო, მრავალ-მოწყალეო.

ხადილსა ჩემსა შენდამი მოყავ ყური შენი, ლოცვაჲ ჩემი შეი-წირე, შემწყნარებლო მხოლოო, მომმადლე მე მშუილობაჲ შენი.

უფალო დაღატყავსა, კმაჲ გ. მოვიდა უფალი, მოვიდა ცხორებად, ჳსნად ცოდვილთა და შეწყნარებად მონანულთა.

[V] იხარებენ ცანი და იხარებს ქუეყანაჲ მოსლვასა შენსა, ქრის-ტე, რომელი მოხუედ შეწყნარებად მონანულთა.

ქალწულო უბიწოო, ქალწულო სანატრელო, ევედრე ქრისტე-
(სა) ღმერთსა, რაათა შეიწყალნეს სულნი²¹⁸ ჩუენნი.

სასოო სოფლისაო, ილუ...

ფსალმუნი. სულ-გრძელ დი...

დასადებელი. მოყავ, უფალო, ყ...

მე-3-სა ხუთშაბათსა

აქებდითსა, კმაჲ გ გუერდი. ცისკრისა ქებასა შევსწირავთ შენ-დამი, უფალო, რომელი ურჩულოებათა ჩემთაგან შეპყრობილ ვარ და გევედრები: უფალო, უფალო, შე მი იწყა ლ ე მე, ვ ი თ ა რ ც ა კ ა ც თ მ ო ყ უ ა რ ე ხ ა რ.

დათქმული ცოდვათა ჩემთაგან აღმომიყვანე მე, ღმერთო ჩემო, და საშინელსა მას განკითხვასა მოწყალე მექმენ მე, ვითარცა-ივა

²¹⁸ შწყნესლნი (= შეიწყალნეს სულნი). ს. ეკუთვნის წინა სიტყვასა და მოძღვრებასა.

[124 ე] პეტრეს: უფალო, უფალო, შემიწყალე მე, ვითარცა კა...

შეცოდებული სული ჩემი შეგივრდების შენ, უფალო, რომელი მზედ სიმართლისად გამობრწყინდი²¹⁹, განმკურნე მე, ვითარცა განრღუეული იგი, უფალო, შემიწყალე მე ვითარცა კ...
ქალწულო, რომელმან შევ შემოქმედი ღმერთი, ნუ დ...

უფალო ღალატყავსა, კმა დ. ვღალატყავ შენდამი: ისმინე ჩემი, მომხედენ და შეგესემინ კმისა ჩემისაა ჟამსა მწ...

რომელმან უპირატეად თხოვისა ჟუენისაა უწყი გულისაა თხოვა მვედრებელთა მიცემად წყალობა შენი და ჩუენ ცოდვილნი შეგივრდებით, ვითარცა ავაზაკი, რომელი გევედრებოდა...

მოწყალესა ღმერთსა ყოველნი ვაკურთხევდეთ...

და შენი მეორედ მოსლვა ნიშითა ჯუ...

ოხითა, კმა დ გუერდი. საიდუმლოსა ვნებისა შენისასა მიახლებულნი, მაცხოვარ, ღირს-მყვენ გალობად შენდა წმიდითა გულითა, მიითუალე მარხვაა და ვედრებაა ჩუენი, წმიდაო, რომელმან მარხვითა შენითა და ლოცვითა [V] განგუიწესე საცხორებელად ვედრებაა. აწცა შეიწყნარე ლოცვაა ჩუენი ღმრთისმშობელისა მიერ და შეგუიწყალებენ ჩუენ.

ფსალმუნი. უფალო, შეგესემინ ლოც...

ღასადებელი. მსთუად შეგესე...

მე-3-სა პარასკევსა

აქებდითსა, კმა დ გუერდი. საშინელსა მას განკითხვასა სული-სა ამის²²⁰ განახლებასა ღირს-მყავ მე, უფალო, განწმედილი წარდგომად წინაშე შენსა და შემიწყალე მე.

რამსა არა განიზრახავ, სულო ჩემო, საქმეთა შენთათუის ბოროტთა, ვიდრე არს-ლა ჟამი სინანულისაა? ამიერთიგან შეურდი და თქუი: შეგცოდე, ღმერთო, შემიწყალე მე.

ღმერთო ქველის მოქმედ, ბოროტი მტერი განმაშორებს მე შენგან და ჰნებავს ჩემი წარ...

სულგრძელო და ძრიელო, რომელმან დასაბამსავე შეჰქმენ კაცი, ნუ უგულვებელს-ჰყოფ მოსავთა შენთა.

[125 ე] რომელი ზი ზედა ქერაბინთა, ცრემლით შეგივრდები მოწყალებასა შენსა: ისმინე, მკსნელო, ვედრებისა ჩემისაა.

სხუანი. დიდნი მღდელთ მ...

და სხუანი. ეჰა წმიდანო მღდ...

ფსალმუნი. რომელთა უყუარს...

219 ა.ე.ე.

220 მ.ე.ე. 2-1

და შამის წირვასა უოველი მღვდელთ მოძღუართა²²¹ ამხანაურო. თუ გინდეს, ბერძენნი კულა²²² უოველსა ღაზარეისსა²²³ იტყუიან.

მე-6-სა შაბათსა ღაზარემსი

უფალო ღაღატყავსა, კჳამ დ გუერდი. ეტყოდა უფალი იერიქოს მოწაფეთა თუისთა: გუალე, წარვიდეთ ბეთანიად, რამეთუ სასწაული ღმრთისაჲ დღეს გამოცხადებულ არს. წარვიდა უფალი ბეთანიად მოწაფითურთ²²⁴. იხილნა რაჲ მარიამ და მართაჲ, რამეთუ ცრემლით სტიროდეს ღაზარეს. შეურდა მართაჲ უფალსა და რქუა²²⁵ მას: უფალო, თუმცა აქა ყოფილიყავ, არამცა²²⁶ მომკუდარ იყო ღაზარე, მეგობარი შენი.

[V] რქუა მას: გრწმენინ ღმერთი და იხილო შენ დიდებამ უფლისაჲ, ოთხი ღათუ დღეჲ არს მღებარეჲ სამარესა შინა. უკმო მას: ღაზარე, აღდეგ და გამოვედ გარე! აღდგა მკუდარი იგი, გამოვიდა. უქადაგა: ყოველი ძალ-გიც, ქრისტე, ყოველნი შენ გაქებენ, ყოველნი შენ გადიდებენ, მაცხოვარ, დიდებამ შენდა.

კურთხეულ არსსა, კჳამ გ. სამთა ყრ...

აღადგინე საფლავით ღაზარე, უფალო, ოთხისა დღისაჲ, შეკრული მჩრუითა²²⁷, და ვალობით შენ გიღაღადე[ბთ]: კ (ურ) თ . . .

დღეს სარწმუნოებასა მართაჲ დაამტკიცებს აღდგინებითა მკუდრეთით ღაზარემსითა, ქრისტე, დ[ა] გ[იღაღადებთ]...

მეოხებითა, უფალო, ღაზარემს მეგობრისა შენისაჲთა ჩუენ ცოდვითაგან განგუათავისუფლენ, რაჲთა ყოველნი ვღაღადებდეთ და ვიტყოდით: კ უ რ . . .

სამებასა²²⁸ თა...

აკურთხევდითსა. [126 ჭ] წინა-აუწყებდა უფალი ადგომასა თუისსა, დღეს ბეთანიად მოვიდა მაცხოვარი, რაჲთა აღადგინოს ღაზარე, მეგობარი თუისი. მ ღ დ ე ლ ნ ი ...

უწოდა ქრისტემან საფლავით ღაზარეს და უღაღადა: ღაზარე, აღდეგ და გამოვედ გარე. აღდგა მკუდარი იგი ოთხისა დღისაჲ და აქებდა. მ ღ დ ე . . .

რომელმან აღადგინა საფლავით ღაზარე ოთხისაჲ²²⁹ დღისაჲ... მ ღ . . .

ერთარ...

221 ასეა.

222 კ ლ ა.

223 ღაზარეისა.

224 მწფრსთ (უეკველია. რომ აქ ს შეედომითა დაწერილი რ-ს ნაცვლად).

225 რქა.

226 არამცა.

227 მჩრსთა.

228 სამებასა?

229 ასეა.

ადიდებლისა, ჯმაი გ გუერდი. გადიდებთ შენ, უხრწნელო ქალწულო²³⁰, სიტყვისა [V] ღმრთის მშობელო, მეოხ-იყავ დაუცხრომე-ლად მვედრებელთა შენათუის.

ვადიდებთ ყოველნი კაცთა მოყუარებასა შენსა, [ღმერთო] მაცხოვარო ჩუენო, დიდებო მონათა შენთაო და გუირგუინო მორწმუნეთაო, რომელმან განადიდე დღეს საკსენებელი ღირსისა შენისა ლაზარესი.

წინა-აუწყე, ქველის მოქმედ, შენი აღდგომაჲ საფლავით აღდგინებთა ლა [127 ჭ] ზარესითა. და ღალადებით იტყოდა: შენ ხარ ღმერთი ჩუენი მრავალ-მოწ...

დღეს საფლავისაგან აღადგინე ლაზარე ოთხისა დღისაჲ და ღალადებით იტყოდა: შენ ხარ ცხორებაჲ ჩემი და აღდგომაჲ, მაცხოვარ, მრავალ-მოწყალე.

აქებლისა, ჯმაი გ გუერდი. დღეს აღადგინე, მაცხოვარ, ოთხისა დღისაჲ საფლავით ლაზარე და მისითა ქველის მოქმედებითა²³¹, მისითა მიცემითა,²³² მოწაფენი შენნი განამტკიცენ, რაჲთა ვნებასაცა შენსა კორცითა არა ურწმუნო იქმნენ [V] შენისა ღმრთეებისა, რამეთუ შენ ხარ ცხორებაჲ და აღდგომაჲ მორწმუნეთა შენთაჲ, ქრისტე.

ოთხ-ნივთიერნი კორცინი განხრწნილისა ლაზარესნი შემოქმედმან სიტყუითა კუალად შეამტკიცენ, რამეთუ ოთხისა დღისა მკუდარსა უკმე, ქრისტე, და ჯმასა შენსა გამოვიდა შეკრული. რომლისათუისცა დამტკიცებულ ვართ ყოველნი და გურწამ შენ ღმერთი ბუნებით და უქცეველად განკაცებული ცხორებისათუის სულთა ჩუენთაჲსა.

[128 ჭ] ვითარცა ეტყოდე, უფალო მართას²³³: მე ვარ აღდგომაჲ, საქმით სიტყუაჲ აღვასრულე, საფლავით აღვადგინე ლაზარე. მეცა სირღმეთაგან ცოდვათა ჩემთაჲსა აღმომიყვანე მე, ვითარცა კაცთ მოყუარე ხარ.

სხუანი, ჯმაი ა გუერდი. ეტყოდა უფალი მოწაფეთა თუისთა: გუალე და მივიდეთ ბეთანიად. ლაზარე, მეგობარმან ჩემმან, დაიძინა, ხოლო მე მივიდე და განვალუიძო იგი, რაჲთა ჰრწმუნეს ყოველთა, რამეთუ მე ვარ ღმერთი მძინარეთაჲ.

[V] ეტყოდა უფალი მოწაფეთა თუისთა განცხადებულად: ლაზარე, მეგობარი ჩემი, მოკუდა, ხოლო მე მივიდე და აღვადგინო იგი, რაჲთა რწმუნეს ყოველთა, რამეთუ მე ვარ ღმერთი, აღდგომაჲ და ცხორებაჲ შესუენებულთაჲ.

მოვიდა უფალი ბეთანიად ნუგეშინის-ცემად მარიამისა და მართაჲსა და უჩუენა ყოველსა ერსა დიდებაჲ მისი და ლაზარე ოთხისაჲ მკუდარი აღადგინე საფლავით.

²³⁰ ამს. მოსოვეს სტყთა, რომელიც ზედმეტი ჩანს.

²³¹ ვქმდღთთა.

²³² მოწაფეთა მოქმედთა.

²³³ მართას.

მოვიდა მარიამ მაცხოვრისა და შეურდა ფერკთა უფლისათა, ცრემლითა დაჰბანნა ფერკნი მისნი და თმითა თუისითა წარკოცნა.

მოილო მარიამ ნელსაცხებელი და იწყო ცხებად²³⁴ ფერკთა უფლისათა. [129 ე] და სუნნელება დიდძალი მიეფინებოდა ზედა ყოველსა ერსა, რომელნი მოსრულ იყვნეს ზრახვად მარიამისა და მართაძსა.

მოითაძ, კმაძ დ გუერდი. კურთხეულ ხარ შენ, უფალო, რომელი მოხუედ ბეთანიად, აღადგინე ლაზარე ოთხისა დღისაძ მკუდრეთით. რომელთა იხილეს და რწმენა, ღალადებდეს და იტყოდეს: რომელი მოხუედ და მოსლვად ხარ, იესუ მაცხოვარო ჩუენო, დ ი დ ე ბ ა დ შ ე ნ დ ა.

სხუაძ, კმაძ ბ. დიდებაძ, დიდებაძ შენდა, დიდებაძ მოსლვასა შენსა! შენ, მაცხოვარ, მოხუედ ბეთანიად, აღადგინე ლაზარე ოთხისა დღისაძ და მკუდარი იგი თანა-მოგზაურ²³⁵ ჰყავ, შეხუედ ქალაქად წმიდად იერუსალემდ. ქადაგო ადგომისაო, მაცხოვარო სულთა ჩუენთაო, დ ი დ ე ბ ა დ შ ე ნ დ ა.

ფსალმუნი, კმაძ ბ. უფალო, აღმოიყვა...

დასადებელი. აგამალო...

ალელუიაძ, კმაძ ბ. მოაქცია სული ჩე...

კელთა ბანისაძ, კმაძ ა. მარიამ და მართაძ მაცხოვარსა ეტყოდეს: უფალო, თუმცა აქა იყავ, არამცა²³⁶ მომკუდარ იყო ლაზარე მეგობარი შენი. ხოლო ქრისტემან მაცხოვარმან ჩუენმან, ადგომამან [V] შესუენებულთამან, ოთხისა დღისაძ საფლაკით აღადგინა ლაზარე. მოკედით ყოველი თესლები, ამას თაყუანის-ვსცეთ, რომელი მოვიდა ნეფსით კორცითა ვნებად ჩუენტუის.

სიწმიდისაძ, კმაძ ა გუერდი. ერნი წინაშე დგანან წმიდათა ანგელოზთანი და შენ გადიღებენ მაცხოვარსა ჩუენსა, რამეთუ წმიდა ხარ.

ბზობასა

უფალო ღალატყავსა, კმაძ ა. მწუხრისა მსხუერპლსა შეკსწირავთ შენდა, ქრისტე ღმერთო, რომელმან ჯერ-იჩინე კიცუსა ზედა დაჯდომაძ და ყრმათაგან ებრაელთა ბაიაძ შეიწირე და დავიფუნდეს ყრმანი შტოებსა წმიდასა ქალაქსა²³⁷ გზასა ზედა.

სიმრავლეძ მორ...

ყრმანი ებრაელთანი ბაიაძთა მიგეგებვოდეს შენ, ქრისტე, მაცხოვარსა სოფლისასა, ვიღალადებდეს და იტყოდეს: ო ს ა ნ ა მ ა დ ა ლ თ ა შ ი ნ ა, კ უ რ თ ხ ე უ ლ ა რ ს მ ო მ ა ვ ა ლ ი ს ა ხ ე ლ ი თ ა უ ფ ლ ი ...

234 ცხებათ.

235 თნამ გზორ.

236 არამცა.

237 წრსა ქლქსა.

კიცუსა ზედა მჯდომარესა ქრისტესა მეუფესა ყოველნი უგალობთ, ვლალადებთ და ვიტყუით: დიდებაჲ მალალთა შინა ღმერთსა, ქუეყანასა ზედა მშუიდობაჲ, კაცთა შორის სათნობაჲ, რომელი მოვიდა ცხორებად ჩუენდა.

[130 ე] დაუფენდა ერი იგი გზასა ზედა შტოებსა და რომელნიმე სამოსელსა, ვილადებდეს და იტყოდეს: ოსანა მალალთა შინა, კურთხეულ ხარ შენ, მაცხოვარ.

ბაიაჲ აქუნდა ყრმებსა მას ძლევისა გალობასა წინაშე შენსა, უფალო, რომელმან ჯერ-იჩინე ცხორებისათუის ჩუენისა ვნებაჲ და წარმართთა²³⁸ მოწოდებაჲ, კიცუსა ზედა დაჯდომითა წინა-აუწყევიგალობდეს შენ, მაცხოვარ: ოსანა მალალთა შინა. კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაჲთა, რომელი აცხოვნებს შეცთომილთა მხოლოდ მრავალ-მოწყალეჲ.

სხუანი, კმაჲ დ. კურთხეულ არს მომავალი დიდებითა და ანგელოზთა თანა ძრიელებითა და მაცხოვარებითა, რომელი აცხოვნებს ნათესავსა კაცთასა.

კიცუსა²³⁹ ზედა მჯდომარესა რტოებითა მიგვეგებოდეს ყრმანი ებრაელთანი, ჯმითა მალლითა მეუფესა გიგალობდეს შენ: ოსანა ძესა დაჲვითისსა, რომელი მომავალ არს²⁴⁰ კორციითა ვნებად, აქოცად ცოდვათა სოფლისათა და ცხორებად ნათესავისა კაცთაჲსა.

უგალობდითსა. [V] ფარაო...

რომელი კორციელ იქმნა ჩუენთუის ქალწულისაგან ღმრთისა სატყუაჲ, ვადიდებთ ყოველნი²⁴¹.

რომელი კიცუსა ზედა დღეს დასჯედი და მოწოდებაჲ აუწყე წარმართთა ეკლესიასა, რაჲთა ყოველნი ვლალადებდეთ და ვიტყოდით: უგა...

რომელმან სიტყუითა ღმრთი...

სხუანი. უგალობდით²⁴² გალობითა ახლითა დაუსაბამოსა ღმერთსა მესნელსა ისრაელისასა, რომელი მოვიდა დღეს სიმდაბლით კარაულითა იერუსალემდ, რომელსა ყრმანი ებრაელთანი ბაჲაჲთა²⁴³ მიგვეგებოდეს და სიხარულით იტყოდეს: უგალობდეთ...

აქუნდა რტოები ბაიჲსაჲ ყრმებსა, წინა-მიგვეგებოდეს²⁴⁴ და რომელნიმე სამოსელსა მათსა დაუფენდეს, რომელი მალალთა შინა ანგელოზთა მიერ იქების, და სიხარულით იტყოდეს: უგალობდეთ უფალსა...

²³⁸ წარმართთა.

²³⁹ იქმნა.

²⁴⁰ მოწოდება.

²⁴¹ ყოველნი.

²⁴² იტყოდეს (უგალობდით).

²⁴³ ბაიჲ, ეგვიპტისა. რომელი იტყოდეს ბაიჲთანი. აქ „ნი“ უთუოდ შეცდომით არის მიწერილი.

²⁴⁴ მიგვეგებოდეს.

მოიხილესა. მოიხილე, ცა...

დაიცვენ შენნი მოსავნი, რომელმან კიცუსა ზედა დაჯდომად ჯერ-იჩინე, ქრისტე ღმერთო. მართალ და წმიდა არს უფალი, რომელმან ყრმათაგან ებრაელთა ბაიად შეიწირე.

დიდება შენდა, დიდება შენდა, მეუფეო დიდებისაო, რომელმან დაიმდაბლე თავი თუისი გ...

სხუანი. მიეცით, ერნო, დიდება ღმერთსა ცათა შინა ანგელოზთა მიერ ქებულსა, და ქუეყანასა ზედა ყრმათა თანა რტოებითა [131 ჭ] მივეგებვოდით და ვიტყოდით: რამეთუ მართალ...

წმიდა არს უფალი, უფალი ღმერთი ჩუენი, რომელი გარდამოცდა ზეცით, ქალწულისაგან უბიწოასა კორციელ იქმნა უქცევლად და საყდართა წილ ჯერ-იჩინა დაჯდომად კიცუსა ზედა, რათა ჩუენ მოგუიწოდოს²⁴⁵ და ყრმათა თანა... ი გ ი ვ ე.

დიდება შენდა, დიდება შენდა, უფალო, რომელმან ჯერ-იჩინე დაჯდომად კიცუსა ზედა, შეხუედ იერუსალემდ და ებრაელთა ყრმანი წინა-მივეგებვოდეს და იტყოდეს: რამეთუ მართალ და წმიდა ხარ, შეგ უიწყალენ ჩუენ, უფალო.

განძრიელდითსა. განმძრიელე მე, ქრისტე...

კიცუსა ზედა დასჯედი, ქრისტე, დღეს და შეიწირე ყრმათაგან ქება. ოსანა, გილაღადებდეს, კურთხეულ ხარ შენ, მაცხოვარ.

დაგიფენდეს ყრმანი შტოებსა წმიდასა ქალაქსა წინა გზასა შენსა და ესენი ადავსენ შენითა სარწმუნოებითა, უფალო.

[V] **სხუანი.** განაძრიელენ, უფალო, გულნი ჩუენნი ვალობად შენდა მეუფისა დიდებისაჲსა, რომელი მონებრივითა ხატიითა კიცუსა ზედა მჯდომარეად იხილვე დღეს, რათა არა²⁴⁶...

ძლევად შემოსილნი ყრმანი რტოებითა ბაჲაჲსაჲთა ქებასა შესწირვიდეს, ღაღადებდეს და იტყოდეს: გუაცხოვნენ ჩუენ, რომელი მოხუედ შეცთომილთათუის, რამეთუ არავინ არს წმიდა.

უფალო მესმასა. გამოუბრწყინდა მაღლი შენი წარმართთა²⁴⁷ და ყრმანი რტოებითა გაქებდეს შენ: ოსანა, გილაღადებდეს შენ, მაცხოვარ.

კიცუსა დასჯედი კორციელად, ქრისტე, რომელი თანა-არსი მამისაჲ ხარ ღმრთეებითა, რომლისათუისცა სიმდაბლესა ფლობისა [132 ჭ] შენისასა ვადიდებთ.

სხუანი. გამოუბრწყინდა მაღლი შენი ებრაელთა ყრმათა და რტოებითა ბაიჲსაჲთა წინა-მოვეგებოდეს და იტყოდეს: ოსანა მალალთა შინა, კურთხეულ არს, რომელი მოვალს

245 მეწოდოს.

246 რაა.

247 წრმართა.

დღეს სიმდაბლით და კუალად მოსლვად არს. დიდებითა ღმრთეებისა მათა.

კიცუსა ზედა მჯდომარეა რაჲ გიხილეს ებრაელთა ყრმათა, და-
გოფენდეს სამოსელსა მათსა გზასა ზედა და ღაღადებდეს, იტყოდეს:
ოსანა ძესა და ვითისსა, დიდებამა მალალთა ში-
ნა ღმერთსა, რომელი... იგივე.

მოვედით, მორწმუნენო, და ვისწათ ღმრთის მეცნიერებისა
ესე გალობამ ყრმათაჲ. განვფინეთ გულნი ჩუენნი [V] სა-
მოსელთა მათ წილ, სიხარულით მივეგებოდით მეუფესა
კიცუსა ზედა მჯდომარესა და ვიტყოდით: გუაცხოვნენ ჩუენ,
მგალობელნი შენნი, მაცხოვარ, რომელი მოხ-
უედ დღეს სიმდაბლით და კუალად მოსლვად
ხარ დიდებითა ღმრთე... .

ღამითგანსა. ღამითგან აღვიმსთობთ, შენდა დიდებასა შევსწი-
რავეთ, უფალო, რომელი კიცუსა დასჯედი დღეს და შენითა ღმრთე-
ებითა აღავსენ ყოველნი კიდენი.

რომელი რჩულისა მდებელ ხარ და რჩულისა აღმასრულებელ,
საუნჯემ სიხარულისაჲ სოფელსა გამოსჩნდი, ამას თაყუანის-გცემთ.

თაყუანის-გცემთ შენ, ქრისტე, მამისა და სულისა წმიდისა თანა,
[133 ჭ] ძლევისა გალობასა ყრმათა თანა შევსწირავთ ვითარცა
მძლესა სიკუდილისასა და შენ, ქრისტე, გადიდებთ.

სხუანი. ღამესა ამსთობილნი ვემსგავსნეთ ყრმათა მგალობელთა,
რომელნი წინა-მივეგებოდეს რტოებითა ბაიამსა მათა, სიხარულით
გიგალობდეს და გაკურთხევდეს, ქებით შეგასხმიდეს ქრისტესა ჯორ-
ციელად მომავალსა ვნებად ნეფსით, შენი მშუიდობამ მოგუმაღლე
ჩუენ, ქრისტე ღმერთო, რომელნი დაუცხრომელად გიგალობთ შენ.

ნათლად გამოუბრწყინდი ყრმათა დღეს, რომელთა გიხილეს
განკაცებული და ღმრთად აგიარეს შენ, ხოლო დაბრმეს თუაღნი გო-
ნებათა მამათა მათთანი, რამეთუ მოხუცებულნი იძლინეს და ყრმანი
მეცნიერ იქმნეს²⁴⁸ [V] გალობად შენდამი მომავალსა ვნებად ნეფ-
სით თუისით. შენი მშუიდობამ... იგივე.

ღაღატყავსა. ვღაღატყავ პირი...

გიღაღადებდეს შენ ყრმანი ებრაელთანი, კაცთ მოყუარებაჲ
ქუნდა. აცხოვნე, ქრისტე, რომელი ხარ მალალთა შინა, შეცოდებული
ნათესავი კაცთაჲ.

სხუანი. ღაღადებამ იონამსი მუცლით გამო ვეშაპისამთ ისმა
სასმენელთა შენთა, უფალო, რაჟამს შთავიდა იგი სირღმესა ზღუისა-
სა, ხოლო შენ მრავალ-მოწყალებითა შენითა აღმოიყვანე იგი უფს-
კრულთაგან ჯოჯოხეთისათა უნებელად.

საიდუმლოჲ ახალი ისწავეს ყრმათა, რომელი პირველ საუკუნე-
თა წინაწარმეტყუელისაგან გუეუწყა, ვითარმედ პირთაგან ჩრუილ-
თა მწოვართამსა [134 ე] დაემტკიცოს ქებაჲ.

დღეს ესმა ყოველსა სიმრავლესა ერისასა, ყრმანი რად შეგას-
ხმიდეს და ძედ ღმრთისად შენ გხადოდეს, მომავალსა დღეს
მეუფესა უკუდავსა ერთობით ყოველნი ვაკურ-
თხევდეთ.

საკუირველი უცხოდ და სახეე წარმართთა მოწოდებისად! მა-
ლალთა შინა მარჯულ მამისა მჯდომარემან დღეს ქუეყანასა ზედა
სათნო-იყო კიცუსა ზედა დაჯდომად, რადთა წარმართნი გამოგუიკს-
ნნეს კერბთ მსახურებისაგან და ებრაელნი სამოსელსა მათსა დაუ-
ფენდეს და სიხარულით იტყოდეს: მომავალსა დღეს...
ი გ ი ვ ე.

კურთხეულ არსსა. ყოველნი საქმენი შენნი...

კიცუსა დასჯედი, მეუფეო, და ყრმანი ებრაელთანი გილაღადებ-
დეს შენ ღმერთსა მამათა ჩუენთასა.

კიცუსა დასჯედი, მოწყალე, რადთა აცხოვნო შეცთომილი ნათე-
სავი კაცთად, და ყოველნი თაყუანის-გცემთ შენ სარწმუნოებით თანა-
არსსა [V] მამისასა და სულისა წმიდისასა²⁴⁹.

სხუანი. სამთა ყრმათა ბაბილოვნს მძლავრსა არცხუინეს, რამე-
თუ იზრახეს წარწყმედად მათი და შესთხინეს საკმილსა მას. არამედ
შენ გარდამოჰკედ მათ შორის და დაიცვენ ივინი ცუარითა უნებელად,
ხოლო აქა დღეს ებრაელთა ყრმათა არცხუინეს მშობელთა მათთა,
რამეთუ გიცნეს შენ და ჯმითა მალლითა ღაღადებდეს და იტყოდეს:
ღმერთო მამათა...

დაუკუირდა მთავარანგელოზთა, რაჟამს გიხილეს შენ ყოველთა
შემოქმედი ღმერთი მჯდომარეე კიცუსა ზედა და ყრმანი მათ წილ
მგალობელად შენ წინაშე, რომელთა აქუნდა ჯელთა მათთა შტოები
ბაიასსად და ჯმითა მალლითა..... ი გ ი ვ ე.

[135 ე] შეძრწუნდეს ქერობინნი და სერაბინნი დღეს, რამეთუ
ჟესთა საყდართა მსგავსად სათნო-იყავ დაჯდომად კიცუსა ზედა ახ-
ლისა მოწოდებისათუის წარმართთაჲსა, რადთა ჩუენ, მომწყუდარნი,
ახლად ერად შენდა გამოგუაჩინენ, რომელნი დაუცხ...
ი გ ი ვ ე.

შენ, სამებოო წმიდაო, სამთა მათ ყრმათა შორის გამოსჩნდი
ალსა მას შინა ბაბილოვნს, გიხილა მძლავრმან მან მეოთხედ უბრ-
წყინეალებს მზის თულისა და თაყუანის-გცა. ამასვე ღმრთეებით
განშორებასა მამისაგან და სულისა წმიდისა ძესა ყრმანი ჯორციელა-
თა ხილვითა ვითარცა მეუფისა ძღუენსა ბაიასა შესწირვიდეს, ღა-
ღადებდეს და იტყოდეს: ღმერთო მამათა...

აკურთხევდითსა. გალობასა შენდა შევსწირავთ ანგელოზთასა,
ვითარცა ყრმანი ბაიასთა შესხმით ვიტყოდით: კურთხეულ
არს მომავალი...

[V] მოვედით და მივეგებოდით მომავალსა ვნებად ნეფსით
თუისით და გალ...

249 ამის შემდეგ იკითხება ლამ, რომელსაც თავზე კიდევ აწერია ამ.

მოვიდა უფალი განთავისუფლებად რჩულისა ქუეშე დამონებულ-
თათუის და გალობით... ი გ ი ვ ე.

სხუანი. დღეს განმხიარულდა იერუსალემი²⁵⁰, რაჟამს შეხუედ, მაცხოვარ, მჯდომარეჲ კიცუსა ზედა ზეცისა მეუფეჲ, ხოლო კაცებ-
რივი²⁵¹ ბუნებაჲ რაჲ იხილეს ყრმათა, ღმრთის ძეცნიერებით აღიარ-
ებდეს და ძლევისა გალობასა ღაღადებდეს და იტყოდეს: მ ღ დ ე ლ -
ნ ი ა კ უ რ თ ხ ე ვ დ ი თ ღ მ ე რ თ ს ა, რ ო მ ე ლ ი მ ო ვ ი დ ა
დ ლ ე ს ს ი მ დ ა ბ ლ ი თ ო ს ნ ა დ დ ა ბ ა დ ე ბ უ ლ თ ა თ უ ი ს -
თ ა თ უ ი ს, ე რ ნ ი უ ფ რ ო ა ს ა დ ა ა მ ა დ ლ ე ბ დ ი თ მ ე უ -
ფ ე ს ა უ კ უ დ ა ვ ს ა დ ა ნ ე ფ ს ი თ ვ ნ ე ბ ა დ ჩ უ ე ნ თ უ ი ს
მ ო ს რ უ ლ ს ა, რ ა მ ე თ უ უ ფ რ ო ა ს დ ა მ ა დ ა ლ ა რ ს
ს ა ხ ე ლ ი მ ი ს ი²⁵² უ კ უ ნ ი ს ა მ დ ე.

დღეს აღესრულნეს წინაწარმეტყუელთა კმანი, რომელსა
[136 ჭ] იტყოდეს შემოსლვისათუის მაცხოვრისა, რომელი ქალაქად
წმიდად იერუსალემდ²⁵³: აჰა ესერა მოვალს მეუფეჲ შენი მშუიდო-
ბით მჯდომარეჲ კარაულსა ზედა და ებრაელნი წინა-მიგეგბოდეს
რტოკებითა და სიხარულით იტყოდეს: მ ღ დ ე ლ ნ ი . . . ი გ ი ვ ე.

დღეს აღივსნეს შურიტა ურჩულონი ჰურიანი, რაჟამს შემო-
ხუედ, მაცხოვარ, იერუსალემდ²⁵³ აღსრულებად წერილსა და გულის
წყრომათ იტყოდეს ყრმათა მიმართ მათთა, ვითარმედ ესევეითარი
ღმრთის ძეცნიერებისა გალობაჲ ისწავეს, რომელსა იტყოდეს შენდა
მიმართ: ო ს ა ნ ა მ ე ს ა [V] დ ა ვ ი თ ი ს ს ა, კ უ რ თ ხ ე უ ლ
ა რ ს მ ო მ ა ვ ა ღ ი თ ა ს ა ხ ე ლ ი თ ა²⁵⁴ უ ფ ლ ი ს ა მ თ ა, მეუფეჲ
ისრაელისაჲ. მ ღ დ ე ლ ნ ი . . . ი გ ი ვ ე.

აღიდებდითსა. ქრისტემან წარავლინნა მოწაფენი თუისნი
დაკნნად ურჩულომსა ნათესავისა საცთურისა. კ ი ც უ ს ა ზ ე დ ა
მ ჯ დ ო მ ა რ ე ს ა ყ რ მ ა თ ა თ ა ნ ა შ ტ ო ე ბ ი თ ა ვ ა დ ი დ ე ბ თ.

რომელი მოვიდა აღდგინებად ბნელსა შინა მსხდომარეთა, ლა-
ზარე მძმედარი სიტყუითა აღადგინა. კ ი ც უ ს ა . . .

რომელმან საშოსა ქალწულისასა ადამ შეიმოსა, სიკუდილი
თაეს-იდვა ჯორციტა ნეფსით თუისით. კ ი . . . ი გ ი ვ ე.

სხუანი. დავითის მიერ²⁵⁵ თქმულთა აღმასრულებელად ყრმანი
გამოჩნდეს, რომელთა მეურაცხ-ყვეს გულის წყრომაჲ მოხუცებულ-
თა მათთაჲ და შენ მიერ განბრძნობილნი გალობასა შესწირვიდეს
[137 ჭ] შენდამი და იტყოდეს: გ უ ა ც ხ ო ვ ნ ე ნ ჩ უ ე ნ, მ ე ო
დ ა ვ ი თ ი ს ო, რ ო მ ე ლ ი მ ო თ ხ უ ე დ ნ ე ფ ს ი თ ვ ნ ე ბ ა დ.

ქებისა შენისა დამამტკიცებელად ყრმანი ღირს-იქმნეს, რო-
მელთა არად შეჰრაცხეს განრისხებაჲ მღდელთ მოძღუართა მათთაჲ,

250. იქმნა.

251. იქმნა.

252. მათი ხის შორის იკითხება ღმ.

253. იქმნა.

254. იქმნა.

255. ვ. 2. 2. 2.

არამედ დაგიფენდეს გზასა ზედა სამოსელსა მათსა და იტყოდეს: მოკედით, ერნო, ვადიდებდეთ, რომელი მოვალს ნეფსით ვნებად.

გალობით მეტყუელნი ებრაელთა ყრმანი დაუღუპებულად დიდების-მეტყუელებით წინა მიგეგებოდეს შენ უკუდავსა მეუფესა. [V] ჩუენცა მათ თანა გალობით ვლალადებთ და ვიტყუით: მოკედით, ერნო...

აქებლითსა. უფალო, რომელი მაღალთა შინა ანგელოზთა მიერ იქები და ქუეყანასა ზედა დღეს ვითარცა კაცი კიცუსა ზედა დასჯელი და ყრმათაგან ებრაელთა ბაიაა შეიწირე, რომელნი გილალადებდეს: მსანა მაღალთა შინა, კურთხეულ ხარ შენ, მაცხოვარ.

ქრისტე, მოსლვითა შენითა კერპთაგან წარმართთაჲსა და საცთურისაგან ეშმაკისა ივსენ სოფელი. მეუფეო მშუილობისაო, შეიწირე ქებაცა ჩუენი.

ანგელოზთა მიერ მამისა თანა ქებულსა და ქუეყანასა ზედა ყრმათა თანა შენ [138 ჭ] გაქებთ, რაჲთა ქუეყანისანი თანა-შეგუაერთნე ზეცისათადა, ვითარცა კაცთ მოყუარე ხარ და მრავალ-მოწყალე. ბაიაა შენ მიგიპყრეს²⁵⁶ ებრაელთა ყრმათა დღეს. რომლისათვის ჩუენცა დაუცხრომელად შენ გაქებთ: ოსანა... იგივე.

დაჯდომამა კიცუსა ზედა რაჲ სათნო-იყავ, ქრისტე, ახლისა ერისა შენისა მოწოდებასა აუწყებდ, დასცხრა სახეჲ აჩრდილისაჲ პირველისა რჩულისაჲ მაღლისა გამობრწყინებითა შენითა ჩუენდა მორმართ. ამისთვისცა გილალადებთ: კურთხეულ ხარ შენ, რომელი მოხუედ ნეფსით ვნებად.

სხუანი. ისწავეთ სიმართლეჲ, რამეთუ დაჰქსნდა საცთური, მოვალს მეუფეჲ [V] ძრიელი, მთავარი მშუილობისაჲ, რომელმან განგუწმინდნეს ჩუენ ურჩულოებათა ჩუენთაგან.

მოსლვამა შენი, ქრისტე, წყარო ცხორების ექმნა მორწმუნეთა შენთა, რამეთუ მეუფეჲ საუკუნეჲ გიხილეს კიცუსა ზედა მჯდომარეჲ, რომელი განისუენებს ქერობინთა ზედა, რომელი მოვალს სახელითა უფლისაჲთა. ჳმითა მაღლითა ლალადებდეს და იტყოდეს: ოსანა მაღალთა... მოკედით, ერნო, მივეგებვოდით რაჲთა განგუწმინდ... იგივე.

ლიტანიადღა გავილოდიან

ჳმამ ა. მონისა ხატითა ღმერთი განკაცებული...

მე-ბ, ჳმამ ბ. მხიარულ იყავ, ასუ...

სხუამ. რომელი ზის მარჯულ მამისა საყდართა დიდებისათა, ქუეყანასა ზედა კაცთა შორის იქცეოდა ვითარცა კაცი, რომელი ანგელოზთა მიერ [139 ე] იდიდების მაღალთა შინა, კარაულსა ზედა

256 მიგპყრს.

7. კილ-ეტირატის იაღვარი

მჯდომარეა დღეს შემოვალს უფალი. გიხაროდენ, ასულო სიონისაო, რამეთუ აჰა ესერა რომელმან შეგქმნა შენ, მოვალს შენდა მშუილობით, განახუნ ბჭენი შენნი და შეიწყნარე ევმანუელ მკსნელი ჩუენი. ესრეთ ვლადებთ და ვიტყუით: **კურთხეულ არს, რომელი მოვალს სახელითა უფლისაათა, კურთხეულ არს მომავალი...**

სხუთა. დღეს აღესრულა წინაწარმეტყუელებაა ზაქარიაისი...

ოხითაჲ, კჳაჲ ა. ყოველთა ადგომად წინა ვნებისა შენისაჲ გურწმენა, მკუდრეთით რაჲ აღადგინე ლაზარე, ქრისტე ღმერთო. რომლისათუის ჩუენცა ვითარცა ყრმანი ძლევისა გალობასა შენდა შევსწირავთ, შენ მძლესა სიკუდილისასა გილადადებთ: **ჰსანა მადალთა შინა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაათა...**

ფსალმუნი. მთანი იხა...

დასადებელი. უგალობდით უფალსა გალ...

ალელუიამ, კჳაჲ ა გუერდი.

კელთა ბანისაჲ, კჳაჲ ა. უფალო, უფალო ჩუენო, ვითარ...

საკუირველი და დიდებული, რომელი იხილა დღეს ნათესავმან კაცთამან სიმდაბლით მჯდომარეა [V] კიცუსა ზედა ზეცისა²⁵⁷ მეუფეჲ და ყრმანი ებრაელთანი შტოებითა წინა მიგვეგებოდეს და სიხარულით შევასხმიდეს: **ჰსანა მადალთა შინა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაათა, რომელმან მოგუანიჭა ჩუენ მოტევებაჲ ცოდვათაჲ ჯუართა და სისხლითა თუისითა. ვითარცა მხოლოჲ მრავალ-მოწყალე ხარ.**

სიწმიდისაჲ²⁵⁸, კჳაჲ ა გუერდი. მოსლვასა მას შენსა დიდებით, რაჟამს დაიდგენ საყდარნი და დასჯდე განკითხვად, შემიწყალე მე.

მ წ უ ხ რ ²⁵⁹

უფალო დაღატყავსა. ვლადებ შენდამი, ქრისტე...

რაჟამს დასცენ საყუირსა და აღდგებოდინ ყოველნი მკუდარნი და ჰყოფდე განჩინებასა, შემიწყალე მე... **ი გ ი ვ ე.**

რაჟამს გამოჩნდებოდინ საქმენი დაფარულნი და ცხადნი წინაშე შენსა და ჰყო...²⁶⁰ მას ჟამსა დაფარენ ცოდვანი ჩემნი და ნუ მოიკსენებ ურჩულოებათა ჩემთა, არამედ ღირს-მყავ მე მარჯუენითა შენთა თანა, შემიწყალე მე. ვლადებ... **ი გ ი ვ ე.**

[140 ე] **ოხითაჲ, კჳაჲ ა.** მიძლოდე მე, მხოლოო ჭეშმარიტო, გზათა სიმართლისათა და მაცხოვრე წყალობითა შენითა, რომელი მოხუედ და მოსლვად ხარ.

²⁵⁷ ზეცისა.

²⁵⁸ ამის გაწვევი მარცხენა აშიაზე მიწერილია: ალელუიათა.

²⁵⁹ ეს სიტყვა მიწერილია მარცხენა აშიაზე.

²⁶⁰ აქ ჩადავ უნდა აკლდეს.

ფსალმუნნი, კმაჲ გ გუერდი. კურთხეულ...

ვიდრე: იყავნ, იყავნ.

დასადებელი. ღმერთო, სარჩელი შენი..

მე-ზ-სა ორშაბათსა

უგალობდითსა, კმაჲ ა გუერდი. ღმერთი გამოჩნდა კორციტა თანა-განმგებელი მამისაჲ, რომელმან დღეს გამოუცხადა ვნებაჲ თუისი მოწაფეთა თუისთა, რომელნი ღირს იქმნნეს თუალითა ხილვად და კელით[ა] მსახურებად მისა, დაღადებდეს და იტყოდეს: უ გ ა ლ ბ დ ე თ უ ფ ა ლ ს ა , რ ა მ ე თ უ დ ი დ ე ბ ი თ დ ი . . .

ათორმეტთა²⁶¹ მათ მოწაფეთა შენთა შორის, უფალო, ორთა მათ ძეთა ზებედეასთა იკადრეს თხოვად შენგან დასხდომად სასუფეველსა შენსა, რომელსა ვერ იკადრებენ თუალთა შედგმად ქერაბინნი, არამედ შიშით ფრთეთა [V] პირთა მათთა იფარვენ, დაღად... ი გ ი ვ ე .

მაშინ სხუათა მათ მოწაფეთა შენთა, უფალო, სიმდაბლით ეტყოდე და სულ-გრძელებით: რომელსა უნდეს თქუენ შორის თავი თუისი დიდ ყოფად, იყავნ იგი თქუენდა მსახურ. ვითარცა ძმ კაცისაჲ მოვიდა მიცემად სული თუისი საჯსრად მრავალთათუის, რომელნი დაღადებდეს და იტყოდეს: უ გ . . .

მეოხებითა, უფალო, წმიდათა მოციქულთა შენთაჲთა მშუიღობაჲ სოფელსა მოანიჭე, რაჲთა ყოველნი ვლ...

ვითარცა აღავსენ მოციქულნი შენნი, უფალო, სულითა...

აკურთხევიდითსა, კმაჲ ა. სამთა ყრმათა ღირსთა მგალობელთა ქალდეველთა აგზებული იგი ცეცხლი ცუარად გარდააქციეს და ღმერთსა ყოველთასა დიდების-მეტყუელებდეს და იტყოდეს: ა კ უ . . .

რომელმან ცნისათუის ყოვლისა სოფლისა სათნო-იყო ქალწულისაგან კორცთა შესხმაჲ, ნეფსით ჩუენთუის ვნებად მოვიდა, რაჲთა დღეს მოწაფეთა თუისთა დიდებული ადგომად თუისი გამოუცხადოს. ა კ უ რ თ ხ ე ვ დ ი თ ყ ო ვ ე ლ ნ ი ს ა ქ . . .

[141 ჭ] რომელი სიმრავლისა სახიერებისა და სულ-გრძელებისაგან იკადრა თხოვად დედამან იაკობისმან და იოანეჲსმან დასხდომად დი²⁶² მისა მარჯულ და მარცხენით, ხოლო მან შეუძლებელ ყო იგი დიდებისათუის მამისა და ღმრთისა. ა კ უ რ თ ხ ე ვ დ ი თ ყ ო ვ ე ლ ნ ი . . .

ადიდებდითსა. შენ, რომელმან პირველ განგებულებით საიდუმლოჲ ვნებისა შენისაჲ მოციქულთა აუწყე და ჩუენისა ცნისათუის [V] განზრახვით ნეფსით ვნებად მოხუე, გ ა . . .

შენ, რომელმან მოციქულთა აუწყე სიმდაბლეჲ და თხოვად მათი შეუძლებელ ჰყავ დიდებისათუის მამისა და ღმრთისა, გ ა დ ი დ ე ბ თ გ ა . . .

261 ათორმეტთა.

262 ასეა.

შენ, რომელმან თავთა მათ მოწაფეთა და დედისა მათისაი წადი-რებით თხოვაჲ არა სათნო-იყავ და მოციქულნი სარწმუნოებით უშურველ ჰყვენ, გა ლ . . .

აქებლითსა, კმაჲ გ გუერდი. ქებაჲ ცისკრისაჲ შენდა გშუენის²⁶³, უფალო, რომელმან ცისკრისა აღმობრწყინებითა წარმართებულსა იაკობს მოასწავე [142 ჭ] განკაცებაჲ და მოციქულთა მგზავრ ვნებაჲ შენი აუწყე, რომლითა იცსენ სოფელი.

ვაქებთ, ქრისტე, შენსა სულ-გრძელებასა, რომელმან შორის მოწაფეთა ამპარტავანებაჲ აიღე და სიმდაბლემ ღმრთის მსახურები-საჲ დაჰწერე, რაჲთა ვნებასაცა შენსა არა შეორგულდენ. მათ მიერ ჩუენცა, უფალო, შეგუიწყალენ.

რომელმან სასუმელი ცხორებისა ჩუენისათუის თავს-იდევ და ზეცისა სუფევად შენი მამისა თანა გამოუცხადე, ოხითა მათითა ჩუენ-ცა, უფალო, შეგუიწყალენ ჩუენ.

რომელი გამოუთქმელ ხარ ღმრთეებითა და ქველის მოქმედ-ბითა, უკა . . .

[V] უფალო ღაღატყავსა, კმაჲ ა. მწუხრისა მსხუერპლსა შევს-წირავთ შენდა, ქრისტე ღმერთო, რომელი წიაღთაჲან...

ვადმე, რაჲსა ვემსგავსე უნაყოფოსა მას ლელუსა და მეშინის მე წყვეისა მისგან და მოკუეთისა, არამედ შენ, ზეცისა მოქმედო ქრის-ტე ღმერთო, უნაყოფოჲ სული ჩემი ნაყოფიერად გამოაჩინე²⁶⁴. ვითარ-ცა უძღბე იგი შვილი შემიწყალე და შემიწყნარე.

განვჰყვენ წინაშე შენსა ლოცვასა ჩემსა, რომელსა ძალ-გიც ცხორებაჲ ჩემი და ვაჩუენოთ ნაყოფი სინანულისაჲ, რაჲთა ღირს-ვიქმნეთ შენდობასა ცოდვათსა და დიდსა წყალობასა.

[143 ჭ] დედაჲ თავთა მათ მოწაფეთაჲ გევედრებოდა დასხდომად ჰათა შენ თანა სასუფეველსა, ხოლო შენ, მაცხოვარ, რომელმან მოს-ცი მადლი მადიდებელთა, ჩუენცა ღირს-მყვენ სასუფეველსა შენსა და შეგუიწყალენ ჩუენ.

ყოველნი მორწმუნენი შიშით და ძწოლით მოვედით ვნებასა მაცხოვრისასა და ნუმცა რაჲ გუაქუს კორციელებრი განზრახვაჲ გულთა ჩუენთა, რამეთუ მეუფემ მეუფეთაჲ დღეს გამოუცხადებს მოწაფეთა ვნებასა თუისსა. ზიარმცა ვართ საიდუმლოსა ვნებისა შენისასა, ქრისტე ღმერთო, რაჲთა განწმედილნი აღგომისაცა მადლ-ობას-ვიქმნეთ...

ოხითაჲ, კმაჲ ა გუერდი. მოიწიენით, მორწმუნენო, მაცხოვრი-ისა ვნებასა ქრისტეჲს ღმრთისა ჩუენისასა, აურაცხელსა სულ-გრძელებასა მისსა²⁶⁵ ვადიდებდეთ, [V] რაჲთა მისითა კაცთ მოყუა-რებითა მის თანა აღმადგინეს მომწყუდარნი ცოდვითა, ვითარცა სა-ხიერ არს და კაცთ მოყუარე.

263 ქრისტოფორე იყო ან „შენ გშუენის“, ან „შენდა შუენის“.

264 ვმწმნე.

**ფსალმუნი, კმაი დ გუერდი. შეგეკემინ ჩუენი ღმერთსა...
დასადებელი. შენ გშუენის გალ...**

მე-ზ-სა სამშაბათისა

მოიხილესა, კმაი ბ გუერდი. მიეცით, ერნო, დიდებაჲ ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა, რაჟამს გესმას კმაი იგი სანატრელი. განაბრწყინენთ სულთა ჩუენთა ლამპარნი, რაჲთა ღირს-ვიქმნენთ ბრძენთა მათ თანა ქალწულთა შესლვად ქორწილსა მას სამეუფოსა.

ისილეთ უფალი, რამეთუ მოწყალე არს. მოვედით და შეუვრდეთ ცრემლითა ვიდრე განშჯამდე, რაჲთა გუიქსნენს ჩუენ ცეცხლისა მისგან საშინელისა.

დიდებაჲ შენდა, დიდებაჲ შენდა, ქრისტე, ძეო ღმრთისაო, რომელი მოხუედ ვნებად ნუფსით კორციითა. მოგუიქსენენ ჩუენ მეორედ მოსლვასა შენსა, რაჟამს [144 ე] განარჩევდე ცოდვილთა მართალთაგან. გევედრები, ღირს-მყავ მე მარჯუენით სამწყსოთა შენთა თანა.

სხუანი. მსგავსად ბრძენთა მათ თანა ქალწულთა აღვანთენით სანთელნი ჩუენნი, აღვაგოთ ზეთი ჭურჭელთა ჩუენთა და მივეგებვოდით სიძესა მას, რაჲთა შევიდეთ ქორწილსა მას სამეუფოსა.

სანთელი იგი, რომელ არს სიწმიდეჲ, ზეთი იგი — წყალობაჲ და სიხარული და სიძეჲ იგი — თავადი ქრისტე და ქორწილი იგი — რომელ არს სასუფეველი.

ქრისტეჲს მოყუარენო ერნო, მოვედით და მივემსგავსნეთ ბრძენთა მათ ქალწულთა მღუიძარებითა, რაჲთა ჩუენცა ღირს-ვიქმნენთ შესლვად ქორწილსა მას სამეუფოსა.

მეუფეჲ ქრისტე გუასწავებს ჩუენ მრავალთა წყალობათა თუისთა. აიხუენთ სანთელნი თქუენნი და განმზადებულნი მოვედით და დაიკუიდრეთ სასუფეველი.

აკურთხევიდითსა, კმაი ბ. რომელთა საკმილი სენთაჲ დაშრიტით და ლამპარნი სულთანი აღანთენით, სიძესა²⁶⁶ მივეგებვოდით ანკელოზთა თანა გალობითა და ვიტყოდით: ყოველნი საქმენი უფლისანი უფალსა უგალობდით და...

[V] მეორედ მოსლვასა შენსა განარჩევასა სამწყსოთასა ვევედრები ღირს-ყოფად და დადგინებად მარჯუენითა შენთა თანა, რომელნი ვლადებთ და ვიტყუით...

გევედრებით შენ, ქრისტე, რაჲთა არა მეუფლოს ჩუენ ცეცხლი იგი უშრეტი, არამედ რაჲთა ღირს-ვიქმნენთ რჩეულთა შენთა თანა და ვიტყოდით: ყოველნი საქ...

აღიადებდითსა. მთისაგან სამთხისა ლოდი სარწმუნოებისაჲ გამოისახე ქალწულისაგან უქცეველად შობითა, ქრისტე ღმერთო. და ხრწნილებაჲ დაჰქსენ, გალობით გა...

266 ამას მოსდევს ორი ასო ჰე, რომელიც გლოსა გვგონია, აშიიდან ტექსტში ვადასულ კადაწერის დროს.

იგავითა მით და საცნაურითა ქუეყანისადათა და ზეცისადათა საყუარელთა²⁶⁷ შენთა მეორედ დიდებით მოსლვამა შენი აუწყე, ქრისტე ღმერთო, სასწაულითა ჯუარისადათა დამტკიცებად მორწმუნენი. გა . . .

სარწმუნოთა მათ მიერ გონიერთა მნეთა საადუმლოთა ღმრთისათა ცოდვათა ჩუენთაგან გუილხინე, მაცხოვარ, [145 ე] რაათა ღირს-ვიქმნეთ ქორწილსა მას შენ სიძისა უკუდავისასა. გა ლ ო ბ ი თ გა . . .

სამოსელი ხრწნილებისაჲ სულითა განმძუარცე²⁶⁸ მე, უფალო, მეოხებითა ღმრთისმშობელისადათა და ბრწყინვალითა მით სასიძობელითა შეამკვენ კორცინცა ჩემნი ადგომასა. გა ლ ო ბ ი თ გა დ ი ე ბ თ . . .

აქებდითსა, კმაჲ გ გუერდი. საყდართა შენთა სარჩელთა, უფალო, რაჟამს დასჯდე განკითხვად და შჯიდე თუითოეულთა²⁶⁹, დამიცევ მე საფარველითა ჯუარისა შენისადათა, უ ფ ა ლ ო, უ ფ ა ლ ო, დ ი დ ი თ ა შე ნ ი თ ა წ ყ ა ლ ო ბ ი თ ა.

მრავალთა ცოდვათა ჩემთაგან დაცემული შეგივრდები ვედრებით: მივსენ მე ურჩულობათა ჩემთაგან, უ ფ ა ლ ო, უ ფ ა ლ ო დ ი დ . . . ი გ ი ვ ე .

მსაჯულო, სამართალსა ნუ უგულებელს-ჰყოფ ქმნულსა ჯელთა შენთასა, არამედ ღირს-მყავ მე მარჯუენითთა²⁷⁰ შენთა თანა, უ ფ ა ლ ო, უ ფ ა ლ ო დ ი . . .

[V] რომელი მოვიდა ნეფსით ვნებად²⁷¹ კორციითა და მეორედ მოსლვად არს გაშჩად ცხოველთა და მკუდართა, ამას ვევედრნეთ ცრემლითა სინანულისადათა, რაათა ღირს-გუყვენეს ჩუენ მარჯუენითთა მისთა თანა.

უფალო დაღატყავსა, კმაჲ გ გუერდი. ვმასა მას საშინელსა ნესტუისასა, ოდეს ყოველი სული შეკრბებოდის სარჩელად და გხედვიდენ [შენ] ყოველთა უფალსა საყდართა შენთა საშინელთა მჯდომარესა, და შენ წინაშე წარმოდგომილთა ყოველთა დაბადებულთა შეძრწუნებულთა, საყდართა შენთა სარჩელთა²⁷², უფალო, განწმედილი ღირს-მყავ წარდგომად წინაშე შენსა მარჯუენით და კაცთ მოყუარებისა შენისა სიბრძნითა განანათლენ სულისა ჩემისა ლამპარნი, რაათა შენ მიერ შევიდეთ სასუფეველსა შენსა, მხოლოო შეუტოდებელო და მრავალ-მოწყალეო.

[146 ჰ] აჰა შენ ტალანტი, უფალი გარწმუნებს სულსა, შიშით

267 სწყრთა.

268 განმძუარცე.

269 ააჟა.

270 ზრკრნეთა.

271 ვწხო.

272 სარჩელთა.

მიიღე ნიჭი, მიაგვასხე, რომელმან მოგცა, განუყავ გლახაკთა და მოიგე მეგობრად უფალი, რაათა დასდგე მარჯუენით მისა, ოდეს მოვიდეს დიდებითა და გესმეს სანატრელი იგი კმაჲ: შევედ, მონაო, სიხარულსა უფლისა შენისასა მას, ღირს-მყავ, მაცხოვარ, განწმედილი დიდითა შენითა წყალობითა.

ოხითაჲ, კმაჲ გ გუერდი. შესაძრწუნებელი უფლისა განკითხვაჲ გულისხმა-ვყოთ, ერნო, არა დავფაროთ ტალანტი სარწმუნოებისაჲ, არცა დავერიტნეთ ზრუნვითა ლამპარნი სულთა ჩუენთანი, არამედ ზეთითა კაცთ მოყუარებისაჲთა ესენი განვაბარწყინვნეთ, რაათა მოვილოთ მშუილობაჲ ქრისტემს ღმრთისა [V] ჩუენისაგან და დიდი წყალობაჲ.

ფსალმუნი. შენდამი, უფალო, ავიღე...
დასადებელი. ნუცა მეცინი...

მე-8-სა ოთხშაბათსა

განძრიელდითსა, კმაჲ ა²⁷³. რომელმან განგებულებაჲ ცხორება-სა ჩუენისაჲ ჯუართა ჯერ-იჩინე, მო-რაჲ-ხუედ ვნებად ნეფსით თუისით, რ ა მ ე თ უ ა რ . . .

რომელი ღმერთ ხარ, იმსახურები ანგელოზთაგან, დღეს კელთაგან ცოდვილისათა შეიხე ნელსაცხებელი, რ ა მ ე თ უ ა რ . . .

ერთმან ათორმეტთაგანმან²⁷⁴ განიზრახა მიცემაჲ შენი ურჩულოთა მდღელთ მოძღუართა, რომლითა დათმენაჲ სულგრძელებისა შენისაჲ იქმნა ჩუენდა ცხორება, უფალო.

აკურთხევდითსა. ყოველთა შემოქმედისა ღმრთისა კაცობრივისა ბუნებისა მორწმუნენი [147 ჭ] გალობით და დიდების-მეტყუილებით აღვასრულებთ: მ ღ დ ე ლ ნ ი ა კ უ . . .

განზრახვაჲ ვნებისაჲ დღეს²⁷⁵ მოწაფისაჲთა დაამტკიცეს ქრისტემსთუის ჰურიათა, რომლითა ჩუენ მძლავრებისაგან მტერისა ვიკსნენით. მ ღ დ ე ლ ნ ი ა კ . . .

რომელმან კაცთ მოყუარებისათუის პირველ დაფლვისა გამოსახა ცოდვილისაგან სიმდაბლით ნელსაცხებლისა შეწირვითა²⁷⁶, მ ღ . . .

ადიდებდითსა. გადიდებთ შენ ზეცისა სძალსა, ღმრთისა დედასა და ქალწულსა, რომელმან გამოუთქმელად შევ ქრისტე ღმერთი ჩუენი. ამისთუისცა ყოველი თესლები გნატრის შენ.

[V] გადიდებთ შენ ზეცისა სძემსა, შობილსა ქალწულისაგან, რომელი ნეფსით ჯორცითა მოხუედ ვნებად ჯუართა, რომლითა განგუათავისუფლენ ჩუენ საუკუნოჲსა ბნელისაგან.

შენსა ფასისათუის უკდავებისა მიცემად ვნებისათუის განი-

273 კ^ა ა განმეორებულია.

274 ათორმეტთაგ.

275 აქ რაღაც სიტყვა გამოტოვებული უნდა იყოს.

276 ამ საგალობელს საღდაც რაღაც უნდა აკლდეს.

ზრახა დღეს მოწაფემან ურჩულოთა მღდელთ მოძღუართა, არამედ მათ ექმნა დარჩილება, ხოლო ჩუენ — დიდება და ცხორება.

წადიერებით ნელსაცხებლითა შენდა მოივლტოდა ცხორებად, რომელი შეიწირე, ქრისტე, ცოდვილისაგან სიმდაბლით, მის თანა ჩუენცა მოგუანიჭე შენდობად ცოდვათა და დიდი წყალობად.

აქებლითსა, კჳაი გ. [148 ჭ] დღეს შეკრბეს ურჩულონი ჰურიანი სიტყუად ამოსა შენთუის და იზრახეს ზრახვად ურჩულოებისად, რომელი ვერ დაამტკიცეს.

დღეს შევიდა იუდა წინაშე მღდელთ მოძღუართასა და ეტყოდა მათ მიცემასა შენთუის და ივინი აუთქმიდეს მას წარწყმედლისა ფასსა სასწ...

დღეს დაუტევა იუდა საფასე მოუკლებელი ნეფსით ცათა შინა და მოასწავებდა ურჩულოთა ჰურია[თა] წარწყმედლისა ფასსა სასწორით.

უფალო დაღატყავსა, კჳაი გ. ჯუარისა მიერ ჩუენისა კსნისათუის განზრახვად დღეს²⁷⁵ მოწაფისადათა დაამატკიცეს ურჩულოთა [V] ვნებისათუის უფლისა. აწ მოვედით, მორწმუნენო, ამისა ქებასა შევსწირვიდეთ, რომელმან აცხოვნა სულნი ჩუენნი.

რომელი შეუხებელ და უხილავ ხარ ღმრთეებითა, იხილვე მონისა ხატითა, შეიხე კელთაგან ცოდვილისათა ნელსაცხებელი და მოგუანიჭე ჩუენ მის თანა შენდობად ცოდვათა და დიდი წყალობად.

ერთმან ათორმეტთაგანმან²⁷⁷ ურჩულოთა მღდელთ მოძღუართა²⁷⁸... [აუთ]ქუა მიც[ემად]..... ეძიებდა ჟამსა მარჯუესა. [მათ] ექმნა საცთურ, ხოლო ჩუენდა — დიდება და ცხორება.

ოხითად, კჳაი ა. ოდეს ცოდვილი იგი შესწირვიდა ნელსაცხებელსა, [149 ე] მაშინ მოწაფე იგი შეეზრახა ურჩულოთა მათ. მას უხაროდა, დაასხმიდა მრავალ-სასყიდელისასა მას, ხოლო იგი ისწრაფდა მიცემად უსასყიდლოსა მას. ამან უფალი იცნა, ხოლო იგი უფალსა განეშორებოდა, ესე განთავისუფლდებოდა და იუდა მონა იქმნებოდა მტერისა ბოროტისა განზრახვითა. ვითარ დიდ არს სინანული, რომელი მომეც ჩუენ, მაცხოვარ, რომელმან ივნე ჩუენთუის და მაცხოვნენ ჩუენ.

ფხალმუნი. გარე განვიდის...

დასადებელი. ნეტარ არს, რომელმან გ...

მე-8-სა ხუთშაბათსა

უფალო მესხმასა, კჳაი გ გუერდი. მესმა კმისა შენისად და შემეშინა, რამეთუ სულ-გრძელ იქმენ მონისა მიერ განსყიდასა...

²⁷⁷ ათორმეტთაგან.

²⁷⁸ ეტყოდა სტრიქონი არ იკითხება.

ვეცხლი ურჩულოთაგან რამ მოიღო იუდა, იკადრა მიცემა მენი, მაცხოვარო სოფლისაო.

სულ-გრძელება მაცხოვრისა იხილა იუდა, მიჰყიდა უსასყიდლო იგი მის თანა-მონათა მოკლვად.

გვედრებით შენ მეოხებითა მოციქულთა შენთათა ცხორებისა ჩუენისათუის [V] მშუილობა-ყავ, ვითარცა ღმერთ ხარ და კაცთ მოყუარე.

აკურთხევდითსა, კმა გ. რომელი თაყუანის...

რომელმან თავს-იღვა მონისა მიერ განსყიდა მრავლითა სულ-გრძელებითა, მ დ ღ ე ლ . . .

რომელი მონისა მიერ განიყიდა²⁷⁹ და თუისითა სისხლითა სოფელი იქსნა, მ დ . . .

რომელი კაცთ მოყუარებისათუის ნეფსით ვნებად მოვიდა და ყოველი ჩუენთუის აღასრულა, მ დ . . .

ადიდებდითსა. შენ დედასა ნათლისასა...

შენ, რომელმან თავს-იდე, მაცხოვარ, სოფლისა ქსნისათუის მონისა მიერ განსყიდა, სულგრძელო, მორწმუნენი გვედრებით, გადიდებთ შენ, რათა აცხოვნენ სულნი ჩუენნი.

შენ, რომელი ფასად განიყიდე მოწაფისა მიერ, საფასე ცხორებისა, მიეცი დასაშველად მსაჯული ცხოველთა და მკუდართა, გა დ ი . . . ი გ ი [ვ ე] .

რომელი სუფვე უკუნისამდე, დღეს კელთაგან თუისთა დაბადებულთა და სიმაბლით სათნო-იყავ მიცემად თავი თუისი ცოდვათა ჩუენთათუის, გა დ ი დ ე ბ თ შე ნ , რ ა მ თ ა ა ც ხ²⁸⁰ . . .

[150 ე] **აქებდითსა, კმა გ გუერდი.** დღეს ილუიძებდა იუდა მიცემად უფლისა პირველ საუკუნეთა მაცხოვრისა სოფლისასა, რომელმან ხუთითა პურითა განაძლნა მრავალნი. დღეს ურჩულომან უარ-ყო კაცთ მოყუარე, მოწაფე-ყოფილმან უფალი მისცა, ვეცხლად განიყიდა განმათავისუფლებელი სულთა ჩუენთა.

დღეს სიმრავლემან ურჩულოთამან ზრახვა ბოროტი იზრახეს უფლისათუის და ცხებულისა მისისათუის, შეიპყრეს და მიიყვანეს იგი ტაძრად კაიაფასა, სცემდეს, ჰგუემდეს და ეტყოდეს: ვინ არს, რომელმან გცა? ხოლო მაცხოვარმან²⁸¹ არაა მიუგო, არამედ ივნო ჩუენთუის, ვითარცა კაცთ მოყუარე არს.

დღეს განიზრახვიდა იუდა კელისა გართხმასა ვეცხლის მოყუარებითა შინა-განცემითა კრებულისაგან მოწაფეთა თანა, ოდეს-იგი განსწმედდა ცრემლითა მით²⁸² პეტრესითა და მოასწავებდა ნათლის-ცემასა [V] სინანულისასა. დაჰბანნა ფერკნი და მისცა მათ უფლებად ღმერთგუნვად ყოველსა ძალსა მტერისასა. ჩუენცა, უღირსნი ესე. ვე-

279 გნყდა.

280 რაცხ.

281 მცხერ.

282 მთ განმეორებულია.

ვედრებით ავაზაკისა მის ჯმითა: მომიჯსენე მე, უფალო, ოღეს მოხუიდე სუფევეითა შენითა.

უფალო ღალატყავსა, კმა გ გუერდი. რომელსა შეემოსა ნათელი ვითარცა სამოსელი, დღეს გამოუთქუმელითა სიმდაბლითა ქორსა მას ზედა საიღუმლომასა სამოსელი მონისა მობრადნად თავს-იდეველადადებ შენდამი, უფალო, რომელი მოხუედ ნეფსით²⁸³ ვნებად.

რომელსა თაყუანის-გცემენ დასნი ანგელოზთანი, დამსდაბლდი დაბანად ფერკთა მიწისაგანისთა განკურნებად ბრჭევეალთა მათ პირველისა მაძისათა,

ვლალადებ შენდამი, უფალო, რომელი...

რომელმან საიღუმლოდ საცსრად განუყავ მოწაფეთა ცხოველს- [151 ჭ]-მყოფელი კორცი შენი კსნად მომწყუდარნი, გემოის ზილვისა მისისაგან ზიარ მათა მყვენ ჩუენცა, მხოლოო შეუცოდებელო და მრავალ-მოწყალეო უფალო.

სხუანი, კმა გ გუერდი. კრებულნი იგი მოწაფეთანი...

კურთხევასა მას და განტე...

დანერგულ ვიყავ მე, ვითარცა...

მოეკუეთა იუდა, ვითარცა ხე...

ორ სახედ გაცთუნა შენ ეშმაკ...

ფსალმუნი. ღბილ იყვნეს სიტ...

დასადებელი. ყურად...

ჟამის წირვასა

ოხითა, კმა გ გუერდი. უფლისა სულ-გრძელებამ უძღებისა მის შვილისა ნებითა განთქუა ურჩულომან²⁸⁴ იუდა, [V] მის თანა რამ ისერებოდე. ვეცხლის მოყუარებასა კელი განირთხ და, რამ იბანენ ფერკნი, შინა-განმცემელად ესენი განმზადენ, ნაცვლად მოშურნებისა შიშთვილი მიიდე, ზოლო ჩუენ, შენ მიერ განგრძნობილნი, ვლალადებთ: სულ-გრძელო უფალო, დიდებამ შენდა.

ფსალმუნი. განმზად...

დასადებელი. უფალმან მწყემსმან სო...

აღელუიამ არა თქუან და მშუიღობამ უოკელთამ.

კელთა ბანისამ, კმა ა. იგავად თქმული წინაწარმეტყუელისამ დღეს აღესრულა: სიბრძემან იშენა თავისა თუისისა სახლი და შეუდგნა მას შუიდნი სუეტნი და დაუკლა თუისი საკლველი და გან-ზაჟა ტაკუეთა ღუინო და იტყოდა: მოვედით, ჭამეთ პური ჩემი და [152 ჭ] სუთ ღუინო, რომელ განგიმზადე თქუენ; დაუტევეთ უგუნურებად, რამეთუ ჩემდამო იხარებს მამამ და მე ვარ, რომელმან მის თანა ყოველი სოფელი შევქმენ.

²⁸³ ნს უს.დ.

²⁸⁴ ურჩულო.

სიწმიდისაჲ, კმაჲ ა. კრავი ღმრთისაჲ, რომელმან აიხნეს²⁸⁵ ცოდვანი სოფლისანი, დღეს შეიწირვის მსხუერპლად მამისა შეცოდებულთათუის ერისათა, განტევებად, რომელნი ბნელსა შინა შეწყდომილ არიან. მოვედით, ერნო, განწმედილითა გულითა ანგელოზთა გალობასა ვიტყოდით: წმ ი და ხ არ, წმ ი და ხ არ შე ნ, უ ფ ა-ლო, დ ი დ ე ბ ა ა შე ნ დ ა.

განიცადენი, კმაჲ ა გუერდი. დღეს ქრისტემს მოძღურებაჲ და რჩული და დიდი იგი ზრახვაჲ მისცა თუისთა მოწაფეთა, ჯორცი და სისხლი მოსატევებელად ცოდვათა.

სხუაჲ, კმაჲ ბ. [V] სერობასა შენსა საიდუმლოსა დღეს, ქრისტე ძეო ღმრთისაო, ზიარ- და ღირს-მყავ მე, არა რაათა მტერთა შენთა საიდუმლოჲ შენი მიუთხრა, არცა ამბორს-გიყო შენ ვითარცა იუდა, არამედ ვითარცა ავაზაკმან მან ვლალატყო: მო მი კ ს ე ნ ე მე, უ ფ ა ლ ო, ს ა ს უ ფ ე ვ ე ლ ს ა შე ნ ს ა.

სხუაჲ, კმაჲ გ გუერდი. რომლითა სახითა, შენ იუდა, მიმცემელად მაცხოვრისად გამოსჩნდი? ნუ თუ კრებულსა მას მოწაფეთასა განგაშორა, ანუ თუ მადლსა მას კურნებათასა ნაკლულევან გყო შენ, ანუ სერობასა მას ტაბლისა მისგან განგაშორა, ანუ სხუათა მათ [153 ჭ] დაჰბანნა ფერკნი და შენნი უგულუბელს-ყვნა? ჰ, რავდენთა კეთილთა მოუტსენებელად გამოსჩნდი! შენი უმადლოებით შეიწირდების გონებაჲ, ხოლო მისი სულ-გრძელებებაჲ იქადაგების და დიდი წყალობაჲ.

ფერკთა ბანასა²⁸⁶ თქუან:

წარდგომაჲ, კმაჲ ა გუერდი. სხუათა მათ თანა მოწაფეთა შენთა...
დასადებელი. რამეთუ ამანცა²⁸⁷ კაც... ვიდრე: შეტყუვილი.

იბაკოჲ, კმაჲ ბ. ყოვლადვე ღირსებით იქები, ღმერთო, უფროდსად ჯერ-არს მოცალეზად და დიდებად შენდა, მეუფესა ყოველთა საუკუნეთასა, რამეთუ, ოდეს გეგულეზობდა მიცემად თავი თუისი ცოდვათათუის ერისა თუისისათა, [V] ასდევ სერობისა მისგან ცხოველს-მყოფელისა, არდავი თავით თუისით მორიტყ და წყალი საბანელსა შთაასხ და იწყე დაბანად ფერკთა მოწაფეთა შენთასა. შეძრწუნდეს მთავარანგელოზნი მდგომარენი ურიცხუნი, კრებულნი ანგელოზთანი, ხოლო პეტრე შიშით ღალადებდა და იტყოდა: არა დამბანნე ფერკნი ჩემნი უკუნისამდე, უფალო. მიუგო მას უკუდავმან მან და რქუა: არა თუ დაგბანნე ფერკნი შენნი, უკუნისამდე²⁸⁸ არა გაქუს ნაწილი ჩემ თანა. მაშინ წადიერებით ეტყოდა მას პეტრე: ნუ ხოლო ფერკნი ჩემნი, მკსნელო, არამედ კელნი [154 ე] და თავიცა ჩემი, რომელმან

285 ასეა.

286 ბ'ნსა.

287 ანანცა.

288 ამას მოსდევს ო ქარაგმით, რომელიც ზედმეტი ჩანს.

ივნე ჩუენთუის და ასდეგ მკუდრეთით, ცოდვათა მოტევებამ მოგუ-
მადლე, ღმერთო, და შეგუიწყალენ ჩუენ.

ქელითლა ჰბანდე, ამას იტყოდო:

ვაკურთხევედეთ მამასა, ვაკურთხევედეთ ძესა, ვაკურთხევედეთ სუ...
კურთხეულ არს მამამ, კურთხეულ არს სული...

გუაკურთხენეს ჩუენ მამამან.

შოალამისანი, ჳამა ა გუერდი. მთავარნი შეკრბეს უფლისათუის
და ცხებულისა მისისათუის...

ფსალმუნი. რად დაიდრ...

იბაკოა. სხუათა მათ თანა მოწაფეთა მიმცემელსა მასცა შენსა,
უფალო, დაჰბანენ ფერჳნი კეთილად, ხოლო იგი რბიოდა ბოროტსა
და შემდგომად მიღებისა საზრდელისა უკუდავებისადასა აღმოთქუა
სიტყუაჲ განწამებისაჲ²⁸⁹, განგყიდა შენ ოცდა ათისა მის წილ ვეც-
ხლისა, საფასეჲ განმამდიდრებელი ყოვლისა სოფლისაჲ, რომელსა
გივალობთ: შე გ უ ი წ ყ ა ლ ე ნ ჩ უ ე ნ.

სხუაჲ იბაკოა. რომლითა სახითა...

მე-ბ დახადებელი, ჳამა ა გუერდი. [V] სიტყუაჲ ურჩულოებისაჲ
ღამდვეს ჩემ ზედა, უფალო, ნუ დამაგდებ მე...

ფსალმუნი. ნეტარ არს, რომელმან გუ...

იბაკოა, ჳამა ა გუერდი. დავით წინაწარმეტყუელებდა ქრისტე-
მსთუის და მოწაფისათუის, რომლისაგან მიცემად იყო: კაცო მშუი-
დობისაო და მოყუასო განგებისა ჩემისაო, რაჲსათუის სიკუდილდ
განმაწამებ მე? ერთობით შეგიყუარეთ შენ მე და მამამან ჩემმან და
სულითა წმიდითა განგადრიელეთ შენ ეშმაკთა ზედა, ხოლო შენ მე
ვეცხლად განმყიდე და გუნდი მოციქულთაჲ დაჰჳსენ და თუით განე-
შორე სასუფეველსა, ხოლო მე ჯუარცმად დავითმინო და შეცთომილ-
ნი მოჲაქციენე და მე მივსცე მათ ცხორებაჲ საუკუნოა.

სხუაჲ, ჳამა გ გუერდი. მ ი უ ლ ა მ ს ი უ ბ ა დ რ უ კ ე ბ ა მ ! ხ ე ღ ი დ ა მ ე -
ძ ა ე ს ა მ ა ს , ა მ ბ ო რ ი ს - მ ყ ო ფ ე ლ ს ა ფ ე რ ჳ თ ა შე ნ თ ა ს ა , და განიზრახვიდა
ზაკვეით მიცემასა ამბორის-ყოფისასა. ესე თმითა თუისითა განჰჳსნდე-
ბოდა²⁹⁰ და იგი შურიტა შეიკრვოდა, მოაქუნდა ნელსაცხებელისა
წილ მიცემამ ბოროტი, [155 ე] რამეთუ შურმან არა უწყინ ჰატივის
მიცემამ უმჯობესისაჲ. მ ი უ ლ ა მ ს ი უ ბ ა დ რ უ კ ე ბ ა მ ! რომლისაგან იქს-
ნენ, ღმერთო, სულნი ჩუენნი.

მე-გ დახადებელი. ჳამა ა გუერდი. მოწაფეჲ მოძღურისაჲ აით-
ქუამს ქრთამსა, ოცდაათისა ვეცხლისათუის განყიდა უფალი, ამბო-
რის-ყოფითა სიცრუისაჲთა მისცა იგი სიკუდილდ ურჩულოთა მათ.

ფსალმუნი. ყურად-იღე, ღმერთო, ლ...

იბაკოა, ჳამა ბ გუერდი. მოძღუარი ღაღადებდა მოწაფისათუის:
მოწაფეო ჩემო, შეიყუარე ვეცხლი, შენ შეიყუარე ვეცხლი და მე სიკ-

²⁸⁹ ვნწყ. 11. მ.

²⁹⁰ ვნწყ. ნ. დ.

უდილდ განმანაჲმე; შენ მოწაფეთა შორის აიკოცე და ჰურიათა ვერ შეერთე; მე აღვემალლო ზეცად და განვათავისუფლენ დაბადებულნი.

სხუაჲ, კჳმაჲ ბ. რომელმან სერობასა უფალი უარ-ყო და მეყსეულად ზაკუეთა შეიჭურა, იუდა, გამოჩნდა მიმცემელად ვეცხლის მოყუარებისა შურიითა, არა ღირსმან პატივისა შიშთვილ-იბა და წარწყმიდა ცხორებაჲ თუისი. მედგრობისა მისგან იქსნენ, მაცხოვარ, სულნი ჩუენნი.

[V] **მე-დ დასადებელი, კჳმაჲ ა გუერდი.** დღეს კჳმაჲ ესმა უფლისაჲ თუისთა მოწაფეთა: ერთი ვინმე თქუენგანი მიმცემს მე სიკუდილდ. ხოლო იუდა განყიდა უფალი და მიიღო სასყიდელი განსყიდულისაჲ მის.

ფსალმუნი. ღმერთო, ქებასა ჩემსა...

იბაკოჲ, კჳმაჲ ბ. რასამე ჰგონებ შენ, იუდა სასყიდლის მოძლებელი; პატივისა სამე მოელოდე კაჲაფაჲს მღღელისაგან. მოგვე განშორებაჲ, რამეთუ დღეს მაცხოვარი ჩუენი კელთა ურჩულოთასა მიეც, მან ყურიმალის ცემაჲ ნეფსით დაითმინა, ჯუარცჳმაჲ თავს-იდვა, გემომ იხილა სიკუდილისაჲ, რაჲთა აცხოვნოს სოფელი.

სხუაჲ, კჳმაჲ ბ. რაჲჲამს-იგი თაყუანის-სცემდი, ჰრულოოდა პეტრეს. მას ჲამსა ზარ-განჯილდ იქმნა შიშისაგან მკველისა, რამეთუ ესე შენ თანა მოკდებოდა²⁹¹, რომელმან ვერ დაუთმო მლუიძარებასა და ვერ-მლუიძარებისა მისგან წინაჲსწარვე იძლია, [156 ჭ] არამედ მწრაფლ აემართა შეცოდებისა მისგან, ცრემლითა განბანნა ცოდვანი თუისნი, ქრისტე მაცხოვარ, დ ი დ ე ბ ა ა შ ე ნ დ ა.

მე-ე დასადებელი, [კჳმაჲ] ა გუერდი. დღეს ეტყოდა შემოქმედი ცათაჲ და ქუეყანისაჲ თუისთა მოწაფეთა: მოახლებულ არს ჲამი და მოვალს იუდა, მიმცემელი ჩემი. ნუვინ უარ-მყოფთ მე. რაჲჲამს მიხილოთ მე ჯუარსა ზედა დამსჭუალული შორის ორთა ავაზაკთა, ვივნო ვითარცა კაცმან და ვაცხოვნენ, ვითარცა კაცთ მოყუარე ვარ, სეჲნი მორწმუნენი.

ფსალმუნი. მაცხოვნე მე, ღმერთო, რამეთუ...

იბაკოჲ, კჳმაჲ ბ გუერდი. [V] კაიჲფას აქუნდი განკითხვით და პეტრეს შეემთხუი დაცემაჲ. მღღელი განგკითხვიდა²⁹² შენ ურჩულოდ, პირველმან უარ-გყო შენმან მოწაფემან, არამედ, ვითარცა ესმა რჩულისაგან, ვითარმედ არა უგულუბელს-ჰყენი წყარონი ცრემლთანი, რომელი დაფარულთა მღხინებელი ხარ, ნეფსით თავს-იდეჲ განკითხვაჲ, უფ ა ლ ო, დ ი დ ე ბ ა ა შ ე ნ დ ა.

სხუაჲ, კჳმაჲ ბ. დღეს საიდუმლოჲ შენი, მაცხოვარ, გამოუცხადე მოწაფეთა შენთა ზედა მთასა წმიდასა სერობასა და ეტყოდე: ერთი ვინმე თქუენგანი მიმცემს მე. ხოლო იგინი გულის სიტყუათაგან დაწუხნეს და იტყოდეს: ნუმცა მე ვარ, უფალო? განცხადნა ზაკუკაჲ იგი იუდაჲსი და მტერობაჲ შორის მოწაფეთა შენთა აიკოცა, ხოლო პეტ-

291 ასეა.

292 გნკრხვდა.

რე ისწრაფა [157 ჭ] ცრემლითა განბანაჲ ცოდვათა თუისთაჲ, უწყო-
და, რამეთუ სახიერ ხარ და კაცთ მოყუარე. უფალო, დიდებთა
შენდა.

მე-ვ დასადებელი, კმაჲ ა გუერდი. თქუთ-და, ჰურიანო, რაჲ იხი-
ლეთ მაცხოვარისაგან: რჩული გარდაქცია, ანუ მოძღურებაჲ წი-
ნაწარმეტყუელთაჲ? ვითარ არა შეიშინეთ²⁹³ მიცემად პილატემსა²⁹⁴
ღმერთი, სიტყუაჲ ღმრთისაჲ და მკსნელი სულთა ჩუენთაჲ?

ფსალმუნი. საჯენ, უფალო, მავნებელ...

იბაკოჲ, კმაჲ დ გუერდი. რაჲამს წარსდევ კაიფაჲსა ღმერთი და
მიეცი პილატეს ბჭესა, ცანი ძრიელნი შიშისაგან შეძრწუნდეს, ოდეს
შენ ჯუარსა ზედა ივნე და ივინე ჰურიათაგან მხოლოჲ შეუცოდებე-
ლი ღმერთი და კაცთ მოყუარეჲ.

სხუაჲ, კმაჲ ბ გუერდი. უფალო, პეტრემსნი იგი ცრემლნი სინა-
ნულად მიითუალენ [V] და მწრაფლ მიუტევე უარის-ყოფაჲ სინანუ-
ლითა, ცრემლითა და გოდებითა, ხოლო იუდა შიშითა შეპყრობილი
ზაკუვით განიზრახვიდა ნელსაცხებელისა წილ მიცემასა შენსა უფა-
ლო, რომელმან ვნებაჲ ნეფსით დაითმინე. უფალო, დიდებთა
შენდა.

მე-ზ დასადებელი. ურჩულონო ფარისეველნო, რაჲსა მღევნით
მე? ერთ გზის ვივნო და ვსძლო მტერსა, რაჲთა უჩუენო ყოველსა
სოფელსა ჩემი მკდრეთით²⁹⁵ ადგომაჲ.

ფსალმუნი²⁹⁶. მაცხოვნე, ღმერთო, რამეთუ შევი...

იბაკოჲ, კმაჲ დ. ჯელმწიფისა წინაშე წარსდევ, რომლისა ცანი
არიან საყდრად, ჰურიანი გარე-მოგადგეს, რომელსა გარე-მოგადგან
[ან] გელოზბთმთავარნი²⁹⁷, [158 ჭ] და სარჩელი თავს-იდევე, რამეთუ
შენგან განსჯად არს სოფელი. მკსნელო, დიდებთა შენდა.

იბაკოჲ, კმაჲ დ. ვითარცა კრავი უმანკოჲ, მსგავს იყავ მ...

ოდეს ციკრიხაჲ ყოველი აღასრულო და სახარების კითხვად ვახუილოდი, ამას იტყოდი:

კმაჲ ბ. ჯუარცმასა ღალადებდეს, რომელნი შენითა მადლითა
მარადის იშუებდეს, ბოროტის მოქმედსა მას ბარაბას შენ სახიერისა
წილ გამოითხოვდეს მართალთა მკლველნი²⁹⁸ იგი, ხოლო შენ, მაცხო-
ვარ, სულ-გრძელებით მიხუილოდე ადგილსა მას ვნებისასა, რომელ-
მან ივნე ჩუენთუის და ასდევ [V] მკუდრეთით, ცოდვათა მოტევებაჲ
მოგუმადლე, ღმერთო, და შეგუიწყალენ ჩუენ.

ფსალმუნი. ღმერთო, ღმერთო ჩემო, მომხედენ...

²⁹³ შექნეთ.

²⁹⁴ ფლტმსა.

²⁹⁵ ანუ.

²⁹⁶ განმყოფებელია.

²⁹⁷ ან წინა სიტყვასაც ეკეთენის და მომდევნოსაც.

²⁹⁸ მკლველნი.

სრულად წარსტყუა.

წარდგომა სტყუა:

შეიპყრეს უფალი შორის მოწაფეთა...

ფსალმუნნი. რამეთუ ამანცა კ... ვიდრე: შეტყუვილი.

იბაკოა, კმაა ბ. უფალო, ოდეს დაგსაჯეს ჰურიათა სიკ...

და თუ გინდეს, ესენიცა სტყუნე:

ვითარცა კრა... [ვიდრე?] და კელმ(წ)იფისა.

იკითხონ სახარებამა და იბაკოა თქუნ.

კმაა გ. შენ, რომელი შურისათუის მიეცი კელთა ცოდვილთასა, შეიძრა დაბადებული, გხედვიდეს რაე დამბადებელსა, რამეთუ განიკითხოდე, ვერ დაუთმო ქუესკნელმან კელმწიფებასა შენსა: ყოველთა ცხორებამა [159 ე] მოკუდავთა მიერ დაისაჯებოდე. ვითარცა ძალი²⁹⁹ ჯუარისა შენისაა განემზადებოდა, დაჰკსენ ძრიელებამა უკეთურისა მტერისაა, რომლისა მიერ მიკსნენ ჩუენ. ქრისტე ღმერთო, დ ი დ ე ბ ა ა შ ე ნ დ ა.

პარასკევისა

ღამითგანსა, კმაა ბ. ღამის წარსლვითა მოგუეახლა დღეა დ...

ჯუარისა შენისა აღმართებითა აღმოუბრწყინდა სოფელსა ღმრთის მეცნიერებისა ქადაგებამა და ამის გამო კსნილნი ვლალადებთ დაუცხრომელად და გადიდებთ, შენ უფალო.

ჯუარსა დაემსჭუალე განზრახვით, მოწყალე, და გუერდისა შენისაგან სისხლი აღმოუცემნე ნათესავსა კაცთასა მოსატევეებლად ცოდვითა და ცხორებად საუკუნოდ, სახიერო ღმერთო.

აკურთხევლითსა, კმაა ა გუერდი. მეუფესა ცათასა და ღმერთსა ქუეყანისა თუისისასა მ დ დ ე ლ ნ ი . . .

რომელი ავაზაკთა მიერ ჯუარს-ეცუა ნეფსით თუისით, მ დ დ ე ლ ნ ი ა კ . . .

[V] რომელმან პატიოსნითა ჯუარითა ცოდვანი სოფლისანი აკოცნა, მ დ დ ე ლ ნ ი ა კ უ რ თ ხ ე ვ დ ი თ . . .

რომელმან ჯუარსა ზედა დამსჭუალვით ჯოჯოხეთი წარმოტყუენა და კელით წერილი ჩუენი ცოდვითაა ჯუარითა აკოცა, მ დ . . .

ადიდებლითსა. წმიდამა წმიდათამ ღმრთისმშო...

რომელი შორის ავაზაკთასა ჯუარს-ეცუა ჩუენთუის ქრისტე ღმერთი და მკსნელი სულთა ჩუენთამ, ვ ა დ . . .

რომელმან მოგუანიჭა ჩუენ უხრწნელებამა ჯუარითა თუისითა და მოტევებამ ცოდვითაა მორწმუნეთა თუისთა, ღმერთსა ჩუენსა ვ ა დ ე ბ თ .

შენ, ქრისტე, რომელი მსახურთა მიერ შეურაცხ-იქმენ და მკედართა...

299 ძ' ლი. არა გვეონია, აქ იკითხებოდეს ძელა.

გამოავლინეა, კმა ბ გუერდი. განგუანათლნა ჩუენ ჯუარად აღსლვამან შენმან, უფალო, და დათხევამან სისხლთამან მოგუიტეენა ცოდვანი.

დასადებელი. მონადირე სული მ...

აქებდითსა, კმა ა გუერდი. ვითარ კეთილ არს გ...

მოქმედსა³⁰⁰ ცათასა და ღმერთსა მღვდელნი...

პეტრე ეტყოდა მხოლოდშობილსა: ვიდრე სიკდიდმდე³⁰¹ არა უარ-გყო. [160 ე] მას მოეჯენა სიტყუა უფლისაჲ, განვიდა გარე, ტიროდა მწარედ³⁰².

ცრემლითა განბანა უარის-ყოფაჲ პეტრე მოციქულმან და მონამან უფლისამან.

რომელსა შეემოსა ნათელი ვითარცა სამოსელი—უფალი—განკითხვად მიჰყვანდა. ყურიმალის ცემაჲ ნეფსით თავს-იდვა კელთაგან, რომელნიცა შეექმნეს, ერმან ურჩულომან ჯუარსა შემსჭუალა მეუფეჲ დიდებისაჲ.

მას ჟამსა ეზოჲ იგი ტაძრისაჲ მის განიპო და მზეჲ დაბნელდა. რომელთა იხილეს, რწმენა და იტყოდეს: გამოუთქუმელო უფალო, დიდებაჲ შენდა.

ჯუარმან შენმან, ქრისტე, განანათლნა...

პარასკევსა

შუაღლითგან იტყოდინ:

კმა ბ გუერდი. დღეს დამოეკიდების ძელსა, რომელმან ქუეყანაჲ წყალთა ზედა დაჰკიდა, გუირგუინსა ეკალთაგან დაიდგამს ანგელოზთა მეუფეჲ, ტყუვილისა³⁰³ მოწეულსა შეიმოსს, რომელმან შემოსნა ცანი ღრუბლითა, [V] ყურიმლის ცემასა თავს-იდებს, რომელმან იორდანეს განათავისუფლა ადამ. თაყუანის-ვსცემთ ვნებასა შენსა, ქრისტე, მიჩუენე ჩუენ შენიცა დიდებული ადგომად.

ფსალმუნი. ნეტარ არს კაცი, რომელი...

მე-ბ, კმა ჯ გუერდი. ვითარცა ცხოვარი კლვად მიიგუარე, ქრისტე მეუფეო, და ვითარცა კრავი უმანკოჲ, დაემსჭუალე ჯუარსა ურჩულოთათუის ცოდვათა ჩუენთათუის, კაცთ მოყუარე.

ფსალმუნი. რაჲ დაიდრ...

მე-გ, კმა ჯ გუერდი. ესრეთ ეტყოდე, უფალო, ჰურიათა: ერო ჩემო, რაჲსა შეგაწუხებ თქუენ ანუ რასამე გაჭირვებ თქუენ? ყრმანი თქუენი განვანათლენ, კეთროვანი განვწმიდენ და განრღუეული ცხედარსა ზედა მღებარეჲ აღვადგინე. მანანაჲსა მის წილ მომიპ-

³⁰⁰ მქმდისა.

³⁰¹ ასეა.

³⁰² ამის პირდაპირ მარჯვენა აშიაზე ხუთ სტრიქონად მიწერილია: ნუ განრისხდები ჩემ ზე-
ნა... რომელიც თითქოს ტექსტს ეკუთვნის.

³⁰³ ტყველსა.

ყრობთ მე ნაველსა, წყლისა მის წილ—ძმარსა, სიყუარულისა ჩემისა წილ—ჯუარსა ზედა მე დამსჭუალეთ. აწ მოუწოდო წარმართთა და მათ მაღიღონ მე და მე მივსცე მათ ცხორებაჲ საუკუნოჲ.

ფსალმუნნი. უფალო, რად განმრ...

მე-დ, კჳაჲ დ გუერდი. შიშისათუის ჰურიათაჲსა საყუარელმან და მეგობარმან პეტრე [161 ჭ] უარ-გყო შენ, უფალო, და გოდებით ესრეთ იტყოდა: ცრემლთა ჩემთასა ნუ დაიდუმებ, რამეთუ ვთქუ (?) დამარხვად მცნებაჲ³⁰⁴, სახიერ, და არა დავიმარხე. და ჩუენიცა სინა-ნული ესრეთ შიითვალე³⁰⁵ და შეგუიწყალენ ჩუენ.

ფსალმუნნი. ხადილსა...

მე-ე, კჳაჲ დ გუერდი. ურჩულოთა შენთა³⁰⁶ შემპყრობელთა მი-შუებითა ესრეთ ეტყოდე, უფალო: თუ მწყემსი ესე დაეცით და განი-ბნინეს³⁰⁷ ჩემნი ათორმეტნი³⁰⁸ მოწაფენი, შემძლებელ³⁰⁹ ვიყავ უფ-რომს ათორმეტთა³¹⁰ გუნდთა ანგელოზთასა მოყვანებად, არამედ სულ-გრძელებად, რაჲთა აღესრულოს, რომელი გამოგიცხადე თქუენ კელითა წინაწარმეტყუელთა ჩემთაჲთა, უჩინონი და დაფარულნი. უფალო, დიდებთა შენდა.

[V] **ფსალმუნნი.** სიტყუა...

მე-ვ, კჳაჲ დ გუერდი. რჩულის მდებელნო იერუსალჴმელნო³¹¹ ჰურიანო და ფარისეველნო, კრებული წინაწარმეტყუელთაჲ ღალა-დებს და ეტყუის: აჰა ტაძარი, რომელ თქუენ დაჰქსენით. აჰა კრავი, რომელი თქუენ ჯუარს-აცუთ, დაფლვად მიეცით ერსა, არამედ თუი-სითა კელმწიფებითა აღდგა. ნუ სცთებით, ჰურიანო, რამეთუ ესე არს, რომელმან უდაბნოს გამოგზარდნა და ზღუასა განგარინნა. ესე არს ცხორებაჲ და ნათელი და მშუილობაჲ სოფლისაჲ.

ფსალმუნნი. უფალო, ნუ გულ...

მე-ზ, (კჳაჲ) გ გუერდი. საშინელ იყო ხილვაჲ: ცათაჲ და ქუეყა-ნისაჲ შემოქმედი ძელსა დამოკიდებული! მზეჲ დაბნელდა და დღეჲ კუალად დამედ გარდაიქცა და ქუეყანაჲ დაფარულთა გუამთა განუ-ტევებდა [162 ჭ] მკუდართა. რომლისათუისცა თაყუანის-გცემთ შენ, ქრისტე, გუაცხოვენენ ჩუენ.

ფსალმუნნი. უფალო ღმერთო ჩემო...

მე-ჴ, კჳაჲ ბ. ოდეს ჯუარსა შეგმსჭუალეს ურჩულოთა მათ მეუ-ფეჲ დიდებისაჲ, ღალატ-ყო მათა: რაჲსა შეგაწუხებ თქუენ, ანუ რაჲ-სა განგარისხებ თქუენ? ჰირველ ჩემსა ვინ გიქსნნა თქუენ ჴირისაგან? აწ მომაგეთ მე ბოროტი კეთილისა წილ, სუეტისა მის წილ ცხოვე-

304 ამას მოსდევს და, რომელიც ზედმეტი ჩანს.

305 მართვე.

306 განმეორებულია.

307 გრნნს.

308 ათორმეტნი.

309 უმკლ.

310 ათორმეტთა.

311 იმსრნო.

ლისა ჯუარსა მე დამმსჭუალეთ, ღრუბლისა მის წილ ნათლისა მე საფლავი მითხარეთ, ნაცვალად მანანამას ნავლელი მასუთ მე, წყლისა მის წილ—ძმარი. აწ მოუწოდო წარმართთა და მათ მადიდონ მე თანა მამით და სულით წმიდითურთ.

ფსალმუნი. უფალო, უფალო ჩუენო...

მე-თ, კმაჲ დ გუერდი. უპირატემს პატიოსანსა ჯუარსა მკედარ-თა მიერ კიცხვისათუის, უფალო, ზეცისა ძალნი შეძრწუნდებოდეს, დაიდგ გუირგუინი [V] კიცხვისაჲ, რომელმან ქუეყანაჲ შეამკვი ყოვ-ლითა, და ქლამინდი განბასრებულმან შეიმოსე, რომელმან შეჰმოსენ ცანი ღრუბლითა და ესევეითართა განგებულებითა გუეუწყა შენი მრავალი სახიერებაჲ, ღმერთო, და დიდი წყალობაჲ შენი.

ფსალმუნი. აგიარო³¹²...

მე-ი, კმაჲ ა გუერდი. მოვედით, ქრისტემს შემასმენელნო ერნო, და იხილეთ, რაჲ იზრახა იუდა მიმცემელმან ურჩულოთა მათ თანა მღდელთა მკსნელისათუის ჩუენისა. დღეს თანა-ნადებ სიკუდილისა უკუდავი იგი სიტყუაჲ ყვეს და პილატემს შესმენითა ჯუარსა შეგმს-ჭუალეს. და ვნებული მკსნელი ჩუენი ესრემთ დაღადებდა და იტყო-და: მიუტევე³¹³, მამაო, ცოდვაჲ ესე, რაჲთა ცნან წარმართთა [163 ჭ] მკდრეთით აღვომად.

ფსალმუნი. უფალსა ვესავ...

მე-ია, კმაჲ დ გუერდი. დღეს ტაძრისა იგი კრეტსაბმელი სამხი-ლებელად განებო ურჩულოთა მათ და მზემან ბრწყინვალეებაჲ თუისი დაიფარა, რამეთუ უფალსა ხედვიდეს ჯუარ-ცმულსა³¹⁴.

ფსალმუნი. მაცხოვ...

მე-იბ, კმაჲ ა გუერდი. მოსლვასა მას შენსა ჯუარად ესრემთ ეტყოდე, უფალო, ჰურიათა: რომლისა საქმისათუის გნებაჲს მოკლვაჲ ჩემი³¹⁵, შ ჰურიანო? განრღუეულნი თქუენნი განკკურნენ და მკუდარ-ნი ვითარცა ძილისაგან აღვადგინენ, წიღოვანი განვწმიდე, ქანანელი შევიწყალე. რომლისა საქმისათუის გნებაჲს მოკლვაჲ ჩემი, შ ჰურიანო? არამედ მიხედეთ³¹⁶, რომელსა უგუმერთ, ქრისტე[სა], შ ჰურიანო ურჩულონო.

ფსალმუნი. ვიდრემდის, უფალო, და...

[V] **უფალო დაღატყავსა, კმაჲ ა.** დაღადებასა ჯუართა სიკუ-დილი მოაკუდინე და...

რომელი მონისა მიერ განიყიდე და ურჩულოთაგან ვნებაჲ თავს-იდეჲ და თუისითა სისხლითა სოფელი იქსენ, დ . . .

რომელი მკველისაგან განიკიცხე და³¹⁷ პეტრემს ცრემლნი სი-

312 აგიარო.

313 მიუტევე.

314 ჭრკრმლსა.

315 ეს სიტყუა განმეორებულია მომდევნო სტრიქონზე გადასვლისას.

316 მხრდთ.

317 და განმეორებულია.

ნანულითა არა უგულუბელს-ჰყვენ და ჩუენთვის კელით³¹⁸ წერილი აჰყოცი, დიდებაჲ შენდა, ღმერთო.

ძმ ღმრთისაჲ ამაღლდა ჯუარსა...

სხუანი, კმაჲ დ. ავაზაკი ჯუარსა ზედა ღალადებდა ჯუარცმასა შენ თანა.

ჯუარცმასა ჩემ თანა ხარ ადგო...

რამეთუ ამას ზედა ამაღლდა ღმერთი კორციითა და ამას ზედა დასთხია პატიოსანი უბიწოჲ სისხლი. ამან დაგუიცვნეს ჩუენ ყოველსა ჟამსა.

ობითაჲ, კმაჲ ბ გუერდი. აზნაურებაჲ ესე ჩუენი უფლისაგან...

[164 ე] კითხვაჲ ვითარცა მონამან თავს-იღევ, ეკალთაგან გუირ-გუინი დაიდგ და უზრწნელებითა სოფელი შეამკვე, ამაღლდი ჯუარსა ზედა და დაბადებულნი განაახლენ, მკუდართა თანა შეირაცხე და საუკუნითგანნი მკუდარნი აღადგინენ, დიდებაჲ შენდა, რომელმან ივენე ჩუენთვის, უფალო, დიდებაჲ შენდა

იკითხონ საკითხავი და თქუან:

ფსალმუნი. დამღვეს³¹⁹ მე.

დასადებელი. უფალო ღმერთო ცხორები...

ქუარისა ბანასა ამას იტყოლიან იოსებისსა 820:

კმაჲ ბ გუერდი. მოითხოვა იოსებ...

სხუაჲ. მოითხოვა...

სხუაჲ. მოვედით, მორწმუ...

სხუაჲ, კმაჲ ბ გუერდი. წყაროჲ ცხორებისაჲ გუერდისა შენისა-გან...

სხუაჲ. მოვედით, მორწმუნენო, და ვისწაოთ პეტრე მოციქული-სა იგი სინანული, მოქცევაჲ და სარწმუნოებით თაყუანის-ცემაჲ ერთისა ღმრთისა, რამეთუ მან ოდესმე უარის-ყოფაჲ იგი ცოდვითაჲ ცრემლითა განდევნა და, რაჲთა [V] დღეს ურთიერთას ჩუენცა დავს-თხინეთ ცრემლნი წინაშე ჯუარსა და რაჲთა წყალობით მოვსენებუ-ლისა მის ავაზაკისა თანა ესრეთ ვლალატყოთ: ღირსმცა ვართ ჩუენ შენ მიერ სამოთხედ, ღმერთო, და შეგუიწყალენ ჩუენ.

შაბათსა

ც ი ს კ რ ა დ

ნეტარ არიანთა. კმასა შევსწირავთ...

ლოცვასა შევსწირავთ შენდა, ქრისტე, ც...

ვითარცა ცხოვარი შევსცეთი³²¹ და ვითარცა...

318 ექელი.

319 ვ-ს მარკენა ფრთა აკლია და გამოდის დამღღეს.

320 იბრსსა.

321 შევსცეთითი.

მართალ ხარ შენ, უფალო, და სამართალსა³²²...

სხუანი. აღმიპყარ კელი შეწევნისაჲ...

ცოდვათა ჩემთა დამამდაბ...

სამართალნი შენნი მასწავენ მე, უფალო, და გზასა მცნებათა შენთასა წარმიმართე, რამეთუ მცნებათა...

წყალობითა შენითა მომიქსენე მე, უფალო, რაითა დავიცვნე მცნებანი შენნი, განმინათლენ თუალნი ჩემნი, უფალო, რამეთუ მცნებათა შენთა მსუროდა...

[165 ე] მიეახლა სული ჩემი მიწასა³²³, მაცხოვრე მე სიტყუითა შენითა, წყალობაჲ შენი, უფალო, თანა-მაგალ მეყავნ ჩუენ ყოველთა ღლ...

მიეახლა სული ჩემი მიწასა³²³, მაცხოვრე მე სახიერებითა შენითა. სიტკბოებითა შენითა მომიქსენე მე, უფალო, რამეთუ მც...

ავაზაკმან აღსარებით ჯუარ...

მომიძიე მონაჲ შენი, უფალო, ვითარცა ცხოვარი შ...

სხუანი მამათასა სოქუნე.

უყუარან უფალსა მოშიშნი სახელისა მისისანი, ხედავს მათ და დაიმკუიდრებს³²⁴ უკუნისამდე მათ შორის და დაჰმარხავს მათ ღლისა მისთუის მეორედ მოსლვისა უფლისაჲსა³²⁵, რაჟამს მოვიდეს ღიდებითა მამისაჲთა დაბადებულთა მიგებად კეთილისა მათ მონათათუის თუითოეულად, წმიდათა მისთა, დაუჭნობელი გუირგუინი, ბრწყინვალეჲ, ვითარცა მზის თუალი ღლისა მისთუის მეორედ მო...

[V] **ღალატყავსა, კმაჲ ა.** ვღალატყავ ჭირი...

ღლეს ყოველი დაბადებული შეძრწუნდა ვნებასა შენსა, ქრისტე ღმერთო, რაჟამს ურჩულოთა ჯუარსა ზედა შენ დაგმსჭუალეს და მკედარმან ლახურითა უხრწნელი გუერდი შენი განალო და კმაჲ იგი ავაზაკისაჲ მის ისმოდა: მომიქსენე მე, უფალო, ოღეს მოხუიდე სუფევითა შენითა.

რაჟამს გამოსჩნდი შენ შორის ორთა ავაზაკთა, ქრისტე ღმერთო, მას ჟამსა ეზოდ იგი ტაძრისაჲ მის განიპო და ნათლისა მის ბრწყინვალეჲჲ ბნელითა მით დაიფარვოდა და კმაჲ იგი... იგივე.

მას ჟამსა მზეჲ დაბნელდა და ქუეყანაჲ შეიძრა და ყოველი დაბადებული ძწოლით გხედვიდა ყოაილთა დამბადებელსა ძელსა დამოკიდებულსა და კმაჲ... იგივე.

აჰკედ ძელსა ზედა...

[166 ჭ] **კურთხეულ არსსა.** რომელი მაყლოან...

რომელი ძელსა ზედა, ქრისტე, ჯუარისა შენისა...

თავს-იდეგ ვნებაჲ ნეფ...

322 მართალსა.

323 ვწესსა.

324 დაიმკუიდრებებს.

325 მოსლსა.

დაებუკვდე საფლავსა შინა...

რომელი საფლავსა დაიდო ნეფსით...

სხუანი. ხისაგან გემომს ხილვითა ადამ გამოვიდა სამოთხით და ძელისა მიერ ჯუარისა ავაზაკი შევიდა, ხოლო აწ წარმართნი ღირს-ვიქმნენით თაყუანის-ცემად შენდა, ქრისტე, ჯუარცმულისა, რომელ-მან ივნე და ყოველი სოფელი აცხოვნე და ჩუენ წყევისაგან განგუათა-ვისუფლენ პატიოსნისა სისხლისა შენისა დათხვევითა. ვ ღ ა ღ ა-დ ე ბ თ ს ა რ წ მ უ ნ ო ე ბ ი თ: შე ნ კ უ რ თ ხ ე უ ლ ხ ა რ უ კ უ-ნ ი ს ა მ დ ე, ღ მ ე რ თ ო მ ა მ ა თ ა ჩ უ ე ნ თ ა ო.

[V] ხისაგან დაცემა შეემთხუია და სიკუდილი დაესაჯა ადამს, და ძელისა დანერგვითა უკდავება ჩუენ მოგუენიჭა, ხოლო განაყრო-ბითა კელთათა, ქრისტე, ჯუარსა ზედა, მძლავრებისაგან მჭერისა სიკუდილდ მიცემული ივსენ სოფელი და გუერდისა შენისა სისხლი-სა გარდამოდინებითა მოწეულ იქმნებოდა ჯუარი ივი და პატივ-ეცი-მებოდა ძელსა მას ცხოვრებად ჩუენ მორწმუნეთათუის. ვ ღ . . .

რომელი შორის ორთა ავაზაკთასა ჯუარს-ეცუ, ქრისტე, ღმრ-თეებისა შენისა კელმწიფებითა [167 ჭ] ყოველი დაბადებული შეძრ-წუნდა, არამედ ჰურიათა მათ მანანამსა მის წილ და წყლისა ნავლელი და ძმარი ჯუარსა ზედა შენ მიგიპყრეს, ხოლო დედა მგლოვარედ გოდებით იტყოდა, კადრებასა³²⁶ ვერ დაუთმობდა, ცრემლით ტიროდა წინაშე ჯუარსა თანა მოწაფითურთ სიყუარულით. ვ ღ ა ღ ა დ ე ბ თ . . .
ი გ ი ვ ე.

შემდგომად ჯუარცმისა და სიკუდილისა შენისა, ქრისტე ღმერ-თო, იოსებ არიმათიელმან და ფარულად მოწაფე-ყოფილმან შენმან ნიკოდემოზ მოითხოვეს გუამი შენი პილატეისგან და დაჰკრძალეს ახალსა საფლავსა, რომელი თაყუანის-იცემების დაუცხრომელად ძალთაგან ზეცისათა, ხოლო ურჩულოთა მდღელთ მოძღუართა ვრსა არწმუნეს და დაჰბუკვდეს ლოდსა და მცველნი განაწესნეს კარსა მას საფლავისასა. ვ ღ . . . ი გ ი ვ ე.

[V] წ მ ი დ ა ო ღ მ ე რ თ ო, დაუსაბამო მამაო, დამბადებელო ყოველთაო, რომელმან ხილვითა შენითა მოსე პირითა გამოაჩინე თუალთ შეუდგამად ძეთა შორის ისრაელისათა; წ მ ი დ ა ო ძ რ ი ე-ლ ო, რომელი ბაბილოვნსა საკმილსა მას შორის ყრმათა გამოს-ჩნდი ალსა მას შინა და მძლავრმან მან ავიარა შენ, ჭეშმარიტი ძმ ღმრთისა; წ მ ი დ ა ო უ კ უ დ ა ო, რომელმან ასწავე ღმრთე-ებისა ერთარსებაჲ კაცთა სიტყუად და აღავსენ მოციქულნი სულითა წმიდითა ქადაგებად ყოველთა კიდეთა ქუეყანისათა, სამებისა ერთ-არსებასა ვ ღ ა ი გ ი ვ ე.

სხუანი ზემოთ სთქუნე.

ანგელოზთა კრებულსა დაუკუირდა, ქრისტე ღმერთო, შენი . . .
შენითა ძელსა დამოკიდები...

გხედვიდა ყოველი დაბადებული ძელ...

[168 ჭ] საფასეა ცხორებისა და გიხილა ავაზ...

საფლავისა შენისა დაბეჭდვასა გამოითხოვდეს³²⁷ ურჩულონი პი-
ლატემსგან და პარკასა მიუთხრობდეს, რათამცა დაფარნეს უხრწ-
ნელნი ჯორცნი შენნი, ქრისტე ღმერთო, რომელმან იენე ჩუენთუის,
ღმერთო მ...

აკურთხევდითსა. ჯუარი აემართა ქუეყანასა და ქრისტე ამადლ-
და მას ზედა და წმიდასა საფლავსა დაიდვა და დასაბამითაგანნი
მკუდარნი აღადგინნა.

რომელმან ნეფსით ჩუენთუის ივნო, დაეფლა და მოქლონნი ჯო-
ჯობეთისანი შემუსრნა, მ დ ლ...

ჯუარსა დაემსჭუალა ქრისტე ღმერთი და ჩუენთუის კელი[თ]-
წერილი აკოცა და რომელთა ბნელსა შინა ეძინა, ნათლად აღმოუწო-
და, მ დ ლ...

ჯუარსა ზედა დაემსჭუალულსა ძესა ღმრთისასა და საფ...

[V] **ხხუანი.** დღეს დაენერგა ძელი ცხორებისა და, რომლითა
შეიქმნა ცხორება შორის ქუეყანასა, ავაზაკი რაჲ შევიდა სამოთ-
ხედ, ზოლო ჯოჯობეთს მყოფნი იხარებენ, რამეთუ ქრისტემან ივნო
ჩუენთუის, საკრველნი სიკუდილისანი განხეთქნა და ღმრთეებით
აღმადგინნა ჩუენ. ა მ ა ს უ გ ა ლ ო ბ თ და...

რომელი ძელსა დამოეკიდე, ქრისტე, ურჩულოთა მიერ ყუედ-
რება ავაზაკისაგან თავს-იდე და რომელი-იგი ვედრებით ითხოვდა
შენგან წყალობასა: „მომიკსენე მე, უფალო, ოდეს მოხუიდე სუფვეი-
თა შენითა“ და მინიჭე მას სამოთხედ. ა მ ა ს უ გ ა ლ ო ბ თ
და ვ...

რომელი ჯუარსა დაემსჭუალე, ქრისტე, განზრახვით პირველ
შექმნულსა მას მინიჭე კუალად [169 ე] განახლება და ლახურისა
მიერ განღებთა წმიდისა გუერდისადა უკუდავებისა წყაროდ მიჰ-
მადლე ნათესავსა კაცთასა. რომელმან იქსნა პატიოსნითა სისხლითა,
ამას უგალობთ და ვიტყუით: ა კ უ რ თ ხ ე ვ დ ი თ ყ ო ვ ე ლ ნ ი
ს ა ქ მ ე ნ ი უ ფ ლ ი ს ა [ნ ი] უ ფ ა ლ ს ა, უ გ ა ლ ო ...

რომელმან კელნი თუისნი ჯუარსა...

აღიღებდითსა. გადიღებთ შენ, ზეცისა სძალ...

ძელისა გემოდს ხილვითა ადამს სიკუდილი დაესაჯა, ჯუარსა
დაემსჭუალა ქრისტე ღმერთი, საფლავსა დაიდვა და საკრველნი სიკ-
უდილისანი ვითარცა ღმერთმან განხეთქნა. გ ა ლ ო ბ ი თ ვ ა დ ი -
ღ ე ბ დ ე თ ...

სამოთხესა ფუფუნებისასა ღირს-მყავ, ოდესმე დარჩილი იგი
ადამ გამოვიდა და ავაზაკი შევიდა, რამეთუ ხისაგან იყო დაცემა და
ძელისა მიერ მოწოდება.

ჯუარსა რაჲ დაემსჭუალე, ქრისტე, და გამოუცდელი ქორწინე-

³²⁷ გამოითხოვდეს.

ბისაგან დედა შენი მგლოვარეა დგა თანა მოწაფითურთ³²⁸ საყუარე-
ლით³²⁹. გა ლ ო ბ ი თ გ . . .

რომელმან დასაბამითგან დამონე . . .

რომელმან სამსჭუალნი და ლახუ . . .

[V] **სხუანი.** დღეს დიდისა მის გამოუთქმელისა მადლისა ვნება-
სა გზედვიდეს. მოაკლდა მზესა მზისა მისგან სიმართლისა, კლდენი
განსთქდეს და საუკუნითგანნი შეწყდომილნი სულნი განათავისუფლ-
ნა. გა ლ ო ბ ი თ ვ ა დ ი დ ე ბ თ .

მოსე წინაწარმეტყველმან კურთხევითა უფსკრულთა მზისა
ჰაერი აჩუენა, ხოლო შენ ძალითა ჯუარისა შენისადათა ქუესკენელ-
თა ჯოჯოხეთისათა ნათელი გამოუბრწყინე, რომლისა მიერ განუხუ-
ენ ავაზაკსა სამოთხისა ბჭენი. გა ლ ო ბ ი თ . . .

რომელი მიხუედ სამოთხედ მიმწუხრი, მაცხოვარ, და პირველ
შექმნული იგი ცთომისაგან დაცემული მოიძიე, შენვე შეხუედ ბჭეთა
კშულთა ჯოჯოხეთისათა, რადათა საუკუნითგან შეწყდომილნი სულნი
განათ³³⁰ . . . ი გ ი ვ ე .

[170 ე] უფალო, წინა-გამოსახა სასწაული შენი მამათ მთავარ-
მან იაკობ წუერსა ზედა კუერთხისასა, თაყუანის-ცემითა გუაუწყებ-
და მერმისა მის გამოჩინებასა, რომელსა ზედა ჯუარს-გაცუეს ნერგი
ცხოველი. დ ი დ ე ბ ა ე შ ე ნ დ ა .

რომელსა შეგემოსა ნათელი ვითარცა სამოსელი, დაეფალ გულ-
სა ქუეყანისასა კსნისათუის ჩუენისა და დაგბჭდეს საფლავსა ცხო-
რებისასა და ვითარცა მეუფესა მძინარესა ზედა ერისაგანნი გცვი-
დეს. უ ფ ა ლ ო , დ ი დ ე ბ ა ე შ ე ნ დ ა .

სხუანი, (კმაე) დ გუერდი. ქალწული დგა ჯუარსა წინაშე...

შენთუის დაუკ...

აკებდითსა. მოვიდა იოსებ არიმათიელი ფილატესა და მოს-
თხოვა გუამი მაცხოვრისა და დადვა იგი ახალსა მისსა საფლავსა და
ლოდი დიდი მიაგორვა.

[V] შემდგომად ჯუარცმისა და დაფლვისა შენისა, ქრისტე
ღმერთო, ერმან ურჩულომან განიზრახა დაკრძალვად საფლავი იგი
და დაბრკოლებასა ჰგონებდეს ადგომასა შენსა.

წარვიდა დაცვად დასი ერისაგანთა და დაჰბჭდეს ლოდსა მას
ბეჭდითა და გარემოჲს საფლავსა მცველნი განაწესეს.

სხუანი. იოსებ არიმათიელმან წადიერებით დიდისა მის ნათლი-
სა მზისა მის სიმართლისანი მოითხოვნა კორცნი ძისა ღმრთისანი,
რადათამცა დაფარნა დაფლვითა არა ადგილ-შეუყენებელი ღმრთეებაჲ,
არამედ ხატი მონებისა ვითარცა მიხუეზი ცხოვრებისა და საფასეჲ
უხრწნელი.

მამისაგან პირველ საუკუნეთა ძეჲ დღეს შთაჲდა წარმოტყუენ-

328 მწ' ფთორთ.

329 სყ' რლი.

330 გნო?

ვად ჯოჯოხეთისა და დაებეჭდა დაფლვითა ვითარცა მოკლავი³³¹ ცოდვილთაგან ცხორებისათუის პირველ შექმნულისა [171 ჭ] და კსნისათუის ყოვლისა სოფლისა.

წყარომან ცხორებისამან, ქრისტემან ღმერთმან ჩუენმან დღეს ნათესავსა³³² კაცთასა აღმოუცემა უკლავება და განაახლნა გუამნი მართალთანი, რომელნი შეპყრობილ იყვნეს ჯოჯოხეთს და იკსნა სოფელი მძლავრებისაგან მტერისა.

დადაცათუ დარჩილი ურჩულთა მიერ დაებეჭდა საფლავსა შინა მსაჯული ყოველთა დაბადებულთა, არამედ იმსახურებოდავე უკოროცოთა ძალთა მიერ, ვითარცა მეუფე მძინარე, რომელი თაყუანისიციემების ანგელოზთა და კაცთაგან.

სხუანი პირველ სოქუნე.

[V] აღვივსენით ჩუენ, უფალო, მადლითა ჯუარისა შენისა მათა და ყოველთა მოვიღეთ უკლავება, ოდეს შენ, მაცხოვარ, განიპყრენ უხრწნელნი კელნი თუისნი ჯუარსა ზედა და გუერდისა შენისა განღებითა იკსენ სოფელი ცოდვათაგან, და რომელთა ბნელსა შინა ეძინა, ნათლად აღმოიყვანენ და სულითა წმიდითა შემოსილნი წარუდგინენ მამასა. რომელსა გაქუს აურაცხელი კაცთ-მოყუარება, მეუფეო მშუიღობისაო, ქრისტე ღმერთო ჩუენო, შეგუიწყალენ ჩუენ.

სისხლი გამოკსნისა ჩუენისა და წყალი განმწმედელი ცოდვთა ჩუენთა [172 ჭ] გუერდისა შენისაგან აღმომდინარე იხილა რა და ასისთავმან მან წინაშე ჯუარსა, რომელმან წამა ჭეშმარიტი, ხოლო ავაზაკმან ჯუარსა ზედა აღსარებით დაღატ-ყო: „მომიკსენე მე, უფალო, ოდეს მოხუიდე სუფევითა შენითა“ და მიანიჭე მას შენი სასუფეველი, რომელსა გაქუს აუ... იგივე.

სიბრძნეა ჭურიათა³³³ ექმნა საცთურ და წარმართთა სისულელე — ცხორება, არამედ იოსებ არიმათიელმან კადნიერება შეიმოსა, არა ესვიდა სიმდიდრესა, არამედ, რომელი ყოველთა მომნიჭებელ ხარ, მიგიყიდა შენ სიმდიდრე წარუალი და საფასე ცხორებისა დაგერძალა საუნჯესა უკლავებისასა. რომელ... იგივე.

[V] სხუანი³³⁴. ჭურიანი ეტყოდეს ფილატეს: ბრძანე დაცვად საფლავი იგი: ნუუკუე მოწაფენი მისნი ღამე მოვიდენ და წარიპარონ იგი და განთქუან ერსა შორის, ვითარმედ ადგა იგი მკდრეთით.

მიუგო ფილატე ურჩულთა ჭურიათა: მიცემულ არს თქუენდა დასი. წარვიდეს ურჩულონი და დაჰკ...

ოდეს ცისკრისა ჟამი აღსარულონ, აღვიდენ საკურთხეველად და ამას იტყოდან:

გმაი ბ გუერდი. უფალო, პატიოსნად გამოჩნდა ერსა შორის გაძლიელ, ფარულად დაიწერა მოწაფედ შენდა ნიკოლემოზ, არამედ

331 ანა

332 იოსებსა.

333 ურჩილთა.

334 სხუანი.

იოსებ არიმათიამთ სიმდიდრემ შეურაცხ-ყო³³⁵, ჰურიათა შიში განაგ-
დო, ოდეს-იგი მოწაფენი³³⁶ განიბნინეს, [173 ჭ] იგი კადნიერ იქმნა,
ნეფსით სიგლაზაკვე შენი არა სირცხუილ-უჩნდა, არამედ დაჰმარხნა
კორცნი შენნი. ქ რ ი ს ტ ე ლ მ ე რ თ ო , დ ი დ ე ბ ა ა შ ე ნ დ ა .

იკითხონ საკითხავი და თქუან:

კმაა ბ, ...

ფსალმუნი. რამეთუ არა და...

დასადებელი. მიცევე...

და სახარებაი, შემდგომად.

იბაკოა. სულნი კელმწიფეთანი...

მ წ უ ხ რ ი

აქურთხონ ეკლესიაი, უფალო ღალატუვი წართქუან და თავითგან ესე უქლონ:

კმაა, დ გუერდი. ნათელ-ილე, ნათელ-ილე...

სხუანი. მოსლვასა ჯუარცმაა თავს-ილევე... კლდენი გ. ასლეგ.

ქრისტე, საფლავით, ვითარცა...

ნათელი მხიარული...

იკითხონ საკითხავი, უამის წირვასა შევიდენ.

[V] **ოხითაა.** ქრისტე ადგა...

ფსალმუნი. შენ გშუენის...

დასადებელი. შეგესემინ...

ალელუიაა. შენ ასლეგ და შე...

კელთა ბანისაა, კმაა ა გუერდი. უფლისაა ადგომად გუახარა³³⁷

ჩუენ ანგელოზმან, რომელი გარდამოკდა ზეცით ხატითა ბრწყინვა-
ლითა, რომელმან თქუა: ცხოველი იგი აღდგომილ არს, რომელსა ეძი-
ებთ ცხოველსა მას მკდართა თანა, სძლო სიკუდილსა და ჯოჯოხეთ-
სა, რამეთუ, რომელნი-იგი ადამისითგან მომწყუდარ იყვნეს, აწ ქრის-
ტემს მიერ ცხოველ არიან ყოველნი.

სიწმიდისაა აღელუიამთა.

აღუსებასა³³⁸

ს ა მ ხ რ ა დ

ოხითაა. მხოლოდ შობილი...

ფსალმუნი. ესე არს...

დასადებელი. ჰე უფალო, მაცხოვრე...

ალელუიაა.

335 შეურაცხყო.

336 მწფენნი.

337 ამის გასწვრივ მარცხენა აშიაზე მიწერილია: „სხუაი წინამძ... სხუაი ოოქელას აღკო...“
ალბათ ესენი ტექსტს ეკუთვნის.

338 ახსებასა.

კელთა ბანისა³³⁹. [174 ე] ცხოველსა და უხრწ...

სხუაჲ. მოვედით ერი³⁴⁰...

სხუაჲ. რაჲ მივაგოთ უფალსა...

სიწმიდისა³⁴¹ აღელუიათა.

მ წ უ ხ რ ი

უფალო ღალატყავსა, კმაჲ დ გუერდი. რაჟამს მოხუედ სამოთხედ მიმწუხრი, მაცხოვარ, პირველ ქმნულისა ცთომისათუის მწუხარებაჲ და სიკუდილი მიეთხრა, ხოლო ოდეს შეხუედ ბჭეთა კშულთა მოწაფეთა შენთა თანა, სული იგი აღმადგენელი³⁴² მკდრეთით დაუმკუიდრე მათ შორის. ამისთუისცა თაყუანის-ვსცემთ ადგომასა შენსა, ქრისტე ღმერთო ჩუენო.

ბჭეთა კშულთა შესლვითა განამტკიცენ მოწაფენი შენნი კელმწიფებასა ღმრთეებისა შენისასა, ქრისტე, და შეხებითა კელითა უხრწნელად ადგომასა კორცთა შენთასა აჩუენებ, რომლითაცა განუხუენ ბჭენი სამოთხისანი [V] დაცემულსა მას, კაცთ მოყუარე.

განამტკიცენ მოციქულნი დამალულნი შიშისათუის ჰურიათაჲსა, ქრისტე, და სახელითა ადგომისა შენისაჲთა ესენი კადნიერ ჰყვენ სასწაულთა ქადაგებად ყოველთა კიდეთა, კველის მოქმედ. მათ მიერ მაცხოვრენ ჩუენ.

ოხითაჲ, კმაჲ ა გუერდი.

ახალკუირაჲსა მწუხრი ჰპოო.

უფალო [ღალატყავსა]. და ვითარცა გამოხუედ დაბეჭდულისა...

ფხალმუნი. უგალობდით უფალსა გალობითა...

დასადებელი. იხარებდ...

ახალკუირაჲსა

უფალო ღალატყავსა, კმაჲ ა. განვაბრწყინენთ, ერნო, ღამპარნი ჩუენნი გალობითა შესხმასა წმიდისა ახალკუირაჲისასა, დიდების-მეტყუელებით ანგელოზთა თანა ერთსა ღმრთეებასა გარე-უწერელად არსსა³⁴³ ვიტყოდით დაუცხრომელად: დ ი დ ე ბ ა ე მ ა [175 ე] ლ ს ა მ ე ნ ს ა, მ ე უ ფ ე ო ყ ო ვ ე ლ თ ა ს ა უ კ უ ნ ე თ ა ო.

შემოქმედმან ყოველთამან და ნათელმან გამოუთქმელმან ღმერთმან, ღმრთისა³⁴⁴ სიტყუამან და ჩუენთუის განკაცებულმან წარუდგინა მამასა წარწყმედულნი დამსჭუალვითა ჯუარსა ზედა ვითარცა კაცმან და აცხოვნა კაცი, ვითარცა კაცთ მოყუარე არს.

³³⁹ ბნსი მეორეება შემდეგ გვერდზე.

³⁴⁰ ასეა.

³⁴¹ აღწერილია.

³⁴² მკდრენელი (= აღმადგინებელი?)

³⁴³ სსა.

³⁴⁴ სსა.

მოვედით და უგალობდეთ ყოველნი უფალსა, ვდღესასწაულობდეთ ქუეყანისანი ზეცისასა, ვაქებდეთ ყოველნი დღესა ცხორებისასა, უკუდავსა მეუფესა, რომელი მოანიჭებს ყოველთა ანგელოზთა და კაცთა მიუწოდებელსა და უხრწნელებასა ყოვლად საუკუნესა³⁴⁵.

უგალობდითსა. ახალკუირაიკესა, პირველ დღისა დასაბამისა დამტკიცებისა მართალსა, უგალობთ ყოველნი, რამეთუ დიდებით დიდებულ არს.

დღეს ქრისტემს აღდგომასა, ნათლით შემოსილსა დასაბამსა უხრწნელებისასა, მართალსა უგა... იგივე.

დასაბამსა საუკუნისა ცხორებისა[სა], ახალსა კუირაიკესა, [V] რომელსა შინა გუირგუინოსან იქმნებიან წმიდანი, ქრისტემს მიმართ უგა... იგივე.

მოიხილესა. ნათლით შემოსილსა ახალსა კუირაიკესა დიდების-ვემეტყუელებთ³⁴⁶: ამისსა შემოქმედსა უფალსა ყოველთასა...

აღსასრულსა სოფლისასა, ახალსა კუირაიკესა დიდების-ვემეტყუელებთ ამას შინა და უგალობთ შემოქმედსა უფალსა ყოველთასა.

ცანი გარდაართხენ³⁴⁷ ვითარცა კარავნი, და შეიმოსე ვითარცა სამოსელი.

განძრიელდითსა. ესე არს დღე, რომელსა დაემტკიცა ყოველი სული განუყოფელსა სარწმუნოებასა შემოქმედისა ჩუენისა ღმრთისასა, რომელსა თაყუანის-ვსცემთ, ვადიდებთ მას ყოველნი.

შენ, ახალკუირაიკე, ეკლესიათა აქუნდი ქრისტემსთა გუირგუინ-შუენიერად ყოველთა დღეთა, რამეთუ დასაბამი და აღსასრული დღეს არს ცხორებისა, [176 ჭ] რომლისათუისცა ვღაღადებთ ყოველნი.

შენ მიერ უგალობს ყოველი მკედრობა ანგელოზთა და ღმერთსა, დამამტკიცებელსა ყოვლისა სოფლისასა, გალობითა ახლითა სადიდებელად სახელისა თუისისა, რომელსა თაყუანის-ცემით ვადიდებთ მას ყოველნი.

უფალო მესმასა. წინათვე იხილა წინაწარმეტყუელმან დაუმწურებელი დღისა ახალკუირაიკისა და იტყოდა: მესმა სმენამ შენი, უფალო, და შემეშინა. დიდებამ ძალსა შენსა, უფალო.

პირველ აუწყა მაცხოვარმან დიდებამ ახალკუირაიკისა და იტყოდა: მაშინ გამობრწყინდენ მრავალნი ვითარცა მზის თუაღნი სასუფეველსა ცათასა. დიდებამ ძალსა შენსა, უფალო.

[V] ამაღლდა მზემ ახალკუირაიკისა და სიმაღლესა მას ზედა

345 სოკნსა.

346 დღეს მტყულებთ.

347 გრთხნ.

საცნაურთა არსთასა, რომელსა დაღადებით ეკლესიამ იტყუის: დიდებამა ძალსა შენსა, უფალო.

ღამითგანსა. შემოვალს დღეს კართა ვშულთა დაუტევენელი ღმერთი და ჩუენთუის დატევენულ იქმნა, ვითარცა კაცი. შევიკრძალოთ სარწმუნოებად გულთა ჩუენტა და ვიტყოდით: საკუირველთ მოქმედო ღმერთო, დიდებამა შენდა.

ურწმუნო ქმნულსა თომას არწმუნე განშიშულებითა წმიდისა გუერდისამთა. უგალობდეთ მას ყოველნი და ვიტყოდით: უფალი ჩუენი და ღმერთი, რომელი გამოსჩნდი ცხორებისათუის ჩუენისა, მაცხოვარ, დიდებამა შენდა.

[177 ჭ] რამეთუ სარწმუნოებამან შენისა ადგომისამან, უფალო, დღეს განამტკიცნა გულნი წმიდათა მოციქულთანი განათლებად ყოველთა წარმართთა, განამატკიცენ ჩუენცა შენდა დიდების-მეტყუელებად განათლებისათუის სულთა ჩუენტამასა.

ღალატყავსა. ამის გამო ქრისტემს ღმრთისა დღეა ადგომისა მინაწარმეტყუელმან აჩუენა და ყოვლისა³⁴⁸ სოფლისა განახლება უხრწნელებად, რომელსა დასებით დაცულნი იტყუიან: დიდებამა დიდად შუენიერებასა შენსა, უფალო, მეუფეო ყოველთა საუკუნეთაო.

უგალობდით, ერნო, და უფრომად დიდების-მეტყუელებდით ღმერთსა, რომელმან დაიცვა [V] წინაწარმეტყუელი სახედ თუისისა განმაცხოველებელისა ადგომისა მუცლისაგან ჯოჯოხეთისა და ჩუენცა ვიტყოდით: დიდებამა აურაცხელსა მოწყალეებასა შენსა, მეუფეო ყოველ... იგივე.

სამ გზის წინაწარმეტყუელებამა სიკუდილისა მაცხოვრისა მოესწავა ეკლესიათა დღეს ქრისტემს ღმრთისა შუენიერი ადგომად, არამედ სამისაცა საუკუნომასა დიდებული მისი გამოცხადებამა სოფლად, სოფლისაგან და სოფლისათუის.

კურთხეულ არსსა. ოდეს ჯუარითა ჯოჯოხეთი წარმოსტყუენე, უფალო, მაშინ მოწაფეთა მწუხარეთა [178 ჭ] აუწყე აღსასრული ცხორებისა და დასაბამი დღისა შუენიერი ა[დგომისა] შენისა ახალკუირიაკე და მრავალთა³⁴⁹ სიხარულად მონიჭე, მეუფეო სულთა [ჩუენ]თაო, მაცხოვარ, ღმერთო მამათა ჩუენტათაო.

ეჭა გამოუთქმელი სიმდაბლემ³⁵⁰ ღმრთეებისა, რომელი გამოუცხადე დღეს ნათესავსა კაცთასა, უფალო ღმერთო, მაცხოვარ]...

წინა აუწყე შენი ახალკუირიაკე მ[ო]რწმუნეთა, რომელთა შენი აღ[გ]ომამა სოფელსა უქადაგეს, მეუფეო ქრისტე.

უსაშინელებს არს უფრომს ყოველთა დაბადებულთა საშინელი

³⁴⁸ ყ[ო]ლსა.

³⁴⁹ ეს ფურცელი მარჯვენა მხარეს ჩამოხეულია. ჩამონახევს რამდენიმე ასო გაჰყოლია, რომლებიც აქ კვადრატულ ფრჩხილებშია აღდგენილი.

³⁵⁰ 'მ[ო]ბლა.

ადგომად შენი, უფალო, რამეთუ ჰურიათაგან შიშითა შეპყრობილთა მოწაფეთა მწუნარეთა გამოუჩნდი [V] [ღა] განუნათლნე გონებანი, ხოლო შეპყრობილსა [თომ]ას ურწმუნოებითა უჩუენენ] სახენი სამსჭუალთან და [სარ]წმუნოებასავე დაამტკიცე, მეუფეო, მკსნელო სულთა ჩუენთა[ო და] მამათა ჩუენთაო.

აკურთხევედითსა. [ყოველ]ნი საქმენი და დაბადებულნი აკ...

რომელმან თომას უჩუენნა სა[ხ]ენი სამსჭუალთან და სულითა [ღ]მრთეებისაათა სარწმუნოებასავე [ღ]ამტკიცა. აკურთხევედითყოველ...

[რ]ომელსა თომა უხილა³⁵¹ გუერდისა წყლულებად და სარწმუნოებით „უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი“ უღაღადა, აკ...

[ჯ]უარსა ზედა დამსჭუალულსა ცხორე...

ადიდებდითსა. შენ ქალწულსა და უ...

შენ, რომელმან ჯუარსა ზედა ივნე, დაეფალ და ასდევ მესამესა დღესა [179 ე] და ადგომად ყოველთა მოგუანიჭე, გალობით გ...

შენ, რომელმან თომას უჩუენე გუერდისა წყლულებად და სულითა ღმრთეებისაათა სარწმუნოებასავე დაამტკიცე და „უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი“ გიღაღადა, გალობით გადიდებთ.

რომელი დაეფალ გულსა ქუეყანისასა და მესამესა დღესა ასდევ, განანათლენ დაბადებულნი თუისნი, ნათელო სოფლი...

მოციქულთა კრებულმან გალილეას გიხილეს, თაყუანის-გცეს და იტყოდეს: დიდებად ადგომასა შენსა.

აქებდითსა. დაუსაბამოსა მამასა და გამოუთქუმელსა სიტყუასა ღმრთისასა მხოლოდ შობილსა მიუწდომელად ცანი ძალთა თანა აქებენ, მას მხოლოსა შუე...

კრებული მორწმუნეთად განწყობილი მთავარანგელოზთად თაყუანის-გცემენ შიშით გამოუთქუმელად შობილსა ქალწულისაგან ღმერთსა კორციით შესხმულსა, დიდების-მეტყუელებით ღაღადებენ მის...

წესნი უყესთაეს ზესკნელს ცათანი ძლევისა გალობასა შენდა შესწირვენ, რომელმან ვნებითა და ადგომითა [V] შენითა გამოაჩინე ზეცისა იგი ნათელი მიუწდომელი და ესე აუწყე მოციქულთა, დღეს დაუღამებელი სამარადისოა მოანიჭე მათ სამკუიდრებელად. წმიდა ხარ შენ, მაცხოვარ, შეგუიწყალენ ჩუენ.

რომელმან თომას შემდგომად ადგომისა წყლულებად გუერდისადა აჩუენე და არწმუნე მას კელმწიფებად შესლვითა ბჭეთა კშულთაათა, დღეს ესრეთვე უწინარეა მონესწავების შეუძრავი სასუფიველი შენი დაპყრობად და ზედვად დიდებასა ერისა შენისასა, რათა ზეცისა ძალთა თანა დაუცხრომელად ვიტყოდით: რომელი წმიდასა შინა განისუენებ, ქრისტე, მაცხოვრენ ჩუენ.

დღესა საუფლოსა, დიდსა დღესასწაულსა, შუენიერად ბრწყინვალესა, დაუსრულებელსა ახალსა კურიაკესა [180 ე] ყო-

351 უხილვა.

ველი თესლები ყოველთა კიდეთა ქუეყანისათა იხარებს და ეკლესიათა გამობრწყინდა უწყესთაეს ანგელოზთასა, გუირგუინოსან იქმნების ადგომისა მადლითა და მას შინა აღიდებენ თაყუანის-მცემელნი სამისა არსისა ერთსა ღმრთეებასა, ერთსა ძალსა, განუყოფელად მამისა, ძისა და წმიდისა სულისა.

ოხითაჲ, კჲმაჲ ა. ეჲა დიდებული და საკუირველი! რამეთუ ურწმუნობამან სარწმუნობაჲ შუა და დაამტკიცა, იტყოდა რაჲ თომბ: უკუეთუ არა ვიხილო, არასადა³⁵² მრწმენეს. შე-რაჲ-აზო წყლულებასა მისსა, ღმრთის-მეტყუელებაჲ ჯუარცმულსა მას მხოლოსა ძესა ღმრთისასა, ვითარცა კარავსა აღმართებულსა. ღალატ-ყო ბრწყინვალეობითა³⁵³: უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი!

ფსალმუნი. განუმზადო სამართალ...

დასადებელი. კჲმაჲ ა გუერდი. აგიარო შენ, უფალო ყოველი...

თუ გინდეს. „ესე არს ღღეჲ“ სოქუა.

[V] **ალელუიამ, კჲმაჲ დ.** აქებს იეროოს...

კელთა ბანისაჲ. უფალო, დაბეჭდულისაგან საფლავისა ურჩულოთა მიერ...

სხუაჲ, კჲმაჲ დ. ესე არიან ბჭენი უფლისა...

სიწმიდისაჲ. ანგელოზნი და ძალნი ცათანი და ქუეყანისანი და კაცთა ნათესავნი შესწირვენ შენდა ქებით ვედრებასა; შეიწირე ჩუენი მადლობით შენდა მიმართ მსხუერპლი და ყოველთა მორწმუნეთა ლოცვაჲ და თაყუანის-ცემად.

„დიდებაჲ“ სოქუა და „წმიდა არსი“...

მ წ უ ხ რ ი

უფალო ღალატყავსა, კჲმაჲ ა გუერდი. უფალო, და ვითარცა გამოხუედ დაბეჭდულით საფლავით, ეგრეთვე შეხუედ ბჭეთა კშულთა მოწაფეთა თანა, უჩუენე მათ კორცითა იგი ვნებაჲ, რომელი დაითმინე, მაცხოვარ, სულ-გრძელებით ვითარცა ნათესავისაგან დავითისამან ჭეშმარიტად ძემან ღმრთისამან, სოფელი განანათლე ყოველი. დიდ არს შენი ადგომად, მიუწლომელო, შეგუიწყალენ და გ...

[181 ჭ] კაცთ მოყურე, დიდად მიუწლომელ არს სიმრავლეჲ წყალობისა შენისაჲ, რამეთუ სულ-გრძელ იქმენ ჰურიათა მიერ ყურიბლის ცემასა და მოციქულთა მიერ კელისა შეხებასა და შეურაცხის-მყოფელთა შენთაგან ფრიად გამოწლილვასა, რამეთუ ვითარ კორცნი შეისხენ, ვითარ ჯუარს-ეცუ, ეჲა მიუწლომელო, არამედ გულისხმა-მიყავ მე ვითარცა თომას ღალადებად შენდა: უფალი

³⁵² ა. მ. ა. ა. ა.

³⁵³ ა. მ. ა. ა. ა.

ჩემი და ღმერთი ჩემი. დიდ არს შენი ად...
ი გ ი ვ ე .

ფსალმუნი. უგალობდით...

დასადებელი. იხარებდინ...

მე-ბ-სა შაბათსა

ბანრღვეულისა

უფალო ღალატყავსა, კმაი გ გუერდი. ადგომად ქრისტეისი ვიხილეთ, თაყუანის-ვსცემთ წმიდასა უფალსა იესუს³⁵⁴, მხოლოსა მაცხოვარსა ჩუენსა.

იხილა რაი ქველის მოქმედებაი შენი [V] განრღვეულმან მან, გევედრებოდა შენ: შემიწყალე მე, უფალო, შეუძრველისა ამისგან სენისა და განმკურნე მე, ყოვლად ძრიელო, რაათა მეცა მოვილო კურნებაი და ვადიდებდე ძრიელებასა შენსა.

ლოცვაი ჩუენი შეიწირე, ვითარცა...

ფსალმუნი. შემიწყალე მე, უფალო, რამეთუ ურ...

დასადებელი. დავშუერი მე... ვიდრე: დაუტყვე...

ალელუიაი, კმაი ა გუერდი³⁵⁵. უფალი სუფევს, შუენიერე...

კელთა ბანისაი, კმაი დ გუერდი. უფალო, განრღვეული იგი არა თუ საბანელმან მან განწმიდა, არამედ სიტყუამან შენმან ალაღინა, მრავალ-ჟამისა³⁵⁶ იგი მღებარეი, არა დააყენა სენმან მან, უძრულე-ბაი მისი განიშორა და რომელსა ცხედარსა ეტუირთა, მან აიკიდა იგი და გევედრებოდა. მის თანა ჩუენცა განგუწმიდენ და შეგუიწყალენ ჩუენ.

[182 ჭ] **სიწმიდისაი.** ანგელოზთა ერნი შენდა დიდე...

მე-ბ-სა ხუთშაბათსა

უფალო ღალატყავსა, კმაი ა. მწუხრისა ლოცვაი ჩუენი შეიწი...

ანგელოზმან აუწყა მიდგომილობაი იგი ქალწულსა და ანგელოზმანვე განაბნია ალი იგი საკუმილისაი³⁵⁷ მის. ეროდე მოწყუედაი ჩრუილთაი ბრძანა და მძლავრი იგი ურჩულოი შურის-გებასა ბრძანებდა, ხოლო საშონი დედათა მათთანი იხარებდეს და ყრმანი მას შინა ძლევით გუირგუინოსან იქმნნეს. ყოველი დაბადებული გიგალობს შენ, მაცხოვარ, შემიწყალენ³⁵⁸ ჩუენ.

აქებდითა, კმაი გ. საკსენებელსა ჩრუილთა ყრმათასა გაქებთ შენ, რომელნი მოწყდეს ღლეს შენ წილ კელთაგან ურჩულოთაი. ამისთუისცა დაუშკუიდრე მათ შენი სასუფეველი, კაცთ მოყუარე.

354 იეს.

355 გი მიწერილია მომღვენო სტრიქონის გასწვრივ მარცხენა აშიაზე.

356 უშსა.

357 სკშლსა.

358 შწწყენ (?).

[V] დღეს აღებრულა ყოველი, რომელსა დავით წინაწარმეტყუელი ქადაგებდა წინამთვე, ვითარმედ [პირითა] ყრმათა ჩრუილთა მწოვართათა დაემტკიცოს ქებაჲ. აჰა ესერა ურჩულომან ეროდე ორით წლითგანნი ყრმანი ბეთლემისანი მოსრნა, მას ექმნა დარჩილება, ხოლო ყრმათა — დიდება და ცხორება.

ფსალმუნი. პირითა ყრ...

დახადებელი. უფალო, უფალო ჩუენო...

აღელუიამ. აქებთ ყრმა...

კელთა ბანისამ, კამა დ. უცხო წყობად მოიწია ზედა ბეთლემსა, რამეთუ ყოველი დედაჲ უშვილო იქმნებოდა მას შინა. რამეთუ წელიწადი შობისა შენისაჲ მამხილებელად აქუნდა და ორით წლითგანნი ჩრუილნი მოისრვოდეს [...] ას შინა, [183 ჭ] რამეთუ ვედრებასა უსწრო მახუილმან, ჩრუილთა³⁵⁹ მათ წარეკუეთებოდა სასოებაჲ. ვითარ დიდ არს სულ-გრძელებისა შენისა მოწყალებამ! უფალო, დიდებაჲ შენდა.

სიწმიდისამ. ერნი წინაშე ღვანან წმიდათა...

ითუესა აპრილსა კბ ბეორბი წმიდისამ

უფალო ღალატყავსა, კამა დ გუერდი. მოწამენო უფლისანო, ყოველთა ადგილ...

მოწამენო უფლისანო, ევედრენით ჩუენთუის და ითხოვეთ სულთა ჩუენთათუის სიმრავლეჲ წყალობისაჲ და მოტყეებაჲ მრავალთა ცოდვითა ჩუენთათუის. გვედრებით...

მოწამენო, მოლუაწეხო...

მოწამენო ჭეშმარიტნო, სა...

დიდებაჲ შენდა, უფალო, რომელი წმიდათა შენთა ექმენ გუირკუნ და სრბად³⁶⁰ მათი აღასრულე, რათა მეოხ-იყვნენ მარადის სულთა და კორცთა ჩუენთათუის.

[V] შენგან წმიდანი იქადიან, შენდამი, ქრისტე, იხარებენ, რამეთუ შენ გამოაბრწყინვე ნათელი დიდებულთა შენთაჲ. ყოველი სული გაკურთხევს შენ, უფალო, მშუიდლობაჲ შენი მომეც ჩუენ.

მჯღომი მათი მტერი ღუაწლისა მძლეთა დათრგუნეს საჭურველითა ჯუარისა შენისაჲთა, ქრისტე, და შენ აგიარეს და მეოხ არიან სულთა ჩუენ...

გალობთა ჯეღორობასა კპოენე³⁶¹.

ვითხოვეთ შენგან, მოწყალე...
ღალატყავსა, კამა დ. სირღმ...

³⁵⁹ ჩჩლთა.

³⁶⁰ სრბა (?).

³⁶¹ ეს მიწერილია მარტხენა აშიაზე.

რომელმან ღუაწლსა შინა განამტკიცენ წმიდანი მოწამენი და გუირგუინოსან ჰყვენ იგინი, წმიდაო ღმერთო, და შეგუიწყალენ ჩუენ.

[184 ე] ღუაწლისა მძლეთა შენთა, ქრისტე, სატანჯველსა შინა აგიარეს შენ და ყოველი ურჩულოთა მანქანებაჲ დათრგუნეს სატანჯველითა და ცეცხლითა. კორცნი მოწამეთანი მსხუერჳლად შეწირნეს, მაცხოვარ, ვითარცა საკუმეველნი და წინაშე შენსა იხარებენ.

მეოხებითა, უფალო, ყოვლად ქებულთა მოწამეთა შენთათა მშუილობა-ყავ სოფლისათუის და აცხოვნენ მგალობელნი შენნი.

კურთხეულ არსსა. რომელი მთა..

რომელმან წმიდანი ღუაწლისა მძლენი გამოაჩინენ მნათობად სოფლისა ბრყწინვალედ, კ უ რ . . .

რომელმან წმიდათა მოწამეთა მიანიჭე უძრულებათაგან კურნებაჲ სნეულებათა ჩუენთაჲ, კ უ რ თ ხ ე . . .

ჯუარითა სძლეს წმიდათა შენთა, უფალო, ძალსა მტერისასა და აღიარეს სახელი შენი. კ უ რ თ ხ ე . . .

სამებასა ღირსად წმიდანი აღიღებდეს გუამსა³⁶² შინა კორცთასა და ღაღადებდეს: კ უ რ თ ხ ე . . .

აკურთხევდითსა. მეუფეჲ ქრისტე, რომელი აიარეს მკნეთა მოწამეთა სატანჯველსა შინა კმითა მალლითა³⁶³, ყოველნი საქმენი . . .

[V] მოწყალემან ქრისტემან, რომელმან გუირგუინოსან ყვნა წმიდანი მოწამენი და მათ მიერ განიკურნეს უძრულებანი ჩუენნი, ყოველნი საქმენი . . .

სახიერმან ქრისტემან, რომელმან განამძრიელნა წმიდანი მოწამენი ძლეჲდ ღუაწლსა კეთილსა, ყოველნი საქმენი უგალო ბ დ ი თ . . .

სატანჯველსა დაუთმეს ღუაწლისა³⁶⁴ მძლეთა მოწამეთა და გალობად შენდა³⁶⁵ ყოვლითა გულითა არა დასცხრებოდეს, ღაღადებდეს და იტყოდეს: ყოველნი საქმენი . . .

სამებასა ღმერთსა ღირსად აღიღებდეს მკნენი მოწამენი წინაშე მძლავრთასა, კმითა მალლითა ღაღ..

აღიღებდითსა. მაღიღებელი საცსენებელისაჲ წმიდათა მოწამეთაჲ შენ ხარ, ქრისტე, და მათ მიერ აღმოაცენებ³⁶⁶ კურნებასა..

რომელნი კეთილად მსახურებით ქრისტეჲსთუის იწამნეს, ცათა შინა მოქალაქობენ და³⁶⁷ ქუეყანასა ზეღა ღირსად საცსენებელი მათი იდიღების.

362 გმრსა.

363 ამის შემდეგ სწერია ღ, რომლის დანიშნულება არ ჩანს.

364 ღწლწსა.

365 განმეორებულია.

366 აღმცნბ.

367 განმეორებულია.

[185 ე] რომელთა უყუარდა სახელი პატიოსანი, შენდამი იქადოდეს, უფალო, და საუკუნესა დიდსა დიდებისასა³⁶⁸ იხარებენ.

რომელმან მადლითა მრავლითა ღუაწლისა მძლენი შეამკვენ განკურნებად უძრულებათა ჩუენთა, მათითა მეოხებითა მშუიღობაად სოფელსა მოჰმადლე³⁶⁹, უფალო, და შეგუიწყალენ ჩუენ.

აქებლითსა. წმიდათა მოწამეთა ბრძოლასა ეშმაკათასა სძლეს, მიეწიფნეს სიმრავლესა ანგელოზთასა, აიღეს³⁷⁰ ჯუარი და შეუდგეს ქრისტესა. ქრისტეჲს მსახურნო ნეტრეულნო, მეოხ-გუეყვენიო სულთა ჩ...

რომელთა სუროდა სახელისათუის მა...

თანა-მკუიდრნო ქრისტეჲსნო...

ტადარსა თქუენსა, წმიდანო მო...

[V] რომელმან ადიდე ღმრთეებად...

ოხითაჲ, კმაჲ დ გუერდი. რომელი გალობაჲ ანუ ვითარი ქებაჲ გშუენის შენ? წმიდათა³⁷¹ მახუილსა მოუდრიკნეს ქედნი მათნი შენ-თუის, რომელმან მოსდრიკენ ცანი და გარდამოჰყედ.

დასთხინეს სისხლნი მათნი შენთუის, რომელმან დაიმდაბლე თავი თუისი და ხატი მონებისაჲ შეიძმოსე, დაგლახაკდეს მისიკუდილ-დმდე³⁷² გლახაკებისა შენისა მიმსგავსებითა; მათითა მეოხებითა, მრავლითა მოწყალებითა შენითა, ღმერთო, და³⁷³ შეგუიწყალენ ჩუენ.

სხუაჲ უოველი თევდორობასა ჰპოო.

თთუესა მაისსა 8-სა ჯუარის გამოჩინებაჲ

უფალო ღალატყავსა.

ჰპოენე თთუესა იანვარსა კთ-სა გალობათა.

თთუესა სვედენბერსა იღ-სა ჰპოენე.

აქებლითსა, კმაჲ ბ გუერდი. [186 ჭ] გაქებთ შენ, ქრისტე, რომელი იშვექ ქალწულისაგან.

გაქებთ შენ, ქრისტე, რომელი ჯუარს-ეცუ³⁷⁴ ზედა გოლგოთას ჩუენთუის, წარმოსტყუენე ჯოჯოხეთი, დასთრგუნე სიკუდილი, განანათლე სოფელი ჯუარიითა. თ ა ყ უ ა ნ ი ს - ვ ს ც ე მ თ . პ ა ტ ი ო ს ა ნ - ს ა ჯ უ ა რ ს ა .

ძელი ჯუარისა შენისაჲ, ქრისტე, რომელი დამალულ იყო ჰურიათაგან, ცათა შინა იხილვებოდა და ქუეყანასა ზედა იდიდებოდა,

³⁶⁸ ღ უ ა ს ა ღ მ ბ ს ა (დიდსა დიდებასა?).

³⁶⁹ ამ სიტყუას მოსდეს და, რომელიც ზედმეტი ჩანს.

³⁷⁰ აოეს.

³⁷¹ წ რ ჲ .

³⁷² ამის შემდეგ სწერია ს, რომლის დანიშნულება არ ჩანს (შეიძლება პირველად უნდა დაეწერა **სივლახაკისა**, მაგრამ შემდეგ გადაასწორა **გლახაკებისა**).

³⁷³ ეს და აქ უაღვილოა.

³⁷⁴ კ რ ს ა .

მეფისა თუალთა წინაშე გამოჩნდა³⁷⁵, მოსცა ძლევად. თ ა ყ უ ა ნ ი ს -
ვ ს ც ე მ თ ი გ ი ვ ე :

აივსო სიხარულითა და სულითა წმიდითა [V] ღმრთის მოყუა-
რეა იგი მეფეა, რაჟამს გამოუჩნდა მას ზეცით სასწაული წინაშე
ღუაწლსა ბრძოლისასა³⁷⁶.

აივსო სიხარულითა და სულითა წმიდითა ღმრთის მსახური იგი
ელენე დედოფალი, ისწრაფა ძიებად ჯუარისაჲ, რომელსა ზედა
ჯუარს-გაცუეს შენ, ძმ ღმრთისაჲ, იერუსალემს³⁷⁷, ხოლო შენ ასდგებ
მკდრეთით მესამესა დღესა. თ ა ყ უ ა ნ ი ს - ვ ს ც ე მ თ ა დ გ ო მ ა -
ს ა შ . . .

ჯუარი განმარტებული ნათლითა ბრწყინვალითა, რომელი გა-
მოჩნდა ზედა გოლგოთას, ბრწყინვალე იყო მიმთამდე ზეთის ხილთა,
უბრწყინვალეს მზის თუალისა; [187 ჭ] იხილეს მყოფთა იერუსა-
ლემისათა, თაყუანის-სცეს პატიოსანსა ჯუარსა...

გაქებთ შენ, ქრისტე, რომელი ასდგებ მკდრეთით მესამესა დღესა,
განანათლე სოფელი ადგომითა შენითა და განახუენ სამოთხისა ბჭენი
პატიოსნითა ჯუარითა.

ჯუარი შენი, ქრისტე, ექმნა საჭურველ და გუირგუინ მორ-
წმუნეთა შენთა, მით სძლეს ძალსა მტერისასა და დაკსნეს საცთური
კერპთაჲ, ძალითა ჯუარისაჲთა შეიჭურნეს. მათითა ოხითა, უფალო,
შეგუიწყალენ და გუაცხოვნენ ჩუენ.

ოხითაჲ, კმაჲ დ გუერდი. ღმრთის მსახურსა მეფესა მირუღე-
ბულსა [V] თუალთა წინაშე მარტოდ ეჩუენა სახეჲ ჯუარისაჲ, ხოლო
აქა წმიდასა ქალაქსა განცხადებულად ყოველსა სიმრავლესა ერისასა
გამოუბრწყინდა ნათლითა შემკული პატიოსანი ჯუარი. რომელთა
იხილეს და რწმენა, თაყუანის-სცეს და დიდებასა მისცემდეს, დაღა-
დებდეს და იტყოდეს: ს ა კ უ ი რ ვ ე ლ თ მ ო ქ მ ე ღ ო ღ მ ე რ თ ო ,
დი დ ე ბ ა ჲ შ ე ნ დ ა .

ფსალმუნი. ყავ ჩუენ თანა...

დასადებელი. რამეთუ შენ უფალი შემეწიე³⁷⁸ მე...

ალელუიაჲ, კმაჲ ა. მოიცალეთ და გულ...

კეურთა ბანისაჲ, კმაჲ დ გუერდი. უთხრეს ცათა დი...

სიწმიდისაჲ. ერნი ვარემოდს³⁷⁹ დგანან საყდართა შენთა უხილაე-
თა და თუალთ-შეუდგამთა, რომელნი დაუცხრომელითა [188 ჭ] კმი-
თა გაქებენ და იტყუიან: წმიდა არს საყდარი კურთხევისაჲ, წმიდა
არს საყდარი დიდებისაჲ, წმიდა არს საყდარი ამაღლებული. ს ა მ ე -
ბ ა ო წ მ ი დ ა ო , დ ი დ ე ბ ა ჲ შ ე ნ დ ა .

375 ან: მეფესა თუალთა წინაშე გამოუჩნდა.

376 მბრძოლსა.

377 სრულადაა დაწერილი.

378 ურე.

379 გრძს.

აღსაბითგან³⁸⁰ მე-3 სუთშაბათსა
ამაღლებად

უფალო დაღატყავსა, კმაი დ. მწუხრისა მსხუერპლსა შევსწი-
რავთ შენდამი, ქრისტე, რომელი ამალღდი ზეცას კორცითა ცხორე-
ბად სულთა ჩუენთათუის.

რამეთუ შენდამი, უფალო ღმერთო, თუალნი ჩუენნი³⁸¹ შენ გეს-
ვენ, სულითა წმიდითა დამამტკიცენ შენდა სასუფეველსა შენსა, ღირ-
სად გამოგუარჩიენ, ვითარცა მხოლოდ მრავალ-მოწყალე ხარ.

[V] შენდამი მღალადებელთა და დაბადებულთაგან, ქრისტე
ღმერთო, ნუ გარე-მიიქცევ პირსა შენსა, არამედ, ვითარცა სახიერ
ხარ და კაცთ მოყუარე, ღირს-მყვენ ჩუენ სასუფეველსა შენსა.

სხუანი. მწუხრისა მსხუერპლსა შევსწირავთ შენდამი, უფალო,
რომელი აჰმალღდი ზეცას კორცითა და კუალად მოსლვად ხარ დი-
დებითა ღმრთეებისათა. მეუფეო დიდებისაო, შეიწირე ქებაცა
ჩუენი და შეგუიწყალენ ჩუენ.

კრებული ანგელოზთაჲ, გზედვიდა რაჲ უხილავსა მეუფესა აღმა-
ვალსა ზეცად, და სინარულით გიღალადებდეს ზეცისა ძალნი და იტ-
ყოღეს: განახუენთ ბჭენი თქუენნი, მთავარნო, და განეზუნენ ბჭენი
საუკუნენი და შევიდეს მეუფე დიდებისაჲ, რომელი არს პირველ
საუკუნეთა [189 ე] ღმერთი, რამეთუ ამან ჯუარითა ჯოჯოხეთი წარ-
მოტყუენ³⁸² და მორწმუნეთა მონიჭა ცხორებაჲ საუკუნოჲ.

სხუანი. აჰმალღდი ზეცად, ვინაჲცა...

ვითარცა ამალღდა უფალი ჩუენი ზეცად, ამა...

უგალობითსა, კმაი დ. რომელმან აღმომიყვანა ჩუენ ბჭეთაგან
სიკუდილისათა, უგალობთ ქრისტესა, რამეთუ დი... უ...

ამალღებასა ზეცად წინაშე მოწაფეთა უგალობთ, ქრისტე...

მეოხებითა წმიდათა მოციქულთა შენთათა, მაცხოვარ, ღირს-
მყვენ ჩუენ გალობად შენდა, ვითარცა სახიერ ხარ და კაცთ მოყუარე.

მოიხილესა. მიეცით, ერნო, დიდებაჲ ქრისტესა ღმერთსა ჩუენ-
სა, რომელი ამალღდა კორცითა დიდებით ზეცად.

დაგუიცივენ ჩუენ, ქრისტე, შენნი მოსაენი და სასუფეველსა შენსა
ღირსად გამოგუარჩიენ.

მართალ და წმიდა არს უფალი ღმერთი ჩუენი, რომელი ამალღ-
და დიდებით ზეცად და აღავსო სოფელი, გალობითა...

დიდებაჲ შენდა, დიდებაჲ შენდა, მეუფეო დიდებისაო, რომელმან
გამოგუიჩინე ჩუენ შენი ჭეშმარიტად კორცთა შეერთებაჲ. დიდებაჲ
შენდა, ღმერთო.

[V] **განძრიელდითსა.** უფლისა მიერ ღმრთისა ჩემისა განძრი-
ელდა³⁸³ გული ჩემი, რამეთუ ამალღებითა მისითა სასუფევილსა
ღირს-ვიქმნენით.

380 ასეა

381 მ. მ. მ.

382 წ. მ. მ. მ.

მკლომი ჩუენი მტერი ჯუარითა, ქრისტე, დასთრგუნე და ამაღლებითა შენითა სოფელი განანათლე.

მოციქულნი, ქრისტე, შენითა ამაღლებითა განამტკიცენ განათლებად ყოველთა კიდეთა ღმრთის მეცნიერებითა³⁸⁴, კაცთ მოყუარე.

უფალო მესმასა. მესმა სმენაჲ შენი, უფალო, რამეთუ ამაღლდი³⁸⁵ ზეცად³⁸⁶ და ვადიდებთ ძალსა შენსა.

ანგელოზისა მიერ განამტკიცენ მოციქულნი შენნი, უფალო, შენსა ამაღლებასა მოსლვითა ძალისა შენისაჲთა.

განგუინათლენ³⁸⁷ მოციქულნი შენითა ამაღლებითა, უფალო, განგუანათლენ ჩუენცა მადლითა ძალისა შენისაჲთა.

ღამითგანსა. რომელმან გამოუბრწყინე ნათელი შენითა ამაღლებითა სოფელსა, მაცხოვარ, აცხოვენ სულნი ჩუენნი, ი ე ს უ ძ ე ო ღ მ რ თ ი ს ა ო.

რომელმან აუწყე, ქრისტე, შენი საფლავი³⁸⁸ წმიდათა მოციქულთა, დიდებით ამაღლდი, ი ე ს უ ძ ე ო ღ მ რ თ ი ს ა ო.

[190 ე] რომელმან აუთქ³⁸⁹ სული წმიდაჲ და ახარე მოციქულთა, დიდებით ამაღლდი, ი ე ს უ ძ ე ო ღ მ რ თ ი ს ა ო.

ღალატყავსა. სირღმესა ცოდვათა...

რომელი ამაღლდი კორციითა და მორწმუნენი განათავისუფლენ, მეოხებითა წმიდათა მოციქულთა შენთაჲთა მშუიდობაჲ სოფელსა მონანჭე, უფალო, და გუაცხოვენ ჩუენ.

კურთხეულ არსსა. რომელი მთასა ზედა მოწაფეთა თანა ზრახვიდი და კორციითა ზეცას ამაღლდი, კ უ რ თ ხ ე . . .

რომელმან მოციქულნი განანათლენ შენითა ზეცად აღსლვითა, კ უ რ თ ხ ე უ ლ ხ ა რ.

მეოხებითა წმიდათა მოციქულთაჲთა მშუიდობაჲ მოიც მაქიბელთა შენთა, უფალო ღმერთო მამათა [ჩუენთაო], სამებასა თაყუანის...

აკურთხევდითსა. მეუფეჲ ქრისტე, რომელსა კელ-დებად ვერ შეუძლეს საღმობათა სიკუდილისათა, არამედ მის თანა საფლავთაგან აღადგინა მკუდარნი ყოველნი ს...

ამაღლებასა ქრისტესსა, რომელსა თაყუანის-სცეს წმიდათა მოციქულთა კმითა მადლითა, ღალადებით იტყოდეს: ყ ო ვ ე ლ ნ ი ს ა ქ მ ე ნ ი უ გ ა . . .

მეუფეჲ ქრისტე, რომელი მეუფე არს უკუნისამდე და კაცთათუის [V] სამებაჲ ღმერთი...

ადიდებდითსა. შენ ნათლი³⁹⁰...

384 მკნრბსთა.

385 ასეა.

386 ზრკთ.

387 გზწნთლნ.

388 სფლო.

389 ასეა.

390 ამას მოსდევს სტრიქონი შემდეგი ასოებით: ქ ე შ რ გ კ რ ც ე ლ ი შ ვ ა ლ თ ხ, რომელთა შეიძლება ასე წაეკითხოთ ქრისტე შენგან განკორციელდა, იოჰა, ღმრთის (მშობელი).

ძალმან ჯუარისა შენისამან, ქრისტე, სიკუდილი დათრგუნა. ამაღლებასა შენსა, უფალო, ვადიდებთ.

მესამესა დღესა ასდგე მკუდრეთით, ამაღლდი ზეცად...

რომელი მამისა და სულისა წმიდისა თანა იდიდები დაუცხრო-მელად, შენ ქრისტე, ვადიდებთ.

აქებდითსა. მთასა ზეთის ხილთასა ამაღლებულსა დღეს ქრისტესა მეუფესა ვაქებთ, რამეთუ ყოველი სოფელი აცხოვნა.

რომელმან მოციქულნი განანათლენ აღთქმითა ნუგეშინის-(კემისა)თა, დიდებით ამაღლდი, მაცხოვარო სოფლისაო, გაქებთ და გაკურთხევთ შენ.

კრებულ არიან ანგელოზნი ყოველნი ზეცასა, უხარის დღეს, იშუებს ყოველი დაბადებული ამაღლებისათუის ზეცად მაცხოვრისა უფლისა, რამეთუ ყოველი საცთური კერპთა დაჯსნა და აწ ქრისტე სუფივს უკუნისამდე.

რომელი მამისა და სულისა წმიდისა თანა იდიდების³⁹¹ ძმ³⁹² მაღალთა შინა ქერობინთა მიერ, პირველ შექმნულისა მის კუალად განახლება განიზრახა, თავადი გარდამოიცვალა გამოუთქმელად შენდა საშოდ, ღმრთისმშობელო ყოვლად ქებულო, და შენგან რომელი გამობრწყინდა, [191 ე] განანათლა³⁹³ ყოველი სოფელი, ღმრთეებით იქსნა კერპთაგან საცთურისათა და მისგან განღმრთებულნი ზეცას აღიყვანნა კაცობრივნი ქრისტემან ღმერთმან, მაცხოვარმან სულთა ჩუენთამან.

ოხითაჲ, კმაჲ ა. ყოველივე საიდუმლოჲ შენისა განგებულებისაჲ აჩუენე ცხორებად ნათესავსა კაცთასა პირველად, რამეთუ იშეგ ქალწულისაგან და დამნერგენ ჩუენ მაღლითა შენითა, წყალთაგან ნათელიღე და განგუწმიდენ ჩუენ ცოდვათაგან. ჯუარსა დაემსჭურაღე და განგუთავის [V] უფლენ ჩუენ წყევისაგან, საფლაავით გამოხუეიდ და განმახლენ მოკუდავინი უკუდავებად, ამაღლდი დიდებითა და მყვიენ ჩუენ ქუეყანისანი ზეცისად დიდითა წყალობითა შენითა. ღ მ ე რ თ ო , დ ი დ ე ბ ა დ ა შე ნ დ ა .

ფსალმუნი³⁹⁴. ამაღლდა ღმერთი და...

დახადებელი, კმაჲ ა.³⁹⁵ სუფივს ღმერთი წარ...

აღელუიჲ, კმაჲ ა. უფლისაჲ არს ქუეყანაჲ...

კელთა ბანისაჲ, კმაჲ ბ. გუერდი. [192 ჭ] დღეს ზეცისა ძალთა კაცობრივი ბუნებაჲ რაჲ იხილეს ზეცად აღმავალი³⁹⁶, დაუკურდებოდა უცხო-სახეჲ იგი აღსლვაჲ, შეძრწუნებულნი ურთიერთას იტყოდეს: ვინ არს ესე, რომელი აღმოვალს? ზედვიდეს რაჲ ყოველთა უფალსა, რამეთუ ბჭენი ცათანი³⁹⁷ განგეხუმოდეს ბრძანებით და შენ მჯდომარეჲ მარჯუენით მამისა თანა, რომელი მერმე კუალად კორ-

391 ილუბი.

392 ძს მკუდრი აქლია და ჩ-თ იქითხება.

393 ეს ფრანკული ზელომუნესტია, რომლის პირვანდელი ტექსტი ბერძნულია.

394 ფსალმონი.

395 ძმ ა მწერალი ამაღე.

396 ამბოვავალი.

397 ანდონი.

ციელად მოსლვად ხარ მსაჯული ყოველთაჲ და ღმერთი მაცხოვარა სულთა ჩუენთაჲ.

სიწმიდისაჲ, კმაჲ ბ გუერდი. საშინელისა და უხილავისა მეუფისა ეკლესიასა შინა მსხუერჰლსა შევსწირავ(თ), [V] რომლისათუისცა ძალნი ცათანი შეძრწუნდენ³⁹⁸... ზეციხა უკორცონი მსახურებენ მას, სერაბინნი და ქერაბინნი დაუცხრომელად იტყუიან: წ მი ი და ხ არ, წ მი ი და ხ არ, წ მი ი და ხ არ, შე ნ უ ფ ა ლ ო, დ ი დ ე ბ ა ე შე ნ დ ა.

მასჲე შაბათისა

სილოვანს ³⁹⁹ ყრმისა განაჲურნებაჲ

ფსალმუნი. რამეთუ შენგან არს წყაროჲ...

დასადებელი. მოჰფინე წყალო...

ალელუიაჲ. უფალი ნათელ ჩემდა და მაცხოვარ...

კელთა ბანისაჲ, კმაჲ დ. ნათელო სოფლისაო ქრისტე ღმერთო ჩუენო, საკუირველებაჲ მოწყალებათა შენთაჲ არა თუ შობითგან ყრმისა⁴⁰⁰ მის იქმნა ცხორება, [193 ჳ] არამედ ჩუენ ყოველთა მო[რწმუნეთა⁴⁰¹, საცნაურნი იგი მისმი თუაღნი წყლითა მით სილოვანისითა აუხილნა, ზოლო შინაგანნი მისნი განანათლნა ნათლითა ღმრთეებისა შენისაჲთა, ავიარა შენ და ცხოვნდა. მის თანა ჩუენცა გევედრებით: გამოაბრწყინე გულთა ჩუენთა ნათელი შენი ჳეშმარიტი, რაჲთა გმონებდეთ შენ შიშით და ვადიდებდეთ წმიდასა სახელსა შენსა, ვითარცა კაცთ მოყუარე ხარ.

სიწმიდისაჲ. ჯუარმან შენმან, ქრისტე, განანათლნა ცის კიდენი...

მე-ზ-სა კუირაჲსა

მარტულითაჲ

უფალო დაღატყავსა, კმაჲ ა. მამასა და ძესა უგალობთ...

რომელმან სულისა წმიდისა (მიერ?) განუყვენ ენანი მოციქულთა და მოიყვანენ...

[V] [.] ცნობისასა. ვლალადებთ შენდამი, უფალო: რომელმან განანათლე ყოველი სოფელი⁴⁰², [შე]ნი მშუილობაჲ⁴⁰³ მომეც ჩუენ, ქრისტე, ძეო ღმრთისაო, ვითარცა მოწაფეთა შენთა მიეც სულისა წმიდისა⁴⁰⁴ მიერ, და შეგუიწყალენ, ვითარცა კაცთ მოყუარე ხარ.

398 ამ სიტყვას მოსდევს შდრის (ქარაგმით), რომლის მნიშვნელობა ნაილელი არაა.

399 ასეა.

400 ყრმისაჲ.

401 ამ ფურცელს ზედა მარჯვენა კიდე მოხუელი აქვს.

402 ამას მოსდევს ნი (შენი?).

403 გურბა.

404 წრსა.

მშუილობასა ჩემსა მიგცემ თქუენ, მშუილობასა და მადლსა და-
გიტევებ თქუენ. არა ვითარ სოფელმან მოსცის მშუილობაჲ, მე მიგ-
ცემ თქუენ, არა დაგიტევენ თქუენ ობლად. მოვიდე თქუენდა, რამეთუ
მე მამისა თანა და თქუენ ჩემ თანა და მე თქუენ შორის.

ფსალმუნი. სული შენი სახიერი მიძ...

ღასადებელი. უფალო, შემასმენელო⁴⁰⁵ ც...

უგალობდითსა, ფარაო ე...

ვითარცა აუთქ⁴⁰⁶, უფალო, მოციქულთა, სული წმიდაჲ მოუვლი-
ნე, მაცხოვარ. ღაღადებდეს და იტყოდეს: უ...

[194 ე] სულმან წმიდამან მოციქულნი აღავსნა ღღეს ციციხლი-
სა ენითა, სიტყუაჲ ასწავა: უგალობთ უფალსა, რამეთუ დი...

მოიხილესა. მოიხილე ცაო და უგა...

დაგუიცივენ შენნი მოსაგნი და სულითა⁴⁰⁷ წმიდითა განგუწმიდენ,
ქრისტე ღმერთო.

მართალ და წმიდა არს უფალი, რომელმან წმიდანი მოციქულნი
განანათლნა სულითა.

იხილეთ, იხილეთ უფალი ღმერთი ჩუენი, რომელმან წმიდანი
მოციქულნი სრულ-ყვნა სულითა წმიდითა და წარავლინნა კაცთა
მიმართ ქადაგებად სინანულისა.

დიდებაჲ შენდა, დიდებაჲ შენდა, მეუფეო დიდებისაო, რომელ-
მან გამოუბრწყინე დიდებულთა მოციქულთა საჯსკენებელი მიციმითა
სულისა წმიდისაჲთა, ქრისტე ღმერთო ჩუენო.

განმაძირელდითსა. განმაძირილე, ქრისტე, რომელმან მოციქულ-
თა მოუვლინე ზეცით სული წმიდაჲ და მივსნენ ჩუენ, მრავალ-მო-
წყალე.

[V] სიხარულითა აღივსნეს, ქრისტე, შენნი მოციქულნი და
განანათლენ გამოუთქმელითა ღმრთეებისა შენისა სულითა ქადაგი-
ბად სამებისა ღმრთეებისა.

ღღეს ცეცხლისა ენათა იტყოდეს მოციქულნი: რომელი ყოველ-
თა ესმოდა ურთიერთას სიტყუაჲ, დაუკუირდებოდა საიდუმლოჲ იგი.

უფალო მესმასა. აღვსებულნი მოციქულნი შენნი, ქვილის მოქ-
მედ, სულითა წმიდითა გიგალობდეს შენ: დ ი დ ე ბ ა ე შე ნ დ ა
ნ ა თ ღ ი ს ა მ ო მ ც ე მ ე ლ ს ა უ ფ ა ლ ს ა .

ღღეს მოციქულთა ესმოდა რაჲ ოხრაჲ საშინელი სულისა მიერ,
განათლდეს და ვითარცა ცეცხლსა ზრახვიდეს.

სიხარულითა სრულითა აღივსნეს, ქრისტე, შენნი მოციქულნი
მოდებითა სულისა წმიდისაჲთა და სამებასა აღიღებდეს.

მეოხებითა მოციქულთაჲთა გევედრებით შენ, ქრისტე მაცხო-
ვარ, შენდობაჲ ცოდვათაჲ მოგუანიჭე შენთა მგალობელთა, მხოლოო
მრავალ-მოწყალეო უ...

[195 ე] **ღამითგანსა.** ღამითგან ავიმსთობ...

უფალო, რომელმან განანათლენ დღეს შენნი მორწმუნენი სულითა წმიდითა განმამტკიცებელად ყოველთა კიდეთა...

ნათელი გამოუბრწყინდა ჩუენ ცხორებისაჲ — სული წმიდაჲ, რამეთუ ამით განსწმედ შენთა მორწმუნეთა და ყოველნი გიგალობთ; შენ, რომელი კორციელ ჩუენთუის...

დღეს გამოუბრწყინდა ნათელი მოციქულთა შეხთა, უფალო ღმერთო ჩუენო, მიცემითა სულისა წმიდისაჲთა და მასწავის ჩუენ ქებაჲ შენი თანა მამით და სულით წმიდითურთ.

ღალატყავსა, [კმაჲ] ა გუერდი. ვღალატყავ ჭირ...

დღეს ცეცხლისა ენათა ზრახვიდეს მოციქულნი სულისა წმიდისა მიერ და განანათლეს სოფელი.

დღეს მონიჭა მოციქულთა სული წმიდაჲ მსგავსად აღთქმისა და უქადაგეს სოფელსა სამებისა ერთარსებაჲ.

კურთხეულ არსსა, კმაჲ ა. რომელი მაყლოანსა შ...

[V] რომელმან მოუვლინე, ქრისტე, წმიდათა მოციქულთა სული წმიდაჲ შენი განმანათლებელად⁴⁰⁸ სოფლისა, კ უ რ თ ხ ე უ ლ ხ ა რ.

დღეს მოციქულთა გამოუბრწყინდა სული წმიდაჲ და კაცთა სამებისა წმიდისა სარწმუნოებაჲ ასწივეს. კ უ რ თ ხ ე უ ლ . . .

ცეცხლისა ენათა ზრახვიდეს მოციქულნი, ესმოდა რაჲ მორწმუნეთა, დიდების-მეტყუელებით ღალადებდეს და იტყოდეს: კ უ რ თ ხ ე უ ლ ხ ა რ . . .

ყოველნი მამა...

აკურთხევდითსა. გალო...

იხარებდეს მოციქულნი გამობრწყინებითა ყოვლად წმიდისა სულისა შენისაჲთა, უფალო, და გალობით იტყოდეს: ა კ . . .

მუკლთა უღმრთოთასა, არამედ ტაძარსა შინა ყოვლად წმიდასა სულიერებრითა კმითა შემსგავსებულად უგალობდეთ, ვღალადებდეთ ქრისტესს ღმრთისა მიმართ მშუილობაჲ სოფელსა გარდამოვლინებად და სულთა ჩუენთათუის დიდი წყალობაჲ.

[V] **ფსალმუნი.** ყოველი ქუეყანაჲ თაყუა... ვიდრე: უფროჲს ძეთა კაცთასა...

დასადებელი. ღალადებდით ღმრთისა...

უგალობდითსა. დღესა სატფურებისასა დღესასწაულსა მორწმუნენი უგალობთ მკსნელსა ყოველთასა, ვაქებთ და ვა...

სატფურებისა კრებასა აღმასრულებელნი სარწმუნოებით ვდღესასწაულობდეთ, ყოველთა მკსნელსა ვაქებდეთ და ვიტყოდით: უგალობდით უფალსა, რამეთუ დი...

ტაძარსა შენსა დღეს მდგომარენი გიგალობთ შენ, ქრისტე ღმერთო ჩუენო, მოგუმადლე სულთა ჩუენთა მოტეეებაჲ ცოდვათაჲ მეოხებითა მშობელისა შენისაჲთა.

სხუანი. უგალობდით ღმერთსა დამბადებელსა, რომელმან მოაკლინა ძმ თუისი მკსნელად სოფლისა და ამისგან გამოჩნდეს წმიდანი მოციქულნი, [238 ჭ] რომელთა მიერ დაემტკიცა წმიდაჲ ეკლესიაჲ მართლმადიდებლობით სიქადულად. უგალობდით უფალსა, რამეთუ დი...

შესაკრებელსა ბევრის ბევრეულთასა ღირს-ვიქმნენით გალობად და თაყუანის-ცემად, რომელნი დაუცხრომელითა კმითა ვღალადებდეთ და ვიტყუით: უგალობ...

მოიხილესა. მოიხილე ცა...

დიდებჲაჲ შენდა, დიდებჲაჲ შენდა, მეუფეო დიდებისაო, რომელ- [მან] სრულ-ჰყვენ წმიდანი მოციქულნი სულითა წმიდითა და მათ მიერ შეამკვე სარწმუნოებითა.

სხუანი. მოიხილე, უფალო, წყალობითა შენითა და დაამტკიცე ეკლესიაჲ შენი, რომელი აღაშენე მადლითა მოციქულთა შენთაჲთა, რომელსა შინა მორწმუნენი [V] გიგალობთ მაცხოვარსა სულთა ჩუენთასა.

სარწმუნოებით აღვასრულებთ დღესასწაულსა ამას სატფურებისასა, რომელსა შინა გიგალობთ შენ შიშით მაცხოვარსა სულთა ჩუენთასა⁵⁰³.

მართალ და წმიდა ხარ, უფალო, რომელმან დაამტკიცე ეკლესიაჲ შენი ძალითა შენითა უკრწნელად⁵⁰⁴ და მიეც მას შინა მადლი მორწმუნეთა მაცხოვარმან სულთა ჩუენთამან.

განძრიელდითსა. განძრიელე, უფალო, ეკ...

დაამტკიცე, უფალო, ეკლესიაჲ შენი სარწმუნოებითა ვითარცა კლდეჲ, მიჰმადლებ⁵⁰⁵, რომელთა ჰრწამს, შენდობასა ცოდვათასა...

503 ჩრმსასა.

504 ასეა (ჩვეულებრივ ეს სიტყვა ამ ძეგლში ხანით იწერება).

505 სჯლანწყარში თითქო არის: დიჰმადლებ.

გამოუჩინე, უფალო, სატფურებისა დღეე მორწმუნეთა სიხარულად, რომელსა შინა ყოველნი ერთობით გიგალობთ ქველის მოქმედსა უფალსა.

სხუანი. რამეთუ ბერწსა მას [239 ე] ესხნეს შვიდ შვილ და წარემართა ეკლესიასა და შვილ-მრავალი იგი მოუძრულდა — შესაკრებელი ჰურიათაჲ. საკურიველთ მოქმედსა...

ბოლო ქუმოსა პპო.

ჟამსა მას, რომელსა მოწყდებოდა ისრაელი, მაშინ უშეინა საკურთხეველი დავით უფალსა, რაჲთამცა დააცხრვო რისხვად იგი, ხოლო ქრისტემან ღმერთმან ჩუენმან აღმართა საკურთხეველი, რომელსა ზედა შეიწირვის უსისხლოჲ მსხუერპლი. საკურიველთ მოქმედსა ღმერთსა ჩუენსა ყოველნი უგალობთ: წმიდა ხარ შენ, უფალო, გუაცხოვნენ ჩუენ.

განაგდო მისგან კარავი სოლომონისი, კარავი, რომელ დაკუი-დრებულ იყო შორის კაცთა, შეიყუარა წმიდაჲ ეკლესიაჲ ქრისტემან ღმერთმან ჩუენმან, რომელსა შინა სულმან წმიდამან დაიმკუიდრა უკუნისამდე.

უფალო მესმასა. გამობრწყინდა მაღლი შენი ტაძარსა შინა და ყოველნი შემოკრებულნი გიგალობთ შენ: შენი მშუილობაჲ მომეც ჩუენ, ქრისტე ღმერთო ჩუენო.

ტაძარი სალოცველად ჩუენდა განსწმიდე, რომელსა შინა ვედრებაჲ [V] შენდა შევსწირავთ. უფალო ღმერთო ჩუენო, აცხოვნენ სულნი ჩუენნი.

განსწმიდე ეკლესიაჲ შენი, ქრისტე მაცხოვარ, სისხლითა შენითა წმიდითა, ვითარცა კაცთ მოყუარე ხარ და სუფეგ მას შინა და აცხოვნებ მორწმუნეთა შენთა.

სხუანი. შორის ორთა მათ ცხოველთასა საცნაურ იქმენ ტაძარსა მას შინა და ქუაბ ავაზაკთა უწოდე. ამისთუისცა განსწმიდე ეკლესიაჲ შენი და უწოდე სახლად მამისა თუისისა, რომელსა შინა თაყუანის-ვსცემთ, ვლალადებთ და ვიტყუით: დიდებაჲ რომელსა შინა...

ჟამსა მას სატფურებისასა ზამთარი იყო დიდისა მის ურწმუნოებისაჲ, რომლისა ვენაჯისაგან გამონაღები არა იპოვა, ხოლო ჩუენ დანერგულნი სარწმუნოებითა ეკლესიასა შინა ვლალადებთ და ვიტყუით: დიდებაჲ, რომელ...

ღამითგანსა. ღამითგან ავიმსობთ, შენდა დიდებასა შევსწირავთ, უფალო ღმერთო ჩუენო, შენი მშუილობაჲ მომეც ჩუენ [240 ე] დღესა სატფურებისასა და აცხოვნენ სულნი ჩუენნი.

ნათელი გამოგუიბრწყინდა ჩუენ ცხორებისაჲ ტაძარსა შენსა, უფალო, რამეთუ ამით განსწმიდ შენთა მორწმუნეთა და ყოველნი გიგალობთ შენ, კაცო მოყუარე მაცხოვარო ჩუენო.

ტაძარსა შენსა მოსრულნი, უფალო, შევსწირავთ შენდა ველ-

რებასა, კაცთ მოყუარე მაცხოვარო⁵⁰⁶ ჩუენო, აცხოვნენ სულნი ჩუენნი, მრავალ-მოწყალე.

სხუანი. სატფურებასა აღვასრულებთ და რომელი-იგი რჩული მოსემს მიერ...

ხოლო აწ უფრომსად და უმეტემს აღვასრულებთ სატფურებასა ეკლესიასა შინა, ვღაღადებთ და ვიტყუით: რამეთუ ნათელი ხარ შენ, რომელმან დაჰბადე ნათელი.

განახლებოდეთ ჭალაკნი ღმრთისა მიმართ, ვითარცა თქუა ესაია, ამას განმზადებულ ვართ და სარწმუნოებაჲ შეგუემოსიეს ქრისტემს მიმართ. ამისთუისცა მოწვეწულსა ამას სატფურებასა ვდღესასწაულობთ და გლობით ვიტყუით: რამეთუ ნათელი ხარ შენ, რომელმან დაჰბადე ნათელი.

[V] **ღაღატყავსა, კმაჲ ა გუერდი.** ვღაღატყავ ჭირ...

ყოვლად დიდებულად გამოჩნდა ტაძარი შენი, უფალო, რომელსა შინა შენ დიდებით გიგალობთ კაცთ მოყუარესა ღმერთსა.

დღესა სატფურებისასა ერი შენი, უფალო, სარწმუნოებით დღესასწაულობს და იხარებს და გადიდებს მხოლოსა ქველის მოქმედსა უფალსა.

სხუანი. დღეს დაგლაზაკენს საყოფელნი კერბთანი და უმეტემსად აღეშემა⁵⁰⁷ წმიდაჲ ეკლესიაჲ, რომელსა შინა გიგალობთ კაცთ მოყუარესა უფალსა.

დღეს იხარებენ ყოველნი მორწმუნენი და გუერგუინოსან იქმნების წმიდაჲ ეკლესიაჲ, რამეთუ სულმან წმიდამან მას შინა დაიმკუიდრა.

დღეს მოენიჭა მადლი ეკლესიათა და სიხარული მორწმუნეთა, რამეთუ ანგელოზთა თანა მოსავ იქმნენს და სამებასა წმიდასა უგალობდეს.

კურთხეულ არსსა, კმაჲ ა. ტაძარსა შინა გიგალობთ შენ, უფალო ღმერთო მამათა ჩუენ...

ეკლესიასა შინა გაკურთხევთ შენ, უფალო ღმერთო...

[241 ჭ] სატფურებისა აღმსრულებელნი მორწმუნენი გადიდებთ შენ, ღმერთო მ...

სხუანი. მოვედით, სარწმუნოებისა მკუიდრნო ერნო, ძე[სა] მამისა თანა ვაკურთხევდეთ, რომელმან დღეს მორწმუნენი ტაძარსა შინა მისსა ღირს-გუყვნა მადლობად მისა და თქუად: რომელი ხარ ჰირველ საუკუნეთა ღმერთი, კურთხეულ ხარ.

ტაძარსა შენსა დღეს მდგომარენი გიგალობთ შენ, რომელი და-ამტკიცე შესავედრებელად სულთა და ჯორცთა, რომელნი სატფურები[სა] კრებასა გადიდებთ და მადლობით ვღაღადებთ და ვიტყუით: რომელი... იგივე.

⁵⁰⁶ ა.ე.
⁵⁰⁷ ა.ე.

[V] **სხუანი.** სიზარულით ვდღესასწაულობდეთ ტაძარსა შენსა ყოვლად წმიდასა, გალობით შევასხმიდეთ შემოქმედსა ყოველთა მომცემელსა ცხორებისასა, რომელმან შეამკო ეკლესია დიდებითა და აღავსო იგი მადლითა სულისა წმიდისადათა და მას შინა გამოაჩინა წმიდანი მოციქულნი, რომელნი დაუცხრომელითა კმითა ღაღადებენ და იტყუიან: რომელი ყოველთა მთავრობათა ზედა უფალ ხარ, კურთხეულ ხარ.

მოსე აღმართა კარავი და მას შინა განწმიდა ეზოჲ იგი, ხოლო ქრისტემან მაცხოვარმან ჩუენმან თუისითა სისხლითა განწმიდა ეკლესიაჲ და მას შინა გამოაჩინა წმიდანი მოციქულნი, რომელი დაუცხრო... იგი ვე.

[242 ჭ] **აკურთხევითსა.** გალობასა შენდა შევსწირავთ ანგელოზთასა, ტაძარსა შინა ყოვლად წმიდასა აგ...

შენ, ქრისტე, გაკურთხევთ, ვითარცა მოწყალე ხარ, ტაძარსა შინა ყოვლად წმიდასა აგამად...

სატფურებასა ვდღესასწაულობთ საიდუმლოჲსა შენისა საკურთხეველისასა, აგ...

სხუანი. რომელი გარდამოკდა ზეცით, ჯუარსა დაემსჭულა, ადგომითა მისითა ეკლესიანი გურიგუინოსან ყვნა, უფალსა უგა...

რომელმან დაამტკიცა ეკლესიაჲ ზედა კლდესა სარწმუნოებისასა, შეზღუდა იგი საჭურველითა ჯუარის...

რომელმან ყოვლად წმიდაჲ ტაძარი სალოცველად ჩუენ მოგუანიტე, რომელსა შინა სულმან წმიდამან დაიმკუიდრა, უფალსა...

რომელმან მადლი ზეცისაჲ ტაძარსა თუისსა გარდამოუკლინა განსანათლებელად მორწმუნეთა, უფალსა უგალობთ და უფროესად...

[V] სამთა მათ⁵⁰⁸ ყრმა...

ადიდებდითსა. შენ ყოვლად ქებულო უბიწო...

შენ, რომელი იქებთ ცათა შინა ანგელოზთაგან და ეკლესიასა შინა ღმერთი, მხოლოსა ყოველთა უფალსა გალობით გადიდებთ⁵⁰⁹.

შენ, წმიდა-მყოფელსა და მომანიჭებელსა ჩუენდა ტაძარსა შინა, რომელი ადიდე, მაცხოვარ, რომელსა შინა ყოველთა უფალსა გ...

სხუანი. დღეს გამოგუიჩნდა მეუფეჲ მეუფეთაჲ და უფალი უფლებათაჲ წმიდასა ეკლესიასა, რომელსა შინა იდიდების სული წმიდაჲ და იზარებს სიმრავლეჲ ანგელოზთაჲ. გალობით გადიდებთ მამასა მოწყალესა.

დღეს დაემტკიცა წმიდაჲ [243 ჭ] საკურთხეველი წმიდასა ეკლესიასა შინა, რომელსა ზედა შეიწირვის ცხოველს-მყოფელი კორ-

⁵⁰⁸ მთ განმეორებულია.

⁵⁰⁹ გ^ლთ.

ცი და სისხლი ქრისტემის მოსატყეველად ცოდვათა და ცხორებად საუკუნოდ. გა... ი გ ი ვ ე.

დღეს წარავლინნა ქრისტემან წმიდანი მოციქულნი განათლებად სოფლისა და დამტკიცებად ეკლესიათა და მოქცევად შეცთომილთა. გა ლ ო ბ ი თ ... ი გ ი ვ ე.

აქებდითსა. ქებითა და დიდებითა შემკობილ⁵¹⁰ არს ეკლესიაჲ შენი, ქრისტე ღმერთო, რომელსა შინა გამობრწყინდა მადლი ჯუარისა შენისაჲ და დაჯსნდა ჯოჯოხეთისა ძალი...

მსგავსად ნათლისა გამობრწყინდა ეკლესიაჲ შენი, ქრისტე, საყოფელად [V] წმიდათა შენთა მოციქულთა, რომელსა შინა იდიდების სული წმიდაჲ და იხარებს სიმრავლედ ანგელოზთაჲ.

აივსო დიდებითა ქუეყანაჲ შენი, უფალო, რომელ შეჰქმენ მარჯუნითა შენითა, მოციქულნი ახარებენ, სახარებაჲ დამტკიცებების⁵¹¹, ეკლესიაჲ ამბლდების უმეტეს, ცოდვილნი ჰპოვებენ შენგან წყა...

შოადეგით, ერნო, სიონსა და მოიცევით იგი და მიეცით დიდებაჲ ღმერთსა მას შინა, რამეთუ ესე არს დედაჲ ყოველთა ეკლესიათაჲ, რომელსა შინა სულმან წმიდამან დაიმკუიდრა.

უფალი ნათელ ჩემდა უფალი მაცხოვარ ჩემდა რომელმან განანათლა სოფელი დიდებითა და დაამტკიცნა [244 ე] ეკლესიანი ჯუარითა პატიოსნითა⁵¹².

გიხაროდენ ეკლესიასა წმიდასა და შესაკრებელსა⁵¹³ ბევრის ბევრეულთასა, რომელსა შინა სული წმიდაჲ გამოჩნდა და ეტყოდა მოციქულთა: აამაღლეთ კმაჲ ქებისა თქუენისაჲ სიონს შინა და მიეცით დიდებაჲ ღმერთსა მას ში...

ანგელოზებრსა⁵¹⁴ კმასა შევსწირავთ შენდა, წმიდაო ღმრთისა ეკლესიაო, რომელი დაგაფუძნეს წმიდათა მოციქულთა.

გიხაროდენ, უფალი შენ თანა, დაგამტკიცა შენ მშუიდობით ქრისტემან მხოლოდ შობილმან მეუფემან საუკუნემან.

ეკლესიაჲ შენი, ქრისტე მცხნელო, დიდებითა შეამკევე და სამკურნალოდ გამოაჩინე, განაწესე საყოფელად წმიდათა შენთა მოციქულთა, რომელთა ქადაგეს ადგომაჲ შენი.

სხუანი. ცანი ცათანი შემკულნი ვარსკულავთა და ქუეყანაჲ შემოსილი ყოვლითა მობაძავ ცათა იქმნების დღეს, რამეთუ ჯუარი აუმართა ეკლესიასა, რომლითა განმიხნა ჩუენ სამოთხისა ბჭენი და მიჩუნა ჩუენ მამისა [V] მიერ ათქმული. აწ მოვედით, ქ რ ი ს ტ ე - მ ს - შ ე მ ო ს ი ლ ნ ო ე რ ნ ო, ა მ ა ს უ კ უ დ ა ვ ს ა მ ე უ ფ ე ს ა ვ ა ქ ე ბ თ და ვ ი ტ ყ უ ი თ: წ მ ი დ ა ო ღ მ ე რ თ ო, შ ე გ უ ი - წ ყ ა ლ ე ნ ჩ უ ე ნ.

510 შვეტიცა.

511 დამტკიცება.

512 ატკიცება.

513 შეიკრულა (ბ. ფეხი აკლია და უ-დ ივითება).

514 ანგელოზები.

დაეცა მტერი და დაითრგუნა სიკუდილი, რამეთუ ჯუარი აემართა ეკლესიასა, რომლითა გონებანი ჩუენნი გუირგუინოსან იქმნებიან. აწ მოვედით ქრისტეჲს... იგივე.

ძრი...

ვითარცა მთანი გარემომს იერუსალემსა⁵¹⁵, ეგრეთვე დიდებული ეკლესიაჲ შენი მოციქულთა გარემომს შემოკრებულ არიან წმიდასა ეკლესიასა შენსა, რომელსა შინა შეიწირვის კორცი და სისხლი ქრისტეჲსი ცოდვათა ჩუენთათუის და ცხორებად საუკუნოდ. აწ მოვედით... იგივე.

უკლაო...

უხილაეთა მკედრობაჲ დღეს იხარებს, რამეთუ მომატყუებულ ჩუენდა ანგელოზ[245 ე]ნი და ზიარ კაცთა იქმნების წმიდაჲ ეკლესიაჲ, რომლითა განიდევნა საცთური და დაემტყიცა სარწმუნოებაჲ ახალი. აწ მოვედით ღმერთ-შემოსილნო ერნო, ამას ყოველ[სა] განფენილსა დღესა ვაქებდეთ და ვიტყოდით: წმიდაო სამებაო, შეგუიწყალენ ჩუენ.

სხუანი, რომელი ნათელ...

რომელი უფალ ხარ ცათაჲ და ქუეყანისაჲ...

რომელმან სიტყუითა ცანი დაამყარენ და...

რომელმან წინაწარმეტყუელთა ჯმანი...

რომელმან აღრაცხე სიმრავლეჲ...

დავითის მიერ თქმული...

ოხითაჲ, [ჰმაჲ] ა. უფროჲს მზის თუალისა შემკობილი დიდებული შენი საფლავი ყოვლადვე ცხორება ექმნა სოფელსა, ქრისტე ღმერთო, რამეთუ პირველ, ოდეს დაიდვა ყოვლად წმიდაჲ გუამი შენი მას შინა, მაშინ განქარდა ვრწნილებაჲ და შეიმუსრა საწერტელი სიკუდილისაჲ, ხოლო ამას დღესა სატფურებისასა იხარებენ წმიდანი [V] ეკლესიანი, რამეთუ ამის მიერ მოგუენიჭების ღზინებაჲ და ცოდვილნი ჰპოვებენ შენდობასა ცოდვათასა და დიდსა წყალობასა. რომლისა მიერ მიჯსნენ ჩუენ, სახიერო და კაცთ მოყუარეო უფალო. დიდებაჲ ცხოველს-ყოფელსა ადვომასა შენსა.

ფსალმუნი, ჰმაჲ ა გუერდი. ყოველი თესლები რავდე...

დასადებელი. რამეთუ შენ უფალი ტკბილ...

ალელუიაჲ, ჰმაჲ ა გუერდი. აღვივსენით ჩუენ კეთილითა სახელ...

კელთა ბანისაჲ, ა გუერდი. ჰმაჲ წინაწარმეტყუელთა შენოაჲ ესაიამსი და დავითისი აღესრულა, ღმერთო, რომელსა იტყოდეს: მოვიდენ ყოველნი ნათესავნი და თაყუანის-გცენ შენ წინაშე, რამეოუ აჰა ესერა ერი შენითა, ქველის მოქმედ, მაღლითა აღიკსების, ენითა შენთა გევედრებიან შენ, რომელმან ჯუარცჰმაჲ დაითმინე და ცხოველს-ყოფელითა შენითა ადვომითა დაგუიცვენ და შეგუიწყალენ ჩუენ.

**სიწმიდისაჲ.
ალელუიამ.**

**თთუესა იღ-სა სეკლემბერსა
ჯუართა აპყრობად**

უფალო ღალატყავსა, კჳამა დ. [246 ჭ] სასწაულ არს ჩუენდა ნათელი პირისა შენისაჲ, უფალო, და ყოველნი კიდენი ქუეყანისანი ვალობით იტყუიან: (დიდება)ჲ ძალსა შენსა.

თხემისა ადგილსა ჯუარს-ეცუ, ქრისტე, და ძრიელებაჲ სიკუდილისაჲ შეჰმუსრე და ნათესაჲი კაცთაჲ განათავისუფლე. დ ი დ ე ბ ა ე ბ ა ე შ ე ნ დ ა, ლ მ ე რ თ ო.

ჯუარსა ზედა აჰმალდი, მძლეო, და ჯოჯოხეთი წარმოსტყუენე. ძრიელო, და ჩუენ აღგუადგინენ, ქველის მოქმედ. დ ი დ ე ბ ა ე შ ე ნ დ ა ლ მ ე რ თ ო.

სხუანი. ვლალადებთ შენდამი, ქრისტე, რომელმან ძალისა მიერი იგი დაცემაჲ მამისა ჩუენისა თანა-ნადები იგი ცოდვაჲ პატიოსნითა ჯუართა შენითა განაჰარვე და მორწმუნეთა მონიჭე აღგომაჲ. ამისთვის [V] თაყუანის-ვსცემთ პატიოსანსა ჯუარსა შენსა, მაცხოვარ.

დაეცა მტერი და დაითრგუნა სიკუდილი ცხოველს-მყოფელისა ჯუარისა შენისა აღმართებითა ზედა გოლგოთას, შეიმუსრა სიმტკიცეჲ სიკუდილისაჲ და მორწმუნეთა მიენიჭა აღგომაჲ. ა მ ი ს თ უ ი ს ც ა . . . ი გ ი ვ ე.

განელო ლახუთიაჲ ასისტავისა მიერ უზრწნელი გუერდი შენი, მაცხოვარ, რომლისა მიერ სისხლისა შენისა დათხევითა გუირგუინოსან იქმნეს მოციქულნი და წყლულისა მის გარდმოდინებითა ძეორედ შობაჲ შვილთა ეკლესიათასა მოგუემაღლა. ა მ ი ს თ უ ი ს . . . ი გ ი ვ ე.

სხუანი. მოვედით, ერნო, გამოჩინებასა დიდისა მის დღისა დღესასწაულისა ცხოველს-მყოფელისა ჯუარისასა ვაჰებდეთ და აუარებდეთ ღმრთივ განუყოფელთა მადლთა მისთა, რამეთუ წყარო დაუწყუედელ [247 ჭ] და მოწყალე არს სახელი მისი მათ (მიერ), რომელნი ესვენ მას.

ნათლისა გამოჩინებასა წესნი უფესთაჲს განკრთომით ქებასა შესწირვენ, ღმრთის მორწმუნენი თაყუანის-გცემენ, გაქებენ და ვალობათ იტყუიან: წმიდა არს უფალი, წმიდა არს ჯუარი⁵¹⁶ შენი და წმიდა არს აღგომაჲ შენი.

ნათელ (?) მოივლინე, ქრისტე, სოფლად, ნათლისაგან მამისა განაჩათლე სოფელი, უჩუენე წარმართთა, შეჰმუსრენ ბჭენი ჯოჯოხეთისანი ჯუართა და აღმოიყვანე ადამ ბნელისაგან და იტყოდა: უფალო, შეგუიწყალენ ჩუენ.

შუენიერად განმანათლებელი, შუენიერი ცხოველს-მყოფელი პატიოსანი ჯუარი მტერისა ძლევა ექმნა ღმრთის მსახურსა მეფესა ძლევად ღუაწლსა შინა, [V] რომლისა შიშითა შეპყრობილმან აგირა შენ ჯუარცმული, დაფლული და ადგომილი უფალი.

შუენიერად განმანათლებელი... ვიდრე: ღუაწლსა შინა..

ესე ნათლითა ელვარითა თუალთა წინაშე იხილა და იტყოდა: უფალო, შეგუიწყალენ ჩუენ.

ძელი⁵¹⁷, ნიში პატიოსანი ჯუარი, რომელი მოგუეც საძლეველად მტერისათუის, მოვიდენ ყოველნი ნათესავნი⁵¹⁸ და თაყუანის-გცენ შენ წინაშე, უფალო, და ადიდებენ⁵¹⁹ სახელსა შენსა.

ფსალმუნი [კმაჲ] გ გუერიდი. დაჯდეს უფალი...

დასადებელი. აგამაღლო...

უგალობდითსა. რომელმან⁵²⁰ აღმომიყვანნა ჩუენ ბჭეთაგან სიკუდილისათა უგალობთ ქრისტეს[სა], რამეთუ დიდებულ არს უკუნი-სამდე.

რომელმან დაჰკსნა ამპარტავენებაჲ მტერისაჲ და შორის მორწმუნეთა აღამალა ჯუარი, უგალობთ... ი გ ი ვ ე.

რომელმან განიპყრნა კელნი თუისნი ჯუარსა ზედა ნეფსით თუისით, უგალობთ... ი გ ი ვ ე.

[248 ჭ] დდეს ვდღესასწაულობთ ამალღებულსა ჯუარსა და მეუფესა ყოველთასა ვაკურთხევთ და დიდების-მეტყუელებით უგალობ...

სხუანი. უგალობთ მხოლოდ შობილსა ძესა, სიტყუასა ღმრთისასა, მკსნელსა ისრაელისასა, რომელი განჯორციელდა ჩუენთუის წმიდისაგან ქალწულისა. უფალ არს სახელი მისი, რამეთუ დიდებით დი...

რომელმან პატიოსნითა ჯუართა შემუსრა სიმტკიცეჲ სიკუდილისაჲ და წარმოტყუენა ჯოჯოხეთი ძალითა ღმრთეებისაჲთა და იკსნა სოფელი მძლავრებისაგან მტერისა, უგალობთ ქრისტესა ქველის მოქმედსა მეუფესა გალობითა ახლითა, რამეთუ დი...

რომელმან წმიდითა ადგომითა სოფელი განანათლა და ხრწნილებისაგან იკსნა [V] პირველ შექმნული ადამ და მონიჭა მორწმუნეთა თუისთა სული მაცხოვარებისა თუისისაჲ. რომლისათუისცა ვღალადებთ და ვიტყუით: უგალობთ ადგომასა ქრისტესსა გალობითა ახლითა, რამეთუ დი(?)...

გიხაროდენ, ყოველად წმიდაო ქალწულო, რამეთუ შენგან და შენ მიერ ცხორებაჲ შეიქმნა ძეთათუის კაცთ(აჲსა) ვითარცა ევაჲსგან წყევამ... ე გ რ ე ვ ე.

მოიხილესა. მოიხილე, მაღალო, წყო...

517 ძლი (ქარაგმით).

518 თოსრენი.

519 აღბნ (ადიდებენ?).

520 ამის გასწვრივ აშიაზე მიწერილია: ორგო აღრდბთ.

დაგუიცვენ შენი მოსაენი, ღმერთო, რომელმან ვნება (ნეფსი)თ ჯუარსა ზედა (თავს-იდევ).

მართალ და წმიდა არს უფალი, რომელმან მორწმუნეთა თუისთა ცხორებაჲ ჯუართა მონიჭა. დიდებაჲ შენდა, დიდებაჲ შენდა, მეუფეო დიდებისაო, რომელმან პატიოსნითა ჯუართა განანათლენ მყოფნი ბნელისანი.

[249 ე] მოსე ვითარ იხილა...

მეოხ-იყავ ჩუენთუის, ყოვლად წმიდაო ქალწულო, შენგან შობილისა მიმართ ღმრთისა მონათა შენთათუის.

სხუანი. მოსე წინაწარმეტყუელმან პირველვე გამოსახა სახეჲ იგი ჯუარისაჲ, ოდეს განიპყრნა კელნი თუისნი მთასა ზედა, ამაღლიკი უკუნაქცაჲ, ხოლო ჩუენ ქრისტემან მოგუცა მორწმუნეთა ნიში — ძელი ჯუარისაჲ. ქებით ვაქებდეთ და მივსცეთ დიდებაჲ უფალსა.

რაჟამს ამაღლდა ქრისტეჲ ჯუარსა ზედა და ლახურითა მიიწვლა ურჩულოთაგან, მაშინ ეზოჲ იგი ტაძარისაჲ მის განიპო და ყოველი დაბადებული განკუირვებით იტყოდა:... იგი(ვე).

მოვედით, ერნო, თაყუანის-ვსცეთ ჯუარსა ქრისტემსსა⁵²¹ ჩუენსა, რომლითა განიდევნა ეშმაკი და მოგუენიჭა სამღვეველად მტერისა ჯუარი. ქებით... იგივე.

რამეთუ ქრისტემან ჯუართა მოკლა მტერი და ჯუართა პატროსნითა ბჭენი რუალისანი შემუსრნა და მოგუცა ჩუენ წინამძღურად სამოთხისა ჯუარი. ქებ... იგივე.

რამეთუ მოგუცა ჩუენ ბეჭედი მისი [V] ძელი ჯუარისაჲ, რომელსა ზედა თუით იენო მაცხოვარმან, რომლითა დაჰქსნა ამპარტაჯანებაჲ მტერისაჲ და მოგუმადლა მცველად სულთა ჩუენთა ჯუარი. ქებით... იგივე.

დიდებაჲ აურაცხელსა სულ-გრძელებასა მაცხოვრისასა, რამეთუ ყოველივე თავს-იდვა, ჯუარს-ეცუა ჩუენთუის ვითარცა ავაზაკი და ნათლითა ღმრთეებისაჲთა ბნელი განგუაშორა და მოგუცა ჩუენ მორწმუნეთა სამოთხეჲ საშუებელად. ქ...

სხუანი. წინაწარმეტყუელმან მოსე პირ...

მოველოდე წყალო...

საშინელი და საკ...

მ...

განძრიელდითსა უფლისა მიერ ღმრთისა ჩ...

სძლო ქრისტემან ჯუართა და მყოფნი ბნელისანი ნათლად აღმოიყვანნა და მას შინა ამაღლდა ჯუარი ძლევის-მყოფელი, კაცთა სიქადული.

სიძარლით დაამტკიცე ეკლესიაჲ შენი შორის მორწმუნეთა, უფალო, და მას შინა... იგივე.

მკდომი ჩუენი მტერი ჯუართა, ქრისტე...

მარადის ცსენებამან ცხოველს-მყოფელისა ჯუარისა შენისამან, უფალო, ყოველნი კიდენი ქუეყანისანი ქებად შენდა შემოკრიბნა.

[250 ე] **სხუანი.** რომელმან აღმოგუიციანე უკუდავება დაფლ-ვითა და მყოფთა ჯოჯოხეთისათა აღმოუწოდე ნათელსა ცხორებისასა და სიხარულითა აღავხენ ყოველნი კიდენი ქუეყანისანი, გუაცხოვენენ მგალობელნი ჯუარისა და ადგომისა შენისანი, მხოლოო მრავალ-მოწყალეო.

დასცენ, უფალო, მტერნი ცხოველს-მყოფელისა ჯუარისა შენისანი და ღმრთისმშობელისანი და მშუიღობა-ყავ ცხორებისა ჩუენისათუის, ვითარცა მხოლოო ქველის მოქმედ ხარ და იქსნენ, გევედრებით, განსაცთელისაგან სულნი ჩუენნი.

ყოვლად ქებულო წმიდაო ღმრთისმშობელო, მოსავთა შენთა ვედრებად შეიწირე წინაშე ძისა შენისა და ღმრთისა ჩუენისა, რაათა მღხინებელ გუექმნე ცოდვთა ჩუენთა მეოხებითა შენითა, წმიდაო დედაო ქრისტეას ღმრთისა ჩუენისაო.

სხუანი. შეგუიწყალენ ჩუენ, შეგუიწყალენ ჩუენ...

შეგუიწყალენ ჩუენ, უფალო...

[V] **უფალო მესმასა.** მესმა სმენად შენი, უფალო, რამეთუ ამაღლ[დი] ჯუარითა, დაჰქსენ ცოდვად⁵²², უფალო, და იქ...

რომელმან მოაკუდინე სიკუდილი ჯუარითა პატიოსნითა და ნათლად აღმომიყვანენ ჩუენ. რომელნი...

სხუანი. მოსლვითა შენითა⁵²³, ქრისტე, გუირგუინოსან ჰყვენ ეკლესიანი და ძალი ცხორებისა ჩუენისა და გამოაბრწყინე — ჯუარი შენი, უფალო, რომლისა მიერ მორწმუნენი ვცხოვრდებით ყოველნი.

ჯერ-იჩინე აღსლვად ჯუარსა ზედა, ქრისტე, ცხორებისათუის პირველ შექმნულისა და გამოგუიქსნენ ჩუენ წყევისაგან რჩულისა პატიოსნითა სისხლითა, რამეთუ წყალობითა⁵²⁴ შენითა ჩუენ ყოველნი განვიკურნენით⁵²⁵. დ ი დ ე ბ ა დ ძ ა ლ ს ა, უ ფ ა ლ ო.

რომელი კაცთ მოყურებისათუის ნეფსით ჩუენთუის საფლავსა დაიდევ და ძრიელებითა ღმრთეებისათა საკრველნი სიკუდილისანი განხეთქენ, წარმოსტყუენე ჯოჯოხეთი, განაახლე ადამი. ადგომა ყოველთა მოგუანიჰქე. დ ი დ ე ბ ა დ ძ ა ლ ს ა შ ე ნ ს ა, უ ფ ა ლ ო, რ ო მ ე ლ ი მ ო ხ უ ე დ ც ხ ო რ ე . . .

[251 ჰ] ვიხაროდენ, ყოვლად წმიდაო ქალწულო, რამეთუ შენგან შობილმან ქრისტემან ჯოჯოხეთი წარმოტყუენა და მონებისაგან მტერისა ჩუენ ყოველნი განგუათავისუფლნა. მას ევედრე, დედაო და ქალწულო, რაათა აცხოვნეს სულნი ჩუენნი.

სხუანი. ძრიელებამან...

რამეთუ ამას ზედა ამადლდა...

და შენი მეორედ მო...

522 ცღ'ვეა.

523 მს'გთა შ[რ]თა.

524 წყლ'ლბთა.

525 გწყ'რნთ.

ღამითგანსა, რომელმან გამოაბრწყინე ნათე...

რომელმან გამოაბრწყინე ნათელი და იშვე ქალწ...

რომელმან სასოდ ჩუენდა და სამღვეველად მტერისა მომეც ჩუენ ჯუარი შენი პატიოსანი, დიდებაა შენდა, იესუ ძეო ღმრთისაო.

რომელი ჯუარს-ეცუ, დაეფალ და ჯოჯოხეთი შეჰმუსრე და ას-დეგ მესამესა...

რომელმან უხრწნელება მოეც ნათესავსა კაცთასა და მოტევე-ბაა ცოდვათაა ჯუართა პ...

[V] **სხუანი**. უფალო ღმერთო ჩუენო, შენი მშუილობაა მომეც. ჩუენ და საფარველსა⁵²⁶ ჯუარისა შენისასა ღამიცვენ ჩუენ და ნუ უგულებელს-ჰყოფ ვედრებასა ერისა შენისასა. რ ა მ ე თ უ ნ ა - თ ე ლ ა რ ი ა ნ ბ . . .

რომელმან კელით-წერილი ჩუენი ცოდვაა ჯუარსა შემსჭუაღე და დაცემული ადამ ბჭეთაგან სიკუდილისათა აღმოიყვანე და მოკ-უდავებაა ჩუენი უკდავებად⁵²⁷ გარდასცვაღე, რ ა მ ე თ უ ნ ა თ . . .

ჯუართაა შენითა, ქრისტე, ვიქადით⁵²⁸ და წმიდასა ადგომასა შენსა უგალობთ და ვევედრებით⁵²⁹: შეგუიწყალენ ჩუენ, უფალო, მგა-ლობელნი შენნი მეოხებითა უხრწნელისა დედისა შენისათა.

ქმასა ანგელოზთასა შევსწირავთ შენდა, ყოელად წმიდაო ქალ-წულ...

[252 ჭ] **ღალატყავსა**. სირღმესა ცო...

რომელმან ქალწული შემდგომად შობ...

რომელმან კელნი თუისნი ჯუარსა ზედა განიპყრენ, ჯოჯოხეთი წარმოსტყუენე, უფალო, რომელმან სიკუდილი დასთრგუნე ჯუართა და ადგომდა ყოველთა მოგუანიჭე, უფალო.

რომელი ჯუარსა ზედა აჰმალღდი, ქრისტე, და სოფელსა ნა-თელი გამოუბრწყინე, უფალო, შემიწყალე⁵³⁰ მე.

რომელმან დასაჯე ჯოჯოხეთი ჯუართა და მყოფნი ბნელისანი განანათლენ, უფალო.

სხუანი. რომელი აღსასრულსა ჟამთასა განკაცნა და სოფელსა ნათელი გამოუბრწყინეა ჯუართა და განაქარვა მთავრობაა უკეთუ-რისა მტერისა და მიქსნა მე ხრწნილებისაგან და სიკუდილისა, უფალი [V] ზეცით მამისა მიერ მოივლინა, სიტყუაა განკორციელ-და, ნეფსით ჯუარცუმაა თავს-იდვა, დაეფლა გულსა ქუეყანისასა სამ დღე და სამ ღამე და ადგა უნებელად, ვითარცა ღმერთ არს და ადგო-მაა ყოველთა მოგუანიჭა.

მოვედით, ერნო, დიდების-მეტყუელებით უგალობდეთ და თა-ყუანის-გსცემდეთ ცხორების მომცემელსა ჯუარსა, რამეთუ მან მიც-

526 სოფელსა.

527 ასეა.

528 ეჭვად (9).

529 ვიღობთ.

530 შტ 25 (9).

სნნა ჩუენ ურჩულოებათა ჩუენთაგან, წმიდამან უფალმან იესუ, რომელმან გუიჩუენა ჩუენ ადგომაჲ.

კურთხეულ არსსა. რომელი მთასა ზედა...

რომელმან განზრახვით კელით-წერილი ჩუენი ცოდვაჲ ჯუარსა შემსჭუალე⁵³¹ [253 ჳ] და მით გარდასლვისაჲ იგი რისხვაჲ უზრწნელებით გარდასცვალე, კ უ ...

პირველ შექმნული⁵³² იგი საშუებელისაგან მიიცვალა, ხოლო ჩუენ ჯუართა ავაზაკისა თანა-მეტყუელად მოგუიწოდე, კ უ ...

რომელმან ყოვლად მცველი ჯუარი აღამაღლე ჩუენ შორის და მით სოფელი საცთურისაგან იქსენ, ცხოვრების მომცემელო, კ უ რ თ ...

სხუანი. რომელმან ჯუართა სიკუდილი მოაკუდინე და ჯუართა ადამ დაცემისაგან აღადგინე და ცოდვანი ჩუენნი ჯუარსა შემსჭუალენ და ჯოჯოხეთსა მყოფნი⁵³³ განანათლენ ადგომისა მადლითა, კ უ რ თ ხ ე უ ლ ხ ა რ შ ე ნ, უ ფ ა ლ ო ლ მ ე რ თ ო, მ ...

თაყუანის-ვსცემთ, ქრისტე, შენსა [V] დიდებულსა ადგომასა და უგალობთ წმიდასა ჯუარსა, რომელი მომეც ჩუენ საძლეველად მტერისათუის, რომლისა [მიმართ] მორწმუნენი ვლადლებთ და ვიტყუით: კ ...

ვითარცა ბაბილონს საკუმილსა მას შინა სამნი ყრმანი სამებასა წმიდასა გაკურთხევდეს, ჩუენცა უღირსნი მონანი შენნი მამასა და ძესა და წმიდასა სულსა გალობით და ერთობით ვლადლებთ და ვიტყუით: კ უ რ თ ...

სხუანი. სახედ პატიოსნისა ჯუარისა შენისა, ქრისტე, აქუნდა კუერთხი იგი მოსედსი ეგუიადეს⁵³⁴, რომლითა იქსნა ისრაელი მონებისაგან მტერისა, ხოლო აქა ქრისტემან ღმერთმან ჩუენმან ჯუართა შემუსრა სიმტკიცეჲ სიკუდილისაჲ. რ ო მ ლ ი ს ა თ უ ი ს ც ა ჩ უ ე ნ მ ო რ წ მ უ ნ ე ნ ი ვ ლ ა ლ ა დ ე ბ თ და ვ ი ტ ყ უ ი თ: კ უ რ თ ხ [ე უ ლ] ხ ა რ შ ე ...

[254 ე] აჰკედ ძელსა ზედა, აცხოვნე ავაზაკი, მიიდრიკე თავი, აღადგინე ადამი, ახალსა საფლავსა დაიდევ და ჯოჯოხეთსა მყოფნი აღმოიყვანენ. რ ო მ ლ ი ... ი გ ი ვ ე.

მწრაფლ შოიგო ავაზაკმან სამოთხეჲ სარწმუნოებითა და მართლ-ახსარებითა, მწრაფლ შევიდა ავაზაკი სამოთხედ, ჯუარი აქუნდა, ივლტოდა⁵³⁵ ეშმაკი, მძლე ექმნა წარმართთა, რომელნი ღირს-იქმნენს მეორედ შობასა. რ ო მ ლ ი ... ი გ ი ვ ე.

აკურთხევდითსა. ყოველნი საქმ...

რამეთუ კაცთა ქუეყანით აღმოუბრწყინდა ცხოვრებაჲ და ყოველ-

531 ამას მოსდევს და მით, რომელიც განმეორებულია მომდევნო გაკარღზე.

532 შექმნი.

533 მყოფნი.

534 ასეა.

535 შეიძლება იყოს ევლტოდა.

ნი კიდენი ქუეყანისანი განანათლნა და ცხორებაჲ საუკუნოჲ ყოველ-
თა მოგუანიჭა. უგალობთ. მღ... .

დამალული ქუეყანასა დიდი და⁵³⁶ საიღუმლოჲ ცათა შინა გა-
მობრწყინდა, ძლევის-მყოფელი საჭურველი გამოგუიჩნდა ჯუარი.
უგალობთ... იგივე.

[V] ცხოველს-მყოფელი და უხრწნელი ნიში — ძელი ჯუარი-
საჲ გამოგუიჩნდა ქუეყანით, მეფეთა პერობაჲ მიჰმადლა, საცთური
ღათრგუნა, ყოველნი განგუანათლნა. უგალობთ მღ... იგივე.

სხუანი. დღეს დღესასწაულსა ცხორებისა ცხოველს-მყოფე-
ლისა ჯუარისასა მორწმუნენი აღვასრულებდეთ, ვღაღაღებდეთ და
ვიტყოდით: მღ...

სამარადისოსა სამეუფოსა ნიშსა, რომელი მოგუანიჭა საძლევე-
ლად მტერისათუის პატიოსანი ჯუარი, მღ...

დიდისა განგებულებისა ღმრთეებისა განღმრთებული ძელი
აღმოგუიციანდა ქუეყანით საცხორებელად ჩუენდა — პატიოსანი
ჯუარი, მღღ...

სხუანი. ღმრთივე შუენიერი უფროჲს მზის თუალისა ნათელი
ცხოველს-მყოფელი პატიოსანი ჯუარი აღმოგუიციანდა ქუეყანით
მორწმუნეთა საძლეველად მტერისათუის, რომლითა საცთური
[255 ე] დაითრგუნა და ჯოჯოხეთი წარმოიტყუნა. მღღ...

რომელმან თუისი სამეუფოჲ ნიში დიდებული და საკუირველი
პატიოსანი ჯუარი ღმრთის მსახურსა მეფესა ჩუენსა აჩუენა, რომ-
ლისა მიერ მოემადლა ძლევაჲ მტერთა მიმართ და სიხარულით იტ-
ყოდა: მღღ...

დამონებულნი ცოდევისაგან და დარჩილნი სიკუდილისაგან გა-
მომიჯნა ჯუართა ქრისტემან კელთაგან ჯოჯოხეთისათა და მოგუა-
ნიჭა აღგომად ცხორებისაჲ მორწმუნეთა თუისთა. მღღელ...

მოველით ყოველნი მორწმუნენი და უგალობ...⁵³⁷

ადიდებდითსა. შენ ნათელსა დე...

დედაჲ მეუფისაჲ...

შენგან გამოგუიბრწყინდა ქრისტეჲ, ქალწულო მარიამ, რომელ-
მან ვნ...

აუარებდით წარმართნი წყალობასა...

ყო სიმტკიცეჲ მკლავისა თუისისაჲ...

აჰკედ ძელსა ზედა...

აჩუენა უფალმან მაცხ...

[V] **სხუანი.** კურთხეულ არს ქრისტე ღმერთი ჩუენი, რომელ-
მან მეოფნი ბნელისანი ნათლად აღმოიყვანა და მოგუცა ჩუენ სა-
ჭურველად ჯუარი ცხოველი. მოველით ერნო, თაყუანი ს-
ს ცვით პატიოსანსა ჯუარსა.

ცხოველს-მყოფელი უხრწნელი პატიოსანი ჯუარი, რომელი ზე-

⁵³⁶ ამას მოსწევს სცხ (ჭარაგმით).

⁵³⁷ ამას განწერივ მარჯვენა აშიაზე მიწერილია: „ყრლნი ტომნი ქრეყა“...

ცით გამოუჩნდა უძლეველსა მეფესა, რომლისა მიერ მოემადლა ძლევა მტერთა მიმართ და სიხარულით შეიწყნარა ჯუარი ქრისტე-ასი, მოვედით... იგივე.

ღმრთისა მიერ მოემადლა კანძიერება ნეტარსა დედოფალსა და სარწმუნოებით მოიძია ძელი ჯუარისა და სასწაულითა საცნაურ-ყო ჯუარი ქრისტეასი. მო... იგივე.

სხუანი. ცნობაჲ ჭეშმარიტი ეუწყა წმიდათა მათ დედათა სმენითა ანგელოზთაჲთა⁵³⁸ მითხრობად მოციქულთა, რამეთუ დაემტკიცნეს [256 ჭ] წარმართნი სარწმუნოებასა ღმრთეებისა განკაცებითა. **ჯუარცმულსა გილაღადებთ, ადგომილსა თაყუანის-გცემთ დაუცხრომელად მაღიდებელნი შენნი.**

ქრისტე მაცხოვარი სოფლისაჲ ურჩულოთა მიერ განბასრებული დაისაჯა ჩუენისა კსნისათუის უპირატემს ძელისა დანერგვითა, ჯუარისა აღმართებითა მორწმუნენი განგუანათლნა. **ჯუარ... იგივე.**

სათო-იყავ, ძეო ღმრთისაო, დამკუიდრებად მუცელსა ქალწულისასა, ინებე⁵³⁹ რაჲ აღსლვაჲ კორციითა ჯუარსა ზედა, საფლაუსა დადებითა, [V] ურჩულოთა მიერ დაბეჭდვითა მოვ...⁵⁴⁰ იგივე.

ქრისტემან რაჲ ივნო ჯუარსა ზედა, აკოცნა ცოდვანი სოფლისანი და ღმრთეებაჲ უნებელად ეგო⁵⁴¹, რომლისათუისცა გამოძიკსნა ჩუენ საკრველთაგან სიკუდილისათა. **ჯ... იგივე.**

აქებდითსა. მაქებელ...

საჭურველად, საძლეველად, ქრისტე, ჯუარი შ...

მოეც სასწაულად მოშიშთა შენთა, უფალო, ჯუარი შენი პატიოსანი, რომლითა განაქარვე მთაერობაჲ, კელმწიფებაჲ ბნელისაჲ და აღმომიყვანენ ჩუენ პირველსა მას ნეტარებასა. რომლისათუისცა კაცთ მოყუარებისა შენისა განგებულებასა ვლადადებთ და ვიტყუით: შენ გშუენის გალობაჲ, ღმერთო.

ზღუდე ჩუენ[და]⁵⁴² იქმნა ჯუარი.

[257 ჭ] გამოაჩინე ჩუენ ზედა ნათელი პირისა შენისაჲ, უფალო, სასწაულითა ჯუარისა შენისაჲთა. ამისთუისცა გვედრებით და შენდამი ვლადადებთ: შეგუიწყალენ დაბადებულნი შენნი, ქრისტე ღმერთო, ვითარცა მხოლოჲ ქველის მოქმედ ხარ და კაცთ მოყუარე.

ამაღლდა ნიში ჯუარისა...

სხუანი. დიდების-მეტყუელებასა და ქებასა შევსწირვიდეთ, მორწმუნენო, ქრისტეასა და სიხარულით თაყუანის-ვსცეთ პატიოსანსა ჯუარსა.

აივსო პირი ჩუენი სიხარულითა და ენაჲ ჩუენი ვალობითა ახ-

538 ავ'ლზთა.

539 ი'ნბ.

540 მო'რ.

541 ბა უნებელად ეგო მიწერილია გარეთა აშიაზე.

542 ჩუენ (შეიძლება ზღუდე ჩუენ იყოს წრფ. ბრუნვა. მკვარამ ასეაი რამ ძველ ქართულ ში არ შეგვედრა).

ლითა და მადლი სულისა წმიდისაჲ მოგუენიჭა სასწაულითა ჯუარი-
სა შენისაჲთა. მოვედით, ერნო, თაყუა... იგივე.

სიხარულითა აივსნეს მყოფნი იერუსალემისანი, [V] რაჲჟამს
მოიძიეს ძელი ცხორებისაჲ და სუნნელებაჲ დიდძალი მიეფინებოდა
ზედა ყოველსა ერსა და მადლობით ღალადებდეს და იტყოდეს შენ-
დამი, ღმერთო, და სიხარულითა... იგივე.

სხუანი. წინაწარმეტყუელებაჲ მოსევსი დღეს აღესრულა, რა-
მეთუ განპყრობითა კელთაჲთა ჯუარისა სახედ ამაღეკი უკუნაქცია,
ხოლო აქა დღეს აღმოცენებითა პატიოსნისა ჯუარისაჲთა დაემ-
ტკიცნეს წმიდანი ეკლესიანი. მოვედით, ერნო, თაყუა-
ნი ს-ვ-ს-ც-ე-თ ჯუარსა ქრისტესსა [258 ე] და გალო-
ბასა დავითისსა ვიხარებდეთ და ვიტყოდით:
შენ გშუენის გალობაჲ, უფალო, სიონს და შენ
მოგეცეს ლოცვაჲ იერუსალემს.

ჯუარმან შენმან, ქრისტე, განანათლნა შენნი ეკლესიანი, რო-
მელი გამოაბრწყინ⁵⁴³ ქუეყანასა ზედა ნათლითა ზეცისაჲთა უბრ-
წყინვალებს მზის თუალისა, რამეთუ დღეს აემართა ძელი ჯუარი-
საჲ, დაეცა მტერი, ხოლო მორწმუნენი ადგომისა შენისანი ვლალა-
დებთ და ვიტყუით: შეეიდეთ საყოფელთა შენთა და თაყუანის-ვსცეთ
ადგილსა მას, რომელსაცა⁵⁴⁴ ფერენი შენნი.

ცათა გამოაჩინეს⁵⁴⁵ ბრწყინვალებაჲ ჯუარისაჲ უბრწყინვა-
ლებს...

[V] **სხუანი.** ყოველთა ცხორებად⁵⁴⁶ მოხ...

ღმრთით შემკობილი საუფლოჲ ძ...

ხოლო შენ მას ზედა აჰმალღდი მე...

ღმრთის მსახურსა მეფესა...

ჯუარი შენი, უფალო, დღეს უმე...

ზეცისა საკუირვე...

ყოველთა შემოქმედ...

ოხითაჲ, კმაჲ ა. განწყობილი სიმრავლეჲ ანგელოზთაჲ ძლევი-
სა გალობასა დიდების-მეტყუელებს ნათლითა შემოსილისა და ცხო-
ველს-მყოფელისა ჯუარისა შენისა დღესასწაულსა, ქრისტე, და სი-
ხარულით თაყუანის-სცემს კრებული მორწმუნეთაჲ ღმრთივ ბრწყინ-
ვალესა ხილვასა მისსა და ერთა ზეცისათა⁵⁴⁷. დაუცხრომელად იტ-
ყუიან: დიდებაჲ ყოველად ძრიელსა ჯუარსა შენსა, მაცხოვარ.

სხუაჲ. ქრისტეს ბეჭედმან გუა...

[259 ე] **ფსალმუნი, [კმაჲ] დ გუერდი.** აცხოვნე...

დასაღებელი. უფალი ძ...

⁵⁴³ ასეა.

⁵⁴⁴ აქა, მოსდევს ოთხასოიანი სიტყვა, რომლის წინა ორი ასო არ ირჩევა, ხოლო ორი
ნაანაკრელი ასოა ვს(დაადვეს?)

⁵⁴⁵ ვრჩნს.

⁵⁴⁶ ცხრობედ.

⁵⁴⁷ ასეა.

ალელუია⁵⁴⁸. მოიცალეთ გუ...

კელთა ბანისაჲ, კმაჲ დ გუერდი. კმაჲ წინაწარმეტყუელისა შე-
ნისა მოსემსი, ღმერთო, აესრულა, რომელსა იტყოდა: ხედვიდეთ
ცხორებისა თქუენისა ძელსა, დამკუიდრებულსა წინაშე თუალთა
თქუენტა, რამეთუ დღეს ჯუარი ამაღლდების და სოფელი საცთური-
საგან იკსნების⁵⁴⁹. დღეს ქრისტემს ადგომამა განახლდების და ყოველ-
ნი კიდენი ქუეყანისანი იხარებენ. შესხმასა დავითისსა შევსწირვი-
დეთ და გალობით ვიტყოდით: ქმენ⁵⁵⁰ ცხორებაჲ შორის ქუეყანასა,
ღმერთო, ჯუართა და ადგომითა, რომლითა ჩუენ ვიკსნენით⁵⁵¹, სა-
ხიერო და კაცთმოყუარეო უფალო, დიდებაჲ შენდა.

სხუაჲ. ცხოველს-მყოფელსა...⁵⁵²

სიწმიდისაჲ, კმაჲ ა.

დიდთა დღეთა უოვლად ითქმის.

საშინელისა⁵⁵³ და უხილავისა, უხილაჲთა შემოქმედისა, უხილაჲ-
თა საყდართა ზედა მჯდომარისა მეუფისა ყოველთამსა მადიდებელნი
დღესასწაულისანი ძღუენსა შენდა შესწირვენ, რომელი უხილაჲ
ზარ ღმრთეებითა [V] და თუალთ შეუდგამ ბრწყინვალებითა.
უხილაჲსა გამსახურებენ მრავალ-თუალნი ქერობინნი და ექუს-
ექუს⁵⁵⁴-ფრთენი სერაბინნი, დაუცხრომელითა კმითა დაუცხრომე-
ლად ღაღადებენ და იტყუიან: წმიდა არს, წმიდა არს,
წმიდა არს უფალი, მეუფე დიდებისაჲ.

მე-ბ დღესა

ფსალმუნი. აქებს ი...

დასადებელი. რამეთუ განარ...

მე-დ [დღესა]

ალაშეა

დასადებელი. აქებდით უფალსა, რამეთუ კეთი...

მე-ე [დღესა]

რომელი ესვ...

დასადებელი. მთანი გა...

548 ამას უძღვის ალა.

549 იკსნდბს.

550 ქმენ (მოსალოდნელი იყო: ჰქმენ).

551 ვრკსნო.

552 ეს სიტყვები მიწერილია გარეთა აშიაზე.

553 სურსა.

554 ექს ექს.

მე-3 [ღღესა]

აღდეგ, უფალო, გ...
დასაღებელი. მოიჯსე...

მე-4 [ღღესა]

უყუარან...
დასაღებელი. საფუძველ...

მე-5 [ღღესა]

შენ გმუენის გა...
დასაღებელი. შეგესე...

თთუესა სპკღმეზბერსა კღ**თიკლადსი**

უფალო ღაღატყავესა, კჰად ღ. განმჰნღებთან წინა-ადგომად მძღავრისა მის დღღანიცა ღმრთის მოყუარენი შენ მიერ, ქრისტე, პირველ მძღლისა და მეუფისა დიდებისა, [260 ე] რამეთუ შენღამი სურვილითა და შენგან მიღებითა ნიჰთაჰთა დეღობრივისა მას ბუნე-ბასა, უძრულეზბასა წინა-აუღგეს და მამაკაცებრ იღუაწეს და გუირ-გუინი ზეცისაჰ მოიღეს შენგან, ქრისტე, რომელსა გაქუს დიდი წყა-ლობაჰ.

სიმღიდრეჰ დაუტევა, მამული, თეკლა და ქრისტეჰსა სუროღა ყოველითა გულითა. დიდებაჰ პოვა და სიმღიდრეჰ მოწამემან ზეცი-საჰ და მარადის ღოცვითა შეზღუღვიღმან საჭურველითა ჯუარისაჰთა ღათრგუნა მზაკვარი იგი, რომლისათუისცა ანგეღოზნი ღუა-წლსა მას განკუირეზბულ იყვნეს და იტყოღეს: ღაეცა, ღაეცა მტერი დეღაკაცისაგან და გუირგუინოსნაღ გამოჩნღა მოწამეჰ და ქრისტეჰს [მიმართ] მეოზ არს სულთა ჩუენთათუის.

რომელთა სუროღა სახე...
თანა-მკუიდრ...

გაღობათა აპრიღსა ჰპოვნე ეგ.

აკურთხეღვითსა, კჰად ღ. ყოველნი საქმენი ღმრთისანი და ყოვე-ლი ღაბადებული ა...

[V] საუნჯეჰ ზეცისაჰ აღმოუცენებ⁵⁵⁵ სისხლსა⁵⁵⁶ მოღუაწები-სასა და რომელნი სარწმუნოებით უგაღობენ ქრისტესა, განსწმელს. მღეღდით, ერნო, ვღაღაღებღეთ⁵⁵⁷: ა კ . . .

⁵⁵⁵ ანკა.

⁵⁵⁶ ანკა ღსა.

⁵⁵⁷ ანკა ღთთ.

რომელი გამოცდილ იყო მოღუაწებითა ქალწული თეკლა და კეთილად მძლემ მოწამემ ქრისტემსი, სულიერებრი დღეს დაგუიმტკიცა ჩუენ სიხარული. ერთობით უგალობდით: ა კ . . .

რომელი სასძლოსა პირფელ მოწამისასა აღესრულების დიდების-მეტყუელებამ, მიმსგავსებულ არს კმითა⁵⁵⁸, რომელნი⁵⁵⁹ ცათა შინა დღესასწაულობენ ანგელოზნი ყოველნი. კლადადებდეთ და ვიტყოდით: ა კ . . .

ადიდებდითსა. სასძლოსა ყოვლად წმიდასა ქალწულსა...

მიიცვალების დღეს ქალწული თეკლა, ყოველნი ერთობით მას ვადიდებდეთ.

ქალწულსა მოწამესა მრავალ-მოღუაწესა...

[261 ჭ] ქალწული და დედა ყოვლად ქებული დღეს მისსა სასძლოსა შეიწყნარებს გალობითა მრავლითა. ყოველნი მის თანა დედოფალსა მას ვადიდებდეთ.

საღმრთო იგი ნესტუი — პავლე — აქუნდა სიძის მჩინებელად, თეკლა რამ იქმნა სძალ ღმრთის, საღმრთო იგი განიზრახა, კელოვნების მოქმედებდა მრავალ-სახედ მოღუაწებისა მის ქრისტემს ვნებისა თავს-დებითა. ყოველნი ერთობით მას ვადიდებდეთ...

სამოციქულო პატივი მოიღო თეკლა და სიწმიდის იქმნა მოძღუარ⁵⁶⁰ [V] და მარადის⁵⁶¹ აღმომაცენებელთა მათგან წყაროთა მადლისათა მოსრულსა მას განუყოფს დღესასწაულსა, რომლისათუის ღირსად მას ვადიდებთ.

აქებდითსა. ვაქებთ შენსა, უფალო, მრავალ-მოწყალებასა და ქველის მოქმედებასა ჩუენდა მომართ, რამეთუ დედათაცა დააყენეს სიბოროტი კერპთმსახურებისა საჭურველითა ჯუარისა შენისაჲთა, კაცთ მოყუარე, მძლავრთაგან არა შეძრწუნდეს, ცეცხლისაგან არა შეშინდეს, [262 ჭ] მზაკვარი დათრგუნეს და მოგვეს შენ თავადი და სუნნელებასა ნელსაცხებელთა შენთასა შეუდგეს და მკობრიან სულთა ჩუენთათუის.

ღუაწლი კეთილი⁵⁶² მოიღუაწე, ქრისტემს მკვევლო ჭეშმარიტო, გულის-თქმად სოფლისა შეურაცხ-ჰყავ, სამეუფოთა მის კეთილისა გსუროდა და შინებასა⁵⁶³ მას მტერთასა დაუთმე, არამედ კელმწიფებამ მტერისაჲ ძალითა ჯუარისაჲთა შეჭურვილმან დასთრგუნე და ყოველთა აღმოუცენებ კურნებასა. დაუცხრომელად მეობგუეყავ სულთა ჩუენთათუის.

დიდებამ მადიდებელსა ქრისტემს მორწმუნე... რამეთუ დედათაცა სძლეს ძალსა [V] მტერისასა, სატანჯველი შეურაცხ-ყვეს და

558 კმთა.

559 ასეა.

560 ამას მოსდევს და, რომელიც განმეორებულია მომდევნო გვერდზე.

561 მრსლს.

562 ეს სიტყვა განმეორებულია.

563 ე-ს ნაცვლად დაწერილია ზ და სამი წერტილი.

ვითარცა სიტყუანი საკუმეველნი სულნი მათნი ღმრთისა შეწირნეს ზეცად და კადნიერებაჲ აქუს ყოვლად ქებულთა და ითხოვენ სოფლისათუის მშუიღობასა და დიდსა წყალობასა.

ოხითაჲ, კმაჲ დ გუერდი. რომელი ვალობაჲ ანუ ვითარი ქებაჲ...

ფსალმუნი. აგიარებენ...

დასადებელი. ნებაჲ...

აღელუიჲ, (კმაჲ) ა. ღმერთი დიდებულ არს... ვიდრე: გემსგავ...

სხუჲ უოველი მოწამეთაჲ ამხახურო.

თითუხსა სეკლემბერსა კჳ

ზაქარიაჲს ღადუმიბაჲ

უფალო ღაღატყავსა, კმაჲ გ გუერდი. საკუირველსა უუესთაჲს საკუირველ[263 ჭ]ბათასა ვხედავ ბერწისა მისგან და კურთხეულსა, რამეთუ რომელმანმე უსასობასა მუცლად-ილო წინამორბედი, ხოლო ამან შეუშფოთებულად საშოსა იტუირთა მოწყალეჲ ქრისტე ღმერთი ჩუენი. ამისთვისცა ქუეყანასა ზედა იდიდების, რომელი პირველ შობადმე ქალწულ და შემდგომად შობისა კუალად ქალწულადვე ეგო.

შესწირვიდა შენდა ზაქარია სამღდელოსა მას შინა ჩუეულები-საებრ სუნნელებისა და ურვისათუის უშვილოებისა ვედრებასა, იხილა შენი ანგელოზი, მაცხოვარ, შეძრწუნდა და ესმა, ვითარმედ გესუას შენ ძეჲ და არა რწმენა, რამეთუ ბუნებაჲ მოუძრულებული არა განკურნის სიტყუამან, არა თუ შენ მხოლომან, რომელსა გაქუს დიდი წყა...

[V] **აქებლითსა, კმაჲ დ გუერდი.** რამეთუ უცხო არს მართალთა ურწმუნობაჲ, ზაქარია ღაღადებდა უკმობასა⁵⁶⁴, ღაღაცათუ ენაჲ ბერწ იქმნა, არამედ ბერწსა მიდგომილებაჲ ესწავა და ვნებაჲ შეეწია ვნებასა, მღდელმან მან სიტყუაჲ იგი უდებ-ყო, არამედ იხილა ელისაბედ მიდგომილი ღუმილისა მისთუის და არა ზრუნვიდა, რამეთუ კმაჲ შობასა ელოდა, დიდი სიმდაბლეჲ და დიდი განგებულებაჲ მოსლვისა შენისაჲ, მაცხოვარ, დ ი დ ე ბ ა ე შ ე ნ დ ა⁵⁶⁵.

მოხუცებული სიმართლითა და არა განგმობილი მღდელობასა ზაქარია სიტყუისათუის სიტყუის-გებასა მცირედ რამე ვითარცა უტყუი უკმო ენითა იქმნა, რამეთუ შეუძლებელ არს [264 ე] ღირსობისა მოქალაქობაჲ, არა თუ თანა-მოქმედ ექმნეს სარწმუნობაჲ კეთილად მსახურებისაჲ, რომელმან სამართლით უგულისხმიერ ყვნის ურწმუნონი, რათა ვითარცა სიტყუით განმართლდეს, ეგრეთცა საქმით, მ ა რ თ ლ - მ ს ა ჯ უ ლ ო უ ფ ა ლ ო, დ ი დ ე ბ ა ე შ ე ნ დ ა.

ღირსად ცხორებული და სიმართლით მოხუცებული, რომელმან წესი იგი აპრონისი სიწმიდით მოილო, გუირგუინ-შემოსილი ღირს-

⁵⁶⁴ ღაღადებდა უკმობასა.

⁵⁶⁵ მ. ავალოსილის ვხრი რამდენადმე გაუგებარია.

იქმნა კმევედ ჟამსა შეწყნარებისასა, დაღაცათუ მცირედ რამეჲ ურ-
წმუნოებისა მხილებად მოილო ღუმილი, არამედ ზეცისა ნიჭთა მათ
თანა რაჲ ზრუნეა არს, რომელმან დიდისა მის საიდუმლოჲსა [V]
გამოცხადებითა აუწყა ერსა განმზადებად გზათა უფლისათა, რომე-
ლი კრთომითა მით მუცელსა დედისასა და სიმკნით უდაბნოსა ზედა
ვითარცა მზესა სიმაართლისასა და ცისკარსა ჩუენნი ვალთიად და დიდებად,
რომლისათუისცა მეოხ არს სულთა ჩუენთათუის.

ოხითაჲ, კმაჲ დ გუერდი. დაღაცათუ უშვილოებისა ზრუნვითა
შეპყრობილ იყო ზაქარია, არამედ ჟამსა მას მსახურებისასა შესწი-
რვიდა მსხუერპლსა ქებისასა შენდამი, ღმერთო. ამისთუისცა განა-
დიდა უფალმან ყოფაჲ მისი ჩუენ თანა და აღმოგუიციჲნდა რქაჲ
ცხორებისაჲ და მზეჲ იგი სიმაართლისაჲ, რამეთუ დღეს [265 ე] წყა-
ლობაჲ და ჭეშმარიტებაჲ შეიმთხუენეს, სიმაართლემან და მშუილო-
ბამან ურთიერთას ამბორს-უყვეს საშოთგან დედისა თუისისაჲთ
მღუმრიად მოკითხვითა. ამისთუისცა დღესასწაულსა მისსა აღვას-
რულებთ და გევედრებით შენ, მაცხოვარ, აცხოვნენ სულნი ჩუენნი.

ფსალმუნი, [კმაჲ] დ გუერდი. დასდევ, უფალო... ვიდრე: ბაგი-
თა ჩემითა...⁵⁶⁶

დასადებელი. უფალო, ვაღაღტყავ...

ალელუიაჲ, [კმაჲ] დ გუერდი. პირი ჩემი ავაღე და მო...

კელთა ბანისაჲ, [კმაჲ] დ გუერდი. დაღაცათუ უშვილოებისა
მისგან შეპყრობილ იყო ზრუნვითა, არამედ უბიწოდ აკუმევედა ზაქა-
რია, რომლისათუისცა ჟამსა მას მსახურებისასა მწუხარებისა მის
წილ მიილო სიხარული, რამეთუ მღდელობისა სათნობამან იცის
ყოფაჲ საკუირველებათაჲ. სასყიდლის მიმგებელი ჭეშმარიტო უფა-
ლო, დიდებაჲ შენდა.

[V] **სიწმიდისაჲ.** კორცი უფლისაჲ, სის...

თითუესა სეკლემბერსა კჲ

ხარიტონისი

ყოველი ანტონისი ამსახურო, ანუ მამათაჲ.

თითუესა ნომემბერსა ბ

წმიდისა გეორგისი

უფალო დაღაღტყავსა, კმაჲ ა. საკსენებელსა წმიდათა შენთასა
გიღალადებთ, ქრისტე, რომელმან განაძრიელენ ივინი მოთმანებად
სულგრძელებით სატანჯველთა გამოცდილებასა და ღირს-ჰყვეს სა-
სუფეველსა შენსა.

წმიდათა მოწამეთა ტანჯვაჲ თავს-იდვეს შენიოის. უფალო.

მათითა ოხითა, უფალო, მოგუმაღლე ჩუენ დიდი წყალობაჲ შენი.

ახოვანთა მათ მეუფისა დიდებისათა მკნედ შეურაცხ-ყვეს სატანჯველი და წინა-აუდგეს გულის წყრომასა მძლავრთასა. საცთური დათრგუნეს, ყოველნი ღირსად გუირგუინოსან იქმნეს და მეოხ არიან მაცხოვრისა მიმართ მონიჭებად მშუილობაჲ სოფელსა [266 ჭ] და სულთა ჩუენთათუის დიდი წყალობაჲ.

მაცხოვარ, რომელმან განაჩინე⁵⁶⁷ ღუაწლით შემოსილთა წმიდათა მოწამეთა საკსენებელი, მეოხებითა მათითა ღირს-მყვენ წმიდითა გულითა გალობად და ქებად შენდა, მხოლოო მრავალ-მოწყალო, აცხოვენ სულნი ჩუენნი.

ღაღადებასა შენდა შევსწირავთ, უფალო, რომელმან გამოაბრწყინე მოწამეთა ყოვლად დიდებულთა საკსენებელი და მათ მიერ ეკლესიაჲ შეამკვე დიდებითა და მეოხ არიან სულთა ჩუენთათუის.

ღაღატყავსა. საკუირველებითა და ნიშებითა და ძრიელებითა შეამკვენ წმიდანი მოწამენი და აღიყვანენ იგინი, ქრისტე, შენსა სასუფიველსა...

გალობათა თევდორე წმიდანა⁵⁶⁸ კპოვენ მარხვათა⁵⁶⁹.

ლოცვითა და ვედრებითა მათითა, [V] კაცთ მოყუარე, გუილხინე სულთა მონათა შენთასა და ღირს-მყვენ, ქრისტე, შენსა სასუფიველსა.

სძლეს მტერისა მრავალსა საფრჯესა სარწმუნოებითა სამებისათა და სასუფიველი დაიმკუიდრეს. მეოხებითა მათითა, ღმერთო ჩუენო, მოგუმაღლე მოტევებაჲ ცოდვათაჲ და აცხოვენ სულნი ჩუენნი.

კურთხეულ არსსა. მკნედ დაუთმეს ღუაწლით შემოსილთა სატანჯველთა შენთუის, ქველის მოქმედო ღმერთო მამათა ჩუენ...

იხარებდეს წმიდანი მოწამენი სატანჯველთა შინა სასუფიველისა შენისა მკუიდრ-ყოფითა, ღმერთო მამათა ჩუენ...

სატანჯველსა აგიარეს შენ, ქრისტე მაცხოვარ, მოწამეთა შენთა და ღაღადებდეს: ესე არს ძმ ღმრთისაჲ, რომელი კორციელ იქმნა ჩუენთუის, დაუცხრომელად აკურთხევედეს ღმერთსა მამათა ჩუენთასა. [267 ჭ] სამებასა გიღაღადებდეს წმიდანი შენნი, გაკურთხევედეს სარწმუნოებით ღმერთსა.

აკურთხევედითსა. გალობასა შენდა შესწირვიდეს მოღუაწენი სატანჯველსა შინა მოთმინებისასა და მადლობით იტყოდეს: აკურთხედიო...

შენ გიხილეს, ქრისტე, ჯუარცმული ღუაწლით შემოსილთა, შეურაცხ-ყვეს სატანჯველი და გალობით იტყოდეს: აკ...

⁵⁶⁷ გ.წ.წ.

⁵⁶⁸ თქ.წ.წ.

⁵⁶⁹ მწკრულთა წიგნთა მელნით ათ სტრიქონად გართა აშიაზე.

მეოხებითა ღუაწლით შემოსილთა მიერ ყოველნი გიგალობთ შენ, ქრისტე მაცხოვარ⁵⁷⁰, საცსენებელსა მათსა გვედრებით და ვიტყუით: აკურთხედიოთ...

სამებასა ერთარსებასა შორწმუნენი უგალობთ — მამასა და ძესა, წმიდასა სულსა, აკურთ...

ადიდებითსა. შენ ყოვლად ქებულო უბიწოო ღმრთისმშობელო, რომელი შემდგომად...

[V] შენ, რომელმან ადიდენ ღუაწლით შემოსილნი წმიდანი მოწამენი, კადნიერებაჲ მიანიჭე მათ მეოხებად ჩუენდა. გალობ...

შენ, ზეცათაო და დიდებისა მეუფეო, რომელი ავიარეს მკნეთა მოწამეთა სატანჯველსა შინა და მოიღეს გუირგუინი ძლევისაჲ, გალობით გა...

შენ, რომელმან წმიდათა მიერ კერპთ მძლავრებისაგან და საცთურისაგან ეშმაკისა იკსენ სოფელი, სახიერო და კაცთ მოყუარეო, გალობით...

მეოხებითა წმიდათა მოწამეთა შენთაჲთა, უფალო, სოფლისათვის მშუიდობა-ჰყავ⁵⁷¹ და ჩუენნი შეცოდებანი უგულბელს-ჰყვენ. კაცთ მოყუარე, რაჲთა ანგელოზთა თანა ვღაღაღებდეთ და გალობით გადიდებდეთ.

აქებლითსა. საცსენებელსა თქუენსა, წმიდანო მოწამენო, [268 ჭ] გაქებთ და გვედრებით: მეოხ-გუეყვენით უფლისა მიმართ, რაჲთა ვიკსნნეთ⁵⁷² ურწულოებათა ჩუენთაგან, რამეთუ თქუენ მოგეცა მაღლი მეოხებად ჩუენდა.

ქრისტე, რომელმან მამისა ძღუნად შესწირენ გუირგუინით შემოსილნი, რომელნი შენთუის იწამნეს, მათ მიერ, უფალო, ღირსმყვენ სასუფეველსა შენსა და შეგუიწყალენ ჩუენ.

მეოხ-გუეყვენით ჩუენთუის, წმიდანო მოწამენო...

ღუაწლისა მძლენო წმიდანო მოწამენო, განწესებულნო მკჳდარნო უფლისანო, არა გავნო თქუენ ცეცხლმან, არცა მახუილმან, არცა სატანჯველთა, არცა მკეცთა მკსინვარებაჲმან, არამედ მოთმინებითა თქუენითა მიიღეთ გუირგუინი დაუჭნომელი და ცხორებაჲ [V] წარუალი. წმიდანო მოწამენო, ევედრენით მას დაუცხრომელად კსნად სულთა ჩუენთათუის.

სხუანი. კეთილი ღუაწლი მოიღუაწეთ, წმიდანო, რამეთუ სისხლნი მისცენით და ცანი დაიკჳიდრენით და მცირედ ჟამ ჭირვეულნი უკუნისამდე იხარებთ უმჯობესის⁵⁷³ სულ-გრძელეებით, რამეთუ ხრწნილებაჲ დაუტევეთ და უხრწნელებაჲ მოიპოვეთ და აწ ანგელოზთა თანა იხარებთ. ვაქებთ დაუცხრომელად წმიდასა სამებასა.

მართლისა სარწმუნოებისათუის მკ...

განსდიდენით სულ...

570 მხზვრ.

571 მშბყვ.

572 ეიკსნეთ.

573 ასეა.

სხუანი, [კმა] ა გუერდი. დღეს ნათლით შემოსილს...
 ბრწყინვალე[ბ]ასა ხე...
 შენ, ყოვლად ქებულო და დი...⁵⁷⁴
 [269 ე] სიქადულო წმიდათა მოწამეთა...

სხუაი ყოველი მოწამეთაი სიქუა. თევდორობასა მპოო

თითუესა იღ ნომბერსა მთავარანგელოზთაჲ

უფალო ღალატყავსა, კმა ბ გუერდი. მთავარანგელოზნო ქრისტემს მოწყალისა ღმრთისანო, ყოველნი შემოვედრებულნი დიდებულსა თქუენსა საკსენებელსა ღირს-მყვენ თქუენთა კურნებათა, გვედრებით.

მთავარანგელოზნო უფლისანო, ვითარცა მარადის მღვდმარე ხართ წინაშე საყდართა დიდებისათა, შეგუეწინით მყოფთა ქუეყანისათა და ევედრენით ქრისტესა ჩუენისა დიდისა წყალობისათუის.

მეოხნო ნათესავისა კაცთაჲსანო, დიდებულნო მთავარანგელოზნო უფლისანო, დაუცხრომელად მეოხ-გუეყვენით ცხორებად სულთა ჩუენთათუის, გევედრებით, რაჲთა გარდამოავლინოს სულთა ჩუენთათუის დიდი წყალობაჲ.

[V] მთავარანგელოზნო უფლისანო, რომელნი საყდართა დიდებისათა წინაშე სდგათ და მე...

აკურთხევდითსა, კმა დ⁵⁷⁵. ყოველნი საქმენი და...

შენ, ღმერთო ჩუენო, რომელმან ჰბრძანე, ნატელი და ბნელი დაებადნეს. კურთხეულ არიან საქმენი შენნი, უფალო ღმერთო ჩუენო.

შენ, მეუფეო, რომელსა განწყობილნი ანგელოზნი ცათა შინა გიგალობენ და ჩუენ ქუეყანისანი, ქმნულნი კელთა შენთანი, დიდებასა შენდა შევსწირავთ და კიტყუით: აკურთხე...

საყდართა ქერობინთა ზედა მჯდომარესა მქედრობაჲ ანგელოზთაჲ დაუცხრომელად გაკურთხევს, ჩუენცა მათ თანა გიგალობთ: აკურთხე...

მეუფესა ცათასა და ღმერთსა ყოველთასა, რომელსა ანგელოზნი თაყუანის-ცემით აკურთხევენ, ჩუენცა ერთობით ვიტყოდით: აკურთხე...

ადიდებდითსა. დიდებაჲ⁵⁷⁶ მეუფისაჲ...

ძალნი ზეცათანი ღალადებენ საშინელითა კმითა ღმრთეებისა შენისა ქებასა და იტყუიან: წმიდა ხარ, მაცხოვარ, შეგუეწყალენ.

მთავრობათა დაუკუირდა, [270 ე] უხილაესა რაჲ უფალსა

⁵⁷⁴ ამის შემდეგ თითქოს ფურცელი უნდა აკლდეს.

⁵⁷⁵ იმ კ. მ.

⁵⁷⁶ იმ კ. მ.

გზედვიდეს წყალობა-აურაცხელსა⁵⁷⁷ მკლავთა ზედა ქალწულისათა მოყვანებულსა...

რომელმან სიმდაბლით ყოველივე ჩუენთუის თავს-იდევ, აჰმალლ-დი ზეცით⁵⁷⁸ და დასჯედ მარჯუენით მაძისა, ყოველად ქებულო ანგელოზთა მიერ, თაყუანის-ცემულ[ო] სერაბინთაგან და ჩუენ მათ თანა გა...

იხილეს...

აქებლითსა, კმა დ გუერდი. შემოქმედსა ცათასა...

საყდარნი და...

ოთხ-ხატედნი...⁵⁷⁹

და ჩუენ ქუეყანისანი...

სხუანი, [კმა] დ გუერდი. უფალო, რომელი მაღალთა შინა ანგელოზთა მიერ იქები და ქუეყანასა ზედა კაცთა ნათესავი დღესასწაულსა მთავარანგელოზთასა სიხარულით დალადებენ და იტყუიან: გ უ ა ც ხ ო ვ ე ნ ჩ უ ე ნ, მ კ ს ნ ე ლ ო, რ ო მ ე ლ ი ხ ა რ მ ა - დ ა ლ თ ა შ ი ნ ა.

მკედრობა ანგელოზთა დღეს იხარებს დღესა შუენიერსა დღესასწაულსა მთავარანგელოზთასა, [V] რამეთუ ყოველთა შემოქმედი ღმერთი წესთაგან ანგელოზთა[მსა] იქების, რომლისა⁵⁸⁰ დასეხითა დაცულნი იტყუიან: გ უ ა ც ხ ო ვ ე ნ ჩ უ ე ნ . . . ი გ ი . . .

ეჰა გამოუთქმელი და დიდებული და დიდი სიმდაბლეა, რომელი იხილა ესაია წინაწარმეტყუელმან, მეუფეა უფალი საბაოთ საყდართა ზედა მჯდომარეა, რომელსა მთავარანგელოზნი აქებენ, გ უ ა ც - ხ ო ვ . . . ი გ ი ვ ე .

რომელი ნათელსა თუალთ-შეუდგამსა მსახურ ხარ და ერისთაე კრსა მისსა ზედა, გაბრიელ დიდო მთავარ[ანგელოზო], მახარობელო ქალწულისაო, ნუ დასცხრები ვედრებად კსნად სულთა ჩუენთა-უის⁵⁸¹.

მთავარანგელოზნო უფლისანო, საყდართა დიდებისათა წინაშე ღდომარენო, მეოხნო ყოველთა კაცთანო და აწცა სულთა ჩუენთა-უის ღხინებად ითხოვეთ ქრისტესგან და დიდი წყალობა.

ოხითაჲ, კმა ბ გუერდი. ვის ვევედრნეთ ანუ ვინ დავამშუი-ღოს⁵⁸² შენ ყოველთა უფალი, გარ[ნა?] თუ მსახურთაე შენთა ანგე...

[271 ჭ] **ფსალმუნი, კმა დ გუერდი.** რომელმან შექმნა...

დასადებელი. აკურთხევს სუ...

ალელუიაჲ. ავიარო შენ...

შორის ანგე...

577 აურახხელსა.

578 ზ'ცთ.

579 ოთხატედნი.

580 რ'ლსა.

581 ამ საგალობლის ვასწვრივ გარეთა აშიაზე წითელი მელნით მიწერილია: ს'ხნი კ'ა
 582 გ'ი (=სხუანი, კმა ბ გუერდი). ანგელოზთა ერ... ანგელოზ... რლსა ვი (=რომელსა ვა...).

კელთა ბანისაჲ, კჳაჲ დ გუერდი. რომელნი ძლევისა გალობასა დაუღუმებელად დიდების-მეტყუელებენ, უფლისა შესწირვენ, მიქელ და გაბრიელ დიდნო მთავარანგელოზნო და პირველ ზეცისა ერის-თავნო და წინაშე მღვობელნო ღმრთისანო, ნუ დასცხრებით ვედრებად კსნად სულთა ჩუენთათუის.

სიწმიდისაჲ, კჳაჲ ბ გუერდი. მთავარანგელოზთა და ძალთა ზეცისათა უხარის, რამეთუ ბრწყინვენ წმიდანი შესწირვითა კორცთა მათთაჲთა შენ წინაშე, ქრისტე, და ჩუენ მსხუერპლსა ზეცისა[სა] საიდუმლოსა ქერობინთა თანა შევსწირავთ და ვიტყუით: წმიდა ხარ, წმიდა ხარ, წმიდა ხარ შენ, უფალო; დიდებაჲ შენდა.

სულთანნი

უფალო დაღატყავსა, კჳაჲ ა.

[V] რომელნი გარდასცვალენ, უფალო, სამოთხესა ფუფუნებისასა დააწესენ, ვითარცა სახიერ ხ...

სულნი, რომელ... შეივედ...

ქრისტე მაცხოვარ, გა...

სხუანი. ქრისტე პირველ საუკუნეთა სიტყუაი მამისაო, რომელმან ცხორებაჲ კაცთაჲ ინებე კსნისათუის პირველ შექმნულისა, მოიკსენენ⁵⁸³, უფალო, სულნი შესუენებულთანი, რამეთუ საუკუნითგან მოწყალე ხარ და ნუ მოიკსენებ ცოდვათა მათთა, არამედ მიეც მათ განსუენებაჲ თანა მამით და სულით წმიდითურთ.

ქრისტე სიბრძნეთ და ზრახვაო, დიდო საიდუმლოო მამისაო, რომელმან წყალთა მათ ზედა იორდანისათა მოსლვითა სულისა წმიდისაჲთა და მამისა მიერთთა კმითა ღმრთეებაჲ შენი გამოაცხადე, მოიკსენენ, უფალო, სულნი შესუენებულთანი...⁵⁸⁴

იგივე.

[272 ჳ] და მიეც მათ განსუენებაჲ შენ მიერთანა მამით და სულით წმიდითურთ.

ქრისტე, რომელმან თანა-განზრახვითა მამისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა ჯუართა ვნებული ცხორებაჲ ჩუენი იზრახე და ადამ კრულებისაგან გამოიყვანე, მოიკსენენ, უფალო, სულნი შესუენებულთანი, რამეთუ საუკუნითგან... იგივე.

უგალობდითსა. ფარაო ეტლებითურთ...⁵⁸⁵

რომელმან არაარსისაგან კაცი შექქენ, კაცთ მოყუარე, ქუეს-ჩეღად შთაჰკედ და დაცემისაგან ადამ აღადგინე. უგ...

⁵⁸³ მიკსენ.

⁵⁸⁴ ამას მოსუევს იგივე, რომელიც აქ შეუფერებელი ჩანს.

⁵⁸⁵ ეტლებითურთ.

ჯუართა ქრისტემან სიკუდილი წარმოტყუენა და ცხორებად მოკუდავთა, ვითარცა ღმერთ არს, მონიჭა. მ ა ს მ ხ ო ლ ო ს ა უ . . .
სიკდილი მოაკდინა⁵⁸⁶ ცხ...

იხილა შემოქმედმან ქუეყანაა განხ'რ...

[V] მოიხილესა. მოიხილე ცაო და...

დაგუიცვენ შენნი მოსავნი, რომელმან ძელ...

მართალ და წმიდა არს უფალი, რომელი ადგა . . .

იხილეთ, იხილეთ უფალი ღმერთი ჩუენი, ძმ ღმრთისაჲ, მა...

დიდებაჲ შენდა, დიდებაჲ შენდა, მეუფეო დიდებისაო, რომელი ნეფსით ჩუენთუის ჯუარსა დაემსჭუალე და ადგომითა შენითა მოკ-
დავებაჲ⁵⁸⁷ ჩუენი...

უბიწოო ღმრთისმშობელო ქალწულო...

განძრიელდითსა. განაძრიელე, უფალო, ეკლესიო...

განუსუენე, უფალო, სამოთხესა ფუფუნებისასა სულსა მონათა შენთასა და მოჰმადლე შენდობად ცოდვათაჲ, ვითარცა კაცთ მოყუარე ხარ.

არავინ არს წმიდა და მართალ...

უფალო მესმასა. გამოუბრწყინდა მადლი შენი წარმართთა და...

განუსუენე, მაცხოვარ, სულსა მონათა შენთასა და შენდობად ცოდვათაჲ მოჰმადლე, ვითარცა მხოლოჲ ქველის [273 ჭ] მოქმედ ხარ და დიდად მოწყალე.

ნათელსა დააწესენ სულნი, რომელნი შეივედრენ და მოჰმადლე, ვითარცა სახიერ ხარ, დამკუიდრებად სასუფეველი.

ღამითგანსა. ღამითგან ავიმსობთ...

სულსა მონათა შენთასა განუსუენე, მაცხოვარ, და წიგნსა მას ცხოველთასა დააწესენ, რამეთუ ჩუენ შენსა გარეშ...

განაწესენ, მაცხოვარ, სულნი მონათა შენთანი, ვითარცა სახიერ ხარ და მხოლოჲ ყოვლად ძრიელი მეუფეჲ საუკუნოჲ.

ღალატყავსა, ჯმაჲ ა გუერდი. ვლალატ...

მხოლოო მოწყალეო, სულსა შესუენებულთასა წმიდათა და რჩეულთა შენთა თანა განუსუესე, ვითარცა კაცთ მოყუარე ხარ, უფალო.

მხოლოო სახიერო, სულნი მონათა შენთანი რჩეულთა შენთა თანა დააწესენ და განუსუენე, რამეთა ყოველნი გივალობდეთ შენ კაცთ მოყუარესა უფალსა.

ვითარცა აღმოსლვამან [მ]ზი...

[V] კურთხეულ არსსა.

ყოველნი საქმე[ნი] ჭე...

რომელი ასდევ მესამესა დღესა საფლავით, მოწყალე, და დასთრგუნე სიკუდილი, უფალო ღმერთო მ...

რომელი მოკუდავთა ცხორებაჲ ხარ, სულსა აღსრულებულთასა განუსვენე, უფალო ღმერთო.

586 ასეა.

587 ასეა.

რომელნი გარდაცვალენ სოფელსა მას ცხოველთასა, განსუენებასა ღირს-ყვენ, უფალო ღმერთო მამათა ჩუენ...

ყოველნი მამასა...

აკურთხევდითა. ყოველნი საქმენი აკურთხევდით შემოქმედსა მეუფესა, რომელი მიანიჭებს ყოველთა ადგომასა და ცხოვრებასა, უგალობდით.

ძრიელსა და უკუდავსა ვაკურთხევდეთ...⁵⁸⁸ სარწმუნოებით [274 ე] შესუენებულნი ნათელსა დააწესნეს სამარადისოსა, უგ...

ქმნულსა კელთა შენთასა ნუ უგულუბელსჰყოფ, არამედ განუსუენე. ვითარცა მოწყალე ხარ, სულსა მონათა შენთასა, რაფთა ყოველნი ვღალადებდეთ და ვიტყოდით: აკურთ...

სამებასა წმიდასა ერთარსებასა განსწავლულნი მორწმუნენი ერთითა პირითა უგალობთ და ვიტყუით: აკუ...

ადიდებდითა. შენ ყოვლად ქებულო...

შენ ყოვლად ქებულსა და უბიწოსა ჟა...

შენ, რომელსა გაქუს კელმწიფებაჲ ცხოველთაჲ და მკუდართაჲ, რომელმან გარდაცვალებულთა⁵⁸⁹ სულნი ანგელოზთა მიერ სამოთხესა ფუფუნებისასა წარავლინენ, ღმერთსა და უფალსა გალობით გადიდებთ.

[V] შენ ზეცათაო და დიდებისა მეუფეო, რომელმან გარდაცვალებულთა სულნი რჩეულთა შენთა თანა აპრაცხენ, ღმერთსა და უფალსა გ...

აქებადითა. ქრისტე, რომელსა გაქებენ ძალნი ცათანი, ერნი ანგელოზთანი⁵⁹⁰, კრებული წმიდათაჲ და სულელები ერთა მორწმუნეთაჲ, მათ მიერ, უფალო, შეიწირე საჯსენებელი შესუენებულთაჲ⁵⁹¹ და მიეც მათ განსუენებაჲ, რომელნი მოელიან⁵⁹² ღმრთეებით მეორედ მოსლვასა შენსა.

ქრისტე, რომელმან დაამტკიცენ წმიდანი ეკლესიანი შესაკედრებელად სულთა მორწმუნეთა, მათ მიერ... იგივე.

ქრისტე, რომელმან მოსცენ წმიდანი მოციქულნი ნათლად სოფლისა და მადლითა სულისა წმიდისაჲთა მომატყუებელ ჩუენდა იქმნეს ზეცისა ცხოვრებასა, მათ მიერ... იგივე.

რომელთა მიუწოდე, უფალო, განსუენებასა ღირს-ყვენ, რაფთა კადნიერებაჲ პოონ და ქებით გიღალაღონ შენ მაცხოვარსა სოფლისასა.

სხუანი. გაქებთ შენ უკუდავსა მეუფესა, რომელი აცხ...

[275 ე] მცნებისა გარდასლვითა ეუფლა სიკუდილი ადამს და დაისაჯებოდა იგი ქუესკნელთა თანა ჯოჯოხეთისათა, ხოლო შენ,

⁵⁸⁸ არ იცითება.

⁵⁸⁹ გარდაცვალებულთა.

⁵⁹⁰ ანგელოზნი.

⁵⁹¹ შინოელი.

⁵⁹² სიკუდილი.

რომელი მიმნიჭებელ ხარ, მოხუედ⁵⁹³ ჯუართა, აცხოვნე ადამი, მია-
ნიჭე მას შენი სასუფეველი, მოიკსენენ, უფალო, სულნი
გარდაცვალებულთანი და მკუიდრ ყვნენ იგინი
სასუფეველსა წმიდათა შენთასა⁵⁹⁴.

მზის თუალი სიმართლისაჲ გამოუბრწყინე გულთა ჩუენთა, ნა-
თელი ჭეშმარიტი, კარი განმიღე და შეგუკრიბენ საგრილსა ჯუარისა
შენისასა სადიდებელად სახელისა შენისათუის. მოიკ... იგივე.
ღმერთო, რომელმან არაარსისაგან კაცი შეჰქმენ, კაცთ მოყუა-
რე, ნუ პირისა შენისაგან განაგდებ, არამედ შერთე იგი სამწყსოსა და
წიგნსა მას ცხოველთასა დააწესე, სადიდ... იგივე.

ოხითაჲ. მეუფემან ქრისტემან თუისითა კელმწიფებითა ჯოჯო-
ხეთისა ძრიელებაჲ...

ფსალმუნი. მიწყალე მ...

დასადებელი. რამეთუ დიდ ა...

აღელუიამ რამცა კჳამ იუოს

კელთა ბანისაჲ. მცნებისა გარდასლვითა ეუფლა სიკდილი⁵⁹⁵
ადამს, ხოლო ადგომი...

[V] **სიწმიდისაჲ.** სულითა ნათელ ხარ შენ, ქრისტე, და წმიდა-
თაგან იდიდები. მსხუერპლი ესე ჩუენი დღეს ღირსებით შეიწირე
და სულსა შესუენებულთასა განუსუენე, რამეთუ წმიდა ხარ, წმიდა
ხარ, წმიდა ხარ შენ.

დასადებელი ხარებისანი აჳა დაწერენ.

წარდგომადცა სოქუნე.

კჳამ ა. მწუხრისა მსხუერპლსა შევსწირავთ შენდა, ქრისტე
ღმერთო, რომელმან ჯერ-იჩინე ქუეყანისა ქალწული და გაბრიელ
ანგელოზი ხარებად მოუვლინე, რაჲთა იქსნე ნათესავი კაცთაჲ მო-
ნებისაგან საცთურისა მტერისა.

დღეს იხარებენ ძალნი ცათანი და გიგალობენ საფუძველნი
ქუეყანისანი, რამეთუ გაბრიელ ანგელოზისაგან ქუეყანისა ქალწული
ზეცისა სიძისა მიითხოვა.

რაჲჟამს აიძრა კჳამ მამისაჲ, ანგელოზნი განკუირვებით იტყო-
დეს: ეჳა ყოველთა უფალი, რამეთუ დღეს ზეცით ქუეყანად მიიკლი-
ნების და ქუეყანისა კაცთა ზეცისათა თანა შეაერთებს.

იბაკონი ხარებისანი

კჳამ ბ. [276 ჭ] ანგელოზისა ხარებაჲ შეიწყნარა ქალწულმან და
ნაყოფი მუცლისაჲ დაიჭია უბრალომან. მუცლად-ღებასა განიზრა-
ხვიდა იოსებ და გოდებით იტყოდა: ვითარ განუტეო ქალწული, რო-

593 მს^რ.დ.

594 შ^რთნა.

595 ასეა.

მელი წარვიყვანე ტაძრისაგან ღმრთისა? ვითარ განუტეო? მუცლად-
დებულსა ვხედავ და რჩულისაგან მეშინის. ხოლო მან რქუა: მამა-
კაცი მე არა ვიცი, მეწამების, რომელმან მომართუა მე ხარებად,
არამედ ჩემგან შობილმან ღმერთმან მოანიჭოს სოფელსა დიდი წყა-
ლობაჲ.

სხუაჲ, კმაჲ ბ. ჭეშმარიტი ბრძანებაჲ მოაქუნდა გაბრიელს ქალ-
წულისა, განკუთრებით განიზრახვიდა: რომელსა ცანი ვერ შეძმლე-
ბელ არიან ტუირთვად, ვითარ ქალწულმან [V] მუცლითა იტუირ-
თოს? არამედ არა გამოვიკლევდე⁵⁹⁶, რამეთუ იგივე შევალს, რომელ-
მან მომავლინა მე ხარებად. გიხაროდენ, მარიამ, რამეთუ შენ დედად
მაცხოვრისად გამოშინდი⁵⁹⁷; გიხაროდენ, ქალწულო, რამეთუ შენგან
გამობრწყინდეს მზეჲ იგი სიმართლისაჲ; გიხაროდენ, მიმადლებუ-
ლო. რამეთუ შენგან შობილმან ღმერთმან აცხოვნეს ნათესავი კაც-
თაჲ.

სხუაჲ, კმაჲ დ გუერდი. ღმრთისმშობელო ქალწულო, შენდა
რად მოვივლინა გაბრიელ ანგელოზი ღმრთისა მიერ უწყებად საიდუმ-
ლოსა, ლატევენად დაუტევენელისა და გეტყოდა შენ: გიხაროდენ, სახა-
რულევანო, რამეთუ სული წმიდაჲ მოვიდეს შენ ზედა, ძალი მაღლი-
საჲ გუარვიდეს შენ. ამისთუისცა შენგან შობილსა ძე მაღლის⁵⁹⁸
ეწოდოს, რომელმან იკსნას ნათესავი კაცთაჲ.

[277 გ] იბაკონი ქრისტეს შობისანი

კმაჲ ა. საფასეჲ დაფარული გამოსჩნდი დღეს, რომელი მთიები-
სა წინა იშვე, ქრისტე ღმერთო, ქალწულისაგან ღმრთეებაჲ დაიფა-
რე და კაცებაჲ შეიმოსე, საყდართა წილ ქერობინთა[სა] პირუტყყთა
ბავასა განისუენებ, რომელსა ბევრეულნი ანგელოზთანი ძწოლით
გმსახურებენ. ქუეყანასა ზედა მოგუნი ძღუენსა შესწირვიდეს მეუ-
ფისა ყოველთაჲსა, რომელმან ყოველივე თავს-იდეჲ ჩუენისა ცხო-
რებისათუის, საკუირველთ მოქმედო უფალო, დი-
დებაჲ შენდა.

სხუაჲ, კმაჲ გ. უფროჲს სამოთხისა ქუაბი დიდებულად გამო-
ჩნდა, შეგიწყნარა შენ ევმანუელ, [V] რამეთუ სამოთხეს შინა ევას
მცნებისა გარდასლვითა სიკდილი⁵⁹⁹ ეუფლა, არამედ ქუაბსა შინა
ქალწულმან შობითა ცხორებაჲ მოგუმაღლა. დიდებაჲ მო-
სლვასა შენსა, უფალო; დიდებაჲ შობასა წმი-
დისაგან ქალწულისა, უფალო; დიდებაჲ შენდა.

სხუაჲ, კმაჲ დ გუერდი. შობასა შენსა, ქრისტე, შეძრწუნდა
ეროდე და ყოველი იერუსალემი მის თანა, რამეთუ მოგუნი აღმოსავა-
ლით მოვიდეს შენდა, ცხოველსა გხედვიდეს რად მკლაფთა ზედა ქალ-

⁵⁹⁶ ანუ

⁵⁹⁷ ეწმინდები.

⁵⁹⁸ ანუ

⁵⁹⁹ ანუ

წულისათა. დაღაცათუ ურჩულომან მან უბრძანა მოწყუედაა ჩრუილ-
თაა მათ, არამედ ღმრთეებამან შენმან უწოლა მკუიდრად სასუფე-
ველსა. **მ ა ც ხ ო ვ ნ ე ბ ე ლ ო ქ რ ი ს ტ ე ღ მ ე რ თ ო, დ ი დ ე -
ბ ა ა შ ე ნ დ ა.**

სხუაჲ, კმაჲ ბ. შენი შობაჲ, ქრისტე ღმერთო, სიხარუ...

[278 ჭ] **სხუაჲ, კმაჲ ა გუერდი.** უფროჲს გულისხმისა შობაჲ...

სხუაჲ, კმაჲ დ გუერდი. მოვედით, მორწმუნენო, ვიხარებდეთ
ღღეს შობასა მკუფი...

სხუაჲ, კმაჲ დ. ყრმანი სიონით წარიტყუენ...

სხუაჲ, კმაჲ დ გუერდი. რომელი სანატრელ ხარ ღელათა...

იბაკონი სტეფანესანი

კმაჲ ბ. ოდეს ემხილებოდა პირველისაგან მოწამისა ურჩულოთა,
ივინი უფროჲს განრისხდებოდეს და კბილთა მათთა მის ზედა იღრ-
ჭენდეს. აღიტაცეს და განაგდეს ქალაქით და ქვასა დაჰკრებდეს მის
ზედა, ხოლო რომელი-იგი ევედრებოდა მათთუის, მოიკლა⁶⁰⁰ მათ-
განვე დაბადებულთათუის. შენ გევედრების, ქრისტე ღმერთო, მისი-
თა მეოხებითა მოჰმადლე სოფელსა ღზინებაჲ და დიდი წყალობაჲ.

[V] **სხუაჲ, კმაჲ დ გუერდი.** ნიშებსა და სასწაულებსა ჰყოფდა
პირველ-მოწამეჲ სტეფანე ძალითა ღმრთეებისა შენისაჲთა, უფა-
ლო, ოდეს-იგი ამხილებდა ურჩულოთა ჰურიათა და ივინი რისხვიით
ღაღადებდეს მის ზედა და იზრახეს მოკლვაჲ მართლისაჲ მის, რო-
მელმან იხილნა ცანი განხუმულნი და შენ მარჯუენით მამისა მჯდო-
მარეჲ, ხოლო იგი ილოცვიდა და იტყოდა: უფალო, ნუ შეურაცხავ
ამათ ცოდვასა ამას. მისითა მეოხებითა მოგუანიჰე სულთა ჩუენთა
ღიდი წყალობაჲ.

სხუაჲ, კმაჲ დ გუერდი⁶⁰¹. ოდეს სტეფანე მუკლთ მოდრეკით
ევედრებოდა ქრისტესა, აღმოსავალით ხედვიდა სახესა ჯუარისასა
და ბრწყინვალებასა მისსა ვერ იკადრებდა თუალთა შედგმად, [279 ე]
ევედრებოდა, ეტყოდა პირველ მოწამეჲ წმიდაჲ სტეფანე: შეივიდრე
სული ჩემი და იხილენ, რომელნი-ესე ქვასა დამკრებენ მე; შეივიდრე
სული ჩემი და უცხო თესლთაგან მიკსენ მე; შემიწყალე მე, უფალო,
და მაცხოვრე.

დასადებელნი მოწამეთანი

წარდგომადცა სოქუნე

კმაჲ დ გუერდი. მოწამენო ჭეშმარიტნო და მოღუაწენო ქრის-
ტეჲსნო, თქუენ ვენებათა⁶⁰² ამის სოფლისათა თავნი თუისნი მისცენით
და ყოველი ტანჯვაჲ დაითმინეთ და ანგელოზთა თანა მეოხად გაძოს-

ჩნდით. შემწენო სოფლისანო, მეოხ-გუეყვენიტ სულთა ჩუენთათუის.

დიდი საკუირველებად, რომელი იქმნა ქრისტემს მკნეთა შორის, რამეთუ საცთურსა ეშმაკისასა სძლეს და მძლავრებად მკეცთად შეურაცხ-ყვეს და ანგელოზთა პატივიტა ცათა⁶⁰³ შინა გუირგუინოსან⁶⁰⁴ იქმნეს⁶⁰⁵. მათიტა მეოხებითა, მრავლიტა მოწყალეტიტა შენითა, ღმერთო⁶⁰⁶, და შეგუიწყალენ ჩუენ.

[V] მოწამენო ქრისტემსნო, ევედრენიტ ღმერთსა ჩუენთუის და ითხოვეტ სულთა ჩუენთათუის სიმრავლეჲ წყალობისაჲ და მოტევებად აურაცხელთა ცოდვატა ჩუენთათუის, გევედრებით.

წარდგომანი და იბაკონი მოწამეთანი

კმაჲ ა. რომელთა უშურველი წყაროჲ კურნებისაჲ მოიგეტ, წმიდანო მოწამენო, და მოღუაწებითა თქუენიტა მკურნალ გუექმენიტ უძრულებატა ჩუენთაგან, გევედრებით.

წმიდანი შენნი, უფალო, განძრიელღეს სარწმუნ...

მოწამენი შენნი, უფალო, დიდნი შემწენი გა...

სიმართლეჲ შენი, ქრისტე, სიმართ...

სუფევაჲ შენი სუფევა არს, უფალო, უკუნისამღე და...

კარავსა მოწა...

მე-ბ კმაჲ. მოწამეთა შენთა, უფალო, ზეცისა იერუსალემისთუის ჯორცნი მათნი ტანჯვასა მისცნეს და ანგელოზთა თანა-მოდასე იქმნეს. მათიტა ოხიტა მოგუჲმადლე სულთა ჩუენთა დიდი წყალობად.

[280 ე] წმიდატა შენთა, უფალო, შე...

გამოაჩინე, უფალო, მოსემს მიერ ზეცისა იგი დიდებაჲ პირველად კილობანი იგი რწულისაჲ და კარავი სიწმიდისაჲ სახედ ქალწულისა და სიბრძნისაგან აღაშენე ტაძარი წმიდაჲ შენი. მაშინ პირველი იგი სახეჲ თაყუანის-იცემებოდა და იდიდებოდა, ხოლო აჲა მოციქულთა მიერ სულიტა წმიდითა შემოსილიტა კლდესა ზედა სახარებისასა დამტკიცნეს ჯუარითა წმიდანი ეკლესიანი მიმსგავსებულნი სამოთხესა ედემისასა⁶⁰⁷ და ხისა მის ცხოვრებისა[მსა] შესავედრებელად ერთა მორწმუნეთა. რამეთუ ყოველივე სიბრძნით ჰქმენ ჩუენთუის, ქრისტე ღმერთო, დიდებაჲ შენდა.

გამოგარჩინა თქუენ...

დიდებაჲ მაღალთა ში...

რომელმან შფოტი იგი...

და მე...

მე-გ-სა კმაჲს. წმიდატა კარავის...

სული წმიდაჲ იდიდების და...

⁶⁰³ ი. თნა.

⁶⁰⁴ გარგნ.

⁶⁰⁵ ასეა.

⁶⁰⁶ ამას მოსდევს და, რომელიც ზედმეტია.

⁶⁰⁷ ედემისასა.

უფალო, რომელმან მოჰმადლე მშუიღობაჲ შენი წმიდათა და გამოაჩინენ იგინი ნათლად სოფლისა, რომელთა მიერ ვნებანი იდევენებთან და საცთური ეშმაკისაჲ განქარდების, მათითა ოხითა, უფალო, შეგუიწყალენ ჩუენ.

[V] წმიდათა მოწამეთა ცათა შინა დიდებულთა, ქუეყანასა ზედა ქებულთა, ქრისტე აიარეს ჯუართა შეჭურვილთა, კორცთა შინა ივნეს და უკორცოსა მტერსა სძლეს, გუერგუინი ზეცისაჲ მოიღეს და სათნო-გეყვენეს შენ. მათითა ოხითა, ქრისტე, აცხოვნენ სულნი ჩუენნი.

საფასეთა თქუენთა...
საკუირველ არს ღმერთი, შესწ...
დღესასწაული წმიდათა...
მოციქულნი და მოწამ...

მე-დ-სა კმასა. ძრიელებაჲ ჯუარისა შენისაჲ აქუნდა საჭურველად მტერისათუის მოციქულთა შენთა და მოწამეთა და ყოვლადვე არცხუენდეს საცთურსა მას მტერისასა და თანა-მოდასე ექმნნეს მსახურთა მათ ზეცისათა, ძალითა ჯუარისაჲთა განძრიელდებოდეს⁶⁰⁸, ოხითა მათითა მოგუმადლე სულთა ჩუენთა დიდი წყალობაჲ.

კრებული ანგელოზთაჲ აქებდა მკედრობასა წმიდათასა, არა⁶⁰⁹ ერიდნეს მახუილსა [281 ჭ] და ცეცხლსა. რომელმან მიანიჭე მათ გუირგუინი დიდებისაჲ. მათითა ოხითა, ქრისტე ღმერთო, შეგუიწყალენ ჩუენ.

განდიდა უფალმან სახელი თქუენი ყოველ...
რომელი მთავრობად...
რომელი საყდარ...
გამოგ...
საღმრთო...
მოწამენი შენ...
შეზლუდ...

რომელნი ბრძოლასა მკნეთასა ახოვნად საცთურსა ზედა განმტკიცენს ლუაწლისა მძლენი წმიდანი ორმეოცნი არა თუ ჰორლითა და ჯაჭუითა, არცა ფართითა, არამედ სარწმუნოებითა, სასოებითა და სიყუარულითა, რამეთუ დიდ არს ძლევისა საკუირველებაჲ, რამეთუ უჭირველად შიშუელთა წარმოტყუენეს მტერი, ტბასა შინა მოაკედინნეს [V] იგინი, რამეთუ გულისა ვნება არს მყინვარი. რომლისათუის მეოხებითა წმიდათა ორმეოცთა შენთაჲთა სიმრავლეჲ წყალობისა შენისაჲ გარდამოგუივლინე, მაცხოვარ, სულთა ჩუენთა და დიდი წყალობაჲ.

⁶⁰⁸ გნარდებოდეს.

⁶⁰⁹ ასეა.

იბაკონი მოციქულთანი

კმა ა. ღირსად, უფალო, მოციქულთა შენთა სიხარული მიანიჭე, ვისმე კლიტენი სასუფეველისანი არწმუნენ, ხოლო რომელიმე ვიდრე მესამედ ცაღმდე აღიბაცე, არამედ ერთი იგი მკერდსა შენსა ზედა მიიყრდენ და აწ⁶¹⁰ იდიდებიან ეკლესიათა, რამეთუ სარწმუნოებთა ქადაგეს⁶¹¹ უჩინონი და დაფარულნი საიდუმლონი. ლოცვითა მათითა [282 ჭ] მარადის შეგუიწყალენ ჩუენ.

კმა ბ. მოციქულნო, მოწამენო და წინაწარმეტყუელნო, რომელთა ღუაწლი კეთილი მოიღუაწეთ, სარწმუნოებად დაიმარხეთ, ვითარცა გაქუს კადნიერებად ქრისტესს მაცხოვრისა, დაუცხრომელად მეოხ-გუეყვენით სულ[თა] ჩ...

კმა ბ. ღმრთივ გამობრწყინებულნო მოციქულნო, ყოველი საცთური კერპთა დასტრგუნეთ, ზეცისა სასუფეველსა მკუიდრად გამოსჩნდით, კადნიერებად გაქუს, მეოხ-გუეყვენით ქრისტესს ღმრთისა სულთა⁶¹² ჩუენთათუის.

კმა ა გუერდი. ღმრთივ გამორჩეულნო ქადაგონ⁶¹³ ჭემმარიტნო, წმიდანო მოციქულნო, დიდისა მის საიდუმლოფისა მაუწყებელნო, რომელი კაცთაგანმან არავინ იხილა, დაფარული კორცთა შინა თქუენ მიერ იმსახურებოდ⁶¹⁴, ვითარცა უკორცთაგან. ამისთუისცა ევედრენით ქრისტესსა გარდამოვლინებად ჩუენდა დიდი წყალობად.

[V] **კმა გ გუერდი.** ოდეს იქცეოდე, მაცხოვარ, შორის მოწაფეთა შენთა და ივინი ჰხედვიდეს⁶¹⁵ საკუირველებათა შენთა, უფალო, ამისთუისცა მიეც მათ ჯელმწიფებად კურნებად სნეულთა და ყოველთა უძრულებათა⁶¹⁶ კაცთასა, ხოლო მათ ნიშითა ჯუარისა შენისაათა განაქარვეს ყოველი საცთური მტერისა და ქადაგეს საკუირველებად აღგომისა შენისა. მათ მიერ, ქრისტე ღმერთო, გუაცხოვენ ჩუენ.

კმა გ. მოციქულნო და მოწამენო ქრისტესსთა მ...

სსუა, კმა ბ. გამობრწყინდეს საქმენი მადლისანი ყოველსა სოფელსა თქუენითა მოძღურებითა, მღღელობისა მოქაღულნო სანატრელისა სამებისანო, რამეთუ თქუენ მოგეცა ცნობად გამოუთქმელი სასუფეველი ცათად, დაუვიწყებელად კეთილად მსახურებისა [283 ჭ] სარწმუნოებად, დაქსნად ერისა რჩული. ვითხოვთ თქუენ მიერ ყოველთა ღმრთისაგან ღბინებასა და დიდსა წყალობასა.

მღღელთ მოძღუართანი

ღიძნისნი მღღელთ მოძღუარნი ვითარცა წარუვალნი მნათობნი გამობრწყინდეს, რამეთუ ნათელი ნათლისაგან სოფელსა უქადაგეს.

⁶¹⁰ და აწ მეორდება.

⁶¹¹ ასეა.

⁶¹² სრითა.

⁶¹³ გრდენო.

⁶¹⁴ იმსახურებოდ.

⁶¹⁵ ჰედვიდეს.

⁶¹⁶ უძრულებასა.

შენ მამისაგან წინა მთიებისა გამობრწყინებითა, რომელთა ღმრთისა სული მოძღურებისაჲ აქუნდა დაუშრეტელი განათლებად, დაგუიცივენ ჩუენ და წარგუიმართე⁶¹⁷ ვედრებით.

კმაჲ დ გუერდი. მწყემსნო ჭემმარიტნო სამწყსოჲთა მით ქრისტეჲსითა მის მიერ გამორჩეულნო, რომელნი საღმრთოთა [V] მათგან წესთა დაუკლებელად გამოსჩნდით და სამებისა ერთარსებისა მართლმადიდებლობაჲ სოფელსა დაამყარეთ, თქუენ მიერ წვალებებისა იგი საცთური დაჰქსნდა, თქუენ მიერთთა სარწმუნოებითა ეკლესიანი გუირგუინოსან იქმნეს, ოხითა თქუენითა, წმიდანო მღვდელთ მოძღუარნო, მშუილობაჲ სოფელსა მოჰმადლეთ ქრისტეჲს ღმრთისაგან და დიდი წყალობაჲ.

კმაჲ ა. რომელთა მცნებაჲ მაცხოვრისაჲ აღასრულეთ და სიმღირეჲჲ ქუეყანისაჲ განახნიეთ გლახაკთა მოწყალებითა, წმიდანო მღვდელთ მოძღუარნო, და დასდევით ზეცისა საუნჯესა მერმისათუის და მოიგეთ მარგალიტი დიდისა სასყიდელისაჲ — სასუფეველი ქრისტეჲსი, [284 ე] ევედრებით დაუცხრომელად სულთა ჩუენთათუის.

იბაკონი განცხადებისანი

კმაჲ ა. შემდგომად შობისა შენისა უხრწნელად მოხუედ იორდანედ⁶¹⁸, ქრისტე, მოუდრიკე თავი შენი უხრწნელი იოვანეს. მაშინ სამყარონი ცისანი განგებუმოდეს, გხედვიდეს რაჲ საშინელსა შენსა განშიშულებასა და წყალნი ძწოლით უკუნიქცეოდეს, ვერ შეუძლებდეს ხილვად ღმრთეებისა მიახლებასა, რომელი განსცხადენ, ღმერთო, ცხოვრებად სულთა ჩუენთათუის.

კმაჲ ბ. შეძრწუნდეს მრავალ-თუალნი ქერობინნი და შეშინდეს ზეცისა მსახურნი, ოდეს შენ მამისა მიერ წამებით ვიხილა, იორდანეჲ უკუნიქცა კუალსა და ბორცუნი ვითარცა კრავნი ცხოვართანი იმღერდეს შენთუის. რომელი განჰკაცენ, უფალო, დიდებაჲ შენდა.

კმაჲ ბ. დაუკუირდა წესთა ცეცხლისფერთა ანგელოზთასა, [V] ვიხილეს რაჲ შენ იორდანედ მომავალი, ქრისტე ღმერთო, მას ჟამსა შიშითა შეჰყრობილ იყო იოვანე და ვერ იკადრებდა ჯელისა დადებად უხრწნელსა თავსა შენსა, ხოლო სული წმიდაჲ გარდამოკდა ერთ-ღმრთეებისაჲ, რომელი მოხუედ განათლებად ყოველთა გამოჩინებითა შენითა. ქრისტე ღმერთო, დიდებაჲ შენდა.

კმაჲ გ. წყალთა მათ იორდანისათა სათნო-იყავ შემოსად, მაცხოვარ, რომელმან შეჰმოსენ ცანი ღრუბლითა, ვითარცა მოწყალე⁶¹⁹ ხარ, რამთა პირველ ქმნულისაჲ მის შიშლოებაჲ შეჰმოსო წყლითა და სულითა წმიდითა. ქრისტე ღმერთო, დიდებაჲ შენდა.

კმაჲ დ გუერდი. რომელი მამისაგან განუშორებულ ხარ, ქალწულისაგან კორციელად გამოსჩნდი, იორდანედ მოხუედ ნათლის-

617 წრ. გმრთე.

618 იორდანთ.

619 ასეა.

ლებად იოვანეს მიერ, მეორედ შობაჲ მოგუმადღე წყლითა და სუ-
ლითა წმიდითა და ცოდვანი სოფლისანი აჰკოცენ გამოჩინებითა შე-
ნითა. ქ რ ი ს ტ ე ლ მ ე რ თ ო, დ ი დ ე ბ ა ა შ ე ნ დ ა.

[კმაჲ] დ გუერდი. ოდეს გიხილა შენ წინამორბედმან განშიშ-
ლებული შენ, მაცხოვარ...

[285 ე] [კმაჲ] დ გუერდი. მოვედით, მორწმუნენო, ვიხარებდეთ
დღეს...⁶²⁰

[კმაჲ] დ გუერდი. უფალო, აღსრულებად ინებე, რომელნი სა...

[კმაჲ] დ გუერდი. გშუენის⁶²¹ იოანე.

[კმაჲ] დ. მსგავსად ნათლისა გარ...

კმაჲ ა⁶²². დიდებული აღსრულების საიდუმლოჲ დღეს იორდა-
ნისა მდინარესა ქრისტემს ღმრთისა ჩუენისა⁶²³ ნათლის-ლებასა გან-
გებულებითა და ანგელოზთა ერნი გარემოჲს დგეს საბანელსა მას და
წყლისა დინებაჲ დგა, საღმრთოსა მსახურებდა წამისყოფით და მამაჲ
წამებითა: ევე არს ძმ ჩემი, რომელი მე სათნო-ვიყავ, რომელსა აქს⁶²⁴
დიდი წყალობაჲ.

კმაჲ ბ. ვითარცა კაცი მოხუედ იორდანედ და ღმრთეებრ გამო-
ეცხადე იოანეს, ითხოვდ ნათლის-ლებასა და მოანიჭე განწმედაჲ
წყალთა სულითა წმიდითა, ცოდვანი ჩუენნი შესწუვენ ცეცხლითა
ღმრთეებისათა და ჩუენ განგუანათლენ. ცანი განეხუნეს და მამისა
მიერ კმაჲ ყოველთა ესმოდა. რომელი განანათლებ ნათესავსა კაც-
თასა, უფალო, დიდებაჲ შენდა.

[V] იბაკონი ანტონისნი

კმაჲ ა. საკუირველ სულიერ პირი შენი იყო, ღირსო მამაო წმი-
დაო ანტონი, რამეთუ ვითარცა სუნნელებაჲ საკუმეველისაჲ ლოც-
ვაჲ შენი აღვიდოდა ღმრთისა, რომელსა აწცა ევედრე ცხოვებისა-
თუის სულთა ჩუენთაჲსა.

[კმაჲ] ა. მარტომყოფობისა სუეტ იქმენ და ჰბაძევი პირველ-
თა მამათა, წმიდაო ანტონი, იობს ვნებითა და იობს განსაცდელითა,
ხოლო უკორცოთა თანა-მოქალაქობჲ, რომელი იყავ კორციელ.
მეოხ-გუეყავ⁶²⁵ უფლისა მიმართ კსნად სულთა ჩუენთათუის.

[კმაჲ] ა გუერდი. ეჰა წმიდანო მამანო, ილუაწით სასუფევიკლი-
სათუის, რომლისათუისცა ღირს ხართ ცხოვრებასა დაუსრულებელ-
სა, რომელთა გაქს⁶²⁶ კადნიერებაჲ, ევედრენით დაუცხრომელად
ქრისტესა გარდამოვლინებად ჩუენდა დიდი წყალობაჲ.

⁶²⁰ ე. იტყვა მეორედ.

⁶²¹ გუენს.

⁶²² ა. კ. მ.

⁶²³ მ. მ. მ. მ.

⁶²⁴ ა. ა. ა.

⁶²⁵ მ. მ. მ. მ.

⁶²⁶ ა. ა. ა.

[კმაჲ] დ გუერდი. იწროჲსა და ძნელისა მის გზისა ჭეშმარიტად მოგზაურ იქმენ, წმიდაო ანტონი, [286 ჭ] რამეთუ ბრძოლასა ეშმაკთასა დაუთმე და ანგელოზთა მობაძაჲე მსახურებაჲე მოიპოვე და კლდესა ზედა ღმრთის მსახურთა საფუძველ ექმენ. მეოხ იყავ ქრისტეჲს მიმართ სულთა ჩუენთათუის.

იბაკონი ჯუარის გამოჩინებისანი

კმაჲ გ. იხარება ბანაკი ანგელოზთაჲ...

[კმაჲ] დ გუერდი. სახეჲ პატიოსნისა...

[კმაჲ] დ გუერდი. ნიშითა და სასწაულითა უხრწნელი და პატიოსანი ჯუარი შენი, ქრისტე, რომელი ჰურიათაგან დამალულ იყო ქუეყანასა ზედა, ხოლო ცათა შინა იხილვებოდა მეუფისა გამოჩინებითა, რომელი მძლე ექმნა ღუაწლსა და წინა-აღმდგომთა ბრძოლისათა⁶²⁷ და მკრწნელ საცთურსა კერპთასა, რომელი არს შემწვედ სულთა ჩუენთა(ჲ).

იბაკონი ლამპრობისა[60]

კმაჲ ბ. [V] სუიმეონ მოხუცებული უჟესთაჲს დღეს ზეცისა ძალთა გამოჩნდა, რომელნიმე ძწიან ქერაბინთა საყდართა თანა მდგომარენი, ხოლო ამან რაჲ გიტუირთა შენ ღმერთი, არა⁶²⁸ შეძრწუნდა. რომელსა ოთხ-ხატედნი⁶²⁹ გიტუირთვან⁶³⁰, რამეთუ ესრე სათნო-იყავ კორციითა შესხმაჲ. უფალო, დიდებაჲ შენდა.

კმაჲ ბ. შემოქმედი ანგელოზთაჲ მკლავთა ზედა მივიქუა სუიმეონ და ღაღატ-ყო: რომელი მაღალთა შინა იდიჯები სიტყუაჲ, ქალწულისაგან ჩწუილად გამოსჩნდი, რაჲთა აცხოვნო სოფელი. ვითარცა კაცთ მოყუარე ხარ.

კმაჲ დ გუერდი. სუიმეონ მოხუცებული მოივლინა ტაძრად უწყებითა [287 ჭ] სულისა წმიდისაჲთა და რომელი-იგი ყრმად ჩწუილად გამოჩნდა, რომელი მაღალთა შინა ოთხ-ხატედთა ზედა მჯდომარე არს, დღეს დაისაყდრა მკლავთა ზედა სუიმეონისთა, ხოლო იგი იჯმნიდა თუისისა უფლისაგან და ითხოვდა მისგან განთავისუფლებასა:

აწ, უფალო, განმიტევე მონაჲ შენი მსგავსად სიტყუისა შენისა მშუილობით, რამეთუ იხილეს თუალთა ჩემთა ღმერთი კორციელქმნული. ქრისტე ღმერთო, დიდებაჲ შენდა.

[კმაჲ] დ გუერდი. გიხაროდენ სახარულევანო ყოვლად წმიდაო ქალწულო, რამეთუ დაიტია მუცელმან შენმან მეუფეჲ იეჲ დიდებისაჲ და შენცა გიხაროდენ, წინა[V] წარმეტყუელი და მოხუცებული

627 ბრრ ლსთა.

628 არაჲ არაჲ.

629 ოთხატედნი.

630 გიტუირთვენ.

სუიმეონ, რამეთუ, რომელსა ოთხ-ხატედთა⁶³¹ საყდართა მამისა თანა ჯელმწიფებით ჩუეულება აქუნდა, დღეს დაისაყდრა მკლავთა შენთა ზედა. ნეტრეულო, მისა ნუ დასცხრები ვედრებად ჯსნად სულთა ჩუნთათუის.

იბაკონი ლაზარემანი

კმაჲ ა. მი-რამ-ხუედ ბეთანიად მომცემელი უკლავებისაჲ, ოთხისა დღისა მკუდარსა ვითარცა ცოცხალსა უწოდე და განჯრწნილმან განახლებულმან ჯმისა შენისაჲ ისმინა, რაჟამს უკმე: ლაზარე, გამოვედ გარე! და მკუდარი იგი სულიერ-ქმნული [288 ჭ] და შეკრული სრბით მოგეგებოდა შენ. ყოვლად ძრიელო უფალო, დიდებაჲ შენდა.

კმაჲ ბ. ოდეს უწოდა ქრისტემან ლაზარეს და უღაღადა: ლაზარე, აღდეგ და გამოვედ გარე, არა დააყენა სისქემან მიწისამან საშინელი კმაჲ შენი, მაცხოვარ, არცალა უსმინო იქმნა მკუდარი იგი კმასა შენსა, მოწყალე, არამედ ვითარცა მძინარეჲ მეგობართა თუისთა განაღუიძონ⁶³², ეგრეთ განაღუიძე, ადგომათ და სიქადულო შესუნებულთათ. უფალო, დიდებაჲ შენდა.

კმაჲ დ გუერდი. ლაზარეს დაძინებასა, ვითარცა გულთ მეცნიერ ხარ, წინავე იტყოდე და ბეთანიად მიისწრაფე⁶³³, [V] რამთა აღადგინო საყუარელი შენი, მაცხოვარ, და შენდა ვღაღადებთ: კურთხეულ არს მომავალი ვნებად ნეფსით თუისით ცხორებად სულთა ჩუნთათუის.

იბაკონი ბზობისანი

[კმაჲ] ა. აივსო სიხარულითა სიონი...

კმაჲ ა გუერდი. მთანი იხარებენ წინაშე უფლისა, რამეთუ მოვალს თანა-მფლობელი მამისაჲ სიტყუაჲ, რომელი ქერობინთა დაუკლებელ ხარ, და სერაბინთა განუშორებელი უფალო, აღსაშმწნებელად და ცხორებად ყოვლად. შეიმოსე კაცებაჲ თუინიერ ცოდვისა, კარაულსა ზედა მჯდომარეჲ მოხუედ, სიკუდილი [289 ე] დასთრგუნე და ჯოჯოხეთი შეკჳარ, ვინაჲ ყრმანი ებრაელნი რტოებითა შეგასხმიდეს: ოსანა მალალთა შინა, რომელი მოხუედ და მოსლვად ხარ. ღმერთო, დიდებაჲ შენდა.

კმაჲ ბ. ოდეს იხილეს კიცუსა ზედა მომავალი, მაშინ ანგელოზთა ძალნი იხარებდეს და ყრმანი ბაიამსა რტოებითა შეგასხმიდეს და იტყოდეს: ოსანა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაჲთა. ამას უგალობთ: ალელუია.

კმაჲ გ. დღეს ყრმათა სახედ ანგელოზისა⁶³⁴ აუტევეს კმაჲ, ივინი

⁶³¹ ოთხ-ხატედთა.

⁶³² ეწოდებ (განაღუიძინა).

⁶³³ შესწრაფე.

⁶³⁴ ანგელოზთა.

კორციელებრსა განგებულებასა ახარებდეს ქუყყანასა ზედა, მშუი-
დობისა ქების-მეტყუილებდეს, ოსანა მალალთა შინა გილაღადებდეს
შენ, მაცხოვარ. ორთაგან ბუნებათა გიცნეს ერთი, ქრისტე ღმერთო,
რომელმან მოჰმადლე სოფელსა დიდი წყალობაჲ.

კმაჲ დ. მთანი იხარებენ წინაშე უფლისა, რამეთუ მოვალს საუ-
კუნითგან წიაღთა მამისათა განუშორებელი. ქალწულისაგან გან-
კორციელდი, ქერობინთა წილ კარაულსა ზედა [V] ჯერ-იჩინე,
ქრისტე ღმერთო, ოდეს ყრმანი ებრაელთანი რტოებითა ბაიამსა-
თა⁶³⁵ ღმრთივ სწავლულნი ღაღადებდეს და იტყოდეს: ოსანა, კურ-
თხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაჲთა, რომელსა აქს დიდი
წყალობაჲ.

[კმაჲ] დ. მთავრობაჲ და კელმწიფებაჲ უკორცოთა ანგელოზთაჲ
გარემოჲს გხედავს შენ დაუსაბამოსა სიტყუასა კიცუსა ზედა მჯდო-
მარესა, ქრისტე, ოდეს ყრმანი ებრაელნი რტოებითა მიგეგებვოდეს
შენ, ღაღადებდეს და იტყოდეს: ოსანა, კურთხეულ ხარ შენ, მაცხოვა-
რო ჩუენო, დიდებაჲ შენდა.

დიდსა ორშაბათსა

ყოველი ივაკი ჩემ...

დიდსა სამშაბათსა

კმაჲ ბ გუერდი. ბრძენთაჲ მათ ქალწულთაჲ მღუიძარებაჲ მომ-
მადლე, ქრისტე ღმერთო, და ბრწყინვალეთა სანთელთაებრ განანათ-
ლე სული ჩემი, რაჲთა გიგალობდე: ალელუია.

[კმაჲ] დ გუერდი. ოდეს მსაჯული⁶³⁶ იგი [290 ჭ] ანგელოზთა
თანა მოხუიდე⁶³⁷ და ნესტუსა...

[კმაჲ] ბ. ვაჲ მე, რასა ვემსგავსე...

დიდსა შაბათსა

სულნი კელმწიფეთანი...

[კმაჲ] დ. ძალსა უკორ...

[კმაჲ] გ. შენ, რომელი ძელსა დამოკვიდე შორის ორთა ავაზაკ-
თა, ერთი იგი ყუედრებით იტყოდა: უკეთუ შენ ხარ ძმე ღმრთისაჲ.
აცხოვნე თავი თუისი და ჩუენცა; ერთი იგი ღაღადებდა და იტყოდა:
მომიკსენე მე, უფალო, ოდეს მოხუიდე სუფევეითა შენითა, რაჲკლია
ჩუენთუის ჯუარსა ზედა აჰმადლი, რაჲთა დაჰკსნენე საღმობანა
სიკუდილისანი. უფალო, დიდებაჲ შენდა.

[კმაჲ] დ გუერდი. ოდეს განზრახვით...

635 ბაიამსათა.

636 მსაჯული.

637 ანგელოზთა თანა მო განმეორებულთა.

იბაკონი ახალკუპირიანიკისანი

კმა ა. ჯუარცმისა და დაფლევი[სა] და ადგომისა შენისაა არა თომას კართა კშულთა ჩუენე მოწაფეთა შენთა. [V] ვითარ იხილა წყლულებაა გუერდისა შენისაა და სახენი სამს-ჭუალთანი, დაღატ-ყო: შემინდვე, კაცთ მოყუარე, და ნუ შეჰკ(რ)ავ ენასა ჩემსა ვითარცა ზაქარია(ა)სსა, რაათა უქადაგო წარმართთა უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი.

[**კმაა**] **გ.** კმითა გალობისაათა და აღსარებისა[თა] გიგალობთ შენ ღმერთსა აღდგომილსა მკდრეთით, რამეთუ შენ მიერ იხარებს დედაა ეკლესიათაა, რომელსა შეხუედ ბჭეთა კშულთა მგლოვიარეთა ნუგეშინის-ცემად და წყლულებაა გუერდისაა ლახურითა და სახენი სამსჭუალთანი კელთა შენთანი უჩუენენ თომას, განჰკურნე იგი ურწმუნობისა[გან] წინაშე მოწაფეთა შენთა. ქრისტე ღმერთო, დიდებაა შენდა.

[**კმაა**] **ღ გუერდი.** კართა კშულთა შეხუედ, ყოვლად ძრიელო უფალო, [291 ჭ] მშუილობაა მოეც და სულითა აღავსენ მოციქულნი⁶³⁸. თომასს ურწმუნობაა მომატყუებელ გუექმნა ჩუენ სარწმუნოებისა. ჩუენცა შეუორგულებელად ვდაღატყოთ: ქრისტე ღმერთო, დიდებაა შენდა.

განრღუეულისაა

კმა ა. დაუფლევი მკუდარ იყო განრღუეული იგი, რაჟამს გიხილა შენ, დაღატ-ყო: შემინყალე მე, უფალო, რამეთუ ცხედარი ჩემი საფლავ ჩემდა იქმნა. რაა სარგებელ არს ჩემდა ცხორებაა? არამედ მიქმს მე პროპატიკისა სარგებელი და არცაღა ვინ არს ჩემი, რომელმანცა შთამაგლო მე მორევსა მას წყალთასა, არამედ შენ [V] წყაროსა მოგკადე კურნებისასა, რაათა მეცა ყოველთა თანა ვიტყოდი: უფალო, დიდებაა შენდა.

ჩხუილთა ყრმათაა

კმაა შენ მეუფისა ჩუენისაა ესმა ეროდეს, ვითარმედ იშეე⁶³⁹, რომლისათუის ყრმათა ზედა აღიჭურა, ჰკონებდა მათ თანა შენსაცა მოკლევასა, დაღათუ სისხლითა აღავსო ბეთლემი, არამედ ვერ შემძლებელ იქმნა პოვნად შენდა, ევმანუელ, რამეთუ არა დააკლდი წიაღთაგან მამისათა, რომელი მიჰყვანდი მკლავთა ზედა ქალწულისათა, რომელი ხარ მალალთა შინა, მიივლტოდე იგუიპტიედ. ქრისტე ღმერთო, დიდებაა შენდა.

იბაკონი ამაღლებისანი

კმაი გ გუერდი. ფრთეთა ქერობინ[292 ჭ]თასა მჯდომარე ხარ, აღმაღლდი⁶⁴⁰ ღრუბლითა ცად აღმოსავლით და მოწაფეთა შენთა ეტყოდე, მაცხოვარ: არა დაგიტევენე თქუენ ობლად, მოვიდე სულითა თქუენ შორის და ვიყო მე განუშორებელ თქუენგან. რომელმან მონიჭე სოფელსა დიდი წყალობა...

[კმაი] დ გუერდი. მთასა ზეთის ხილთასა აჰქედ, უფალო, და ყოვლისა სოფლისაი განგებულეებით ჰქმენ ცხორებაა. აჰმაღლდი დიდებითა სულისა წმიდისა მოსლვითა, ყოველივე აღავსე, ვინაა ანგელოზთა კრებულნი დაღადებით იტყოდეს: განახუენთ ბჭენი თქუენნი, მთავარო, [V] და განეხუენენ ბჭენი⁶⁴¹ საუკუნენი და შევიდეს მეუფეა დიდებისაი ქრისტე ღმერთი ჩუენი, რომელსა აქუს დიდი წყალობა.

იბაკონი მარტუილისანი

კმაი ა გუერდი. ღმრთეებისა სულისა თანა ძრიელეებჲ კლდე ქმნა⁶⁴² თავისა თუისისა და თუისისა მამისაი, თუისთა მოწაფეთა ასწავა და ეტყოდა: მივალ, რომელმან-იგი უპირატეას საუკუნეთა მშვა მე, რომელსა-იგი არა განვეშორე. ვჰკითხო მას და ვითარცა მე სხუაა ნუგეშინის-მცემელი მოგივლინოს თქუენ განმანათლებელად და აღმავსებელად ნათესავისათუის კაცთაჲსა, ვითარცა კაცთ მოყუარე არს.

კმაი დ გუერდი. [293 ჭ] მსგავსად⁶⁴³ ცეცხლისა გარ(დამო)კდა სული წმიდაჲ, მოციქულთა შენ(თა) არა შესწუვიდა, არამედ განს-წმელდა, უმეტარნი სიტყუანი მოქმდურად გამოაჩინნა, რათა... წარმართნი ცთომისაგან მოაქცინეს. მათითა ოხითა [მო]გუმაღლე სულთა ჩუენთ[ათუის] წყალობა.

[კმაი] დ გუერდი. მოვედით, მორ[წმუნენო], და სამ-გუამოებასა ღმ[რთე]ებისასა თაყუანის-ვსცემდეთ, რამეთუ [უ]ქამოჲ შვა ძმ თანა-არ[სი და] თანა-მოსაყდრეჲ და სული წმიდაჲ, რომელი მამისა თანა და ძისა თანა[-არსი?], ერთი ძალი, ერთი არსებაჲ, ერ[თი] ღმრთეებაჲ, რომელსა თაყუან(ის)-ვ[სცემთ] ყოველნი და ვიტყუით: წმიდაო ღმერთო, რ[ომელმან წინაჲ]ვე განაგე ბისა⁶⁴⁴ თანა მ[ოქ]მედებითა სულისა წმიდისაჲთა, წმიდაო ძრიელო, რომლისა [V] [მიერ] მამაჲ გუეცნობა და მოვივლინა სოფლად. წმიდაო ... ნუგეშინის-მცემელო... რომელი მამისაგან გამოხუელ(?)⁶⁴⁵ და [მამის]ათანა განისუენებ, სამებაო წმიდაო, [დიდებაჲ] შენდა.

640 აღმაღლდი.

641 ბჭენი.

642 კლდე.

643 ამ ფურცელს მარჯვენა მხარე ჩამოხეული აქვს და ტექსტის ნაწილი დაკარგულია.

644 ძისა.

645 გმზლ.

იბაკონი იოვანეს შ(ოპი)სანი

კმაი [?] კლდე განიპო... და შეიწყნარა ელ(ისა)ბედ შვილი-
თურთ ნა(თლ)ის-მცემელით მეოტი... ეისგან, ხოლო მღევარნი იგი
(გან)კუირვებულნი ურ(თიე)რთას იტყოდეს: არა თუ (ვითარცა) ანგე-
ლოზი ღმრთეები(სა)ი იყო და წინამორბედი (მი)სი, ვითარმცა
კლდემან ჯ(ა)იფარა ესე, მისითა მეო(ხ)ებითა მოჰმადლე სოფელსა
დიდი წყალობაჲ.

კმაი დ. ახლისა რჩულისა ქადაგი [294 ე] წინამორბედი ყო-
ველთა მეუფისაჲ, რომელი საშოსა შინა დედისა თუისისა გუაუწყებ-
და მოსლვისა შენისათუის, უფალო, მოთმინებითა გუირგუინი მოი-
ლო და განწყობილსა ანგელოზთა კრებულსა მიეწიფა. მისითა მეო-
ხებითა მოჰმადლე სულთა ჩუენთა დიდი წყალობაჲ.

[კმაი]დ. რომელმან სახლსა ზაქარიაჲსსა ვითარცა კარავსა
შინა იხილა იოვანე ღმრთისმშობელი და აიძღერნა მოკითხვასა.
ელისაბედისსა⁶⁴⁶ და ისწრაფა აქა მსახურებად მაცხოვრისა. აწ ჩუენ-
ცა შობილისა მის თანა ბერწისაგან ვლადებთ, ქრისტე ღმერთო,
დიდებაჲ შენდა.

იბაკონი შერისცვალებისანი

კმაი ბ. ოდეს მოციქულთა დიდებაჲ შენი აჩუენე მთასა ზედა
თაბორსა, მოსე და ელია წინათვე აუწყებდეს შენსა ჯუარცმასა,
[V] ხოლო ზეცით კმაი წამებისაჲ შენთუის ისმოდა, ვითარმედ ეგე
არს ძეჲ მამისა თანა-მსგავსი. ქრისტე ღმერთო, დიდებაჲ შენდა.

კმაი გ. ფერი იცვალე მთასა ზედა, ქრისტე ღმერთო, და აჩუენე
მოწაფეთა შენთა ნათელი შენი, რავდენ შემძლებელ იყვნეს დატევ-
ნად. გამოაბრწყინვე⁶⁴⁷ ჩუენ ზედაცა ცოდვილთა ნათელი შენი, ვი-
თარცა მხოლოჲ კაცთ მოყუარე ხარ.

კმაი დ გუერდი, დიდებული და დიდი საიდუმლოჲ დიდად შეე-
ნიერისა ფერისცვალებისა შენისაჲ, რომელი ჰქმენ დღეს თაბორსა
მთასა, ქრისტე ღმერთო, რომელი იხილეს მოწაფეთა და განკუირ-
ვებულნი ქუეყანასა ზედა დაეცნეს და კმაი მამისაჲ [295 ე] ღრუბ-
ლით გამო შენაჲმი წამებდა და იტყოდა: ეგე არს ძეჲ ჩემი საყუარე-
ლი, რომელი მე სათნო-ვიყავ. მაცხოვარ, დიდებაჲ შენდა.

კმაი ა. უფროჲს ყოველთა მოციქულთა ძედ ღმრთისა ცხოვე-
ლისაჲ აგარა პეტრე და მიიხნა⁶⁴⁸ კლიტენი სასუფეველისა ცათა-
ისანი და კლდე სიმტკიცის იქმნა ეკლესიათა და თავ წმიდათა მოცი-
ქულთა. შემდგომად ექუსისა დღისა იხილა დიდებაჲ შენი და შეძრ-
წუნებით დავარდა პირსა ზედა თუისსა ორთა მათ თანა ძეთა ზებე-

⁶⁴⁶ ელისაბედისა.

⁶⁴⁷ აბრაჲმისა.

დემსთა და სამ-ტალავრობა იგი სამებისა წმიდისაჲ მოესწავა აღ-
სრულებად, რამთა ვნებასაცა შენსა კორცითა არა შეორგულდენ⁶⁴⁹.
[V] შენისა ღმრთეებისასა მისვე ხატისა შენისა შემოსითა მთისა
მისგან თაბორისა. მათითა მეოხებითა, მაცხოვარ, დაიცვენ მგალო-
ბელნი შენნი და ერი ესე შეიწყალე დიდითა შენითა წყალობითა.

იბაკონი ღმრთისმშობელისანი

(მარიამობისანი)⁶⁵⁰

კმაჲ ა. გიხაროდენ, სახარულევანო ღმრთისმშობელო, რამეთუ
შენგან გამობრწყინდა მზე იგი სიმართლისაჲ — მაცხოვარი და უფა-
ლი, რამეთუ პირველ მოსე მთასა ზედა მარტოდ სახედ შენდა კილო-
ბანი იხილა პატივცემულად და დიდებულად, ხოლო აქა დღეს ყო-
ველსა თესლებსა [296 ჭ] ტაძრად⁶⁵¹ სულისა წმიდისად გამოუჩნდი
და ღმრთეებაჲ სოფელსა უშევ. მას ევედრე ცხოვრებად სულთა ჩუენ-
თათუის.

კმაჲ გ. დღეს წესნი უკორცოთანი დღესასწაულობენ საკსენე-
ბელსა ღმრთისმშობელისასა, მარადის ქალწულისასა, რომლისა-
თუის ჩუენცა წმიდასა გალობასა დაუცხრომელად ვლადადებთ: წ მ ი -
და ო ღ მ ე რ თ ო, რომელმან ცანი, ვითარცა კარავნი დაამტკიცენ
და მალლით ბრწყინვალებითა ვარსკულავთათაჲ ესენი შეამკვენ,
წ მ ი დ ა ო ძ რ ი ე ლ ო, რომელი თუით სრულითა ღმრთეებითა
უეჭუელად იშევ ქალწულისაგან, წ მ ი დ ა ო უ კ უ დ ა ო, რომელ-
მან შეურევნელად [V] სამებისა ერთარსებაჲ აღავსე, სამებაო წმი-
დაო, დიდებაჲ შენდა.

კმაჲ დ გუერდი. მრავალ-თუალთა ქერობინთა უმაღლემს ხარ,
ყოვლად წმიდაო ღმრთისმშობელო, რამეთუ იგინი ვერ იტიკდეს
ხილვად ცეცხლსა ღმრთეებისასა, ფრთეებითა იფარვენ პირთა მათ-
თა, ხოლო შენ მუცლად-იდე და შეუწველად დაადგერ და უშევ სო-
ფელსა ქრისტე ღმერთი ჩუენი. მას ევედრე ცხოვრებად სულთა
ჩუენთათუის⁶⁵².

იბაკონი თავის კუეთისანი

კმაჲ ა. წინამორბედისა შენისა, მქადაგებელისა ღმრთისა სი-
ტყუისა დაყენებას⁶⁵³ ჰკონებდა, რომელმან-იგი კელითა დედაკაცი-
საათა [297 ჭ] პირველ შექმნული იგი სამოთხით განჯადა და მანვე
აწ ეროდიადა ურჩულოებითა აღატყინა ეროდემს თანა, როკვამ იკა

649 არაა შეურგულდენ. აქ რალაც სიტყვა უნდა აკლდეს.

650 მარიამობისანი მიწერილია ვარეთა აშოაზე ხუთ სტრიქონად.

651 ტრრდ.

652 ამ სტრიქონების გასწვრივ ვარეთა აშოაზე ათ სტრიქონად მიწერილია: ოღეს მარიაჲ
ღმრთისმშობელი ვარდაიცვალებოდა.

653 ასეა.

ქალისაჲ მის სათნო-წყო, რაჲთა მოეკუეთოს თავი, რომელმან ყოველთა უფალსა ქრისტესა კელი დასდვა, რამეთუ უმეცარ ქმნა უცვალებელისა მის ჩუენისა კსნისა საიდუმლოჲ. არამედ შენ, უდაბნოს ღალადებისა კამან, ღალატ-ყავ, რომელსა კელი დასდევ, მონიჭებად მშუილობაჲ და დიდი წყალობაჲ.

კმაჲ გ. რომელი სიყრმიტგან ქადაგ სამებისა წმიდისა იქმნა, ურჩულოჲ ეროდე მოკლვასა განიზრახავს და მოკუეთოს თავსა [V] წინამორბედისასა, რაჲთა სარცხუინელი იგი საწოლი ეროდიაჲსი არა ემხილოს და შეუვრდა საუკუნოსა სარჩელსა. რომელმან ურჩულოჲ იგი წარსწყმიდე და წინამორბედი განადიდე, უფალო, დიდებაჲ შენდა.

კმაჲ დ გუერდი. სულისა წმიდისა მიერ იტყოდა შენთუის, წინამორბედო: ნუ შეეხებით ცხებულსა ჩემსა. ხოლო ურჩულომან ეროდე მიხვხ სიკ(დილის?)ყო⁶⁵⁴ და მოგკუეთა თავი შენი, აღასრულა თხოვაჲ ეროდიაჲსი. რომელმან უქადაგა ყოველსა სოფელსა ნათელი ნათლისაჲ, რომელსა გაქუს კადნიერებაჲ ქრისტემს მიმართ, მას ევედრე ცხორებად სულთა ჩუენთათუის.

[298 ჭ] იბაკონი მარიამის შობისანი

კმაჲ ბ. ტაძარსა შენსა, ღმრთისმშობელო, შემოკრებულნი გიგალობთ და შობასა შენსა ვადიდებთ არა შესხმითა სახილველობისაჲთა (?)⁶⁵⁵, არამედ სულიერებ[რ]ითა გალობითა შევსწირავთ ყოველთა მსაჯულისა ქრისტემს ღმრთისა შუენიერად ქებასა, რომლისათუის მეოხ-იყავ დაუცხრომელად მონიჭებად სოფელსა დიდი წყალობაჲ.

კმაჲ ბ. ანამსა და ელისაბედისა საკუირველებათა ვითარცა დიდთა საიდუმლოთა პატივ-ვსცემდე⁶⁵⁶ დღეს, რამეთუ ამან, ვითარცა ბერწმან, მოხუცებულისაგან წინამორბედი აღმოაცენა, ხოლო ანა⁶⁵⁷ ვითარცა უშვილომან და ყუედრებულმან ღმრთისმშობელი აღმოაცენა.

[V] იბაკონი ენკენისანი

კმაჲ ა. წმიდა ხარ, ქრისტე ღმერთო, და წმიდასა შინა განისუენებ. აღავსე ყოველი ყოველად წმიდითა სულითა შენითა, რომლითა წმიდა-ჰყავ, უფალო, ეკლესიაჲ კარვად დიდებისა შენისა, რომელსა შინა გევედრებით შენ, მაცხოვარ, მოგუჲმადლე ჩუენ შენდობაჲ ცოდვათაჲ და დიდი წყალობაჲ.

⁶⁵⁴ იყო.

⁶⁵⁵ სახელწოდებისათა.

⁶⁵⁶ პატივცემდე.

⁶⁵⁷ ანა.

კმა ა. დღეს ანგელოზთა⁶⁵⁸ წესნი დღესასწაულსა სატფურე-ბისასა მოისწრაფდეს მორწმუნეთა გონებათა განათლებად და ეკლესიად მაღლითა განმხიარულებად. რომლისათუის, ღმერთო, გვეედრებით, მოგუანიჭე ჩუენ დიდი წყალობაჲ.

კმა ა. მშუილობაჲ მოჰმადლე ეკლასიასა შენსა წმიდასა, მშუილობაჲ და შეურყეველობაჲ მტერთა წყობისაჲ [299 ჭ] და დააფუძნე კათოლიკე ეკლესიაჲ. შენ აგიარებთ უფლად და ღმრთ(ად), ნუ განძამორებ წყალობასა შენსა წმიდასა, რამეთუ წყალობით დააფუძნე სოფელი შენი.

კმა დ გუერდი. ვითარ საშინელ არს ადგილი ესე! არა არს ესე სხუა, არამედ სასლი ღმრთისაჲ და ბჭეჲ ცათაჲ წმიდაჲ ეკლესიაჲ. დღეს შემიყვანა ჩუენ ქრისტემან ადგილსა მას სიწმიდისასა, რამეთუ ძუელი წარჯდა და აჰა ესერა იქმნა ახალი სულისა მიერ ყოვლად წმიდისა, რომელსა აქუს დიდი წყალობაჲ.

[კმა] დ გუერდი. გიხაროდენ და მხიარულ იყავ, ეკლესიო, ქრისტემს მეუფისა შეწყნარებითა და უგალობდ მგალობელთა ყოველთა თანა ერთა მისთა, რომელნი იტყუიან: ალელუია.

[V] [კმა] დ გუერდი. ეკლესიაჲ დღეს უმეტემად აღივსების მაღლითა ჯუარცმისაჲთა და ადგომითა გუირგუინოსან იქმნების, რამეთუ ესე არს დე(დაჲ) ეკლესიათაჲ. ჯუარი აემართა და სი(კ)დილი დაითრგუნა, ჯოჯოხეთი დაიჭმა და ბჭენი სიონისანი განხმულ არიან, ერი შენი მას შინა აღი(ვ)სების მაღლითა, რამეთუ ესე მომცა ჩუენ უფალმან შესავედრებელად ქრისტემან ღმერთმან, რომელსა (ა)ქუს დიდი წყალობაჲ.

იბაკონი ჯუარისანი

კმა გ გუერდი. იხარებდა ბანაკი ანგელოზთაჲ...

აჩრდილი⁶⁵⁹ წარმართ...

ადგილი თხ...

(კ)უერთხმან მო...

კმა ბ. ჯუარი შენი, ქრისტე, იქმნა შესავედრებელ ცოდვილთა და წყალობამან შენმან აცხოვნა (სოფ)ელი (?).

[300 ჭ] **კმა ა.** ხატად ფუფუნებისა სამოთხისა არს ტაძარი და სახედ აქუ საიდუმლოდ შენ, მომნიჭებელი კეთილთაჲ ნაყოფთა უხუებითა უხრწნელებისაჲთა. განწყობილებაჲ დიდებულთა ანგელოზთაჲ⁶⁶⁰ აღავსე. მათ მიერ წარგუიმართე, ღმერთო, ლოცვაჲ სულთა ჩუენთაჲ.

რომელი ეტლის თუა...

რომელი მთავრობათა...

658 ანგ' ზლთა.

659 აჩრდილი.

660 ანგელ'ლოზთა.

იბაკონი სულთანნი

კმაჲ ა. სამოთხესა შენსა, უფალო, საყოფელსა...

სამოთხესა შენსა, უფალო, ზეცისა სასუფეველ...

მოვედით და იხილეთ, რამეთუ რომელი ბრწყინვალ...

[V] უფალო, დაგდევს შენ ჰურიათა...

მოვედინ, უფალო, წყალობაჲ შენი მონასა შენსა ზედა და მაცხოვარებაჲ შენი მსგავსად სიტყუისა შენისა, რამეთუ სამართალთა შენთა ესვიდა და განუსუენე ამას, რამეთუ კაცთ მოყუარე ხარ და მრავალ-მოწყალე.

კმაჲ ბ. სული, რომელ შეივედრე, იესუ, შენდა...

აჩრდილ და წარმა...

ველთა შენთა შევედ...

უფალო, რომელმან ყოველი დაბადებული ყოვლად...

კიჯმნი თქუენგან...

დიდ ხარ შენ, უფალო, და...

მოაჯსენე, უფალო, სათნობაჲ მო...

თანა-წარუალი სიკუდილისაჲ მოიწია მის ზედა, რამეთუ გარე არავის წარჰკვდების. განშორებულ არს მშობელთა, ძმათა და მახლობელთა მისთა⁶⁶¹ [301 ჭ] და მისრულ არს საყდარსა საშინელსა, რომელი უსაშინელეს არს ყოველთა დაბადებულთა. არამედ რომელმან ლაზარეს საფლავით უწოდე და ავაზაკი ჯუარსა ზედა განამართლე, რომელი კარი ხარ წყალობისაჲ, ქრისტე, ცუარი შენ მიერი საკურნებელი მოუველინე გარდაცვლილთა⁶⁶² სულთა შესუენებულთასა და განუსუენე, კაცთ მოყუარე.

მეუფეო საუკუნი...

ნუგეშინის-ეც, უფალო, მწუხარე...

კმაჲ გ. დამბადებელმან...

ქრისტე, მეუფეო საუკუ...

წინამორბედისა ამის საშუებელი დაუტევე და ზეცისაჲ შეიყუარე მოქალაქობაჲ, ქრისტემს მოყუარეო, რომელსა შინა განგისუენოს შენ ქრისტემან [V] მხოლომან კაცთმოყუარემან. საშინელსა მოსლესა შენსა, რაჲჟამს საქმეთაებრ მიეგებოდის, მაშინ ულხინე სულსა მონათა შენთასა და განუსუენე.

განისწავლენით ყოველ...

ღმერთო, რომელმან არარაჲსაგან ყოველივე დაჰბადე და მიწისაგან შეჰქმენ კაცი და უბრძანე ხისაჲ მის ნაყოფისა არა-ხილვაჲ და მცნებისა გარდასლვითა სიკდილი ეუფლა და ჩუენ ყოველთა ზედა მოიწია, რამეთუ შენ ძეჲ და სიტყუაჲ მოავლინე ძიებად წარწყმედულისა მის და ვნებითა მით ჯუარისაჲთა სიკუდილითა სიკუდილი განაქარე, ჯოჯოხეთი წარმოსტყუენე და ჩუენ ყოველნი განგუათა-

⁶⁶¹ კმაჲ ბ. მოვედეს და, რომელიც მომდევნო გვერდზეა განმეორებული.

⁶⁶² კმაჲ ბ. მოვედეს.

ვისუფლენ. აწცა გევედრებით განუსუენე სულსა მონისა [302 ჭ] შე-
ნისასა მართალთა და რჩეულთა შენთა თანა. ქრისტე ღმერთო, დი-
ღებამ შენდა.

კმაი დ. ყოველთა, რომელთა გაქს...⁶⁶³

წმიდაო ღმერთო, რომელმან კელითა ღმრთეებისა შე...

ეჰა, რომელთა სუროდა, ქრისტე ღმერთო...

ვითარ სიკუდილი, ვითარ წარმდები მკდარი...⁶⁶⁴

შეიწირე ლოცვამ მონათა შენთამ, ქრისტე ღმერთო...

გარდაიცვალეების ცხორებად ესე ვითარცა დღემ წარსრული და
ვითარცა აჩრდილი განქარებული. არამედ მხოლოდმან ღმერთმან
მოწყალემან განუსუენე სულსა მონისა შენისასა.

სულო ჩემო, საშინელი და შესაძრწუნებელი კელმწიფებამ
მოიწია ჩემ ზედა, განმაძორებს მშობელთა და ძახლობელთა ჩემთა
და შივალ მე უცხოსა ბანაკსა და საშინელსა საყდარსა, [V] რომლი-
სათუის მართალთადაცა ჭირ-უჩნდა, რამეთუ უღებებით საწუთროდ
ესე ცხორებად აღასრულა. ქრისტე ღმერთო, რომელსა გაქუს კელ-
მწიფებამ ცხოველთა და მკუდართამ, განუსუენე სულსა მონისა შე-
ნისასა, კაცთ მოყუარე.

წარღვომანი და იბაკონი აღვომისანი

კმაი ა. ერი შენი შენ გი...

გარდამოსლვასა...

აღვომითა შენი...

აღვომასა ქრისტეჲსსა ლოდი იგი იძრ...

უფალო, რომელმან ჯუარცმაი...⁶⁶⁵

ჯუარი გამოჩნდა სოფ...

ისაკ თხემი...

წინაშე ჯუარსა გხედ...

დღე... სა...

დადაცათუ მცველთა...

საფლავად ნეფსით შეხუედ, მაცხოვარ, პირველქმნული იგი კა-

[303 ჭ]ცი იკსენ საღმობათავან, მაცხოვარ. დიდებამ შენდა.

აკურთხევდით ყოველნი საქმენი უფლისანი უფალსა, ძენი კაც-
თანი დაუცხრომელად უგალობდით მას, ჯუარს-ეცუა, დაეფლა,
აღღა. ვლალადებთ შენდა მიმართ, უფალო: დიდებამ შენდა.

ოდეს ამადღდი⁶⁶⁶ ჯუარსა ზედა და ქალწული...

რომელი მოხუედ, ქრისტე ღმერთო...

ღმერთო მამათა ჩუენთაო, შენ კურთხეულ ხარ...

მეუფეო საუკუნეო, რომელმან აღამ აღ...

663 ასეა.

664 ასეა.

665 ასეა.

666 ასეა.

კმაჲ ბ. ლოდმან საფ...

შენდა შუე...

ღმერთი...

თაყუანის-ვსცემთ, ქრისტე, ლახუარსა...

რომელი ჯუარს-ეცუა ჩუენთუის...

ჯუარსა შენსა, ქრისტე, თაყუ...

ჯუართა შენითა, ქრისტე, ... ომაჲ მკსნე...

რომელი სუფევე უკუნისამდე...

...კურთხეულ ხარ შენ, უფალო...

დიდებაჲ მალალთა ში...

ყოვლადვე ნათლითა შემკული ძელი ჯუარისა შენისაჲ, რომელი მომეც ჩუენ საძლეველად მტერისათუის, [V] რომელნი ვადიდებთ ადგომასა შენსა, უფალო, დიდებაჲ შენდა.

ვლადებთ შენდა ჯუარცმულისა სიტყუისა ძისა და ღმრთისა, რომელმან განიპყრენ კელნი თუისნი ჯუარსა ზედა ადგილსა მას თხემისასა ზედა გოლგოთას და გაღებითა წმიდისა გუერდისაჲთა და დათხევეითა სისხლისაჲთა აღმოგუიციენე უკდავებაჲ და ცხორებაჲ საუკუნოჲ. ღმერთო, დიდებაჲ შენდა.

ვინ ცნა ვონე...

ისწრაფდეს პ...

მოვიდეს ცისკარს ოდენ დედანი...

მწუხრი იყო იგი...

საშინელმა(ნ)...

უკუეთუ...

შემდგო...

შემდგომად... ჯუარცმისა და სიკდილისა...

კმაჲ გ. ძელმან (ჯ)უა...

ჯუარი აემართა ქებ...

ჯუარსა შენსა პატიოსანსა თაყუანის-ვსცემთ, ქრისტე⁶⁶⁷, [304 ჳ] და ადგომასა შენსა უგალობთ და ვადიდებთ, რამეთუ წყლულებითა შენითა ჩუენ ყოველნი განვიკურნენით.

ნიში ჯუარისა შე...

ძელი ცხორებისაჲ — ჯუარი შენი, უფალო, რომელი მოგ...

საროსა⁶⁶⁸ და ფიჭსა⁶⁶⁹ და ნაძუსა ამაღლდი⁶⁷⁰, ქრისტე, კრაო⁶⁷¹ ღმრთისაჲ, რაჲთა აცხოვნე შენნი მორწმუნენი. გიგალობთ შენ მესამესა დღესა ადგომილსა. ქრისტე ღმერთო, დიდებაჲ შენდა.

ღმერთო მამათა ჩუენთა...

სანთა ყრმათა კერპსა ოქრ...

⁶⁶⁷ ან. ნო. სი. და, რომელიც განმეორებულია მომდევნო გვერდზე.

⁶⁶⁸ ს. ს. ს.

⁶⁶⁹ ა. ს. ს.

⁶⁷⁰ ა. ს. ს.

⁶⁷¹ ა. ს. ს.

შენ უკდავსა მოკდავად განგაჩინებდეს ურჩულონი და ადგომა
შენი... პირველად მცველთა მიერ განთ...

...დაკსნდა ძრიე...

...შენდა მიმართ რაჲ ჯმა-ყო წინაწარმეტყუელმან და თქუა: ადგა
ვითარცა ძილისაგან უფალი და მონიჭა სოფელსა დიდი წყალობაჲ.

[V] ჯუარისა აღმართებ...

ყოველთა დაბადებულ...

რომელი სამებაჲ სამებაჲვე ხარ...

ქმაჲ დ. ჯუარცმაჲ და სიკლი...

რომელი იყავ დაბ...

საშინელ არს ვნებაჲ შენი...

გამომიქსნენ ჩუენ წყევისაგან რჩულისა პატიოსნითა სისხლი-
თა. ჯუარსა დაემსჭუალე და ლახურისა განღებითა უკდავებისა
წყაროჲ მოგუმაღლე, მაცხოვარ. დიდებაჲ შენდა

მაღლით გარდ...

ასდგე საფლავით, უფალო...

ზეცით წმიდითურთ გარდამოჰკედ ქუეყან...

(კა)ცი რომელ შეჰქმენ და...

ადგომაჲ შენი განანათლებს ყოველსა სოფელსა.

კურთხეულ არს დი...

გაქებენ... ანგელოზ...⁶⁷²

[305 ჭ] საფლავად მი...

ყოველი დაბადებული შეძრწ...

ოდეს განა...

ჯუარცმასა შენსა, ქრისტე ღმერთო, გან...

მოვედით, მორწმუნენო...

ქმამან ნესტუისა...

ადგომისა შენისაჲ ხარებაჲ ანგელოზმან ახარა დედათა მათ
ნელსაცხებელის მიმღებელთა: ცხოველსა მას მკუდართა თანა ნუ
ეძიებთ. აჰა საფლავი, რამეთუ ცალიერ არს. აჰა ლოდი დაბეჭდული
და მცველნი შიშითა შეჰყრობილნი, არამედ წარვედით, მირბიოდეთ
გაღილეად, უთხართ მისთა მოწაფეთა... ადგა უფალი, სძლო ს(აკ-
დილსა), (წარმოტყუენა ჯოჯოხეთი, მონიჭა სოფელსა უკდავებაჲ
და დიდი წყალობაჲ.

[V] ანგელოზთანი

ქმაჲ..... გარემოდს დგ...

სუფევაჲ შენი...

ქმაჲ გ. ერთითა⁶⁷³ პირითა ანგე...

⁶⁷² გარეთა აშიაზე მიწერილია ექვს სტრიქონად რამდენიმე სიტყვა, რომელთა აზრით ადგომის
ამოკითხვა ჰორს.

⁶⁷³ გარეთა აშიაზე მიწერილია ექვს სტრიქონად რამდენიმე სიტყვა, რომელთა აზრით ადგომის
ამოკითხვა ჰორს.

საკუირველ არს ღმერთი...

კმაჲ გ. შენ ღმერთსა ჩუენსა გიგალობთ...

დიდებული სამთა ყრმათაჲ ბაბილონს⁶⁷⁴ ვითარ პირველვე სახე
ექმნეს სამებასა⁶⁷⁵

[306 ე] უძრული სული ჩემი მოივლტის შენდა, მკურნალო გან-
წირულთაო, განმკურნე, მაცხოვარ, და მაცხოვრე.

მართალ ხარ შ...

უფალო, მე, მონაჲ...

შეიწირე ვედრე...

შენ მოწყალე ხარ...

საცთურ მ...

ვითარცა ქალაქსა ძნ...

აიხსთუეს უ...

ოდეს მსაჯული იგი...

უფალო, ძწოლაჲმან...

[კმაჲ] დ გუერდი. სიქადულითა ფარისეველი იგი შეურაცხ-იქ-
მნა, ხოლო სულთქუმიტა მეზუერეჲ იგი განმართლდა. ესრე სახედ
მოიგე, სულო ჩემო, მისსა მას მრავალ-მეტყუელებასა ევლტოდე,
ხოლო მეზუერიისა მის კმასა ღაღადებდ და იტყოდე: მიღხინე მე,
უფალო, და მაცხოვრე.

ყოველნი გონებანი შეშფოთნენ, რაჲჟამს ყოველნი კიდენი [V]
შეკრბენ წინაშე საყდარსა შენსა საშინელსა, ძალნი ცათანი შეძრ-
წუნდენ, საშინელსა გხედვიდენ, რამეთუ არს უბიწოსაცა შეძრწუნე-
ბაჲ, რაჲჟამს ცოდვილთათუის უბრძანოს სარჩელი საშინელი, არამედ
შენ მხოლოჲ, ვითარცა სახიერ ხარ, მომაქციე ვიდრე აღსრულებად-
მდე, ღმერთო, და მაცხოვრე.

საშინელ არს კმაჲ ნესტუსაჲ და უსაშინელეჲს არს მსაჯული
ყოველთა დაბადებულთაჲ, რაჲჟამს დაიდგნეს საყდარნი და რჩიდეს⁶⁷⁶
თუითოეულთა. აწ რაჲ ჰყო შენ, სულო ჩემო, რომელსა არა გაქუს სი-
ნანული, აწ ვითარ განერე ცეცხლსა მას და აღსა საშინელსა⁶⁷⁷. აწ
ვისსამე მივივლტით გარნა შენ მოწყალისა და ღმრთისა, რომელსა
არა გნებაუს სიკუდილი ცოდვილისაჲ, არამედ მოქცევაჲ და სინანუ-
ლი, რომელსა გაქუს დიდი წყალობაჲ.

ლიტანიისანი

კმაჲ ა. საფარველი და შესავედრებე...⁶⁷⁸

⁶⁷⁴ ანკა.

⁶⁷⁵ ში. შეშუეჲ ტექსტი გააღლეულია, ცალკეული სიტყვები და ასოები იკითხება, მაგრამ
აზრის განმარტანა ძნელია.

⁶⁷⁶ რაჲ უდეს.

⁶⁷⁷ სწრწუნებსა.

⁶⁷⁸ ში. შეშუეჲ შვიდი უკანასკნელი ფურცელი ისე დაზიანებულია, რომ გაბმული ტექს-
ტის აზრით ანუ ამოკითხვა არ ხერხდება.

ჰილ-ეტრატის იადგარი

(აღწერილობა)

განთქმული ხელნაწერი, რომელსაც ჰილ-ეტრატის იადგარი ეწოდება, პირველად ცნობილი გახდა მეცნიერთა ფართო წრეებისთვის 1888 წელს, როდესაც დაიბეჭდა პროფ. ა. ცაგარლის «Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае»¹, რომელსაც ოთხი დამატება ახლავს. ამ დამატებათაგან პირველია Каталог рукописей грузинского монастыря св. Креста близ Иерусалима (გვ. 143—192; ჩართული აქვს ექვსი გვერდის ფაქსიმილე ჰილ-ეტრატის იადგარისა და ერთი გვერდის ფაქსიმილე ჰილის ფსალმუნისა), მეორე დამატებაა Каталог груз. рукописей Синайского монастыря (გვ. 193—252). ორივე კატალოგი უცვლელად შევიდა ა. ცაგარლისავე ნაშრომში, რომელიც 1889 წელს გამოქვეყნდა ამ სათაურით: Сведения о памятниках грузинской письменности. Второй выпуск, СПб. 1889 (მხოლოდ აქ კატალოგებს სხვა პავინაცია აქვთ: 1—50; 51—98). ამაში ჩართულია ფაქსიმილე იადგარის 4 გვერდისა და ჰილის ფსალმუნის ერთი გვერდისა; ამას გარდა, ჩართულია აგრეთვე ფოტოსურათი იადგარის ოთხი გვერდისა და ფსალმუნის ერთი გვერდისა².

ხელნაწერის აღწერილობა მოეპოვება ა. ცაგარელს, კ. კეკელიძეს, ილ. აბულაძესა და ლ. მეფარიშვილს. ცაგარლის აღწერილობა იმით არის კარგი, რომ იგი პირველი წყაროა ამ ძეგლის შესახებ. ამას გარდა, მის აღწერილობას ახლავს ფაქსიმილეები და Сведения-ს ზოგიერთ ცალს — ფოტოსურათებიც³.

კ. კეკელიძის წიგნში ჰილ-ეტრატის იადგარის შინაარსი ვრცლად არის გადმოცემული. მრავალი საგალობელი სლავურად არის ნათარგმნი და დართული აქვს აბოს საგალობლები ქართულად. იგი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ეს ძეგლი შინაარსეულად⁴.

მოკლედ აქვს აღწერილი ეს ძეგლი ი. აბულაძესა⁵ და ლ. მეფარიშვილს⁶.

¹ Православный Палестинский сборник, т. IV, Выпуск первый, Издание Православного Палестинского общества. СПб, 1888.

² ეს ფოტოსურათები მხოლოდ ზოგიერთ ცალს ახლდა.

³ Каталог рукописей монастыря св. Креста, № 29 (стр. 159/17).

⁴ К. К е к л и д з е. Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение. Тифлис, 1908, с. 350—372.

⁵ ი. აბულაძე, ქართული წერის ნიმუშები, პალეოგრაფიული ალბომი, მეორე გამოცემა, 1973, გვ. 338, ტაბ. 15, 16.

⁶ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. V, შედგენილია და დასაბეჭდად მოზადეპულე ლუბა მეფარიშვილის მიერ, 1949.

სპეციალურ ლიტერატურაში ჰილ-ეტრატის იადგარს ზოგჯერ „სინურს“ ეძახიან⁷ და მისი წარმომავლობის ადგილად სინას მთა არის დასახელებული⁸. მაგრამ სინური წარმომავლობისაა მხოლოდ ფსალმუნი, რომელიც პორფირი უსპენსკის სინას მთაზე უნახავს 1850 წელს⁹. რაც შეეხება ჰილ-ეტრატის იადგარს, იგი პალესტინურია, პროფ. ა. ცაგარელი ამბობს: «папирус этой Палестинской миссии лучше, чем папирус Синайской псалтыри» (სტ. 159/17). სხვაგან პროფ. ა. ცაგარელი წერს: «памятник этот был найден преосвященным Порфирием в 50-х годах в монастыре св. Саввы в Палестине» (გვ. 163/21), ასე რომ ეჭვი არ არის, რომ ხელნაწერი პალესტინური წარმომავლობისაა.

ჰილ-ეტრატის იადგარი პ. უსპენსკის ეთიოპური ხელნაწერი ჰგონებია, გაუყვია იგი სამ წიგნადაც და ჩაუსმევივნებია ყდაში, სამსავე ყდას აბეჭდია: Codex aethiopicus papyraceus („ეთიოპური ხელნაწერი ქილისა“).

როდესაც ა. ცაგარელი სწვევია (1883 წ. იანვარში) პ. უსპენსკის, რომელიც ამ დროს უკვე ეპისკოპოსი იყო, მას მასპინძლის ყურადღება მიუქცევია იმაზე, რომ ჰილ-ეტრატის ხელნაწერი ქართულია და არა ეთიოპური. ამის შემდეგ პ. უსპენსკის წაუწერია ხელნაწერის პირველი ტომის თავფურცელზე: «Эти три книжицы на папирусе грузинские богослужебные, но не Евангелие, и не апостол, и не псалтырь. Е. Порфирий».

პ. უსპენსკის გარდაცვალების შემდეგ (19 აპრილს 1885 წ.) მისი ხელნაწერები, მათ შორის, ჰილ-ეტრატის იადგარიც, შეიძინა პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკამ, სადაც იგი დაცული იყო 1923 წლამდის ქართულ ხელნაწერთა ახალ სერიის მე-11 ნომრად. 1923 წელს, საბჭოთა ხელისუფლების დადგენილების თანახმად. სხვა ხელნაწერებს შორის იადგარიც გადმოიყვანა საქართველოს¹⁰ და იგი ამჟამად დაცულია საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ხელნაწერთა ფონდში Н 2123ა ნომრად (უფრო ზედმიწევნით: Н—2123ა, Н 2123ბ, Н 2123გ).

მთელი ხელნაწერი, როგორც ვთქვით, სამ ტომად არის გაყოფილი და შედგება 313 ფურცლისაგან, რომელთაგანაც პირველ ტომშია 119 ფურცელი (1—119), მეორეში 100 (120—219), მესამეში 94 (220—313).

წიგნი შედგება რვეულებისაგან, რომლებშიც ფურცლები ზოგი ეტრატისაა, ზოგი კი — ქილისა, მაგრამ ისე, რომ ქილის ფურცლები, როგორც უფრო სუსტი და მეტეხი, შიგნით რის მოქცეული, ეტრატი კი, როგორც უფრო მკვიდრი და გამძლე, გარედანაც ეკვრის რვეულს და შიგნით შუაზედაც არის მოქცეული. ამ ფურცლიან რვეულებში ეტრატისა და ქილის ფურცლები უმეტესად ასე მისხდევს ერთმანეთს: ეტრატი 1/10, ქილი 2/9, 3/8, 4/7, ეტრ. 5/6; ასე რომ

⁷ ა. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათა-პიცოდნობა ანუ პალეოგრაფია. მეორე გამოცემა. 1949. გვ. 31 (აქ ნათქვამია, რომ „ჩვენამდის მხოლოდ ორმა ჰალზე ნაწერმა ქართულმა ძეგლმა შოაოქისა და ორევე პალესტინისა, საბა შუბიას ლავრისა, და სინას მთის ქართულთა მონასტრისა დასა: ერთი მათგანი ფსალმუნია, მეორე თივენი. ორივე ძველი სინას მთიდან საეკლესიო ისტორიის მეშვეობითა რომა ცნობილმა მეცნიერმა პორფირი უსპენსკიმ ჩაიტანა რუსეთში“).

⁸ ხელნაწერის აღწერილობა, V, 1949, გვ. 76.

⁹ Вториe путешествие архимандрита Порфирия в Синайский монастырь в 1850 году. СПб., 1856, стр. 163.

¹⁰ აღმოსავლეთ ხელნაწერთა მიმღები კომისიის მუშაობაში ამ სტრიქონების დამწერიც იღობდა მონაწილეობას.

ეტრატის ოთხ ფურცელზე თვითეულ რვეულში ექვსი ჰილისა მოდის. იშვიათად ეტრატისა და ჰილის ფურცლების თანამიმდევრობა და თანაფარდობა დარღვეულია, მაგრამ რვეულის ათფურციანობა საზოგადოდ დაცულია.

რვეულთაგან ჰკლებლივ მოწვეული ჩანს 28 (ოცდარვა), მეოთხიდან ოცდამეთერთმეტემდე (ამის ჩათვლით). ამას იმით ვტყუბალობთ, რომ რვეულებს სათვალავი გაკეთებული აქვთ ქართული ასოებით პირველსა და მეათე ფურცელზე: პირველის წინა გვერდზე და უკანასკნელის უკანა გვერდზე, ორსავე შემთხვევაში ზემო ამის შუაზე. გამოჩაყლის შეადგენს 29-ე რვეული, რომელსაც წინა სათვალავი (4C) მარჯვენა ზედა კიდეში აქვს მიწერილი.

იადგარს წინ უნდა აკლდეს ორი რვეული (ოცი ფურცელი) და მესამისა ერთი ფურცელი, სულ 21 ფურცელი. ამ მესამე რვეულის ერთ ფურცელს აწერია რვეულის სათვალავი **წ**. იგი უნდა იყოს მესამე რვეულის მეათე ფურცელი.

ბოლოში ფურცლები არეულად არის აკიძული. მაგ., 33-ე რვეულის პირველი ფურცელი ჰილისაა, რაც იმაზე მიგვიითთებს, რომ რვეულს აკლია.

ხელნაწერის ზომა მერყეობს შემდეგ ფარგლებში: 11,1 (11,2) × 9,7 (9,10) სმ. იგი ნაკლებია, აკლია თავშიც და ბოლოშიც. ხელნაწერში აქა-იქ ფურცლები გადარეული უნდა იყოს. ჰილის ფურცლები მრავალგან დაზიანებულია (ამოტეხილია, ჩამოტეხილია, წატეხილია), განსაკუთრებით ბოლოს, სადაც ნაფლეთებია მოიპოვება.

ზოგი ეტრატის ფურცელი შეკერილია ორი ნაჭრისაგან; ნაკერის ადგილას ნაწერი არ მოიპოვება (165, 178, 185, 225, 264, 265, 306).

რამდენიმე ეტრატის ფურცელი პალიმფსესტია. პირველი ნაწერი ქართულია (194, 195, 214, 215) ან ბერძნული (198, 199, 294, 295). პირვანდელი ტექსტი ძნელად იკითხება.

ეტრატის ფ. 34 ქვემო ცხრა სტრიქონის მანძილზე გამოვლეჩილი ყოფილა თავიდანვე ირიბად და ტექსტი ზედ ისე დაუწერიათ, რომ სიტყვა ზოგჯერ გაწყვეტილია და გადატანილია ერთი კიდიდან მეორეზე: და — დებად, თა — ვსა. თვით ტექსტს არა აკლია რა.

ძველი ნაწერია ერთი პირის მიერ, რომელიც, ერთი მინაწერის თანახმად (1V), იოანე უნდა იყოს, მაგრამ იგი ჰილის ფურცლებზე უფრო მსხვილად წერს, ვიდრე ეტრატისაზე, რაც, უთუოდ, ნაწერი მასალის ბუნებით არის გამოწვეული. ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ სტრიქონთა რაოდენობა ხელნაწერის გვერდებზე არა თანაბარია: ეტრატის ფურცლებზე იგი 17-დან 24-მდე აღის, ჰილისაზე კი — 15-დან 21-მდე. მაგ., 65V ეტრატია, 66G კი — ჰილი. პირველზე 24 სტრიქონია, მეორეზე კი — 16: 140V ეტრატია, 141G კი — ჰილი; პირველზე 22 სტრიქონია, მეორეზე — 15. ამიტომ, თუმიცა ჰილის ფურცელთა რაოდენობა ხელნაწერში მეტია, მათზე მოთავსებული ტექსტის ვერ ვამოვა მეტი, ვიდრე ის, რაც ეტრატის ფურცლებზეა მოთავსებული.

ტექსტი ნაწერია ერთ სვეტად და შავი მელნით, მაგრამ სათაურები წითლად არის შესრულებული. ნაწერი მთავრულიაო, ამბობს ა. ცავარცი: «писью церковное, заглавное, некрасивое и неумелое, но разборчивое и носит все признаки глубокой древности» (გვ. 159/17). ა. ცავარცის აზრს იმეორებს ილია აბულაძე, რომელიც წერს: „ნაწერია ცალ სვეტად ეტრატსა და ჰილზე (პაპირულზე) ასომთავრულით“ (ქ. წერის ნიმუშები, გვ. 338).

როგორც ჰგავს, აღნიშნული მეცნიერები კარგად არ დაჰკვირვებიან ხელს, რომლითაც ვადაწერილია ჰილ-ეტრატის იადგარი, თორემ ასე კატეგორიულად არ იტყოდნენ, რომ ნაწერი ასომთავრულიაო. მართალია, ასოები ძველში უმეტესად მრგოლოვანია, მაგრამ ზოგიერთი მათგანის მოხაზულობა ნებას არ გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ ნაწერი ასომთავრულიაო. ასეთებია:

1, რომელიც მეტად ჩამოგრძელებულია ქვემოთ.

7 და 8 ასოებს წინა ხაზი ძირს ჩამოუდის და უსწორდება ასოს საყრდენ ხაზს.

9 ასოც მსგავს ვითარებას გვიჩვენებს მრავალ შემთხვევაში: ხშირად მასაც ძირს ჩამოუდის წინა ხაზი.

4 ასოს თავი ყოველთვის შეკრული აქვს, მაგრამ ბოლო მეტად ჩამოუდის ქვეშ.

5 ასოს მეტად წაგრძელებული აქვს ზედა ხაზი.

6 ასოს არსად ყელი არა აქვს.

4 ასოს მეტად ჩამოუდის ფეხი ძირს.

8 ასო იმგვარადაა მოხაზული, რომ შეუძლებელია მას მრგოლოვანი ვუწოდოთ. იგი ნუსხურადაა ყველგან გამოყვანილი.

ყველა ამ ნიშნის მიხედვით უნდა ვთქვათ, რომ ჰილ-ეტრატის იადგარის ხელი წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს მრგოლოვანიდან კუთხოვნისაკენ.

სასვენი ნიშნად ნახმარია სამი წერტილი, რომლებიც საგალობლების ბოლოს სხედს. იგივეა აგრეთვე მაშინაც, თუ მხოლოდ საგალობლის დასაწყისია მოყვანილი (უფრო დაწვრილებით სასვენი ნიშნების შესახებ ნახეთ ა. მარტიროსოვის ნაშრომში).

ნიშნურობა: 1v ქვემო აშიაზე მსხვილი ასოებით დაწერილია: ოდ შე ონე არნ (ღმერთო, შეიწყალე იოვანე. ამენ). ეს იოანე უნდა იყოს იადგარის ვადამწერი. იგი სხვა ადგილას ლოცვას ითხოვს: 74v-ს ქვემო აშიაზე იკითხება: ლრც ყრთ (ლოცვა-ყავთ).

ერთ ადგილას საინტერესო ცნობაა დედნის შესახებ, რომლისაგანაც ტექსტი გადმოუწერიათ: „ადიდებდითსა ზემო დამირჩეს და ქვემო დავწერენ: დედა აღქატი იყო“ (9, ქვემო აშია).

სხვაგან იკითხება: „ღმერთმან დაგაჯეროს ყოველთა, შემინდვეთ, ესე დასადებელნი არა ამის ადგილისანი, განა დედანი ურვილნი მქონდეს“ (119v).

კიდევ სხვაგან მწერალი ბოდიშს იხდის შეცდომით გადმოწერისათვის: „შემინდვეთ, შევსცეთ და ესეთ დავწერე. ვითა გამს, ეგრე თქუით“ (55r). ამ მინაწერის მეღანი მარცხენა გვერდის აშიაზე ვადასულა.

110v-ს აშიაზე მოწერილია: „ამის შაბათისა დასადებელნი ქუემო ჰპონე მერვესა ფურცელსა, გჰამ მესამეჲ“.

ვადაწერი ხშირად ცდება და საჭირო ასოს ნაცვლად სხვა გამოჰყავს. მაგ., 163,6-ზე დაუწერია „ჯრჯმლსა“ ნაცვლად: „ჯრცმლსა“, რომელიც ასე უნდა წავიკითხოთ: ჯურჯემულსა. ამას გარდა, ხშირია, რომ წაშლილი იყოს ასოები და სიტყვები.

ჰილ-ეტრატის იადგარის ერთი თავისებურება ის არის, რომ ხშირია შიგ უჩვეულო შემოკლებანი, რაც აძნელებს ტექსტის დადგენის საქმეს; მაგ., დოს-ბო (167v, 1) = დაუსაბაოო; „სბნლმნ“ შეიძლება კაცმა წაიკითხოს „სიბნელენან“, მაგრამ 181v, 19-ზე იგია „საბანელმან“; „გგლბდა“ შეიძლება „გგია-

ლობდა“-ც იყოს, მაგრამ 153,2 ქვ. იგი მხოლოდ ასე უნდა გაიხსნას: „გეგუ-ლებოდა“.

ზოგჯერ ორი სიტყვა ერთად არის შემოკლებული, მაგ., იოსბრიმთიელმ (167,10) ამას ნიშნაქს: იოსებ არიმთიელმან.

ზოგჯერ ქარაგმა აზის სიტყვას, თუმცა იგი შემოკლებული არ არის და, მამსადაამე, შემოკლების ნიშანი საჭირო არ არის.

იადგრის თავისუფალი გარეთა აშიები გამოყენებულია სამკაულებისათვის, რომელთა რიცხვი ას ოცზე მეტია. ძირითადად ეს არის ჯვარი, რომელიც სხვა-დასხვა სახით არის წარმოდგენილი აშიაზე: არის სწორ-მკლავიანი ჯვრები ირი-ბად გადახაზული მარცხნიდან და მარჯვნიდან და წრეში ჩასმული (5v, 6. 9v. 10v, 14v, 18v და სხვ.), ან უწრეოდ (5v, 7, 9v, 11v და სხვ.); სწორ-მკლავიან ჯვრებს ხშირად მკლავების ბოლო გაპობილი აქვთ (44 და სხვ.); ზოგჯერ ასეთი ჯვრები წრეშია ჩასმული. არის ჯვრები, რომლებიც საყრდენზეა დამაგრებულა (185v, 211v); არის ჯვრები რგოლებისაგან შემდგარი (რგოლებში შეიძლება წერტილი იყოს ჩაწერილი): 135v, 157v, 221v; ჯვარი ზოგჯერ რამდენიმე ერთ-მეორეში ჩასმულ კვადრატულ ფიგურაზეა დაყრდნობილი (184, 190, 204. 250. 297v), ჯვარი შეიძლება მკენარესავით იყოს წარმოდგენილი. ტოტები რომ შვ-მობაზული ჰქონდეს (266v), ან შემოუხაზავი (217v, 275, 280, 281v). ერთი სიტყვით, დიდი მრავალფეროვნებაა ამ მხრივ.

სამკაულებს უნდა მივათვალოთ მეტისმეტი პრიმიტიული განოსახლება ადა-მიანისა (147v, 155v, 160, 204v, 218v, 260v). ა. ცაგარელი ამ განოსახლებებში ქრისტესა და წმიდანებს ხელადა («Изображения Христа, святых встречаются на полях»). შეიძლება აგრეც იყოს, მაგ., 204v-ზე „წმიდას“ (ქრისტეს?) კვერთხად გამოყვანილი ჯვარი უჭირავს მარცხენა ხელში.

აშიაზე მოთავსებული ჯვრების დანიშნულება, ალბათ, ის იყო, რომ საჭირო საგალობლები ადვილად მოენახათ. ზოგი ამ ჯვართაგან შეიძლება თავიდანვე არ იყო და შემდეგში ჩახატეს.

სამკაულებს უნდა მივაკუთვნოთ აგრეთვე ინიციალები, რომლებიც ხშირად გვხვდება ხელნაწერში (ზოგჯერ ერთ გვერდზე სამი და მეტიც) და აგრეთვე მარჯვნივ და მარცხნივ წყვილ-წყვილად წაქცეული ირიბი ხაზები, რომლებიც საგალობლის ბოლოს არის მოთავსებული, უმეტესად ქვემო აშისათან (1v, 10v. 63r, 123, 156, 114, 245, 305).

ჰილ-ეტრატის იადგარს ზოგჯერ უწოდებენ სადღესასწაულოს ან თთვენს. ა. ცაგარლი იგია Праздничная мнinea, რაც, როგორც კ. კეკელიძემ აღნიშნა, მთლად სწორი არ არის, რადგანაც იგი შეიცავს არა მარტო უძრავი დღესასწაულების საგალობლებს, არამედ მოძრავი ციკლის დღესასწაულებისასაც (მარხვან-ზატიკისასაც).

გადაწერის დრო. ჰილ-ეტრატის იადგრის გადაწერის დროის შესახებ სხვადასხვა აზრია გამოთქმული. ამ ძეგლის პირველმა მკვლევარმა იგი მიიჩნია VII საუკუნის ძეგლად: «обе части (ე. ი. ეტრატზე დაწერილია და ჰილზიდაც), вероят-но, одною и того же века по написанию, а именно, не позже VIII в. и вероят-нее всего VII в., если не раньше», წერდა ა. ცაგარელი (გვ. 159/17). ა. ცაგარლის ეს მოსაზრება იმას ემყარებოდა, რომ მინიატურები მეტად მარტივია და, ამას კარ-

და, შიგ არ არის ხსენება რომელიმე ქართველი მოწამისა (Сведения... II, 1889, стр. X, 163/21).

ამის პასუხად კ. კეკელიძემ აღნიშნა, რომ ა. ცაგარელს გამორჩენია მხედველობიდან, რომ იადგარში აბოს საგალობლებია შესული და, მაშასადამე, იგი არ შეიძლება გადაწერილი იყოს 820 წლამდე, როდესაც დაიწერა აბოს ბიოგრაფია და მისი საგალობლები. კ. კეკელიძემ ივარაუდა, რომ ძველი გადაწერილია IX საუკუნის მეორე ნახევარში (Литург. груз. пам., 351). მიუხედავად ამისა, კ. კეკელიძე არ უარყოფდა, რომ იადგარში შესული საგალობლები ადრინდელია: «В молитвенных и песнопениях месящесловной части явно сквозят VII—VIII вв., — период напряженной гимнографической деятельности в главных центрах тогдашнего византийского мира, давший массу стихир, канонов и тропарей, большею частью ныне, к сожалению, неизвестных, которые, размещаясь в порядке месящеслова, положили основание служебных Миней, сначала кратких — праздничных, какою является и наша рукопись в месящесловной части, а затем подробных — вседневных».

კ. კეკელიძემ თავის აღწერილობაში საგალობლები სლავურად თარგმნა, მთელი ხელნაწერის შინაარსი ვრცლად მოიყვანა და, სხვათა შორის, აბოს საგალობლები დაბეჭდა ქართულადაც. კ. კეკელიძის თანახმად, იადგარში ოკტობოსის ჰიმნები ჭერ კიდევ არ ჩანს (ძველი ქართ. მწერლობის ისტორია. I, 1951, გვ. 562).

როგორც ვთქვით, კ. კეკელიძეს ეს იადგარი მიაჩნია IX საუკუნის ძეგლად. ის ამბობს: პირვანდელი ფორმა „ხვედრისა“ ანუ მარხვან-ზატიკისა ჩვენ გვაქვს ზემოდანახელებულ მეცხრე საუკუნის პაპირუს-პერგამენტის კრებულში. აქაური ჰიმნები უფრო ძველია, ვიდრე ეპოქა თეოდორე სტოდიელისა (გარდაიცვ. 826 წ.), რომლის სახელთან დაკავშირებულია „მარხვანის“ ისტორია. ის ძალიან მოკლეა და თეოდორეს ჰიმნებს არ შეიცავს. ამ კრებულმა არ იცის არამც თუ ახლანდელი კვირიაკეები დიდმარხვისა, არამედ ისინიც კი, რომელთაც ჩვენ ვპოულობთ სტოდიისა და იერუსალიმის რედაქციის უძველეს „მარხუანში“. აქ ჭერ კიდევ არაა გამოყოფილი მესამე კვირიაკე, როგორც საგანგებო, ჭვართავანისციემის კვირიაკე. თუ სიტყვები „დასდებელნი მარხუათანი სრულიად“ გულისხმობენ მთელ „მარხუანს“, უნდა ვფიქროთ, რომ ეს წიგნა უთარგმნია ექვთიმე ათონელს, ყოველ შემთხვევაში, თუ მთლად არა, ზოგიერთი პასა ნაწილი მაინც (იქვე, 563, 564).

მე კი მგონია, რომ ჭილ-ეტრატის იადგარის გადაწერის დრო არა თუ მე-9, არამედ მე-10 საუკუნეც ვერ იქნება. ამას რომ ვამბობ, მხედველობაში ის გარეშობა მაქვს, რომ ძეგლში ისეთი ორთოგრაფიული და ენობრივი მოვლენებია, რომლებიც გამორჩეხვას დროს მე-11 საუკუნემდის. ერთი ამათვანია ა ასოს მარხვა: „არა“ ნაწილაკი ამ ძეგლში უმთავრესად „არაჲ“ ფორმით გვხვდება: ქართველი მოწამის სახელად აქ არის აბო და არა ჰაბო; ამ სახელის სახელობითა, მოთხრობითსა და წოდებითში გვხვდება აბოჲ, ხოლო მიცემითში — აბოჲს. ყველა ეს იმის მაჩვენებელია, რომ ძველი მოგვიანო ხანისაა.

მართალია, ძეგლში ჩვეულებრივია მ-ს ნაცვლად ეჲ, რაც საერთოდ სიძველის ნიშანია, მაგრამ ამ ძეგლში ეს უნდა იყოს ძველი ორთოგრაფიის მაჩვენებელი, რომელსაც ძველი გამოთქმა არ უნდა ახლდეს: ეჲ-ში, ალბათ, მარტო ე

გამოითქმოდა (ქრისტემს=ქრისტეს), როგორც „არაჲ“-ში არა. ამიტომ ჰილ-ეტრატის იადგრის გადაწერის დროდ შეიძლება XI საუკუნის დასაწყისი მივიჩნიოთ¹¹.

¹¹ რამდენადაც მახსოვს, ამავე დასკვნამდე მივიდა ჰილ-ეტრატის იადგრის გადაწერის დროის შესახებ განსვენებული რენე შმერლინგიც, რომელმაც ამ ხელნაწერის მორთულობა საგანგებოდ შეისწავლა.

ტიქსტის ზამოცემისათვის

სიტყვათა შემოალება, დაჯარაგება

ჭილ-ეტრატის იადგარი განსაკუთრებით საინტერესოა დაქარაგმების მხრივ. ქარაგმის ქვეშ გვხვდება არა მარტო კავშირები და ზმნიზელები: რ (რამეთუ), რა (რამათა), ხ (ხოლო), ვე (ვიდრე), ვს (ვიდრემდის). აღ (არამედ), ვა (ვითარცა); ნაცვალსახელები: შნ (შენ), ჩნ (ჩუენ), მნ (მან), მს (მას), რი (რომელი), ყი (ყოველი), ყნი (ყოველნი); თანდებულები: გნ (გან), ზა (ზედა), შნა (შინა), თნა (თანა); ზმნისწინები: გნ (გან), წრ (წარ), გრდა (გარდა), გრდმო (გარდამო) ან ჩვეულებრივი შემოკლებანი: ოო (უფალო), ქე (ქრისტე), ივ (იესუ), ლი (ღმერთი), არამედ თითქმის ყველა სიტყვა. აი, ერთი გვერდის ნიმუში (გვ. 229)¹.

ამისთცა მოილო გრგნი
 მღწხა მსთა მხბთა მ. . . იგივე:
ღღტუვა რლნი სრდმოგნ ო:-
 მეცრებისათა იქსნნ და წნამ-
 ორბედისა მიერ ოქდგე სსფელი
 ცთა ღრს მყენ ჩნცა შსლვდ
 მს შნა მსთა მხბთა ვა მწყულე ხრ. .
 რი აგლთა მოქლქბთა ქყნსა
 ზა იქცოდა და სღმრთოსა რჩ-
 ოვლისა სმრთლსა ამხლბ-
 და მფთა ღღს მეკთა თვი
 სპყრბლსა შნა და პყრბლთა
 წყხთსათა ეოწყა გნთესოვ-
 ფლებამ და მხ არს დცბრმდლ
 სლთა ჩნთათს. . **კრხღრხა**. .
 რნ ბბლნს ცრი გრდამოოვ-
 ლინე და ღღს წყხთსა მყფთა
 აბრე ადგმა ვა ცრი კოვრ-
 ნებისა მწმბრდსა შნისა მ-
 იერ კრთხლ ხრ შნ ოო²

ხელნაწერის ამ გვერდზე სულ 73 სიტყვაა ნახმარი, აქედან 67 ქარაგმიანია, 6 კი — უქარაგმო. ეს თავისებურება გამოწვეული უნდა იყოს როგორც ძნელად საშოვნელი საწერი მასალის — ჭილისა და ეტრატის სიმცირით, ისე თვით საგალობელთა შინაარსით. რომელიც, უნდა ვიფიქროთ, სათანადო პირებს მტკწილად ზეპირად უნდა სცოდნოდათ.

¹ ტექნიკური მიზეზების გამო სათანადო სიტყვებს ქარაგმას არ ვუშერთ.

² ტექსტი ყოველმხრივ ისეა გადმოცემული, როგორც ეს ხელნაწერში იკითხება.

ივ. ჯავახიშვილის მიერ დადგენილი ტერმინებით რომ ვიხელომდგანელოთ, ჩვენს ძეგლში ძირითადად გამოყენებულია შემდეგი სახის შემოკლებანი: მ ხ ო - ლ ო ა ს ო ი ა ნ ი, როცა იწერება სიტყვის მხოლოდ დასაწყისი ასო; შ უ ა შ ე კ - ვ ე ც ი ლ ო ბ ი თ ი, როცა წარმოდგენილია დასაწყისი და დასასრული ასოები ან მარცვლები; უ ხ მ ო ვ ნ ო, როცა შემოკლებულია მხოლოდ ხმოვნები⁸.

სიტყვათა შემოკლებისას ყოველთვის დატული არ არის გარკვეული წესი. ერთი და იგივე სიტყვა ყოველთვის ერთნაირად არ არის დაქარაგმებული.

1. ჩვეულებრივ ქარაგმის ქვეშ წარმოდგენილი არ არის ერთი ან რამდენიმე ხმოვანი: მშუიღობი 15, მიცემი 154v ...მმსა (მამასა) 1, კლთა ოჩნბა (ველითა უჩუენებთ) 23, აღს (აიღეს) 185, მხდ (მოხუდ) 33, გრგნ ექმნ (გურიგუნი ექმენ) 5v, ღღებთ (ღღაღებთ) 60, მთხრბთ (მიუთხრობთ) 23v, მნუბ (მონაჩუბ) 30, სმბლა (სიმლაბლეა) 178, სხერბა (სახიერება) 102, ღღბღლი (ღღაღბღული) 103v, სწმღსა (სიწმიღისა) 37v, ინს (იონანეს) 32...

2. ხმოვანთან ერთად გამოტოვებულია თანხმოვანიც (მეტწილად ერთი ან ორი, ზოგჯერ მეტიც); მაგ.:

კთა (კაცთა) 69v, სოჯა (საუნჯეა) 132v, მკრთთ (მკუღრეთთ) 163, გრნა (გურიგუნი) 162, სონ (სუიგონ) 74, გნძრა (განძრიელდა) 189, გნთა (განათლდა) 197, ბნდ (ბეთანიად) 129, სხთ (სიხარულით) 130v, აკრთ (აკურთხევდით) 135v, ვღთ (ვადიდებთ) 48, შმა (შენდობა) 62v...

3. ერთი ქარაგმის ქვეშ ხშირად შემოკლებულია ორი სიტყვა ან რთული სახელი და ზნა, რომელთა მეორე შემადგენელი ნაწილი შეიძლება წარმოდგენილი იყოს მხოლოდ თავკიდური ან ბოლოკიდური თანხმოვნით; მაგ.: ქცმრთ (ქრისტეს მიმართ) 56v, ექსფრთენი (ექუს-ექუს-ფრთენი) 43, მცხვრდანელ (მაცხოვარ, იორდანელ) 24v, ქლმდი (ქველისმოქმედი) 162v, წყლბუც (წყალობა-ყავ) 91v, 102, ღრსმყენ (ღირს-მყენ ჩუენ) 81v, სღჩს (სულთა ჩუენათათის) 202v, წმღზრ (წმიდა ხარ) 52, შგწყლჩნ (შეგუიწყალენ ჩუენ) 78, მხრლრს (მხიარულ არს) 72, მღღლთმ (მღღელთ მოძღუარნი) 125, მხრნ (მეოხ არიან) 107v, მვლრს (მომავალ არს) 130, მწყლჩრ (მოწყალე ხარ) 114, ცღვლრ (ცოდელი ვარ) 89v (შღრ. კტთ მყრე=კატთ მოყუარე 121, ღბლ ხრ=ღიდებულ ხარ 59...).

4. ერთი ქარაგმის ქვეშ შემოკლებით ზოგჯერ გვხვდება მთელი წინადადებაც. ასეთ პირობებში წინადადების შემადგენელი რომელიმე სიტყვიდან შეიძლება არც ერთი ასოც კი არ იყოს წარმოდგენილი; მაგ.:

მგყჩნ (მეოხ გუყავ ჩუენ) 56; მეოხებითა შთა აცხი (მეოხებითა შენითა აცხოვნენ სულნი ჩუენნი) 12; შღრ. აცხნ სლნი ჩნი (აცხოვნენ სულნი ჩუენნი) 12v.

5. ისეთ შემთხვევებში, როგორიცაა: შწყნესლნი (შეიწყალნეს სულნი ჩუენნი) 123v; რაცხოვნენ (რამთა აცხოვნენ) 108, წმსაბოჟსა (წმიდისა აბოჟსა) 41, წინადგს (წინა-ადგს) 4, სლისამის (სულისა ამის) 124v. ორი სიტყვის შემოკლებისას ს და ა ეკუთვნის წინა სიტყვასაც და მომდევნოსაც.

6. შემოკლებისას ზოგჯერ მოცემული არ არის სიტყვის ბოლო ნაწილი. საწარმოებელი ფორმანტები — ბრუნვისა და რიცხვის ნიშნები, ზმნური სუ-

⁸ ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, ტფილისი, 1926, გვ. 136.

ფიქსები — ან სრულიად არ არის წარმოდგენილი, ან მხოლოდ მათი თანხმობის ელემენტია დატოვებული; მაგ.:

გ რ გ ს ყო იგი (გუარგუინოსან ყო იგი) 38... გქბთ შნ ლთმშბლო (გაქებთ შენ, ლმრთისმშობლო) 216; ზ ც ი ბჭთა თნა (ზეცისა ბჭეთა თანა) 74; ვკყოფდეთ ვსნბსა წ მ ს (წმიდისა) აბოისა 41; რი მ მ ს თნა (რომელი მამისა თანა) განაგებ 41v, ქ წ მრსგნ (ქალწულისა მარია-მისგან), სმბს (სამებისა) 60, მხრლ იყეთ ს ს ფ ლ (მხიარულ იყენით მასუფეველსა) 18, ღ ღ ვ ნ (ღღვანი) წყლთნი 49, შნ ხ რ ღ ჩნი მ რ ღ მ ქ (შენ ხარ ღმერთი ჩუენი მრავალ-მოწყალე) 127, აღვივსენით ჩნ კეთილითა ს ხ ლ (სიხარულითა) 245v... მოხ გყვ ს ღ თ ჩნს (მეოხ გუეყავ სულთა ჩუენთათუის) 5v; ცხრბდ ს ღ ჩ (ცხოვრებად სულთა ჩუენთათუის); ღრსნო ცხრბდ ს ღ ჩს (სულთა ჩუენთათუის) 15; მოხგნით ს ღ ჩ (მეოხ გუეყვენით სულთა ჩუენთათუის) 185... დიდებამა შენდა, მცქლთა ს ი ქ ა დ უ ლ (სიქადულო), მწთა ს ხ რ ლ (სიხარულო) 93; მრავალ მოწყალე მ ქ ს ნ ღ მო მ ტ ე ვ ე ბ ე ლ (მრავალ მოწყალეო, მქსნელო მომტევებელო) 98; ნუ მარცხუენ მე სასოებისაგან ჩემისა ქ ე მ ქ ს ლ კტომყრე (ქრისტე მქსნელო კატომოყუარე) 92v...

7. თანდებული -გან და ზმნისწინი გან- დაქარაგმების დროს ხშირად მხოლოდ დასაწყისი ასოთია წარმოდგენილი; მაგ.:

საცთურისაგ 4v, იოანესაგ 24v, შნგ (შენგან) 1v, ჩემთაგ იქვე, რლთაგ (რომელთაგან) 15, ათორმეტთაგ 146v, სირღმეთაგ 50, მკეცთაგ 14v... გამანათლებელად 14v, გამათავისუფლებელ მექქენ 4...

შედარებით იშვიათად გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ორივე (დასაწყისი და ბოლო) ასოთია დაწერილი; მაგ.:

ცთმსგნ (ცთომისაგან), კრსგნ (კირისაგან), ქლწლსგნ (ქალწულისაგან) ...გნგეხმოდეს და სხვ.

ეგევე ითქმის მოთხრობითი ბრუნვის -მან დაბოლოების შემოკლების შესახებ; მაგალითები:

დიდებულმ საგალობელმ (დიდებულმან საგალობელმან) 4v, წინამძღარმ (წინამძღუარმან) იქვე, სიმენემ შნმ (შენმან), მოწამეთა შენთამ 4v... ყოველთა მეოფმნ 22v, პირველმოწამემნ 4v, ყლმ ღბდბულმნ (ყოველმან დაბადებულმან) 29v, მიუგო წმ მონმნ ოისამ (მიუგო წმიდამან მონამან უფლისამან) 39; მხოლმ... ნაყოფმნ კეთილმ (მხოლომან ნაყოფმან კეთილმან) 39v...

ქარაგმა, ჩვეულებრივ, დაესმის შემოკლებულ სიტყვას ზემოთ ზუამში, მაგრამ თუ სიტყვის შემოკლებისას გამოტოვებულია დასაწყისი ან ბოლო ასოები, ქარაგმაც შესატყვის ადგილას არის წარმოდგენილი.

2. ზოგჯერ ერთ სიტყვას ორი ქარაგმა უზის; მაგ.:

ქწნიერებმა 10v, სბნლმნ 181v, წლოგნი 182v, ქწლსაგ 69v, მართლმადიდებლობისა 58v, გრდამოგნდ 44v, გნეთესფლნ 125v, გჭკრ ელდი 190v...

9. არის შემთხვევები:

ა) ქარაგმა უნდა იყოს და არ არის: გგაშორა 152v, სკლელი 151v, მცხერ 89v, კორთხე 13v, გგლბთ 14, შმქელი 1v, სოკნთა 4, სტფენ 4v...

ბ) არის და არ უნდა იყოს: ეტუ^რირთა 181v, ჳსნისა^რთუის 141v, აღ^რდგა 125v, ექ^რმნა 172, მჭ^რისა 64, ეროღ^რმსი 19...

ზემოთ დასაჩელებულ თავისებურებათა გამო ზოჯჯერ ჳირს დაქარაგმებული სიტყვის სწორი ამოკითხვა. მაგალითად, ისეთი სიტყვები, როგორიცაა მე ფე და მე უ ფე, ძალი და ძელი, ჩვეულებრივ ერთნაირად არის შემოკლებული: მ^რფე, ძ^რლი, ამიტომ ყოველთვის ნათელი არაა, როგორ ამოვიკითხოთ: მე ფე თუ მე უ ფე, ძალი თუ ძელი. ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კონტექსტს: ამხილებდა მ^რფთა ურჩულოთა 228v. აქ, ცხადია, მეფეზეა ლაპარაკი, აქ კი — უგალობთ ჳრისტესა ჳველისმოქმედსა მ^რფსა 248 — მე უ ფე ივარაუდება. მაგრამ ძნელი სათქმელია, მეფე იგულისხმება თუ მეუფე ისეთ წინადადებაში, როგორიცაა: ღმრთის მსახურსა მ^რფსა ჩუენსა აჩუენა 255...

შემოკლებულ სიტყვათა გახსენისათვის

როგორც ზემოთ წარმოდგენილი ფაქტობრივი მასალების მიხედვით ჩანს, ჩვენი ძეგლი, თუ შეიძლება ასე ითქვას, უნიკალურია შემოკლებულ სიტყვათა დაქარაგმების მხრივ. გამოცემაში ყველა შემოკლებული სიტყვა სრულად არის წარმოდგენილი. იმ შემოკლებულ სიტყვათა გახსენისას, რომელთა დადგენა ზოჯჯერ ძნელია, ტექსტის გამომცემლნი ხელმძღვანელობდნენ ცნობილი წესით, თუ როგორი დაწერილობით გვხვდება ხელნაწერში ესა თუ ის სიტყვა გახსენილი (სრული) სახით. საექვო წაკითხვები კი, როგორც წესი, შენიშვნაშია ჩაბოტანილი. ამასთან დაკავშირებით ორიოდ სიტყვა უნდა ვთქვათ განსაკუთრებით საგალობელთა ზოგიერთი ტერმინის შესახებ.

საგალობელთა ტერმინები ჩვეულებრივ შემოკლებულია, მაგრამ ზოგიერთი მათგანი აქა-იქ სრული სახითაც გვხვდება, მაგალითად, X—XI საუკუნის სხვა ლიტურგიკულ ძეგლებში ჩვეულებრივ დასდებელი გვხვდება. მაგრამ ჩვენს ხელნაწერში იგი რამდენჯერმე შეუუქმშველი სახით არის ნახპარი — დასადებელი; მაგ.:

დასადებელი ყოველი მოციქულთა მსახურო 19: აღელუაა
დასადებელი ყოველი მოწამეთა მთქუა 87v.

ამის გამო გამოცემაში ჩვენ ყველგან ეს გახსენილი ფორმა გავატარეთ.

სიტყვათა შიკვება

გარდა სიტყვათა დაქარაგმებისა, ჩვენი ძეგლისათვის, როგორც საგალობელთა კრებულისათვის, დამახასიათებელია აგრეთვე სიტყვათა ჩვეულებრივი შეკვეცა. თავისი ავებულებისა და შინაარსის მიხედვით რადგანაც კარკვეული ტიპის საგალობელთა დასასრული ხშირად ერთი და იგივეა, ტექსტის შემოკლების თვალსაზრისით, განმეორებათა თავიდან ასაცილებლად. მინაპლურების ან სხვა ცნობილი ადგილების დასაწყისი თუ დასასრული შემოკლებული სიტყვით, სიტყვათა დასაწყისი ასობით ან მარცვლებით არის წარმოდგეხილი,

რაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთგვარი მინიშნებაა იმისა, რომ სათანადო პირმა გაიხსენოს და სრულად წარმოთქვას საჭირო ადგილები. მხედველობაში გვაქვს ასეთი შემთხვევები:

მკლავთა ზედა სუიმეონ ტაძარსა შინა მიგიქუა და გალო... 69;
შენ გშუენის გალო... 143v; შენ გშუენის გა... 92v; გალობით გა... 70v; მოყავ, უფალო, ყური შე... 89v; დიდებამ ძა... 174v; გმითა მალლითა ღალ... 184v; გალობით გა... 144v, მღღელნი აკ... 147v; ლბილ იყენეს სიტყ... 151; რომელნი დაუცხბ... 135... მოგუე-ახლა დღემ დ... 159, ვითარცა ცხოვარი შ... 165; გილაღებთ შენ: კ... 69; შეგვესმინ ჩ... 92v და სხვა მრ.

განავითილობის ნიშნები

ჩვენს ხელნაწერში სიტყვები ერთმანეთის მიჯრით არის დაწერილი. მათი განცალკევების მიზნით ნახმარია განკვეთილობის ნიშნები ერთწერტილი, ორწერტილი, სამწერტილი, ოთხწერტილი, ხუთწერტილი და, იშვიათად, ექვსწერტილი, რომელთაც სასვენი ნიშნების დანიშნულება არა აქვთ⁵. სამწერტილი სამკუთხედად არის განლაგებული, ოთხწერტილი — კვადრატულად, ხუთწერტილი კი ორი სახისაა: ერთ შემთხვევაში 5 წერტილი წრისებურად არის განაწილებული, მეორე შემთხვევაში კი აღებულია იგივე ოთხწერტილი, ოღონდ მასში შუა ადგილას კიდევ ერთი წერტილია ჩასმული.

განკვეთილობის ეს ნიშნები ყველგან და ყოველთვის არ არის გამოყენებული. მაგალითად, ხელნაწერის 40v, 53v გვერდებზე არავითარი ნიშანი არ არის ნახმარი, 48 გვერდიდან 52v გვერდამდე კი მხოლოდ თითო ადგილას არის დაწერილი ორწერტილი და სამწერტილი.

ზოგადი შთაბეჭდილება ასეთია:

1. საგალობელთა ბოლოს (არა ყოველთვის) სამწერტილი, იშვიათად კი ორწერტილი და ხუთწერტილია დასმული. ასეთ შემთხვევაში თუ ოთხწერტილია გამოყენებული, წერტილებს შუა ჯვარი არის ჩასმული.

2. თითო-ორილა შემთხვევაში, თითქოს ერთი ფრაზის მეორისაგან გამოსაყოფად, ერთწერტილი და ორწერტილია ნახმარი; მაგ.:

მეცით ერნო დიდებამ ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა. რომელმან ნათელიღე დღეს იორდანისა წყალთა 27⁶; ამას დღესა ქრისტმს ნათლისღებისასა იოანე განშუენდების. და სამოსელი უხრწნელებისა შეემოსების 28 ... აღმომიყვანენ ჩუენ პირველსა მას ნეტარებასა: რომლისათვისცა კაცთ მოყუარებისა შენისა განგებულებასა ვლაღებთ 256v; რამსა მიბრძანებ მე უფროას რჩელისა: რამეთუ მე მიკვმს შენ მიერ ნათლისცემაჲ 37v...

3. ეგვევ ნიშნებ, სამწერტილი და აგრეთვე სხვაე ჩვეულებრივ სიტყვების მექანაჟური განცალკევებისათვის იხმარება და არა გრამატიკულ-ლოგიკური დაპოკიდებულების გადმოსაცემად; მაგ.:

⁵ ივ. ქავაჩიშვილი, 'არაული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, გვ. 141.

⁶ ვიკოწებთ ქარაგმა-გახსნე ტიქსრს.

ქ ი ლ - ე ტ რ ა ტ ი ს ი ა ღ ბ რ ი ს
ფ რ ტ მ ს უ რ ა თ ე ბ ი

Handwritten text in a cursive script, likely a medieval manuscript. The text is arranged in approximately 12 horizontal lines. The ink is dark, and the parchment shows signs of age and wear. The script is dense and difficult to decipher without specialized knowledge of the language.

Handwritten text in a cursive script, likely a medieval manuscript. This section contains approximately 12 lines of text, continuing the narrative or list from the top page. The script is consistent with the text above. At the bottom of this section, there are several small, circular diagrams or symbols, possibly representing astronomical or geometric concepts.



① ② ③ ④ ⑤ ⑥ ⑦ ⑧ ⑨ ⑩ ⑪ ⑫ ⑬ ⑭ ⑮ ⑯ ⑰ ⑱ ⑲ ⑳ ㉑ ㉒ ㉓ ㉔ ㉕ ㉖ ㉗ ㉘ ㉙ ㉚ ㉛ ㉜ ㉝ ㉞ ㉟ ㊱ ㊲ ㊳ ㊴ ㊵ ㊶ ㊷ ㊸ ㊹ ㊺ ㊻ ㊼ ㊽ ㊾ ㊿

1. 2. 3. 4. 5. 6. 7. 8. 9. 10. 11. 12. 13. 14. 15. 16. 17. 18. 19. 20. 21. 22. 23. 24. 25. 26. 27. 28. 29. 30. 31. 32. 33. 34. 35. 36. 37. 38. 39. 40. 41. 42. 43. 44. 45. 46. 47. 48. 49. 50. 51. 52. 53. 54. 55. 56. 57. 58. 59. 60. 61. 62. 63. 64. 65. 66. 67. 68. 69. 70. 71. 72. 73. 74. 75. 76. 77. 78. 79. 80. 81. 82. 83. 84. 85. 86. 87. 88. 89. 90. 91. 92. 93. 94. 95. 96. 97. 98. 99. 100.

1. 2. 3. 4. 5. 6. 7. 8. 9. 10. 11. 12. 13. 14. 15. 16. 17. 18. 19. 20. 21. 22. 23. 24. 25. 26. 27. 28. 29. 30. 31. 32. 33. 34. 35. 36. 37. 38. 39. 40. 41. 42. 43. 44. 45. 46. 47. 48. 49. 50. 51. 52. 53. 54. 55. 56. 57. 58. 59. 60. 61. 62. 63. 64. 65. 66. 67. 68. 69. 70. 71. 72. 73. 74. 75. 76. 77. 78. 79. 80. 81. 82. 83. 84. 85. 86. 87. 88. 89. 90. 91. 92. 93. 94. 95. 96. 97. 98. 99. 100.

Handwritten text in a cursive script, likely a historical document or manuscript. The text is arranged in several lines, with some words appearing to be in a different script or dialect than others, possibly indicating a mix of languages or a specific regional dialect. The ink is dark and the paper shows signs of age and wear.

Handwritten text in a cursive script, continuing from the top section. This section contains a large, prominent initial letter 'Q' followed by several lines of text. The script is consistent with the top section, suggesting a single document or a related set of documents. The text is dense and fills most of the page area.

27
 28
 29
 30
 31
 32
 33
 34
 35
 36
 37
 38
 39
 40
 41
 42
 43
 44
 45
 46
 47
 48
 49
 50
 51
 52
 53
 54
 55
 56
 57
 58
 59
 60
 61
 62
 63
 64
 65
 66
 67
 68
 69
 70
 71
 72
 73
 74
 75
 76
 77
 78
 79
 80
 81
 82
 83
 84
 85
 86
 87
 88
 89
 90
 91
 92
 93
 94
 95
 96
 97
 98
 99
 100

101
 102
 103
 104
 105
 106
 107
 108
 109
 110
 111
 112
 113
 114
 115
 116
 117
 118
 119
 120
 121
 122
 123
 124
 125
 126
 127
 128
 129
 130
 131
 132
 133
 134
 135
 136
 137
 138
 139
 140
 141
 142
 143
 144
 145
 146
 147
 148
 149
 150
 151
 152
 153
 154
 155
 156
 157
 158
 159
 160
 161
 162
 163
 164
 165
 166
 167
 168
 169
 170
 171
 172
 173
 174
 175
 176
 177
 178
 179
 180
 181
 182
 183
 184
 185
 186
 187
 188
 189
 190
 191
 192
 193
 194
 195
 196
 197
 198
 199
 200



1. 2. 3. 4. 5. 6. 7. 8. 9. 10. 11. 12. 13. 14. 15. 16. 17. 18. 19. 20. 21. 22. 23. 24. 25. 26. 27. 28. 29. 30. 31. 32. 33. 34. 35. 36. 37. 38. 39. 40. 41. 42. 43. 44. 45. 46. 47. 48. 49. 50. 51. 52. 53. 54. 55. 56. 57. 58. 59. 60. 61. 62. 63. 64. 65. 66. 67. 68. 69. 70. 71. 72. 73. 74. 75. 76. 77. 78. 79. 80. 81. 82. 83. 84. 85. 86. 87. 88. 89. 90. 91. 92. 93. 94. 95. 96. 97. 98. 99. 100.

1. 2. 3. 4. 5. 6. 7. 8. 9. 10. 11. 12. 13. 14. 15. 16. 17. 18. 19. 20. 21. 22. 23. 24. 25. 26. 27. 28. 29. 30. 31. 32. 33. 34. 35. 36. 37. 38. 39. 40. 41. 42. 43. 44. 45. 46. 47. 48. 49. 50. 51. 52. 53. 54. 55. 56. 57. 58. 59. 60. 61. 62. 63. 64. 65. 66. 67. 68. 69. 70. 71. 72. 73. 74. 75. 76. 77. 78. 79. 80. 81. 82. 83. 84. 85. 86. 87. 88. 89. 90. 91. 92. 93. 94. 95. 96. 97. 98. 99. 100.

მოვიდა: შენ ზედა 45v; აჯოცნა: ცოდვანი სოფლისანი: იქვე; ყრმანი ნათელღებულნი დაუცხრომელად: გიგალობდეს 50v; ვითარ მომმართოს მახულიმან: ვითარცა ნაყოფმან კეთილმან 39v; აღმოსცენდი ძირისაგან: იესელსა 235... ღმრთეებით... აღდგომაჲ მესამესა დღესა 52v; აქებდითსა... მისსა... ჰპოვნე 64...

4. ამ ნიშნებით ხშირად არა მარტო სახელები ან სახელი და ზმნა არის ერთმანეთისაგან გაყოფილი, არამედ ცალკეული სიტყვებიცაა განკვეთილი; მაგ.: ქრისტესა ევ.: ეღრე 107...

5. საგალობელთა ბოლოს შეკვეცილ (დაუსრულებელ) სიტყვებს ჩვეულებრივ სამწერტილი, ოთხწერტილი და ხუთწერტილი უზის; მაგ.:

ნათელი მამისა მიერ მო.: 45v; ვადიდებთ ყოველნი ქ.: 56v; ღმრთისა ჩე.: 54v; გაქებენ შენ, ქრისტე მთავ.: 45v; გუიძლოდის ნათელსა უქ.: 76...

საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ნიშნების ხმარებაში არ არის დაცული რაიმე კანონზომიერება. ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, არც სტრიქონიდან სტრიქონზე სიტყვათა გადატანის რაიმე წესზე შეიძლება ლაპარაკი.

გადაწერის შეცდომები

ჩვენს ხელნაწერში დიდი რაოდენობით გვხვდება გადაწერის უყურადღებობით გამოწვეული შეცდომები, რომლებიც სხვადასხვა ხასიათისაა.

1. შეცდომათა ყველაზე დიდი რაოდენობა მოდის ისეთ შემთხვევებზე, როცა მოსალოდნელი ერთი ასოს ნაცვლად მეორე გვხვდება. მეტწილად ამას ადგილი აქვს დაქარაგმებულ სიტყვებში. ზოგი ამ რიგის შეცდომა შეიძლება სათანადო ნიშნების გრაფიკული მსგავსებით აიხსნას, მაგრამ აბსოლუტურ უმრავლესობას ასეთი საფუძველი არ მოეპოვება. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს:

აურახხელსა 270 (უნდა: აურაცხელსა), მსაგული 289v (უნდა: მსაჯული), აცხოვნენ 54v (აცხოვნენ), ფიცხლად 111 (ფიცხლად), გილალობ 213v (გიგალობთ), ეტუერთა 71 (ეტუერთა). ბრლსთა 286 (ბრძოლისათა), მხხერ 276 (მაცხოვარ), ვლთთ 260 (ვლალადებთ), მყთნი 253 (მყოფნი), თთსენი 247v (ნათესავნი), პცსნთა 244 (პატოსანთა), შშებლ 243 (შემკობილ), მსვესა 227v (მოსლვასა), გმლლბლდ 195v (განმანათლებლად), ინნს 43v (იონეს), აქბ 100v (აქებენ), შგოვრდები 96 (შეგივრდები), გართამგვლენ 94 (გარდამოგუივილინენ), ღლყყესა 47v (ღალატყავსა), სცჩენდეთ 29v (სცხოვნდეთ), ყლოი 130v (ყოველნი), მწფთსთ 125 (მოწაფითურთ), შწწყნ 182 (შემიწყალენ)...

ა) ამ წყებაში გამოიყოფა რამდენიმე შემთხვევა, როცა შეცდომა დაწერილობასთან არის დაკავშირებული:

მდყლთა 205 (მადიდებელთა) — ბ-ს ფხვი აკლია და იკითხება ვ-დ. პტესთ 205v (პატივ-ესცემთ) — ვ-ს მარჯვენა ფრთა აკლია და ვ-დ იკითხება. დამდლეს 164 (დამდევს) — ვ-ს მარჯვენა ფრთა აკლია და

გამოდის ღ. შსკრყლსა (შესაკრებელსა) — ბ-ს ფეხი აკლია და ყ-დ იკითხება...

2. ხშირია აგრეთვე ისეთი შეცდომები, როცა სიტყვაში ასო ან მარცვალა მექანიკურად დამატებული, ანდა რომელიმე ასოა გადაადგილებული:

დმტკცნნბს 243v (დამტკიცნების), ამისთუისცა 226v, დღბდლი 35v (დაბადებული), მმრბჲ 212 (მარიაშობაჲ), შუიწირე 100v (შეიწირე), გვლბთ 99v (გივალბთ), ბუნნებანი 48, ქდგებბული 116 (ქდადგებული), სხნნი 31v (სხუნანი), მტტვენ 119 (მოგუტივეენი), კტბრვი 135v (კაცებრვი), მწფნნი 172v (მოწაფენი), შვსცთეთი 164v (შევსცეთი), ჯარი 247 (ჯუარი), წყლბთა 250v (წყალობითა)... ყყნენბასა 4 (ყყნენბასა), აღმაგვალი 192 (აღმაგვალი), ცთნთნი 192 (ცათანი), მრავავალ 94 (მრავალ), გამოგამოჩნდა 23... მკვლნი 67 (მკლავნი)...

3. შედარებით იშვიათია შემთხვევები, როცა ამავე მიზეზით რომელიმე ასოა გაპოტოვებული:

შემოქმესა 121 (შემოქმედესა), ჰედვიდეს 282v (ჰხედვიდეს). ფონტიკურად მოსალოდნელი იყო, პირიქით, ჰ-ს დაკარგვა (ხედვიდეს); შეურაცხ-ჰოფდეს 84 (შეთურაცხ-ჰყოფდეს).

4. ხელნაწერში მთელი რიგი სიტყვები ორჯერ არის დაწერილი. ასეთებია: იორდანეს 42v, ღმრთისა 47v, სიტყუითა 69, მოიკლა 278, ამხილებდ 231, იტყოდეს 109v, მოხუედ 24v, შენსა 58, შენისა 31v, შენდა 184v, და 27v, 59v...

5. ბოლოს, შეცდომათა ერთი წყება ისეთ გრამატიკულ ფორმებს შეეხება, რომლებიც გამართლებული არ ჩანს ძვ. ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვით:

ენებათათა (=ენებათა) ამის სოფლისათა 279; მეორედ შობასა დიანსა მოწამისა აბო მსა (=აბო მსსა) 4v; დიდ არს დიდებამ სინანულისამ მოქცევედ შეცოდებულისამ (=შეცოდებულისა) 99; ვისწრაფთო, ერნო, აღსარებად ცოდვთა ჩუენთამ (=ჩუენთა) 100v; დღეს გელთავან ურჩულოთამთა (=ურჩულოთამსა) უბრალომ თავი მისი მოეკუეთა 229v; რტოებითა ბაიამსათამ (=ბაიამსამთა) 289v; მაცხოვარსა სულთა ჩწნსასა (უნდა: ჩუენთასა) 238v, ჯუარსა ქრისტემსასა (უნდა: ქრისტემსსა) ჩუენსა 249; დიდებად შწნთა (უნდა: შენდა) 77v, მინდა... სინანულოთ სათნო-ყოფად შწნთამ (უნდა: შენდა) 103...

გამოცემაში ყველა შეცდომა გასწორებულია. მცდარი ადგილები შენიშვნებშია ჩამოტანილი.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ზოგიერთი სიტყვის ძირი და მისგან ნაწარმოებო ფორმები დედანში გვხვდება ორგვარი დაწერილობით: უქარაგმოდ ან ქარაგმოდ. მაგრამ ისე, რომ მათი წაკითხვა ეჭვს არ იწვევს (ხრწნილებამ 144v, მკრწნილებამ 245...; არა 114v...|არამ 94v...; მოიხვნა 74...|მოიხნა 25v...; მკქსა 306v...|მკქსა 17v...; მოკდავი 170v...|მოკდავნი 191v და მისთ.). გამოცემაში დატოვებულია ორივე, ამასთან ძველი ქართულისათვის უჩვეულო დაწერილობას სქოლიოში მითითებული აქვს: ასეა.

მინაწერები

ჩვენ ძეგლი ყურადღებას იქცევს აგრეთვე თავისი მინაწერებით. შინაარსით ისინი ორგვარია, სახისაა:

1. რამდენიმე მინაწერი გვაუწყებს გადაწყვერის მიერ დაშვებულ შეცდომებს. მაგალითად, 55 გვერდზე, მარჯვენა აშიაზე, ათ სტრიქონად მიწერილია: შემინდვეთ: შევსცეთ და ესეთ დავწერე. ვითა ჯამს, ეგრე თქუთ. მე-9 გვერდზე კვითხულობთ: აღიდებდითსა ზემო დამირჩეს და ქვემო დავწერენ, დედაჲ ალ-ქატი იყო.

2. მეორე წყება მინაწერებისა ეკლესიაში საგალობელთა გარკვეული თანამიმდევრობით შესასრულებელი ერთგვარი სახელმძღვანელო მითითებებია. მაგალითად, ხელნაწერის 59v გვერდზე, ზემოდან ქვემოთ, მარცხენა აშიაზე, სინგურით მიწერილია: სხნი თუნდეს (ა)ქა სთქნე, თო გინდეს, აქ(ბ)დთსა; 4v გვერდზე, მარცხენა აშიაზე, ცხრა სტრიქონად შენიშნულია: გალობათა თევდორობასა* ჰპოენე. ამ რიგის მინაწერებია აგრეთვე: ოდეს ცისკრისა ჟამი აღასრულონ, აღვიდენ საკურთხეველად და ამას იტყოდინ 172v; ფერჯთა ბანასა თქუან: წარდგომაჲ, ჯმაჲ ა გუერდი: 153; თუ კულა წიგნსა არა იკითხვიდე, ფსალმუნი „ვითარცა საკუმეველი“ სთქუა ოთხშაბათსა, პარასკევსა: 90v; იანვარსა ვ განცხადებაჲ მწუხრისა ჟამსა თქუან: 20; სხუაჲ ყოველი მოწამეთაჲ სთქუა. თევდორობასა ჰპოო 269; წყლის კურთხევაჲდა გავიდოდიან. ამას იტყოდინ 23v; ოდეს ცისკრისაჲ ყოველი აღასრულო და სახარების კითხვად გახუიდოდი, ამას იტყოდი 158... და ჟამის წირვასა ყოველი მღდელთ მოძღუართა ამსახურო. თუ გინდეს, ბერძენნი კლა ყოველსა ლაზარეჲსსა იტყუიან...

ისეთი მინაწერები, როგორცაა — ალჲ, ჯჲ გ შევეყუარე... თთუესა იდ ნოემბერსა. მთავარანგელოზთაჲ... თთუესა ნოემბერსა გ. წმიდისა გეორგისი — ჩვენ ძირითად ტექსტში შევიტანეთ.

* სწერია დ ე გ ლ ო რ ბ ა ს ა .

ჭილ-ეტრატის იაღბრის ორთოგრაფია და ფონეტიკა

ორთოგრაფია

ძველი ქართული ენის ამა თუ იმ ხელნაწერის ორთოგრაფიულ და ენობრივ თავისებურებათა დადგენა გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. იგი მოითხოვს ყველა სხვა ძეგლის (გამოცემულისა თუ ხელნაწერის) გათვალისწინებას და დაკვირვებით შესწავლას, იმის ზუსტად ცოდნას, თუ რა ორთოგრაფიული და გრამატიკული ნორმა დამახასიათებელი ენის განვითარების ამა თუ იმ პერიოდში, როგორ იცვლება და როდის გამოდის იგი ხმარებიდან, რა ურთიერთობაშია სალიტერატურო ენა ცოცხალ სასაუბრო მეტყველებასთან, კილოებთან, სად არის ესა თუ ის ძეგლი შექმნილი, როგორია რომელიმე სხვა ენის გავლენა და ა. შ.

ჩვენ შევეცადეთ პირველ რიგში ყურადღება გავკვამხვილებინა ჩვენი ძეგლისათვის დამახასიათებელ თავისებურებებზე, მაგრამ ამასთან ერთად საჭიროდ დავინახეთ ვრცლად წარმოგვედგინა აგრეთვე ისეთი ორთოგრაფიული და ფონეტიკური მოვლენები, რომელთა აღნუსხვასა და აღწერას, ფიქრობთ, გარკვეული მნიშვნელობა აქვს საერთოდ ქართული ენის ისტორიისათვის.

მიმოხილვა დაწერილია 1941 წ. დაბეჭდვის წინ ავტორს მოუხდა მისი გადახედვა და ახლად მოპოვებული ზოგი მასალით შეესება.

ორთოგრაფიულად ჭილ-ეტრატის იაღგარი საქმაოდ ჭრელ სურათს წარმოგვიდგენს. გვხვდება ნაირ-ნაირი დაწერილობა, რაც, საერთოდ, დამახასიათებელია ძველი ქართული ენის ისტორიის იმ პერიოდისათვის, რომელსაც ჩვენი ძეგლი ეკუთვნის. მაგრამ ამ საერთო ფონზე მასში გამოიყოფა ზოგი რამ ისეთიც, რომელიც საყურადღებო და საინტერესო ჩანს ძეგლის თავისებურებათა თვალსაზრისით.

ძველ ქართულში ხმარებული ხუთი ნიშანი **ჟ** **ჯ** **ი** **ყ** **რ**, რომლებიც ქვემოთ ყველგან მხედრული **ჭ** **ძ** **წ** **ჭ** ასოებითაა გადმოცემული შესაბამისად, გამოყენების მხრივ ასეთ ვითარებას გვიჩვენებს.

ჰ-ს ხმარებისათვის

ჩვენს ძეგლში, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, ყველაზე მტკიცედ ჰარია დაცული. აი, რამდენიმე მაგალითი მისი ხმარებისა:

ჟორცი 244v, მკევალი 262, ჯელმწიფეხა 256v, მკედრობა 270, მგდომი 249v, ჯსენებამან 249v, საჯუმოლსა 253v, საფრჯესა 266v, ჯელოვნების 261, ვენაჯისაგან 239v, ჯმითა 241v, მკნედ 266v, მკსნელო 244, ჯელთა 245v, მუჯლო მოღრეკით 278v, ჯშულთა 290v, გარ-

დამოქდა 242, შთაპქედ 272, დაქსნდა 243, განჯორციელდა 248 და სხვ.

გამონაკლისის სახით მხოლოდ ერთი სიტყვაა, რომელიც კართაც არის დაწერილი და ხაწითაც. ესაა კ რ წ ნ ა. ამ ფუძის შემცველი სახელები და ზმნის ფორმები ჩვეულებრივ ხანით არის წარმოდგენილი; მაგ.:

უხრწნელი გუერდი 246v, უხრწნელი დედაი 212, უხრწნელი თავი 24; 32, უხრწნელსა თავსა 22; 229v, ყოვლად უხრწნელო 216v, სამოსელი უხრწნელბისა 28v; 109v. უხრწნელბად 26; 177; ხრწნილბაჲ 144v, ხრწნილბისაგან 242. გახრწნისაგან 50, განმხრწნელი 111v... განიხრწნების 22 და სხვ.

მაგრამ ოთხ შემთხვევაში დაწერილია კარი:

დაამტკიე ეკლესიაჲ შენი... უკრწნელად 238v: მაშინ განქარდა კრწნილბაჲ 245; მძლე ექმნა ლუაწლსა და წინა-აღმდგომთა ბრიოლისათა და მკრწნელ საცთურსა კერპთასა 286; განკრწნილმან... ისმინა 287v.

რაც შეეხება გულისხმის-ყოფას, რომლის დაწერილობაში თავიდანვე მერყეობა შეიმჩნევა⁸, ჩვენს ძეგლში იგი სულ ოთხჯერ გვხვდება და ყველა შემთხვევაში ნახმარია ხანი:

გულისხმა-მიყავ მე 181; გულისხმა-ყო მოხუცებულმან 64v: გულისხმის-მყოფელი მადლისაჲ 17v; უფროჲს გულისხმა-სა 278.

დ-ს ხმარებისათვის

ორთოგრაფიული ტრადიციის შესაბამისად, **დ** ჩვენს ძეგლში იხმარება **ა**, **ე**, **ო**, **უ** ხმოვნების შემდეგ და მათთან შეერთებით ქმნის დამავალ (**აჲ**, **ეჲ**, **ოჲ**, **უჲ**) დიფთონგებს. იგი ჩვეულებრივ მიღებულია ფორმანტიკული **ი** ხმოვნის დასუსტების შედეგად და გვხვდება:

1. ფუძებოლხმოვნისანი საზოგადო სახელების სახელობითში ბრუნვის ნიშნად. მაგალითები:

აჲ: დედაი 182v, ბუნებაჲ 21v, ქუეყანაჲ 165, მონაჲ 43v, კჲაი 46, ცხორებაჲ 58v, კადნიერებაჲ 10, სარწმუნოებაჲ 3. ერთარსებაჲ 14v, ძრიელებაჲ 39, შენდობაჲ 54, მოქალაქობაჲ 200, მოწყუ-
ელაჲ 182 და სხვ.

ეჲ: მზეი 160, მთუარეი 204, დღეი 159, ხეი 151, სავანეი 59v, საუნჯეი 260v, სამოთხეი 249v, მეზუერეი 119, სიწმიდეი 6v, მოსაყდრეი 43, სივრცეი 117, სიმრავლეი: იქვე, სიგლახაყეი 61, მარჯუენეი 51v და სხვ.

ოჲ: ეზოი 161, წყაროი 34, ოქროი 39v, საუკუნოი 41. დაუ-
საბამოი 50v. საიდუმლოი 52. უმანკოი 160v და სხვ.

2. ფუძე-უკვეცელ საზოგადო სახელთა მხოლობითი რიცხვის ნათესაობითსა და მოქმედებითში ამ ბრუნვათა ნიშნების შემადგენელ ნაწილად:

უდაბნოჲს მოყუარებითა 56, საწუთროჲსა ამის 73. ქალ-

⁸ ს. ჭანაშია, ცხორებაჲ საბა ასურისაჲ: არილი, ტფილისი, 1925, გვ. 23; ვ. თოფუ-
რია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართულურ ენისში, 111. ქ და ხ სიბილანტ ადრ. კატბთან
მეზობლობაში: საქართველოს არქივი, II, ტფილისი, 1927, გვ. 185.

წულსაგან უბიწოა 46, უჩინოა მტერისა 57v, ურჩულოა მტერისა 105v, საუკუნოა ბნელისაგან 147v... სამეფოთა ღირსებითა 75; საშოთგანვე დედისათ იწოდე 230v, სამწყსოთა მით 283, უბიწოთა 53v და სხვ.

3. ორმაგი ბრუნების ფორმებში:

სიერცეა ცისა და სიმრავლეა თესლებისა 117, ცისკარი განთიადისა 201, კმა დაღადებისა 201v, გუირგუინი ძლევებისა 203v, მარჯუენეა მამისა 51v, წყაროა ცხორებისა 44, ყუედრება იგი დედათა 22, მოტევაბა ცოდვათა 203v, სიმრავლეა ანგელოზთა 47... სულისა მის წმიდისა ქალწულისა 222v ... ფართა სარწმუნოებისა 53v, მეოხებითა ღმრთისმშობლისა 236, კილით ქუეყანისა 217v, აღმოსავალითგან მზისა 231 ... კელთაგან ურჩულოთა 229v, მეოხებითა მოციქულთა 203...

გვხვდება ძველი ქართულისებური ნორმების დარღვევის ასეთი შემთხვევები:

ა ზედმეტია და, ცხადია, არ იკითხება ამ მაგალითებში: ვითარცა მოწყალეა ხარ 284v; განაგე ძისა თანა 293; აღადგინე ლაზარე ოთხისა დღისა 126 (შდრ. ლაზარე ოთხისა დღისა 127); განთქა ურჩულო იუდა 151...

4. დატულია ა- და ე-ზე გათავებულ ადამიანთა სახელების ნათესაობაში და მათი ორმაგი ბრუნების ფორმებში:

თომას ურწმუნობა 291, პეტრეა ცრემლი 163v, მოსეა მიერ 63v, პილატესაგან 168, იოანესაგან 42v, ქრისტეს მიმართ 201v ... ცთობა იგი ევაისი 223, დაღდება იონასისი 133v, წინაწარმეტყულება ზაქარიასისი 139, სასუფევე ქრისტესისი 199v, ეროდესი 19, სტეფანესი 4, სახლსა ზაქარიასისა 200v, ძისაგან იესესისა 235, ჯორჯნი ლაზარესნი 127v, პეტრესნი იგი ცრემლი 157, ცრემლითა მით პეტრესითა 150, აღდგინებითა ლაზარესითა 127...

ამ კონტექსტში დასტურდება აა და ეა დიფთონგების გამარტივების ორივე შემთხვევა:

[თთუესა] კვთეკლასი 224v (მიწერილია ფურცლის მარჯვენა აშიახზე): შური აილო წმიდისა მოციქულისა პავლესი 38.

ა გვხვდება აგრეთვე:

5. ზედსართავ სახელთა უფროობითი ხარისხის ფორმებში:

უწინარეს მოესწავების 179v; უძრელესი ჩემსა 49v, უსაშინლეს არს ყოველთა დაბადებულთა 301; უპირატეს თხოვისა ჩუენისა 124, უბრწყინვალეს მზის თულისა 135, 186v, 219v, უმაღლეს გამობრწყინდა 120, 296v; როგორი უფროა ქერობინთა გამოსჩნდი 219v...

ამ უკანასკნელში ერთგან ოა დიფთონგი გამარტივებულია (უფროსად 7v), უეხთაესში კი ა სულ არ გვხვდება: 39v, 179, 180, 196, 247, 286, 310.

6; მოქმედებითი ბრუნვის ფორმიდან მომდინარე ზმნიზებლებში:

ესრეთ იტყოდა 161; ესრეთ მიითვალე 161; ესრეთ ვლალადებლეთ 75v... ეგრეთვე შეხუდ ბჭეთა 180v; ეგრეთვე... შემოკრებულ არიან 244v...

ა ყოველთვის გვაქვს ზმნიზებლებში **წინათვე**, **წინაწარ**; წინათვე იხილა 176; წინათვე ეუწყა 66v, წინათვე კრთებოდა 225... წინაწარ განვიწმიდნეთ 75.

წინაწარმეტყველ-ში კი არ დასტურდება, თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს სიტყვა ჩვეულებრივ დაქარაგმებულია: წწყსგ 133v, წწარმეტყლთა 135v. ერთგან ა-ს შეიცავს ზმნიზელა **რაჟამს** (ქარაგმით რაჟმს):

რაჟამს განმზადენ ცანი 220v. ყველა სხვა შემთხვევაში იგარჟმს დაწერილობით გვხვდება: რჟმს წარიყვანა 221, რჟმს მოვიდეს 222v...

პარალელურ ფორმებს გვიჩვენებს აგრეთვე **რაჰსა** და **რაჰსა**: რაჰსა მიბრძანებ მე 37v; რაჰსა სდევნი შენ იოანეს 225v; **მაგრამ**: რაჰსა სდევნი შენ 225...

7. **ა** სისტემებრ წარმოდგენილია **შენ** ზმნის ძირში:

ალაშენ 238, 280, ალაშენთ 60, აღეშენა 240, არა აუშენა 225v. უშენა 239, იშენა 151v. მხოლოდ ერთ შემთხვევაში გვხვდება **ეა**-ს ნაცვლად **შ**: აღსაშენებლად 288v.

8. მეორე ზმნის ფუძე, რომელშიც **ა** იხმარება, არის **ცემან**:

აღმოაცენა 298, აღმოუცენა 171, აღმოუცენე 169, აღმოგუიკენე 303v, აღმოგუიკენდა 233v, 264v, 254v, აღმოსცენდი 233, 235, აღმოგუიკენა 232v, აღმოაცენებ 184, აღმოცენებულმან 234.

მაგრამ არის **ე**-თიც: აღმოსცენდი 234v, აღმოაცენა 63v, აღმოუცენებს 260v...

არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვავარაუდოთ, რომ ამ ზმნათა ფუძეებში (კერძოდ **ცეან**-ში) **ა**, საერთოდ, ძვ. ქართულში იკითხებოდა.

სხვა ძეგლების მიხედვით, ამ ზმნათა ფუძეებში ჩვეულებრივ გვაქვს არა **ეა**, არამედ მისი გრაფიკული ეკვივალენტი **შ**. ამ მხრივ საყურადღებოა სინას მთის ზოგიერთი ხელნაწერი, რომლის მხოლოდ ნაწყვეტებია წარმოდგენილი „სინას მონასტრის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში“¹⁰. აი, ზოგიერთი მათგანი: აღმოაცენა (გვ. 130), აღმოაცენებს (გვ. 52), აღმოცენებადი (გვ. 2) და სხვ.

9. **ა** ნახმარია ფუძისეული **ი**-ს ნაცვლად ორ სიტყვაში ხმოვნის შეძღვევ. ერთ სიტყვაში კი თანხმოვნის შეძღვევაც. ესენია **ბაია**, **კაიაფა** და **ეკლესია**: რტობითა ბაიაჰსათა 131v (შდრ. ბაიაჰ 138, ბაიათა 135)... კაიაფაჰს მღდლისაგან 155v (შდრ. კაიაფას აქუნდა: 156v)... იხარებს წმიდა ეკლესია 216; გამოასხა ეკლესიაჰ 50v (შდრ. ეკლესია 13).

აღსანიშნავია, რომ ასეთი შემთხვევები სხვა ძეგლებშიც არის დადასტურებული; მაგ.: ბაიაჰსასა (წარტყ. იერუს. კვ. 17). ბაიობისასა (ОПИС. 237)...

¹⁰ Н. Я. Марр, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, Москва-Ленинград, 1910.

ფუძისეული **ი** ხმოვანი **ა**-დ არის ქცეული **სა**- თავსართისა და **შო**- ზმნის-წინის შემდეგ: **ს ა ა დ უ მ ლ ო თ ა** ღმრთისათა 144V (შდრ. საიდუმლოსა 143)... **მ ო ა გ ე** განშორებამა 155V (შდრ. **მ ო ი გ ე** პატივი 58V).

გარდა დასახელებული მაგალითებისა, ძველი ქართული ენის სხვა ძველებში **ა** გვხვდება აგრეთვე ხმოვანზე დაბოლოებული **და**-, **შე**- და **წა**- ზმნისწინების შემდეგ. მაგალითები: საიდუმლო**ა** (საბა ასურ. 14,7; ყამის-წირ. XXIV; რავახ. 76; Опис. 131); საიდუმლო**დ** (Опис. 238), საიდუმლო**ბ**თა (იქვე. 147)... **მ ო ა გ ე** (პაგ. მას. 108)... **და**ფარა (იქვე, 108), **შე**აწყნარა (Опис. 120), **შე**ამბიწებოდა (იქვე, 195), **წა**აკითხნეს (იქვე, 299).

ადიშის ოთხთავში ერთგან დაცულია ასეთი ფორმაც: **ა**ღეთ მთ. 11, 29 (ზმნისწინისეული **ღ** თანხმოვნის დაკარგვის შემდეგ მივიღეთ **აი** კომპლექსი, რასაც შემდეგ მოჰყვა **ი**-ს დასუსტება). საპაკდუხტის წარწერაში, რომელიც V—VI საუკ. განეკუთვნება, იკითხება: საპაკდუხტ და **ა** ც ე ვ ყოვლისაგან ბოროტისა (ძვ. ქართ. ქრესტ. 2)¹¹.

ნ. მარის აზრით, ძვ. ქართულში ეს მოვლენა შეიძლება მიგველო ხმოვანზე გათავებული სახელების სახელობითი ბრუნვის ანალოგიით (**აი** > **აე**, **ეი** > **ეა**)¹², მაგრამ უფრო სწორი იქნებოდა ამ შემთხვევაში დიფთონგის წარმოქმნა აგვეხსნა ზმნისწინისეული ხმოვნის მახვილით, როგორც ეს ფერეიდნულის მიმართ არის ნაგარაუდვეი: **ა**ღეთ, **მ**ო**ა**გე, **შე**აწყნარე და სხვ.¹³

ი) **ა**-ს არაწესიერად ხმარება ყველაზე მეტად **არა** უარყოფით ნაწილაკზე მოდის. ქვემოთ დამოწმებულ ყველა მაგალითში მოსალოდნელი იყო **არა**, ფაქტობრივად კი გვაქვს **არაა**:

ა რ ა მ შეძრწუნდეს 82, 83V; **ა** რ ა მ შეშინდა 40V; **ა** რ ა მ მიქმს მე თქუნებან ქრთამი 39V; **ა** რ ა მ ჰრიდეთ მვეცთა 9; **ა** რ ა მ გარე მი იქცევ პირსა 94V; **ა** რ ა მ დააკლდი წიალთაგან 27V; მამისაგან **ა** რ ა მ განეშორე 48V; რომელსა **ა** რ ა მ გნებავს სიკუდილი 306V; ვნებასაცა შენსა **ა** რ ა მ შეორგულდენ 295; **ა** რ ა მ დაგიტევენ თქუნენ ობლად 232; რამეთუ **ა** რ ა მ დააკლდი წიალთაგან მამისათა 291V; **ა** რ ა მ აუშენა ბომონი, არცა დაუკლნა საკურთხნი 225V; რამეთუ **ა** რ ა მ სამარიტელ ხარ 113; რომელსა **ა** რ ა მ მაქუს მოქცევა 95; ვინ **ა** რ ა მ განკუირდეს, რომელნი გხედვენ 88; ვარსკულავნი **ა** რ ა მ ბრწყინვენ 20; **ა** რ ა მ თუ შობითაგან... იქმნა ცხორება 192V; **ა** რ ა მ თუ სიწმიდე მობილო 25... **ა** რ ა მ-მცა მომკულდარიყო 125... **ა** რ ა მ ს ა დ ა მ რწმენეს 180...

ერთი შეხედვით შეგვეძლო გვეფიქრა, რომ ამ შემთხვევაში **არაა** უარყოფითი ნაწილაკი კი **არაა**, არამედ — უარყოფითი ნეცვალსახელი **არაა** (<**არა რაა**) და მაშინ, ცხადია, ყველგან **ა**-ს ხმარება გამართლებული იქნებოდა, მაგრამ დამოწმებულ მაგალითთაგან არც ერთი ამგვარი დასკვნის გამოტანის საშუალებას არ იძლევა.

¹¹ **ა**. **შ**. **ა**. **ძ**. **ე**, ძველი ქართული ქრესტომითი ლექსიკონითურთ, ტ. I, ტფ.:ლისი, 1935.

¹² **Н. М а р.** Агиографические материалы по грузинским рукописям Ипера, ЗВО, ტ. XIII, გვ. 108.

¹³ **არა**. **ჩ** **ი** **კ** **ბ** **გ** **ე**, ფერეიდნულის მთავარა თავისებურებანი, ტფლისის უნივერსიტეტის **ბ.** **ა** **ბ** **ე**, VII, ტფლისი, 1927, გვ. 209.

მერყეობას მიეწერება ისეთი შემთხვევები, როცა ერთსა და იმავე კონტექსტში ეს ნაწილაკი წარმოდგენილია **მ**-თი და მის გარეშეც. ზოგჯერ კი, როცა წინადადებაში უარყოფითი ნაწილაკი ორჯერ არის ნახმარი, ერთი დაირთავს **მ**-ს, მეორე კი არა; მაგ.:

ა რ ა მ უარყუო სამებაა წმიდაა 38v, მაგრამ: ა რ ა უარყო სამებაა წმიდაა 38r... ა რ ა რწმენა, რამეთუ ბუნებაა მოუძრულებული ა რ ა მ განკურნის 263... ერთგვარი წესია გატარებული მხოლოდ ასეთ შემთხვევებში:

ა) ა ჩვეულებრივ არ გვხვდება არავინ ნაცვალსახელში: ა რ ა ვინ არს მწე ერისა შენისა 121 (შდრ. სხვა ძეგლებიდან: რამეთუ არა მ ვინ არს წმიდაა: სას. პოეზ. იზ 52; ა რ ა მ ვინ არს წ მ შნა გარეშე: Опис. 146).

ბ) **მ** არც მაშინ იხმარება, თუ კი უარყ. ნაწილაკს უშუალოდ მოსდევს ან არს მეშველი ზმნა, ან კიდევ საწყისი: ურჩულობება ჩემი... ა რ ა არს კოოცითა 114v... ნაყოფისა არა ხილვა მ 301v; ა რ ა რ ი დ ე ბ ა დ კოოცითა 13v; ა რ ა ხ ი ღ ვ ა დ სიკუდილი 66v და სხვ.

უარყოფითი ნაწილაკი არაა ფორმით გვხვდება IX—X და მომდევნო საუკუნის სხვა ძეგლებშიც¹⁴. საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითს დავიმოწმებთ:

ა რ ა მ უდაბნოსა ქადაგებენ სახარებასა, არამედ ზეცისასა აქებენ გალობასა: Опис. 4; ა რ ა მ უმრწემეს ხარ მთავართა: სას. პოეზ. ოვ 8—9; ა რ ა მ დაინთქენით მას შინა: იქვე, ებ 35—36; რაჟამს მცნებანი მისნი ა რ ა მ დავიმარხენით: წარტყ. იერუს. კვ 4—5. ა რ ა მ მოაკლდეს მთავრობა შვილთა შენთა: ხანწთ. ია 41—42: ა რ ა მ შესძრწუნდი, ნეტარო: ურპ. 345,3; შდრ. აგრეთვე: ა რ ა მ რ ა მ: რაჯახ. 76.

დასაშვებია, რომ ეს გარემოება გამოწვეული იყოს ანალოგიით ან ა-ზე დასრულებული არსებითი სახელების სახელობითი ბრუნვისა, ან კიდევ თვით უარყოფითი ნაცვალსახელისა, რომელიც ძველ ქართულში არარაამ-სა და იმ-ვიათად კი არაამ-ს (<არა რამ) სახით იყო წარმოდგენილი. მაგრამ უფრო საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში **მ** იწერებოდა, მაგრამ არ იკითხებოდა. ამაჲ ქვემოთ განხილული სხვა ანალოგიური ფაქტებიც ადასტურებს.

ცნობილია, რომ ძვ. ქართულში ადამიანის სახელები სახელობითში, კოო-ხრობითსა და წოდებითში ბრუნვის ნიშანს არ მიიღებენ¹⁵. ჩვენს ძეგლში ამ ნორმიდან გადახვევასთან გვაქვს საქმე, როცა საყუთარი სახელები აბო, მართა და ევა დასახელებულ ბრუნვებში **მ**-ს დაირთავენ; მაგალითები:

სახელობითში: მოწყუიდე ს ა ბ ო მ მახუილითა 39v; ხოლო ა ბ ო მ ღალადება და ეტყოდა 39v; დღეს ღალადება ა ბ ო მ შორის სიმრავლესა წაო-მართასა 39; დღეს სარწმუნოებასა მართამ დაამტკიცებს 125v; ე ვ ა მ დაცემისაგან აღადგინე 213; იხილნა რამ მარიამ და მართამ 125...

მოთხრობითში: ტანჯვასა დაუთმო ისმაიტელთასა წმიდამან ა ბ ო მ 40; შეიძოსა სამოსელი ღირსთა მამათამ საყუარელმან ქრისტესამან ა ბ ო მ 40v;

¹⁴ ვ. თოფურია, ორმაგ უარყოფა ქართულში. წელიწადული, I—II. ტფილისი 1923—1924, გვ. 83, შწმ.

¹⁵ ა. შანიძე, ძველი ქართული ენა, წიგნიდან: ა. შ ა ნ ი ძ ე. აღ. ბარამიძე. ილ. ბუღაძე, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, ტფილისი, 1937, გვ. 259.

მიუვო წმიდამან მოწამემან უფლისამან ა ბ ო ა 39 (შდრ. ჰრქუა მას მ ა რ-
თ ა ა: აღიში, ი. 11,24).

წოდებითში: იხილა და რქუა მას: გიხაროდენ, ა ბ ო ა, რომელ არაა შე-
გაწუხა მახტილმან 40; მაშინ უბრძანა მძლავრმან მან მოწოდებაა წმიდისა
აბოისი და ეტყოდა მას: უკუეთუ ესე ესრეთ არს, ა ბ ო ა, რასა-ესე შეგწამე-
ბენ შენ 39...

უფრო თავისებური ჩანს ისეთი შემთხვევები, როცა **ა** ნახმარია ამავე სა-
ხელების, აგრეთვე ზოგი ფუძე-უკვეციელი საზოგადო სახელის მიცემითი ბრუნ-
ვის ფორმაში.

ხოლო სიმრავლეა ავარეანთა დაღადებს და ეტყუის ა ბ ო ა ს: მო-
იქეც რჩულისა ჩუენისაებრ 39v; ვითარ წარმეკუეთოს თავი ა ბ ო-
ა ს 39; სუროდა მისღვად უფლისა თუისისა სანატრელსა მოწამესა
ქრისტესსა ა ბ ო ა ს 40; ვითარცა ეტყოდ[ე], უფალო, მ ა რ თ ა ა ს:
მე ვარ აღგომამ 128 (შდრ. მართამს ვითარცა ესმა, ი. 11,20 აღიშ.).
უ და ბ ნ ო ა ს ა [ა]უარე, მამო ანტონი 53; უ და ბ ნ ო ა ს მკუილრ
ყოფთა მოწოდებასა წარმართთასა წინა აუწყებდ 198.

ამგვარად. შეიძლება დავასკვნათ, რომ ისე როგორც არა უარყოფით ნა-
წილაკთან, ზემოთ დასახელებულ მაგალითებშიც (აბოა, აბოა, მართა, მარ-
თამს, უდაბნოა) **ა** უდაგილოდ არის ნახმარი. იგი მორფოლოგიურად უფუნ-
ქციოა, მისი ხმარება არც სხვა თვალსაზრისით არის გამართლებული და, ამდე-
ნად, იგი მხოლოდ გრაფიკულ სამკაულად შეიძლება ჩაითვალოს, როგორც
ამას ა. შანიძე ვარაუდობს.

მ-ს ხმარებისათვის

როგორც წინა პარაგრაფიდან დავინახეთ, ყველა იმ შემთხვევაში, როცა
მოსალოდნელი იყო გვექონოდა **მ**, ჩვეულებრივ მისი ფონეტიკური შესატყვი-
სა **ეა** იხმარება. ეს არის ჩვენი ძეგლის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი
ორთოგრაფიული თავისებურება, რაც შესაძლოა იმ მწიგნობრული სკოლის
ნაყოფი იყოს, საიდანაც ჩვენი ძეგლია გამოსული.

მ გვხვდება ორიოდე სახელში, ესენია ძმ, იმარუსალემი და ქრისტმ, მაგ-
რამ არც ამ სახელებშია მისი ხმარება ბოლომდე გატარებული და ხშირად **ეა**
ჩვეუთ ან **ე** ხმოვნით არის შეცვლილი. საერთო სურათი ასეთია:

1. **მ** სიტყვის ფუძეში მხოლოდ ხუთჯერ გვხვდება იმარუსალემ-ში. სიტყვა
ჩვეულებრივ შემოკლებულად არის დაწერილი და მას თავზე ქარაგმა უზის
(**მ**რმს), მაგრამ ამის მიხედვით კარგად ჩანს, რომ ყველგან **მ** თავშია ნახმა-
რი: დღეს განმხიარულდა იმარუსალემი 135v, იმარუსალემს 218, მთანი გა-
რემოის იმარუსალემისა 244v, ქალაქად იმარუსალემდ 136.

სხვა შემთხვევებში ამავე სიტყვაში ყველგან (თავშიც და ბოლოშიც) **ე**
არის ნახმარი: იერუსალემი 277v, იერუსალემს 258, 186 (ეს ფორმა სრული
ახტთა დაწერილი), იერუსალემისათვის 279v, იერუსალემისათა 187, იერუ-
სალემისანო 257...

როგორც ცნობილია, ამ სიტყვაში, რომელიც უცხო წარმომავლობისაა, **მ**
მოსალოდნელი იყო გვექონოდა ბოლო მარცვალში (შდრ. ბერძნ. Ἰερουσαλήμ,
სომხ. *Երուսաղեմ*).

რაც შეეხება მეორე ამ რიგის სიტყვას **ისრაელ-ს**, მასში ყველგან ე იკითხება: ისრაელი 139, ისრაელისასა 74v, 248...

ძვ. ქართული ენის ძეგლები ამ მხრივ, საერთოდ, ჭრელ სურათს გვიჩვენებენ: იერუსალემ-ში **მ** ხან/პირველ მარცვალში იწერება, ხან კი — ბოლო მარცვალში, ზოგჯერ კი მის ადგილს ე იჭერს. ასეთა გრაფიკული რყევა, ცხადია, **მ** ნიშნის თავდაპირველი მნიშვნელობის დაჩრდილვის შედეგი უნდა იყოს.

2. მეორე სიტყვა, რომელშიც **მ** იხმარება, არის ძმ, მაგრამ აქაც გრაფიკული შენაცვლება იჩენს თავს: ხან **მ** იწერება, ხან კი — მისი ფონეტიკური შესატყვისი ეა. საგულისხმოა, რომ ეს სიტყვა, როდესაც **მ** ნიშნითაა წარმოდგენილი, ყოველთვის (გარდა სამი შემთხვევისა) დაქარაგმებულია: ძმ 21, 29v, 35, 36v, 42, 47, 65v; 74, 77, 140v, 167v, 186v, 190v, 197, 207, 210, 223, 237, 272v, 285, 290, 293 და სხვ. (შდრ. ძე ე ჩემი 209, 210v, 45, ძე ე მამისა 294v).

შეიძლება დავუშვათ, რომ ამ შემთხვევაში ქარაგმის უნებურად ხმარებასთან გვაქვს საქმე, მაგრამ გაუგებარია, რატომ მოუხდა გადამწერს ამ სიტყვაში ასე სისტემურ ქარაგმის უადგილოდ ხმარება! ვფიქრობთ, გამოსარიცხი არ არის, რომ ქარაგმის ქვეშ იგულისხმებოდეს ე ხმოვანი. თუ ასეა, მაშინ ეს მსგავსი მოვლენა იქნებოდა იმისა, რასაც სხვა ძეგლებში ვხვდებით, როცა **მ** ნიშანი ძ-ს ნაცვლად არის ნახმარი; მაგ.: ძემ: ლ. 11,11 აღიშ.. მეფეთა: იქვე. ლ. 10,24, მესამემ, მოსემსი, საფასემ, ქრისტემ, ძემ: ჟამის წირ. XXIV; მეუფემ: Опис. 31; ბერსაბემსა: იქვე, 31, უესსათემს: იქვე, 14, სიმტიცემ, ებისტოლემ, მეშუდემ¹⁶.

3. ეა ჭგუფთან ერთად **მ** იხმარება ქრისტმს-შიც: ქრისტმ 54v. ქრისტმს მიმართ 56, 56v, 59, ქრისტმსნი 15v, ქრისტმსთა 10v, ქრისტმსისა 53. ქრისტმს მსახურო 4v, ქრისტმს ნათლის ღებისასა 28: შდრ. ქრისტეა 56v, ქრისტეა 12, ქრისტეა 43, ქრისტეა 45v და სხვ.

4. გადამწერს ერთგან, თუ შეიძლება ასე ითქვას, გაპარვია **მ** მცნ ფუძეში: აღსაშენებელად და ცხოვრებად 288v. სხვა შემთხვევებში ყველგან ამავე ფუძეში ნახმარია შესაბამისი ბგერათკომპლექსი ეა.

5. **მ** ნიშნით გადმოცემულია 8 რიცხვი: მე-მ დღესა: 259v.

ჩვენი ძეგლის ნიშანდობლივი თავისებურება — **მ** გრაფემის ნაცვლად ეა დიფთონგის ხმარება — ხომ არ შეიძლება მოგვიანო დროის ორთოგრაფიულ მოვლენად მივიჩნიოთ? სინას მონასტრის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში ერთგან ნ. მარს აღნიშნული აქვს, რომ № 66 (II 37) ხელნაწერი არ შეიძლება მიეკუთვნოს X საუკუნეზე ადრინდელ პერიოდს ორთოგრაფიული თავისებურების გამო, რაც, მისი აზრით, იმაში გამოიხატება, რომ მტკიცედ არ არის დაცული **მ**. ბრუნებისას და სიტყვის ფუძეშიც ხშირად ფონეტიკური ტრანსკრიფციით — ეა ჭგუფით ან ე ხმოვნით — არის გადმოცემული¹⁷. ეს აზრია ვატა-

¹⁶ სამი უკანასკნელი მიაკლით დამოწმებულია H. Schuchardt-ის შრომიდან Mittheilungen aus georgischen Handschriften, ტფლისის უნივერსიტეტის მოამბე, VIII, ტფილისი, 1928, გვ. 276.

¹⁷ Н. М а р р, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, Москва-Ленинград, 1940, გვ. 153.

რებული აგრეთვე ამავე ავტორის „ძველი ქართული სალიტერატურო ენის გრამატიკაში“¹⁸, ოღონდ აქ სათანადო მოვლენა დამახასიათებლად არის მიჩნეული უფრო გვიანდელი ძეგლებისათვის. მართალია, ჩვენი ხელნაწერი X—XI საუკუნეზე აღრინდელი არა ჩანს, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ამ ორი ორთოგრაფიული მონაცემის (მ ნიშნისა და მისი ფონეტიკური შესატყვისის ემ-ს) ასე მკვეთრად დაპირისპირება და მათი ერთმანეთისაგან ამგვარი დაცილება მთლად სწორი არ უნდა იყოს, რადგანაც ძვ. ქართულში ისინი პარალელურად გვხვდება X საუკუნეზე გაცილებით ადრე. როგორც ცნობილია, ემ ჭგუფი უცხო არაა ხანმეტ-ჰამეტი ძეგლებისთვისაც; მაგ.: ნოემსნი: ხანმეტი ტექსტ. 87r, 3; პავლუე: ხანმეტი მრავალთ. 19a, 22; ფილიპემ: ჰამეტი ტექსტ. 10r, 7.

3-ს ხმარებისათვის

3 ჩვენს ძეგლში სამ ფუნქციას ასრულებს: 1. ჩვეულებრივ იგი უ-ს მეორე შემადგენელი ნაწილია (ოვ); 2. გადმოსცემს უი დიფთონგს (შეზღუდულად) და 3. აღნიშნავს უმარცვლო უ-ს.

უი ჭგუფის გადმოსაცემად 3 ძირითადად იხმარება -თჱს თანდებულში¹⁹: ქრისტემთჱს 11, სარწმუნოებისათჱს 8, ეკლესიათათჱს 8, ჩუენთათჱს 20v; 18v; 10, ამისთვისცა 32v, რომლისათჱს 19v; 21v, რომლისათჱსცა 21v; 64v (ნათეთ ქვემოთ ამავე მნიშვნელობით უი ჭგუფი).

იგი სულ რამდენჯერმე გვხვდება სიტყვის ფუძეში და პირველი ობიექტური პირის მრავლობითში: ჩჩჱლად 72, დაიმკვდრა 118, თჱსთა 48, თჱსასა 51v... გამოგვჩნდა 35.

გადაპირთ რისამე თქმა ძნელია ამგვარი მაგალითების შესახებ: სკჱრელი 180, ეტჱჱჱს 37v, ვთჱჱ 89; 90, ქჱშე 20v. ყველა ამ სიტყვის ქარაგმა უზის და ნათელი არ არის 3 ოვი ჭგუფს გადმოსცემს, თუ ოჱ-ს შემადგენელი ელემენტია.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ 3 ნიშნის ხმარება უი ჭგუფის აღსანიშნავად ჩვენი ძეგლისათვის დამახასიათებელი არ არის. ასეთ შემთხვევაში დიფთონგის შემადგენელი ორი ბგერა სისტემებზე წარმოდგენილია შესატყვისი ოკი ნიშნებით, მაგალითები:

ს ა ხ ე ლ ბ შ ი: მშოვილობაჲ 15v, გოვირგოვინი 5, უტყოვი 263v, კოჱრარესა 119v, მლოვიძარებასა 19, მძოვინეარებისა 14v, ნესტოვისა 305, მწოჱრისა 206, მახოვილითა 39v, ჯაჱოვითა 281, სიტყოვითა 4v, მძოვინეარეო 225v, მკოვიდრნო 185, ნესტოვისა 116, თოვინიერ 113, მლოვიძარებითა 144, აირცხოვალ 173, შოვიდ შვილ 239...

ზ მ ნ ე ბ შ ი: დაუჱოვირდა 284, დაიმკოვიდრეთ 54v, განვლოვიძო 128, ჱლოვიძებდა 150, მოწყოვიდეს 39v, იტოვირთვეს 79, შეგოვიწყალენ 70v, გოჱჱჱდაგონ 69, დაგოვიცვენ 75, მოგოვიყვანეს 76, ვიტყოვით 240, შემემთხოვია 156...

¹⁸ Н. М а р р. Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленинград, 1927, стр. 6.

¹⁹ საერთოდ უ მხოლოდ ძეგლის დასაწყისში გვხვდება 90 გვერდამდე, მომდევნო ნაწილში კი, მერჯე ვაშლიანისა და გარდა, მის შვიდზე ოკი დაწერილობა გვაქვს. გამოცემაში ყველგან ეს უკანასკნელი ვიტყობებით.

-ოჯის თანდებულში: ვნებისათვის 13v, ცხორებისათვის 24v; F07, ნათესავისათვის 28, ძისათვის 30v, დღისათვის 101, რომლისათვის 12v, ამისათვის 19, ჩუენთვის 32 და სხვ.

ჩვენს ძეგლში მოსალოდნელი ოჯის- ნაცვლად იშვიათად მხოლოდ ოჯ გვხვდება: განსჯორებული 294v, დაუჯორდა 46v, დაუჯორდებოდა 192, ს-ჯორველი 24²⁰.

საყურადღებოა, რომ სწორედ ამ სიტყვაში მოსალოდნელი დიფთონგი გამარტივებული უ-ს სახითაა აგრეთვე საშუალი საუკუნეების ზოგიერთ ძეგლში, რასაც, საერთოდ, ლიტერატურულ ენაში დიალექტიზმად მიიჩნევენ. ცოცხალი კილოებიდან ეს მოვლენა შემჩნეულია შიგნი კახეთის მკვიდრთა მეტყველებაში, ქართლურსა (ლიახვის ხეობაში)²¹ და მესხურ-ჯავახურში. მართლაც, ასეთი მონაცვლეობა შეიძლება დიალექტების გავლენას მიეწეროს, მაგრამ ძე. ქართულის მიმართ ჩვენ გამორიცხულად არც გრაფიკული შესაძლებლობა მიგვაჩნია; ამ შემთხვევაში ვ ნიშანი იქნებ ორ ფუნქციას ასრულებდა: 1. მიუთითებდა, რომ იგი ოჯ-ს კომპონენტია და 2. მიგვანიშნებდა, რომ ოჯ-ს შემდეგ ი იგულისხმება, რომელიც დაწერილი არაა, მაგრამ ნავარაუდევია თვით უ-ში, როგორც ორთოგრაფიულ ნიშანში.

არსებითი ხასიათის თავისებურება ჩვენი ძეგლისა ის არის, რომ ვ ნიშანი თუ იხმარება, იგი ჩვეულებრივ უმარცვლო უ-ს გადმოსცემს. ამ ფუნქციით იგი გვხვდება როგორც სიტყვის ფუძეში, ისე მრავლობითი რიცხვის პირველი ობიექტური პირის აღმნიშვნელ პრეფიქსში; მაგალითები:

სიკვდილი 19; 40, სიკვდილისა 52v, სიკვდილ 166v, მოკვდავნი 191v, მკვდრეთით 129, უკვდავებისა 76, მომწყდარნი 135, პირუტყვთა 277, ზაკვითა 155, მზაკვარებანი 115v, მიქვმაი 67v, ლახურისა 304, შვიკვლეანებაი 104v, ვარსკვლავნი 20; 205, ვარსკვლავითა 43v, საკმეველი 40v, მოძღვრისაი 71v, მოძღვრებისა 10, სულთქმითა 306, აღთქმასა 91v, გამოუთქმელსა 179. კვლა 63. მოაკვდინეს 54; 61; 61v, მომკვდარიყო 125, იღუწილით 16v, განშიშვლდი 33; 34v, მიიხუნა 74, გაქუნდა: 16v, აქუნდა 83, მიაქუნდა 40v: 221, მაქუნ 306v, შესწვვიდა 220... მოგვმადლე 4; 13v; 62v: 76: 93v: 113v: 304v, გვრწამ შენ 127v...

აქ ჩვენ საგანგებოდ დავიმოწმეთ ასე მრავლად მაგალითები იმისათვის, რომ ნათელი ყოფილიყო შემდეგი: თითქმის ყველა დასახელებულ სიტყვაში და აგრეთვე სხვებშიც ვ ხშირად დაკარგულია თანხმოვანთა შუა პოზიციაში: მაგალითები:

მომკდარი 136v, მოკდინებთა 62, უკდავი 17. მომწყდარ იკვნეს 173v; იღწი 226, შიშლობაი 284v, განშიშლებული 284, განშიშლებაი 32, ვარსკვლავთა 296, ლელსა 142v, ბორცნი 37. ურიცხთა 94, გამოუკვლევლმან 41v, აიხნა 25v, მიაქნდა 154v, გაქს 17v; 231v: 302 და სხვ. (დაწვრილებით იხ. გვ. 251).

²⁰ მსგავსი მაგალითებია ოთხოვწი: მოკვდრი: მთ 21, 38. შოკდი: იქვე. 15. 36. შშოკდობისა: იქვე, 10, 34.

²¹ არნ. ჩი ქო ბ ა ე ა, ვინის რეფლექსები ფერეიდნულში, ჩვენი შენიღობა, № 2-3, გვ. 75.

უმარცვლო უ-ს გამოსახატავად იხმარება ჩვეულებრივი ოვ ნიშანიც. მაგ.: ქოვამ 239v, ზლოვამ 36, გოვამი 39v, თოვალნი 43, ჟოვარი 55, წინამძლოვარი 4v, კოვალად 28v, მოყოვარე 239v, მარჯოვენითა 243v, ქოვეყანა 244, ცოვარი 229, ლოვაწლი 230, სიტყოვამ 234, მეზოვარე 119, თაყოვანის იცემების 34, ილოვაწა 40, მოლოვაწეო 58, განგოვანათლენ 30, გოვაცხოვნენ 46, აღმოაყოვაიღლნა 63v... გოვემასა 84v, მსხოვერპლი 78, წარმოტყოვენა 63v, განისოვენებ 64v, გმოვენის 173v, დავმოვერი 181v, მიუძლოვანა 231, სოქოვ 235v, იშოვებს 233v...

მიუხედავად იმისა, რომ ვ და ოვ ერთნაირი დანიშნულებით იხმარება, ისინი მაინც ერთგვარ წესს მისდევენ. ზოგადი შთაბეჭდილება ისეთია, რომ ვ, როგორც უმარცვლო უ-ს გადმომცემი, ძირითადად თანხმოვნებს შორის იხმარება (ან იკარგება), ხმოვნების წინ კი ჩვეულებრივ ოვ გვხვდება. ეს ნათლად ჩანს ისეთი მაგალითებიდან, როდესაც ერთსა და იმავე სიტყვაში ვ-ც იხმარება (თანხმოვანთა შორის მოქცევისას) და ოვ-ც (ხმოვნების წინ). შდრ. განშიშვლდი 33.34v, მა გ რ ა მ: შიშოველთა 281; მიქვამა 67v, მა გ რ ა მ: მიგიქოვა 68; მოგვმადლე 304v, მა გ რ ა მ: მოგოვემადლა 246v; მოძლარისა 71v, მა გ რ ა მ: წინამძლოვარ 78v; გამოუთქვმელსა 179, მა გ რ ა მ: აღმოვთქოვათ 100v და სხვ.

ამ საერთო წესიდან გამონაკლისს შეადგენს რაჰდენიმე მაგალითი:

ა) მოსალოდნელი იყო ოვ დაწერილობა, მაგრამ გვაქვს ვ: მიგიქვა 65, ამისთვისა 46v; 5v, ჩნთვის 45, რისათვის 43v, ჩჩლად 66v.

უკანასკნელ სამ მაგალითში სიტყვა დაქარაგმებულია და შესაძლებელია, რომ ამ შემთხვევებში ვ უმარცვლო უ-ს კი არ გამოხატავდეს, არამედ იგი აქ წარმოდგენილი იყოს როგორც ოვ-ს მეორე კომპონენტი.

ბ) სულ ორიოდ შემთხვევაა, რომელშიც მოსალოდნელი ვ-ს მაგიერ თანხმოვნებს შორის ოვ გვხვდება: ზატისა სოქოვნი 47v (შდრ. ზემო სოქნი 118v): განგოვწმიდენ 29v.

უმარცვლო უ-ს გადმოსაცემად ვ-ს ხმარება სხვა ძეგლებსაც ახასიათებს (მორათვეს: მთ. 2,11 აღნიშ.; მოყვასთა: მთ. 18,31 იქვე: ქვეყანად: Опис. 41,20; შეუხვა: იქვე, 41,24; ზოვამ: სვეს. ელ. და მელ. 296), მაგრამ ასე ხშირად და თანაც ერთგვარი წესის დაცვით ეს მოვლენა სხვაგან არ შეინიშნება.

რით უნდა აიხსნას, რომ უმარცვლო უ-ს გამოსახატავად ოვ-სთან ერთად ხშირად ვ-ც გვხვდება? „რაზედ შეიძლებოდა ყოფილიყო დამყარებული წესი ვჟე-ასოთი ჭ-ბრჯგუს აღნიშვნისა? ხომ არ გვაფიქრებინებს ეს, რომ რომელიღესამე კილოში ვჟეთი და ჭ-ბრჯგუთი გადმოცემული ბგერები იმდენად ემსგავსებოდნენ ერთიერთს, რომ შეუძლებელი არ იყო ამ ბგერათა ნიშნების შენაცვლება (და ამ ნიადაგზე ჩაეყარა საყოველიო ჭ-ბრჯგუს ვჟე-ასოთი აღნიშვნას), — ხოლო სხვა კილოში, რომელიც აგრეთვე იღებდა მონაწილეობას სამწერლო ენის შემუშავებაში, ამ ორი ასოთი აღნიშნული ბგერები საკმარის განსხვავებული იყვნენ იმისათვის, რომ ერთმანეთში მათი შენაცვლება შეუძლებელი გამხდარიყო?!“²².

ამგვარი შესაძლებლობა დასაშვებია, მაგრამ უფრო მეტად მოსალოდნელია

²² არს. ჩ. ქ. ბ. ა. ვ. ე. კინის რეფლექსები ღეროდნულში, ჩვენი მეცნერება, № 2—3, ტფ. კოსი. 1923, გვ. 75.

ეს მოვლენა დაწერილობის რომელიდაც ტრადიციისათვის ან ორთოგრაფიული რყევისათვის მიგვეწერა: „მწერალი იღვა ერთი ორთოგრაფიული „შკოლის“ ნიადაგზე, მაგრამ მეორის გავლენასაც განიცდიდა! ამის დაშვება გულისხმობს იმის აღიარებასაც, რომ არსებობდა ისეთი შკოლა, რომელიც უძე-ასოს უ-ბრჭგუს აღსანიშნავად ხმარობდა. პროფ. ა. შანიძის მიერ სვანეთში ნაპოვნი ერთი ძეგლის დაწერილობა ასეთ შესაძლებლობას უჭერს მხარს. იქ უ-ბრჭგუ სისტემატურად არის უძე-ასოთი გადმოცემული“²³.

ცნობილიც, რომ ძვ. ქართულში დაწერილობის მხრივ მარცვლიანი და უმარცვლო უ ერთმანეთისაგან არ განსხვავდებოდა, ორივე გადმოიცემოდა ორი ნიშნით **ა** (ოჲ)²⁴. არ არის გამორიცხული, რომ ძვ. ქართული ენის ძეგლთა შემდგენელ-გადამწერთ, რომლებიც იცავდნენ გარკვეული გრამატიკული სკოლის ტრადიციას, მათ გასარჩევად, კერძოდ, უმარცვლო უ-ს გამოსახატავად, გამოეყენებინათ **ჲ** (ჲ) ნიშანი, რომელიც კლასიკური პერიოდის ქართულში უი დიფთონგის შესატყვისი გრაფემა იყო.

ჲ-ს ხმარების ცალკეული შემთხვევები ასეთია: ორიოდ სიტყვაში ეს ნიშანი ჩვეულებრივი (მარცვლოვანი) ოჲ-ს ადგილას გვხვდება: დაღაცათჲ 171, მოვდრეკს 31v.

ჲ-ს ხმარებისათვის

ფუძემი ეს ნიშანი დაცულია მხოლოდ ბერძნულიდან შემოსულ სიტყვაში ომეგის გადმოსაცემად²⁵; მაგ.: ჰსანა 137v; 139; 139v. ჰსანა მალალთა შინა 137v; 139. უფრო ხშირად ამავე სიტყვაში ჩვეულებრივი ო გვხვდება: ოსანა 289; 289v; 138v, ოსანა, კურთხეულ არს 289v; ოსანა, კურთხეულ ზარ 289v; ოსანა ძესა დავითისსა 130; 138; 132; ოსანა მალალთა შინა 289; 129v; 138v; 132; ოსანა, გილაღებდეს 131; 131v...

ჲ გამოხატავს შორისდებულს და იხმარება აგრეთვე წოდებითში დასმული სიტყვის წინ: ჰ შენდა, ეროდე! 225v; ჰ შენდა. ნაშობო... ასპიტისა და იქედნესაო! 225v; ჰ იუდაისი უბადრუქება! 154v; ჰ ჰურიანო ურჩულონო! 163; ჰ რავდენტა კეთილთა მოუქსენებელად გამოსჩნდი! 153.

ოჲ-ს გადმოცემა ო-თი

ჩვენი ძეგლის გადამწერი ერთობ ხშირად ო-ს წერს იქ, სადაც მარცვლიანი თუ უმარცვლო უ არის მოსალოდნელი. მაგალითები:

ყოაელი 10v, მშოიდობაჲ 17, ოწყალოდ 112v, დამალოლი 63v, გოაჲ 221v, კორნებაჲ 15, ოკორციონი 192v, დატევენულო დაოტევენელისაო 72v, ხოთშაბაა-

²³ არნ. ჩიქობავა, ვინის რეფლექსები ფერეიდულში. ჩვენი გეგმავება. № 2 - 3. ტფილისი, 1923, გვ. 75.

²⁴ ა. შანიძე, ძველი ქართული ენა. გვ. 235.

²⁵ იქვე.

სა 96, კორთხეულა 59, მოციქოლთა 5v, ველორთა 9, კრძალოლთა 80v, არა ოარკუვეს 86v, რაჟული აღესროლოს 64v, განთავისოფლდა 47v, აოწყე 31, შე-ვიყოარე 25v, განაკორნებთ 80v, ოსწრო 183, მოხოედ 24v, ოქმე 127v, არა თო 25. და სხვ. მრ.

მსგავსი ფაქტები იმდენად ბევრია, რომ შეუძლებელია ესენი გადაწერის შეცდომებს მივაწეროთ. საგულისხმოა, რომ ასეთი რამ მეტ-ნაკლებად IX—XI საუკუნეების სხვა ძეგლებსაც ახასიათებს. დავიმოწმებთ რამდენიმე მაგალითს: მოვლნი: საბა ასურ. 10,13, საწოთრომსაგან: კიმენი I, 1,26, მეხოთით: იქვე, i.28. ხოციე: იქვე, 4,13, გოაზისაგან: Опис. 11, ოკრწნელთ: იქვე, 28, გოეუფ-ლა: იქვე, 48, აქონდეს: იქვე, 72, იონჯებთ, მოოწოლა, თო, ნოცა, თოისი, მლოლ-აწებანი, მაქოს²⁶.

ეს მოვლენა ნ. მარს დიალექტიზმად მიაჩნდა²⁷. შეგშეთ-კლარჯეთში მოგზა-ურობის დღიურში იგი იმერხეულ დიალექტში ხმარებულ ცუტა (= ცოტა) ფორ-მასთან დაკავშირებით წერდა: «Не здесь ли, на диалектической почве, надо ис-кать источник возникновения древне-грузинских текстов с систематичес-ким писанием **უ** там, где мы ожидали бы **ო**, а также наоборот — **ო** вм. **უ**?»²⁸

ზემოთ წარმოდგენილი მაგალითების ამ თვალსაზრისით ახსნა შეუძლებე-ლია. ჭერ ერთი, იმიტომ, რომ უ-ს მაგიერ ო-ს ხმარება ყოველგვარი წესის გა-რეშე ხდება (სხვა შემთხვევაში ამავე მაგალითებში ჩვეულებრივ უ გვხვდება ხოლმე) და, მეორეც, დაუჭერებელია რომელიმე ქართულ დიალექტში ეს მოვ-ლენა გაბატონებული ყოფილიყო როგორც ჩამოყალიბებული ფონეტიკური სისტემა. მსგავსი ფაქტები იმდენად ბევრია, რომ გამოსარიცხია აგრეთვე იმის დაშვება. თითქოს გადაწერს უ და ო ერთმანეთში ერთოდეს.

მაშ რა უნდა იყოს ამის მიზეზი? ერთ-ერთი ხელნაწერის მიმოხილვაში ნ. მა-რი ამას სხვაგვარადაც ხსნიდა: «Из исправленных таким образом рукописных чтений особо выделяю те искажения, которые проистекали от характера сложного начертания **უ** в древнем церковном письме (ოჟ), особенно ини-циальном: здесь при малейшем невнимании то **ო** появлялось вм. **უ** (მყო-დროებისა ვმ. მყუდროებისა... სასოფეველსა ვმ. სასუფეველსა; სოროდა ვმ. სუ-როდა), то, наоборот, **უ** вм. **ო**»²⁹.

მართლაცდა, ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს სწორედ უ-ს და-წერლობას, მის გრაფიკულ მხარეს. ცნობილია, რომ ძვ. ქართულში (ისევე რო-გორც ბერძნულსა და სომხურში) უ ორი (ო და უ) ნიშნით გადმოიცემოდა. ეს გარეგნობა ერთგვარ სიძნელეს ქმნიდა დაწერილობაში. სირთულე ნაწილობრივ იწიქ იყო დაძლეული, რომ ქარაგმის ქვეშ ხმარებისას უ ერთი ნიშნითდა იყო წარმოდგენილი: იწერებოდა იშვიათად მხოლოდ უ, ჩვეულებრივ კი — ო. ამ უკანააწენლის ხმარება ისე გახშირდა, რომ ქარაგმის გარეშეც ამ ერთი ნიშნით

²⁶ ესე საჩინელი მაგალითები დამოწმებული ვაქვს H. Schuchardt-ის შრომიდან: Mittheilun- gen an die Han'schriftler. ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VIII, გვ. 347.

²⁷ Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, т. VII, С.-Петербург, 1911, გვ. XLVI

²⁸ იქვე, გვ. 202.

²⁹ Униграфические материалы по грузинским рукописям Ивера. Житие св. Варлаама Сиркавакского: Записки Восточного Отд. Имп. Русск. Арх. Общ., ტ. XIII, 1901, გვ. 158

ადვილად ხდებოდა უ-ს გადმოცემა. იწერებოდა გოამი, კორნებაჟ, დამალოლი და სხვა, მაგრამ იკითხებოდა გუამი, კურნებაჟ, დამალოლი. ამგვარად, ძვ. ქართული ენის ძეგლთა ენაში ფართოდ ფეხმოკიდებული მოვლენა — უ-ს/წკვლად ო-ს ხმარება დიალექტიზმად კი არ უნდა მივიჩნიოთ. არამედ იგი უნდა აიხსნას ორთოგოაფიულად გრაფიკის ნიადაგზე. მოსალოდნელია, რომ ამგვარი ორთოგოაფიული ნორმა პირველად რომელიმე სკოლის მიერ ყოფილიყო შემოღებული და შემდეგში ფართო გავრცელება ეპოვა ძვ. ქართლის სამწერლო პრაქტიკაში.

შეიძლება დავასკვნათ: **ა, მ, ჰ, ზ** ნიშნების ხმარების თავისებურებათა მიმოხილვიდან აშკარად ჩანს, რომ ძველი ქართლის ორთოგოაფიულ ტრადიციას საკმაო ცვლილებები განუცდია. როგორც ხანმეტ-ჰამეტ ტექსტებიდან და IX—X საუკუნის სხვა ძეგლებიდანაც ირკვევა, ეს ცვლილებები კარგა ხნით ადრე დაწყებულა. ერთგვარად შერყეულა სწორედ იმ ნიშნების ხმარების კანონზომიერება, რომლებიც XI საუკუნეში, მხედრული დაწერილობის ჩასახვისას, ავტომატურად გამოვარდა ანბანიდან³⁰. ამ გრაფემების შესაბამის ბგერებს, უნდა ვიფიქროთ, რეალური საფუძველი ცოცხალ მეტყველებაში ადრევე გამოეცალა, რასაც, ცხადია, მოჰყვა სათანადო ნიშნების თავდაპირველი ბუნების გაუგებრობა და მათი არაკანონზომიერი ხმარება. X—XI საუკუნის ის ძეგლები, რომლებიც შედარებით მტკიცედ იცავენ ამ ნიშნების ხმარების წესს, უფრო მეტად ორთოგოაფიულ ტრადიციას მისდევენ და არა იმ პერიოდის ენის რეალურ ვითარებას გვიჩვენებენ.

ძველი ქართული ენის ტექსტების გამომცემელთ არა ერთი ძეგლის მიმოხილვისას აღუნიშნავთ მერყეობა განსაკუთრებით **მ** ნიშნის ხმარებაში. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მისი გამოყენების ნორმა სრული სიზუსტით თავიდან ბოლომდე არც ერთ ძეგლში არ არის გატარებული. ამ ნიშნის არაკანონზომიერი ხმარება, მასთან დაკავშირებული ტრადიციულად დადგენილი წესების ხშირი დარღვევა და ფუნქციათა უზუსტობა გვაფიქრებინებს, რომ **მ**-ს შესაბამისი ბგერა ქართულში რეალურად არც უნდა არსებებოდა.

ის, რაც **ა, მ, ჰ, ზ** ნიშნების შესახებ ითქვა, არ ვრცელდება **ქ**-ზე, რომელსაც შესატყვისი ბგერა ცოცხალ მეტყველებაში დიდხანს შემორჩა და ამ მხრივ ორთოგოაფიულ ტრადიციასაც თავიდანვე შედარებით მკვიდრი საფუძველი ჰქონდა. ჩვენს ძეგლში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **ქ** ძირითადად ყველგან თავის ადგილას არის. მის ხმარებაში კლასიკური ძვ. ქართლის ნორმებია დაცული.

ფონეტიკა

ასიმილაცია

ჰილ-ეტრატის იადგარში გვხვდება მხოლოდ თანხმოვანთა ასიმილაციის შემთხვევები. ძირითადია ნაწილობრივი რეგრესული დამსგავსებას მოვლენები თანხმოვანთა უშუალო მეზობლობაში.

³⁰ ა. შანიძე, ძველი ქართული ენა, გვ. 233.

1. ყრუ მკვეთრ ყ-ს წინ მყდერი დ დაყრუებულია და ტ-დ არის ქცეული-
რის შედეგადაც მიღებულია ქართულისათვის ბუნებრივი კომპლექსი ტჟ
(<ღყ); მაგალითები:

ვეღრებით ვ ღ ღ ა ტ ყ ო 95v; ვ ღ ღ ა ტ ყ ო ვითარცა მეძაემან-
მან 120v; ვ ღ ღ ა ტ ყ ო თ ქრისტესა 78; რამთა ვ ღ ღ ა ტ ყ ო თ
120v; შეუორგულებულად ვ ღ ღ ა ტ ყ ო თ 291; ვ ღ ღ ა ტ ყ ა ვ
შენდამი 104; 116v; ვ ღ ღ ა ტ ყ ა ვ ჭირითა 208v; სიხარულით-
ღ ღ ა ტ ყ ო 69v; ვითარცა იხილა..., ღ ღ ა ტ ყ ო 290v; ღ ღ ა ტ ყ ა ვ-
სა, ჯმაი ა 30v...

როგორც აქ წარმოდგენილი მაგალითებიდან ჩანს, ამ რთულ ზმნაში პირ-
ველი სუბიექტური პირის ნიშანი ვ ყოველთვის თავში იწერება (იხ. გვ. 248).

შდრ. ძვ. ქართული ენის სხვა ძეგლებიდან ამ ზმნის პირვანდელი სახე:
მიცვალებულ იქმნა უსხეულოთა თანა და ღ ღ ა დ ყ ო : სას. პოეზ.
მთ. 85—86; ღ ღ ა დ ყ ო სპევსიპოს და თქუა: სპევს. ელ. და მეღ.
330,41; ღ ღ ა დ ყ ო შუენიერითა კმითა: წარტყ. იერუსალ. ა 18;
ღ ღ ა დ ყ ო : Опис. 202; მორწმუნეთა ღ ღ ა დ ყ ვ ე ს : სას. პოეზ.
სმგ 70...

2. მეორე პირის სუბიექტური პრეფიქსი ს მომდევნო შიშინა აფრიკატე-
ბის ჩ-სა და ჭ-ს გავლენით ოთხჯერ შინად არის ქცეული³¹:

ანგლოზად გ ა მ ო შ ჩ ნ დ ი ქუეყანასა ზედა 55v; ზეცით გ ა მ ო შ-
ჩ ნ დ ი 20; შენ ღედად მაცხოვრისად გ ა მ ო შ ჩ ნ დ ი 276v... შ ჭ ი-
ღ ე თუითოეულთა 145.

ზმნის ამავე ფორმებში ხანი ჩვეულებრივ (27-ჯერ) უცვლელადაა წარ-
მოდგენილი:

გ ა მ ო ს ჩ ნ დ ი იორდანესა ზედა 25v; ქუეყანასა ზედა გ ა მ ო ს-
ჩ ნ დ ი 48v; კორციელად გ ა მ ო ს ჩ ნ დ ი 69 (იხ. აგრეთვე: 135;
209; 212; 215; 167 და სხვ.).

ჭ-ს წინ ზოგჯერ ეგვევ ემართება ფუძისეულ ხანსაც:

მოვედით და შეუვრდეთ ცრემლითა ვიდრე გ ა ნ შ ჯ ა მ დ ე 143v
(შდრ. გ ა ნ ს ჯ ა დ არს სოფელი 158); ფიცისა უ შ ჯ უ ლ ო ა ს ა .
229v.

ერთგან დასჯა-ში ნაასიმილაციარ შ-სთან ერთად ამოსავალი ს-ც არის და-
ტოვებული:

მეცი დასშჯად (ქარაგმით დ³²შ³³ჯდ) მსაჯული ცხოველთაჲ.

3. ცნობილია, რომ ძვ. ქართულში სჟ (<საჟ) ძირის შემცველი ისეთი სა-
ხელები, როგორცაა სჯული, უსჯულოება, დასჯა, სასჯელი, განსჯა და სხვა,
ნაწილობრივ რეგრესულ ასიმილაციას განიცდის (სჟ<შჟ) და ჩვეულებრივ
გვაქვს: შჯული, უშჯულოება, დაშჯა, საშჯელი, განშჯა და სხვ. ჩვენი ძეგლის-
თვის ამგვარი ფორმები, ორიოდ შემთხვევის გარდა, დამახასიათებელი არ
არის. აქ სისტემებზე გვხვდება: რჩული, ურჩულოება, დარჩილი, სარჩელი და
მისთანა. მაგალითები:

³¹ ა. შ ა ნ ი ძ ე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე
პირისა ქართულ ზმნებში, ტფილისი, 1920, გვ. 16.

რჩული აღესრულოს 64v; რჩული სა მდებელ ხარ და რჩული სა აღმასრულებელ 132v; ისმაიტელ იყო რჩულითა 199... ურჩულოა იგი 297v, იქსნენ ურჩულოა საგან მტერისა 81... ურჩულოება დაითქა 36; ავოცენ ურჩულოებანი ჩუენნი 80; ურჩულოებათა ჩემთაგან შეპყრობილ ვარ 123v... მას ექმნა დარჩილება, ხოლო ყრმათა დიდება 182v; დარჩილო, მოიქსენე დღეა იგი საშინელი სარჩელისა 117; დაურჩელად თაყუანის-გსცეთ 112v; საყდართა შენთა სარჩელთა 145... ოდეს მოხუიდე გარჩად 89v...

ამგვარი ფორმები სხვა ძეგლებიდანაც შეიძლება დავიმოწმოთ³², მაგრამ ასე სისტემებზე, კანონზომიერად, ყველგან და ყოველთვის სხვაგან არ შეგვხვებოდა.

სავარაუდოდ შეიძლება ამგვარი ფონეტიკური პროცესი დაეუშუათ: ძე. ქართულში ზემოაღნიშნულ სიტყვებში სჯ კომპლექსმა მოგვცა ორგვარი განშტოება: ერთი მხრით, შიშინა ჭ-ს წინ ს შ-დ იქცა და შჯ მივიღეთ, მეორე მხრით კი, ნაწილობრივი ასიმილაციისა (სჯ>სჩ) და ს-სთან რ-ს შენაცვლების შედეგად (შდრ. ს-ძალი — რ-ძალი, ს-ძე — რ-ძე, ს-თველი — რ-თველი) წარმოიქმნა რჩ კომპლექსი (სჯული>სჩული>რჩული, სასჯელი>სასჩელი>სარჩელი). დასაშვებია სხვა გზაც: სჯ>რჯ (შდრ. რჯული, სარჯელი³³)>რჩ (რჩული, სარჩელი).

ამ ორი განშტოებისაგან ერთი (შჯ) შესაძლებელია სალიტერატურო ენაში მომხდარი ცვლილების შედეგი იყოს, მეორე კი (რჩ) — კილოური წარმოშობისა.

6. მარს ურჩულოებანი უკეთეს შემთხვევაში X საუკუნის ფორმად პიარნდა³⁴. ამ სიტყვაში ჭ-ს ნაცვლად ჩ-ს ხმარებას იგი საეჭვოდ თვლიდა ისეთ ძეგლში, როგორცაა „თარგმანებაჲ ქებაჲ ქებათაჲ“³⁵. ფაქტობრივი მასალის მიხედვით ჩანს, რომ სჯ კომპლექსის რჩ-დ შეცვლა ზემოთ განხილულ სიტყვებში არ არის მოგვიანო დროის მოვლენა. მას უკვე IX—X საუკუნის ძეგლებშიც ვხვდებით, ჩვენს ხელნაწერში კი რჩ ერთადერთი დამახასიათებელი კომპლექსია.

4. ყრუ ფშინიერი ს-სთან მეზობლობაში ბ ყოველთვის დაყრუებულია ფ-ს სახითა სიტყვაში: ნეფსით (<ნეფსით); მაგ.:

რომელი მოვიდა ნეფსით კორცითა ვნებული ჩუენთუს 129v;
ნეფსით თავს-იდეე განკითხვა 156v; ნეფსით შენა მშუ-

³² რჩული ს მიენიერი: ლ. 10, 25 აღმშ., სარჩელად: Спис. 7, დარჩილად: კანონი, I, 10, 24, ურჩულოა: ბოლნ. ქადაგ. 10, ურჩულოებანი: ჯამის-წიბი, ვ 12 და სხვ.

³³ „ჩჳალი ვმ. შჯული“: Н. М а р р, Грузинские приписки греческого Евангелия из Коридии. ИАН, VI серия, 1911, с. 222; „სარჯელ ვმ. სშჯელ“: მისივე. Эмградзинский фрагмент древнегрузинской версии Ветхого завета. XV, II, вып. III, с. 382.

³⁴ «В то же время имеются такие неологизмы, которые связывают его в лучшем случае с X-м веком. Яркий отпечаток позднейшей фонетики лежит на слове **ურჩულოებანი** **ვმ.** უშჯულოებანი“. იხ. 6. მარის რეცენზია «Древнегрузинский архисира:икон». XV, ტ. 1, ნაკ. III, გვ. 356.

³⁵ «Сомнение берет в такой же распространенности появления **თ** **ვმ.** დ. ... ჩ **ვმ.** ს. напр. ურჩულოება“. ТР, III, 1901, გვ. XXXVII.

დობაი მოგუმადლე 133; რომელი მოხუედ ნე ფსით ვნებად 137; 140v, 143, 145v, 147v, 149v, 150v; რომელი ნე ფსით ჩჩილ იქ-მენ 64v...

ძე. ქართულის სხვა ძეგლებშიც ამგვარი ფორმები ხშირია, მაგრამ გვხვდება არასიმილირებული (ნებსით) ფორმაც.

5. მომდევნო ყრუ ფშინიერი ს-ს ზეგავლენით ღ ერთ შემთხვევაში ქცეულია ხ-დ: მწრაფლ მოიგო ავაზაკმან სამოთხეა... მართლ-ახსარე ბითა 254 (შდრ. წყულულებისაგან აღსარებული 111).

ამავე ფონეტიკურ გარემოში, ოლონდ სხვა სიტყვაში, უმარცვლო უ-ს დაკარგვის შედეგად გვაქვს ახსება (<აღუსება) 173. ასევე უმარცვლო უ-ს დაკარგვის გამო მრავლობითი რიცხვის ობიექტური პირველი პირის გუ პრეფიქსის გ თანხმომანი ც-ს წინ დაყრუებულია ქ-დ: რომელმან მოქცა (<მოგუცა) ბეჭედი თვისი 120.

6. რეგრესული კონტაქტური ასიმილაციის შედეგად ძს>ცს>ც: ყოველი ძალ-გი ც 125v; რომელსა ძალ-გი ც 143v. ყრუ სანთან მეზობლობაში მყლერი ძ დაყრუედა და ც მივიღეთ (ძს>ცს), მომდევნო ს კი დაიკარგა, რადგან იგი შედის შემადგენელ ნაწილად აფრიკატ ც-ში (<თ + ს). ამგვარად არის მიღებული ძვ. ქართულში: უ ც (<უძს); გ ვ ც (<გვძს), თ ა ნ ა-გ უ ა ც (<თანაგუაძს)³⁶.

7. ყრუ ფშინიერი თანხმომანთა გავლენით ზ დაყრუებულია: ო თ ხ შ ა ფ ა თ-პარასკევსა 80 (შდრ. აგრეთვე: შაფათი: მრ. 2.27 აღიშ.: ერთშაფათსა მას: ლ. 24.1 აღიშ.: დიდსა შაფათსა: Опис. 158; ხუთშაფათსა: იქვე, 159 და სხვ.).

8. როგორც ცნობილია, ძვ. ქართულში ზესთა-ს პარალელურად გვხვდება მისგან წარმომდგარი ზეშთა. ამ უკანასკნელისაგან დისტანციური ასიმილაციის შედეგად ჩვენს ძეგლში მიღებულია უფესთაეს (<უზეშთაეს). მაგალითები:

ზეცისა ძალთა უჟესთაეს გამოსჩნდი 219; გამოზრწყინდა უჟესთაეს ანგელოზთასა 180; იყო შენ ყოველთა უჟესთაეს 39v; უჟესთაეს გამოზრწყინდეს 196; უჟესთაეს ზესკნელს... შესწირვენ 179...

9. გვხვდება ძვ. ქართულიდან ცნობილი ასიმილირებული სახე კრეთსაბმელისა: კრეტსაბმელი (<კრეთსაბმელი) სამხილებელად განებო 163.

10. სრული ასიმილაციის მაგალითია: ა ს პ ა რ ე ს ს ა მას (<ასპარესსა) ძღვეისასა 5.

11. თუ ქალმის შეცდომა არაა, შეიძლება ასიმილაციას მივაწეროთ დევდორობა. მე-4v გვერდის მარცხენა აშიაზე ცხრა სტრიქონად იკითხება: გალობათა დევდორობასა ჰპოვენ (შდრ. გალობათა თევდორე წმიდასა ჰპოვენ 266; თევდორობასა ჰპოო 269).

³⁶ «Ц получается еще, как известно, из ძს в слове უძს=უც. В этой же рукописи имеем случаи такого ц, так უც... გვც»: Н. М а р р, Описание пяти пергамен. рукописей, ЗВО, ტ. XIII, ნაკვ. II—III, გვ. 12; ი. ყ ი ფ შ ი ძ ე, ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში, ტფილ-სის უნივერსიტეტის მოამბე, № 1, ნაკ. I, გვ. 9.

12. **ღ ჯერ** კიდევ თავის ადგილასაა და ასიმილაცია არ განუცდია **მოწყუე-და-ში**; მაგ.:

ერთდღე **მოწყუეღა** ჩხუილთა ბრძანა 182; წყარო დაუწყუედელი 246v.

ღ-ს დაყრუება სიტყვის ბოლოში

ამ რუბრიკის ქვეშ ივარაუდება ვითარებითი ბრუნვის ნიშნის დონის დაყრუების რამდენიმე შემთხვევა ჩვენს ხელნაწერში. მხედველობაში გვაქვს ასეთი მაგალითები:

მოილო... ნელსაცხებელი და იწყო ცხებათ ფერქთა 128v; ღირს-ვიქმნენით თაყუანის-ცემად და გალობათ (ქარაგმით გლბთ) 214v; უხრწნელად მოხუედ იორდანეთ (ქარაგმით იორდნთ) 284; რომელი მოვიდა ნეფსით ვნებათ 145v; რამეთუ აჰალღდი ზეცათ 189v; 270 (შდრ. აჰალღდა უფალი ჩუენი ზეცად 189. აჰალღდი ზეცად: იქვე).

ვითარებითი ბრუნვის დონის დაყრუება რომ საერთოდ უცხო არ არის ძვ. ქართულისათვის, ამას ჩვენს ხელნაწერთან ერთად ადასტურებს „იერუსალიმის განჩინება“, სადაც ერთგან იკითხება: „უფალმან დამაპტიცა მე დასაბამათ გზათა მისთა“ (გვ. 48,10).

დისიმილაცია

დისიმილაციური მოვლენებიდან ყურადღებას იქცევს რამდენიმე შემთხვევა:

1. წყვილბაგისმიერ **ბ-ს** წინ ამავე რიგის ბგერა მ ქცეულია **ნ-დ** თვის სახელში: თთუესა სეკდე ნბერსა... ჰპოვნე 185v (შდრ. გალობათა სეკდე მბერსა 64; თთუესა იღ-სა სეკდე მბერსა 245v).

2. რეგრესული დისიმილაციის ძალით **ლ—ლ>რ—ლ**: სულნელი > სურნელი: გშუენის, იოანე, სურნელე ბა 20v (შდრ. სულნელბანი: 87).

უფრო ხშირია და ჩვენი ძეგლისათვის დამახასიათებელი მესამე ვარიანტი **სუნნელი** და აქედან ნაწარმოები **სუნნელე**; მაგ.: საკუმეველი სუნნელი 40v... სუნნელე ბა... მოფინებოდა 129; სუნნელე ბა საკუმეველისა 285v, სუნნელე ბასა ნელსაცხებელთა შენათასა შეუდგეს 262...

რეგრესული დისიმილაციითაა მიღებული აგრეთვე **მოსრული** (<მოსლული): მამისა მიერ მოსრულმან 68, მამისა მიერ მოსრულსა 32v. მამისა მიერ მოსრული 32v.

შემდგომი საფეხურია **მოსული** (<მოსრული<მოსლული).

3. **რ—რ>რ—ლ**: პროგრესული დისტანციური დისიმილაციაა მომხდარ ბერძნულიდან შემოსულ **მარტუირ** სიტყვაში (μαρτυρία); მაგ.: მარტულითა 5v, მარტულიითგან 202, იბაკონი მარტულიისანი 292v...

ამავე რიგის მოვლენა დასტურდება თვის სახელში: **ფებერალი** (<ფებერარი), თთუესა ფებერვალსა ბ მიგებება 64.

4. მოსალოდნელი **ემხანუელ**-ის ნაცვლად ჩვენს ძეგლში ყველგან გვხვდა-

ბადისმილირებული **ევმანუელ** (ბერძნ. Ἐμμανουήλ): ევმანუელ ფერი იცვალა 207; შეგიწყნარა შენ ევმანუელ 277. ძვ. ქართულში უფრო ჩვეულებრივია დისიმილაციის მეორე სახეობა: ენმანუელ (მათე, 1, 23 C).

პროგრესული დისიმილაციური გამჟღერების მაგალითია ეგუიპდე, რომელიც ჩვენს ძეგლში ამ სახით ერთხელ გვხვდება:

აქუნდა კუერთხი იგი მოსეისი ეგუიპდეს 253v (შდრ. მიივლტოდე ეგუიპტედ 291v).

შესაძლოა ასევე დისიმილაციური გამჟღერების ნიდადგზე იყოს მიღებული თვის სახელი სექდემბერი (<სექტემბერი, ლათ. september):

თთუესა მ-სა სექდემბერსა, თთუესა სექდემბერსა კლ
თეკლასი 259v, თთუესა იდ-სა სექდემბერსა ჟუართა აპყ-
რობაა 245v.

ძვ. ქართული ენის ძეგლებში მკვეთრ-ხშულთა გამჟღერების სხვა შემთხვევებიც გვხვდება. ამ გარემოებას ადრევე ყურადღება მიაქცია გ. დეეტერსმა. მას თავისი Armenisch und Südkaukasisch²⁷ ნაშრომის მეექვსე (Lautverschiebung) თავში სხვა მაგალითებთან ერთად დასახელებული აქვს: ებისტოლე (<ეპისტოლე, ბერძნ. ἐπιστολή), თუმცა აეტორს მკვეთრ-ხშულთა გამჟღერება უმთავრესად ნასესხებ სიტყვებში მიაჩნდა შესაძლებლად, მაშინ როდესაც ეს მოვლენა თვით ქართულ სიტყვებშიც დასტურება.

ამ საკითხს თავის დროზე ნ. მარიც შეეხო და გამოთქვა ასეთი მოსაზრება: «Произшла ли в истории грузинского языка фонетическая эволюция (მხედველობაშია: ტყვნა — ტყენა, პრკოლვილი — ბრკოლვილი, ჰაბუკი — ჰაბუკი) — переход глухих в звонкие, аналогичный тому, что мы замечаем в ново-персидском сравнительно с средне-персидским, и рукопись X-го века то своим р в м. б, то своим б в м. р. свидетельствует о переходной поре, когда новые нормы живой речи сталкиваются с древними, сохранившимися в книгах, или это колебание в правописании вызвано вторжением какого-либо грузинского диалекта в литературные памятники, пока трудно сказать»²⁸.

მკვეთრ-ხშულ პ...ტ თანხმოვანთა დისიმილაციის შედეგი ჩანს პილატესაგან მიღებული ფორმა ფილატე; მაგ.:

მოვიდა იოსებ არიმათიელი ფილატესა და მოსთხოვა გუამი
მაცხოვრისაა 170; მიუგო ფილატე ურჩულოთა ჰურიათა
172v; ჰურიანი ეტყოდეს ფილატეს 172v; მიცემად ფილატესა 157 (შდრ. პილატესგან 168: 107).

ბგერათა გაღასმა

ბგერათა გაღასმის შემთხვევები არ არის მრავალფეროვანი, მაგრამ ყველა სიტყვა, რომელშიც თავს იჩენს ეს მოვლენა, ყოველთვის გარკვეულ წესს ექვემდებარება და ამ მხრივ გამონაკლისებს ადგილი არა აქვს. ბგერათა მეტაფორული უმთავრესად სონორ თანხმოვნებზე მოდის. ამასვე განიცდის ზოგჯერ ვ-ც.

²⁷ Caucasica, fasc. 3. 1926, 23. 80.

²⁸ ТР. III. 22. XXXVII.

1. ჩვენს ძეგლს თავიდან ბოლომდე გასდევს რ-სა და ლ-ს საურთიერთო მეტათეზისი ძლიერ-სა და მისგან ნაწარმოებ სხვა სახელებში. მაგალითები:

ა) ძლიერი > ძრიელი: ძ რ ი ე ლ ხარ შენ, უფალო 208; სოფელსა გამოუბრწყინდი, წმიდის ძ რ ი ე ლ ო 1; სულგრძელო და ძ რ ი ე ლ ო 124v; ამას სოფელსა ძ რ ი ე ლ ად ილუაწეს 60v...

ბ) ძლიერება < ძრიელება: რომელმან ძ რ ი ე ლ ე ბ ა ა მიჰმადლე 39; ვადიდებდე ძ რ ი ე ლ ე ბ ა ს ა შენსა 181v, მესმა სმენა ძ რ ი ე ლ ე ბ ი ს ა შენისა 82v; ძ რ ი ე ლ ე ბ ი თ ა შენითა ჰოვემადლე ჩუენ ადგომა 4...

გ) განძლიერებული > განძრიელებული: განძ რ ი ე ლ ე ბ უ ლ ნ ი გმსახურებდეს შენ 83...

დ) განმძლიერებელ < განმძრიელებელ: განმძ რ ი ე ლ ე ბ ე ლ მექმენ მე 198v...

ე) უძღურ > უძრულ, უძღურება > უძრულება: უ ძ რ უ ლ ვარ მე 114v; უ ძ რ უ ლ ე ბ ა ა კორცთა 83; უწყი უ ძ რ უ ლ ე ბ ა ა ჩემი 80; განიკურნეს უ ძ რ უ ლ ე ბ ა ნ ი ჩუენნი 184...

ვ) უძლიერების > უძრიელების: მოვალს უ ძ რ ი ე ლ ე ბ ი 49v...

ეს მოვლენა გამოჩაყლის გარეშე დაცულია აგრეთვე ნასახელარი ზმნის ფორმებში: რომელმან განაძ რ ი ე ლ ა ი გი 39; განმძ რ ი ე ლ ე მე, ქრისტე 12; სულითა წმიდითა განგაძ რ ი ე ლ ე თ შენ 154v; წმიდანი შენნი განაძ რ ი ე ლ ე ნ 82v; განძ რ ი ე ლ და გული ჩემი 66; შვილმრავალი იგომო უ ძ რ უ ლ და 239.

ბგერათა გადასმის მსგავსი შემთხვევები X—XI საუკუნის სხვა ძეგლებშიც ხშირად გვხვდება. დაეასახელებთ რამდენიმე მაგალითს: ძრიელება: Опис. 153 (X საუკ. ხელნაწ.), უ ძ რ უ ლ ლ ა ვიყვენი: იქვე, 83 (X საუკ. ხელნაწ.). ამგვარი ფორმები ბლომადაა დადასტურებული აგრეთვე 968 წლით დათარიღებულ იოანე ოქროპირის ცხოვრებაში³⁹. ატენის ეკლესიის XI საუკუნის წარწერაშიც დაცულია ძრიელი: ჰგიაანცა ოკე ძ რ ი ე ლ ი⁴⁰ მფთა მეფე ბგრტ სევასტოსი და ძე მათი გიკტი⁴¹.

ბ. მარი ექვის თვლით უყურებდა ძ რ ი ე ლ და მისგან წნაწარმოებ ფორმებს: «В тексте имеем такой явный вулгаризм, если верно чтение, как ძრიელმან (под титлом—ძრლმნ) вმ. ძლიერმან⁴². ერთ-ერთი ძეგლის⁴³ გამოცემაში იგიუყველა ფორმას, რომელშიც ბგერათა ასეთი გადასმა არის მომხდარი, ხიციანიშანს უყეთებს, რაც ერთხელ კიდევ ცხადყოფს ავტორის დამოკიდებულებას აქვე დამოწმებული ფორმებისადმი. ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ვ. თოფურას, როდესაც შიდა ქართლში დაცულ წარწერებთან დაკავშირებით აღნიშნავ-

³⁹ არხ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დილექტოლოგიურად, არილი, ტბილისი, 1925, გვ. 71, შვშ. 1.

⁴⁰ თ. ქორდანიას მიერ გამოცემულ ამავე წარწერაში ამ დილექს ძლიერი აკიობება (ქრონიკები, გვ. 206).

⁴¹ ლ. ჭავჭავაძის თეორი, К вопросу о времени построения грузинского храма в Атене, ХВ, ტ. I, ნაკ. III, გვ. 285.

⁴² «Два грузинских архитектурных термина—зачрдиля и «балавар», ХВ, ტ. VI, ნაკ. III, გვ. 291.

⁴³ Описание пяти пергаментных рукописей, ЗВО, ტ. XIII, ნაკ. II—III.

და: „ყოველ შემთხვევაში „ძრეილმან“, რომელიც საეჭვოდ მიაჩნდა ნ. მარს... სწორია. იგი არა მარტო საშუალო საუკუნეების ქართ. ენის კუთვნილებას წარმოადგენს, არამედ ძველი მე-10 საუკ. ზოგიერთ ხელნაწერში სისტემატურად გვხვდება“⁴⁴.

ძრეილი, ძრეილება, უძრეულება და სხვა, რა თქმა უნდა, ცოცხალი სასაუბრო მეტყველების ფორმებია, მაგრამ ფაქტია, რომ ისინი ფართოდ გავრცელებული ყოფილა ძველ სალიტერატურო ქართულ ენაშიც, რასაც ჩვენი ძეგლის ჩვენებაც ადასტურებს. ახალი ქართულის ზოგიერთ კილოში⁴⁵ დაკუთვნილი სათანადო ფორმები, როგორც ჩანს, საფუძველს შორეულ წარსულშივე პოულობენ.

2. ჩვენს ძეგლში დასტურდება კონტაქტური მეტათეზისის ცნობილი შემთხვევა: ყოველთვის გადასმული სახითაა მეზობელი **ღ** და **რ** თანხმოვნები სიტყვაში: **სიღრმე > სირღმე**; მაგ.:

ს ი რ ღ მ ე ჯ ცოდვათა ჩემთაჲ დამთქამს 78v; შთავიდა იგი ს ი რ ღ მ ე ს ა ზღუისასა 133v; ს ი რ ღ მ ე ს ა ცოდვათა ჩემთასა შთავრდომილ ვარ 111v; ს ი რ ღ მ ე ს ა აუღგეს 55; ს ი რ ღ მ ე თ ა გ ა ნ ცოდვათა ჩემთაჲსა მიქსენ 103; ს ი რ ღ მ ე თ ა გ ა ნ უმეცრებისათა 206.

ერთადერთია **სი-** თავსართის გარეშე ამავე ფუძისაგან ნაწარმოები ზმნიზედა **ღრმით**, რომელსაც მეტათეზისი არ განუცდია: **ღ რ მ ი თ -**ამოვლადებ 88v.

შთაბეჭდილება ისეთია, რომ ბგერათა გადაადგილება ხდება, როცა **ღ** და **რ** თანხმოვნები **სი-** თავსართის დართვის გამო სიტყვის შუაშია, ხოლო თუ იგივე თანხმოვნები თავში მოექცევა, მეტათეზისს ადგილი არა აქვს.

3. უმარცვლო **უ-**ს ადგილი უცვლია **განიძუარცა** (<განიძარცუა) ზმნაში და **მჩრუითა** (<მჩრუითა) სახელში; მაგ.:

სულთა განმძუარცე 145; განიძუარცა სამოსელი 40v; შღრ. განმძარცუა მე ცოდვილმან... აღადგინე საფლავით ლაზარე... შეკრული მჩრუითა (დედანშია: მჩრუთა) 125v.

ეგევე მოვლენა გვაქვს აქაც: განშუიშლებული 24 (შღრ. განშიშულელებელი 35, განშიშულდი).

4. ვ ყველგან გადასმულია **ვალ** ზმნის საწყისში: **სლვაჲ** შენი 49, **მოსლვაჲ** შენი 77, შენსა მოსლვასა 105v, გუაუწყებდა მოსლვასა 200v; შემოსლვისათუის 136, შთასლვითა შენითა 50, აღსლვაჲმან შენმან 159, გარდამოსლვასა 210v...

ვ გადასმულია და **ყ-**ს შემდეგ უმარცვლო **უ-**დ არის ქცეული **თაყუანისცემა**-ში (<თაყუანის-ცემა): თაყუანის-ვსცემ 120v, თაყუანის-ვსცეთ 112v, თაყუანის-გცემენ 1v, თაყუანის-სცეს 190, თაყუანის-გცე შენ 245v...

შედგენილი ზმნის თავშია გადმონაცვლებული პირველი სუბიექტური პირის ნიშანი **ვ-** (ვლალატ-ყავ <ლალატ-ყავ): ვლალატყავ შენდამი 116v.

⁴⁴ შიდა ქართლშია დაკულ ზოგიერთ სიძველეთა წარწერები, საისტორიო მოამბე, II, გვ. 135, 257. 1.

⁴⁵ ძრეილ (არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, არილი, 71), ძრეილი (მოსივე, შიოლოურის ძვირებულებანი, ენიქის მოამბე, II, გვ. 47), ძრეინ (ვ. თოფუ-

124; ვლადატყავ ყოვლითა... 118; ვლადატყო საშინელსა მას განკითხვასა 95v...

ვ თავის ადგილასა ისეთი ავ-იანი ზმნების საწყისსა და მიმღობებში, როგორცაა კლვექ, მკლველე, საკლველი, დაფლვა, ძრვა, საკრველი და სხვ. მაგალითები:

ცხოვარი კლვად მიიგუარე 160v; მონათა მოკლვად 149, კატის მკლველი 225v, მკლველად გამოჩნდა 229v; დაუკლა თხისი საკლველი 151v... დაფლვად მიეცით 161v... საკრველნი სიკუდილისანი 168v, გამომოქსნა ჩუენ საკრველთაგან 256v; შეუძრველისა 181v...

ბგერათა დაკარგვა

გვხვდება ბგერათა დაკარგვის ნაირ-ნაირი შემთხვევები. ძველი ქართული ენის სხვა ძეგლების მსგავსად, ჩვენს ხელნაწერშიც განსაკუთრებით ხშირა მოვლენაა ვ-ს დაკარგვა, რაც, ცხადია, გამოწვეულია იმით, რომ იგი თავისებური ფონეტიკური ბუნებით დაუღვგარი და არაჰყარი ბგერაა⁴⁶.

ვ-ს დაკარგვა

1. პირველი სუბიექტური პირის ნიშანი ვ, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, დაკარგულია ბაგისმიერ უ-ს წინ:

ყოველნი უგალობთ, ვლადდებთ 129v; ამას უგალობთ და ვიტყუით 169; ურჩულობა ჩემი მე უწყყი 78v; მოვედით და შეუვრდეთ 143v...

ამ უკანასკნელ ზნაში ჩვეულებრივ ფუძისეული ვ-ც იკარგება უ-ს შემდეგ და გვაქვს ასეთი ფორმები:

ვისწრაფოთ, ერნო, და შეუვრდეთ უფალსა 76; მოვედით და შეუვრდეთ უფალსა 76; შეუვრდები 96; შეუვრდეთ 89; 143 (შდრ. შეუვრდა მართაა უფალსა 125; ამიერითგან შეუვრდი და თქუი 124v).

2. დაკარგულია აგრეთვე ფუძისეული ვ უ ხმოვნის შემდეგ:

სიწმიდეა წარუალი 172, ცხორება წარუალი 58; 85; 286v, სიმდიდრეა წარუალი 172, ცხორებასა წარუალსა 40. ნაოლითა წარუალითა 209, თანა-წარუალი 300, შთაუალსა 87... ცუარი გარდამოულინე 229; რომელმან მოულინე ... სული წმიდა 195v ... უნებელისა ღმრთეებისა 76v, დაიცვენ იგი... უნებელად 134v; უნებელად ეგო 256v; ადგა უნებელად 252v (შდრ. მიხუილოდე ადგილსა მას ვნებრისასა. რომელმან იცნე ჩუენთუის 158).

⁴⁶ ა. შანიძე, ნაშთებზე მესამე პირის ობიექტურა პ. ილიქის სხარებისა ზმოვნების წინ ქართულ ზმნებში, ტფილისის უნივერსიტეტის შრომაზე, II, ტფილისი, 1922-1923, კვ. 280; აჩნ. ჩიქობავა, მთელულის კოეისებურებანი, ენოქის შრომაზე, II, გვ. 45.

3. ერთადერთი შემთხვევის გარდა, ვ არსად არა გვაქვს **ო-სა** და **ო-ს** შუა **პოვ** ფუძის შემცველი ზმნის ფორმებში:
 თვედრობასა ჰპოო 185v; 269; ბოლოა ქუემოსა ჰპოო 239;
 ხარებასა ჰპოო 218v; წმიდისა ამაღლებასა ჰპოო 207v; ჰპოო
 საკსენებელსა 218v; რაათა კადნიერებაჲ პოონ 274v; ათენაგენასა
 ჰპოო (შდრ. ათენასა ჰპოო 19)...
4. **ო-ს** შემდეგ ვ დაკარგულია **-ოვან** სუფიქსში:
 რომელმან განსწმიდე წიღოანი იგი 118v (შდრ. წიღოვან-
 100v); მაყლოანსა შინა გამოსჩნდი 199v; 195; 166 (შდრ. მაყ-
 ლოვანსა შინა 31; 209)...
5. იგი არ არის წარმოდგენილი ველ ფუძეში:
 აღმოედინ განხრწნისაგან 49v; აღმოედინ 204v.
6. **ცხოვრ** ფუძის მიხედვით საერთო სურათი ასეთია:
 ა) **ცხოვრება** ყოველთვის ვინის გარეშეა:
 ცხოვრებაჲ 85, ცხოვრებასა 40, ცხოვრებისაჲ 105, ცხოვრებისათვის
 130, ცხოვრებად 105, საცხოვრებლად 124...
- ბ) **მაცხოვარ**-ში ვინი მხოლოდ ორიოდ შემთხვევაშია დაკარგული:
 მაცხოარსა 26, მაცხოარი 240, მაცხოარებაჲ 70 (შდრ. მაცხოვარ
 25v; 103v, მაცხოვრისა 6, მაცხოვარო 49v).
7. **შოვრ** ფუძე სისტემებრ ვ-ს გარეშე გვხვდება:
 განშაშორებ 113v, განგაშორა 125v, განუშორებელ ხარ 29; განშო-
 რებულ არს 52 (შდრ. განშოვრებული: ხანმეტი მრავალთ. 22a 13,
 განუშოვრა: Опис. 19, განშოვრებული: სას. პოეზ. რიბ. 291).
8. ვინი არა გვაქვს არც შემდეგ სიტყვებში:
 აღესება, ამბოვრის-ყოფა, ბაბილოვნი: აღსებით-
 გან მე-3 ხუთშაბათსა 198... მიცემასა ამბორის-ყოფისასა
 154v, განყრდა ამბორის-ყოფითა 155 (შდრ. ამბოვრს-ხუ-
 ყოფდა: ხანმეტი მრავალთ. 28a 16-17)... ბაბილონს 305v (შდრ.
 ბერძნ. Βαβυλων) — ბაბილოვნს... ცუარი გარდამოუვლინე 229).
9. **მიგებება**-ში ვ ხან იხმარება, ხან კი არა:
 სიხარულით მივეგებოდით 132v; წინა მივეგებოდეს 133;
 136; 137; რტოებითა მივეგებოდეს 130; მაგრამ: ყრმანი მივე-
 გებოდეს 130v; წინა მივეგებვოდეს: იქვე, მივეგებვო-
 დით 131; 138v მოვეგებვოდეს 132.
10. ფუძისეული ვ დატული არ არის წოდებითის **ო-ს** წინ:
 კრაო ღმრთისაო 304, წმიდაო უკუდაო 89, უკუდაო სუ-
 ლო 93.
ო-ს წინ ვ-ს დაკარგვის სხვა მაგალითია: მან გასწაოს 197v; ვისწაოთ

132.

შმარცვლო უ-ს დაპარგვა

შმარცვლო უ-ს დაკარგვის შემთხვევები ძვ. ქართული ენის სხვა ძველ-
 ბიოხან; ცნობილია. მაგრამ ჩვენი ხელნაწერი, ამ მოვლენის სიხშირის თვალ-
 საზრისით, ვერქრობთ; ყველა მათგანისაგან განსხვავებულია. მისი თავისებუ-

რება ისიც არის, რომ, როგორც წესი, იკარგება ძირისეული უმარცვლო უ მხოლოდ თანხმობანთა შორის მოქცევისას. ამ ვითარებაში მისი გაუჩინარების მიზეზი პირველ რიგში ბავისმეორ ბგერებთან მეზობლობაა, მაგრამ დაკარგვის შემთხვევები სხვა/თანხმობებთანაც გვხვდება.

1. უ დაკარგულია წყვილბავისმეორ მ-ს წინ:

ა) თქუმა>თქმა: თქმა და ჩემი აღძრავს 78v; გულის-თქმა და სოფლისა 262, სულთქმით გილადადებ 90; 103v (შდრ. შეიწირე სულთქუმა 104v); დავითის მიერ თქმული 245, გამოუთქმელ ხარ 142; გამოუთქმელ არს 67; გამოუთქმელი საიდუმლოა 52, გამოუთქმელი და უხილავე 73v, გამოუთქმელი თ... სულითა 194v, გამოუთქმელი ლო უფალო 37, გამოუთქმელად 190v (შდრ. გამოუთქმელსა 179, გამოუთქმელითა, გამოუთქმელად 147)...

ბ) ცუმ>ცმა: ჯუარცმა და თავს-იღვა 155v; ჯუარცმა და ითმინე 245v; აუწყებდეს შენსა ჯუარცმასა 294; ჯუარცმული იტყოდი 6; შეგიდგეს ჯუარცმითა 55v...

გ) კუმ>კმ: საკმილი დაპრიტეს 60v; საკმილი აიგზენ 55v; საკმილი სენთა 144. შესთხინეს საკმილსა მას 50v: 134v...

დ) ხუმ>ხმა: ცანი განგეხმოღეს 33v; განგეხმოღეს შენ ბჰენი 1; ცანი განხმოღენი 5v (შდრ. განგეხმოღეს 192).

ამავე რიგის სხვა მაგალითები:

სასმელი მისი შესმად 19, მკლავთა ზედა მიქმული 72, წარემართენ... ლოცვა მონათა შენთა ვითარცა საკმეველი შენ წინაშე 115.

2. უმარცვლო უ არა ვეაქვს წყვილბავისმეორ ვ-ს წინ:

განიზრახვიდა ზაკვითა 154v; სძლეს ზაკვასა მტერისასა 55: 61v; დათრგუნა მზაკვარი იგი 260; მკეცო მძუნვარეო და მზაკვარო 225v, თანა-იხარებენ... მზაკვარისასა 60v; მზაკვარება ეშმაკისა განაქარვოს 62 (შდრ. ზაკუვა იგი იუდაისი 156v, ზაკუვითა 155, მზაკუვარებანი 115v)... შეუწყველად დაადგერ 296v; დასაწყველად შესწირვიდა 236v (შდრ. შესწყვიდა 220).

როგორც ზემოთ წარმოვთხილეთ მაგალითებიდან ჩანს. უმარცვლო უ-ს დაკარგვის შედეგად დამოწმებულ სიტყვებს (ზმანსა თუ სახელს) მილიანად თანამედროვე ქართულის ფორმა აქვს მიღებული⁴⁷: თქმა, თქმული, გამოუთქმელი, გულისთქმა, სულთქმა, ჯვარცმა, სასმელი, საკმეველი, მზაკვარი. შეუწყველად...

3. უმარცვლო უ-ს დაკარგვის ყველაზე მეტი შემთხვევა მანც კულ ძირის შემცველ სიტყვებზე მოდის. მაგალითები:

ვითარ წარმდები მკდარი 302, ოდეს მოხუციე გარჩად... მკდართა 116; მომკდარი აღადგინა 136v; მოკდავი კოდვილოვან 170v, უკდავი და ცხოველს-მყოფელი 17. ნათელსა მას

⁴⁷ იან. ჩიქობავა, ვინა რეფლექსები ფრეილენცლ, ჩენი ბენიერება. № 2-3, ტფილისი, 1923, გვ. 73.

უკდავებისასა 251; უკდავებად გარდასცვალე: იქვე; სიკდილი აღმოაცენა 63v, სიკდილი მოაკდინა 272; მძლესა სიკდილისასა 37, მისცნეს სიკდილდ 85; შენ თანა მოკდებოდა 155v, მკდრეთით აღგომა 157v...

60 მაგალითიდან შეფარდება ასეთია: ზემოთ დასახელებული სიტყვები 22-ჯერ უმარცვლო უნით გვხვდება, ხოლო 37-ჯერ — მის გარეშე. ასე რომ, ჩვენი ძეგლისათვის უფრო დამახასიათებელი გამოდის: მკდარი, მომკდარი, მოკდავი, მოკდავება, უკდავი, უკდავება, სიკდილი და სხვა ამგვარი ფორმები.

4. გარდა ზემოაღნიშნული შემთხვევებისა, ძირისეული უმარცვლო უ არა გვაქვს შემდეგ თანხმოვნებს შორის:

- ა) ხ-სა და ნ-ს შუა: აიხნა ცოდვანი 48; აიხნეს ცოდვანი სოფლისანი 22v; 23v; 24; განეხნეს ცანი 36v; 42; მიიხნა კლიტენი 295; განმიხნა... პქენი 244 (შდრ. განახუნთ ბქენი თქუნენი 188v; აიხუნთ სანთელნი თქუნენი 144)...
- ბ) ხ-სა და დ-ს, წ-სა და დ-ს, ხ-სა და თ-ს შუა: კუირაე დახდეს 52... მიუწდომელ არს 181... ცოდვათა... ურიცხთა 194.
- გ) შ-სა და ლ-ს შუა: შიშლოება შეკმოსო 284v; ოდეს გიხილა... განშიშლებული: იქვე; იხილეს რაა... განშიშლება შენი 32...
- დ) კ-სა და ლ-ს, წ-სა და ლ-ს, ჯ-სა და ლ-ს შუა: გამოუკლეველმან 41v, არა გამოვიკლევდე 276v, კლა (<კულა) იტყუიან 125... გამოწლილვასა 181... მარჯლ მამისა მჯდომარეა 39v...
- ე) ქ-სა და ხ-ს, ღ-სა და წ-ს შუა: რომელთა გაქს კადნიერება 17v, 231v, 302; აქს დიდი წყალობა 285; უმჯობემისათვის იღწა 226.
- ვ) ერთგან დაკარგულია ობიექტური გუ პრეფიქსის უ ელემენტი: ცოდვათა მიტევება მოგმადლე, ღმერთო, და შეგუიწყალენ ჩუნ.
- ზ) ო ხმოვნის წინა პოზიციაში უ-ს დაკარგვის მხოლოდ ერთი შემთხვევა გვაქვს; სამოსელი ჩუენი განვიძარცოთ (<განვიძარცუოთ) 109; განვიძარცოთ აწ ყოველთა ადგომათა 109v.

ბ-ს დაპარგვა

ჩვენი ხელნაწერი არამყარ სურათს წარმოგვიდგენს მეორე სუბიექტური პირისა და მესამე ობიექტური პირის ბ პრეფიქსის ხმარების მხრივ.

1. პრეფიქსი ბ დაკარგულია უკანაენისმიერთა და აგრეთვე ზოგი სხვა თანხმოვნის წინ.

- ა) ჭ-ს წინ: თმოთა თუისითა წარკოცნა 128v; ყოველი საცთური კერპთა მით დაკსნა 80; ბრძოლა დაკსნეს ურჩულომსა მტერისა 105v...
- ბ) ხ-ს წინ: რამეთუ უფალსა ხედვიდეს ჭურღმულსა 163; რომელი ხედავს დაფარულთა და უჩინოთა გულისათა 101; რამეთუ ხედვიდა ღმერთსა 201...
- გ) ყ-ს წინ: რომელმან შეურაცხყავ საწუთრო 53; საწუთრო

ესე შეურაცხ-ყავ, წმიდაო ანტონი 56; ესე სოფელი შეურაცხ-ყავ 56; და ყვენი ესენი მეორედ... ცხოვრებად საუკუნოდ 50v...

ამ შემთხვევაში ჰს დაკარგვას, ცხადია, ხელი შეუწყო ძნელად წარმოსათქმელ თანხმოვანთა ერთად ბავშოყრამ (შდრ. რომელმან შეურაცხ-ყავ საწყუთროდ 59; რომელმან გულირგუინოსან ჰყვენი წმიდანი მოწამენი 88...).

ღ) ჰს წინ: ქმენ ცხოვრება შორის ქუეყანასა 259.

ე) ზს წინ: რომელი ზი მარჯულ მამისა 93; რომელი ზი ზედა ქერაბინთა 125.

ვ) ჰს წინ: სიწმიდისაჲ ამაღლებასა ჰოთ 207v.

ჰს დაკარგვის რამდენიმე შემთხვევა დასტურდება აგრეთვე სონორი რღა მ თანხმოვნების წინ.

ზ) რს წინ: რწმენეს ყოველთა, რამეთუ მე ვარ ღმერთი 128v (შდრ. რამთა ჰრწმენეს ყოველთა 128); რომელთა იხილეს, რწმენა და იტყოდეს 160; იხილა და რქუა მას 40; რქუა მას: გრწმენინ უფლისაჲ 125v.

თ) მს წინ: ასდგ მკურდრეთით, ამაღლდი ზეცად 190v; ამაღლდი დიდებითა 191v (შდრ. ჟუარსა ზედა აჰმაღლდი 246).

2. ჰ არ არის დაცული რამდენიმე საკუთარ სახელში. სისტემებრ ჰს გარეშე გვხვდება ჰაბო და ჰეროდე, ხოლო აბრაჰამი პარალელურ ფორმებს წარმოგვიდგენს; მაგ.:

მაშინ მოწყუილეს აბო 39v; მიუგო... მოწამემან უფლისამან აბო 39; ეტყუის აბოს 39v, აბო, რასა-ესე შეგწამებენ 39... შეძრწუნდა ეროდე 277v; ურჩულომან ეროდე დასთხია... სისხლი 227v; ეროდე მოწყუედაჲ ჩჩუილთაჲ ბრძანა 182; ეროდე ყრმანი მოსრნა 182v; არწმუნებს ეროდეს 225; ეროდე მსაგან მოიკლა 229v; ჰ შენდა, ეროდიადა 225v... შური აბრაჰამისი აიღო 110v (შდრ. წიალთა აბრაჰამისთა 118v).

ისეთ საზოგადო სახელებში, როგორცაჲ ჰურიია, გეჰენია, ჰამო ჰ შენახულია:

ჰურიანი იგი 206v, შესაკრებელი ჰურიათაჲ 239... გეჰენიასა 110... ჰამო არს 109.

რს დაპარბჰა

1. რს დაკარგვის გამო თანხმოვანთა ძრწ კომპლექსი გამარტივებულია: მაგ.:

რომლისაგან ძწიან ძალნი ცათანი 42; ძწიან ... თანამდგომარენი 286v... სამყარონი ცათანი ძწიან 74; იხარებად სულითა და ძწოლად⁴⁸ 23; ძწოდეს⁴⁹ ანგელოზთა წესნი 31v; ანგელოზნი ძწოლით⁵⁰ გამსახურებენ 277; ძწოლით გხედვიდა 165v; შიშით

⁴⁸ შდრ. ძწოლი: ჰაიმეტი ტექსტები, 49v, 6.

⁴⁹ შდრ. ძწოდეს: ОПИС. 16.

⁵⁰ შდრ. ძწოლით: ხანმეტი მრავალთ. 1a2; 3a4.

და ძ წ ო ლ ი თ მოვედით 143; წყალნი ძ წ ო ლ ი თ უკუნ-იქცეოდეს 284; ძწოლამან 306 და სხვ.

2. სამაგიეროდ, რ ყოველთვის თავის ადგილასაა, თუ ამ ფუძეს წინიდან დაერთო შე ზმნისწინი; მაგ.:

ანგელოზთა მკვდრობანი შე ძ რ წ უ ნ დ ე ს 23v; შე ძ რ წ უ ნ ე ბ უ ლ ვარ 32; შე ძ რ წ უ ნ ე ბ უ ლ იქნა ეროდე 1, შეძრწუნებულნი 192, შეძრწუნებულთა 145v...

3. ხელნაწერის ამაზე მიწერილ შენიშვნებში ორ ადგილას **ესრეთ** (<ესრეთ) და **ესრე** ზმნიხედები გამართივებულია რ-ს დაკარგვით, რის შედეგადაც ეს მეორე ფორმა გარეგნულად მთლიანად დამსგავსებია **ესე** ჩვენებით ნაცვალსახელს; მაგ.:

შემინდვით: შევსცეთ და ესეთ დაწერეთ. ვითა კამს, ეგრე თქუთ 55: უფალო ლალატყავი წართქუან და თავითგან ესე უქციონ 173.

ბ-ს ლაპარაკი

1. **ბ** არ არის წარმოდგენილი წ-ს წინ **მწრაფლ**-ში, მაგრამ სათანადო ძიებისგან ნაწარმოები ზმნის პირიან ფორმაში კი იგი ყოველთვის დაცულია; მაგალითები:

მწრაფლ აემართა 156; მწრაფლ მიუგო 254; მწრაფლ შევიდა 254; მწრაფლ მოაქციენით 16v; მწრაფლ მიუტევე 157v; მწრაფლ ქადაგებული 16... **მაგრამ:** მოვისწრაფე შენდა 114v; ვისწრაფოთ, ერნო, აღსარებად 100; ისწრაფე განრინებად 120v; ისწრაფდი მისღვად 19; ხოლო პეტრე ისწრაფა 156v, ისწრაფდე ს განშორებასა კორცთაგან 84v...

ბ. მარი მსწრაფლ-ში **ბ-ს** ზსაგან მომდინარედ თვლიდა. მასში ხანის უხმარებლობას კი რატომღაც ტაო-კლარჯეთიზმს მიაწერდა⁵¹.

2. **ბ** არ მოიპოვება აგრეთვე **წინაწარმეტყუელ**-ში; მაგ.:

წინაწარმეტყუელი იოანე 199v, წინაწარმეტყუელისგან 123v, წინაწარმეტყუელნი 72, 106v, წინაწარმეტყუელთა 135v (მდრ. წინადასწარვე იძლია 155v).

სხვა თანხმობების ლაპარაკი

აქა-იქ დაკარგულია აგრეთვე **დ, ლ, ნ** და **ფ** თანხმობები.

1. **-მდე** თანდებულის დართვისას სახელებს ვითარებითი ბრუნვის ნიშანი **-დ** ჩვეულებრივ შერჩენილი აქვთ. მისი დაკარგვის მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა გვხვდება; მაგ.:

კარისა მის დაჯშევამდე 76; პირველ აღსრულებამდე 94v, კიდრე ბზობამდე 75v, მიმთამდე ზეთის ხილთა 186v

⁵¹ „Иногда такие тао-кларджетизмы поддерживаются обеими рукописями, как напр. მწრაფლ, resp. მწრაფლ ვმ. მწრაფლ: „Ляния трех святых близнецов мучеников...“, გვ. 296.

(შდრ. პირველ შობადმდე 263, მისიკუდილდმდე 185v, ვიღრე წ ა რ -
დ გ ო მ ა დ მ დ ე 80)...

2. ლ-ზე დასრულებული ფუძის მქონე სახელთა ვითარებით ბრუნვაში ეს თანხმონიანი, როგორც წესი, დაკულია, მაგრამ -მდე თანდებულის დართვისას იგი ზოგან მოკვეცულია; მაგ.:

ვიღრე სიკდილდმდე არა უარ-გყო 159v (შდრ. თავნი მათნი მისცნე . სიკუდილდ 85; ერთი ვინმე თქუენგანი მიმცემს მე სიკუდილდ 155v; სიკუდილდ მიცემული 166v).

3. გვხვდება ნ-ს დაკარგვის ასეთი შემთხვევა:

სირღმესა... დათქა 229v; უფსკრულად დათქმული 68v.

4. ფს კომპლექსი გამარტივებულია ფ-ს დაკარგვით:

უ ს კ რ უ ლ ნ ი შეძრწუნდეს 45; სირღმემან უ ს კ რ უ ლ თ ა 68v (შდრ. უფსკრულნი 48v, უ ფ ს კ რ უ ლ ა დ დათქმული 68v).

ჩვენი ხელნაწერის მე-9v გვერდზე მარცხენა აშიაზე იკითხება: სა ლ მ უ ნ ი, ხელთა ბანისაჲ ყოველი ათენაგენასა ჰპოო^ლ². ჩვენს ძეგლში ეს სიტყვა ილიან ხშირად გვხვდება და ყველგან ფსა ლ მ უ ნ ი იკითხება. ცნობილია, რომ ფსა ლ მ უ ნ ი წარმოშობით ბერძნული სიტყვაა. ა. შანიძის აზრით, მასში უ მიღებულაა ო-საგან ბავისმიერი მ ბგერის გავლენით, სიტყვა ნაახსნებია ბერძნული აკუზატივის ფორმით (ψαλμός), რაც ამავე დროს მაჩვენებელია იმისა, რომ იგი სომხურიდან (սաղմոս) არ შეიძლება მოდიოდეს. ზემოთ დასახელებულ სა ლ მ უ ნ-ში უნდა ვიგულისხმოთ ფ-ს დაკარგვა.

აღ- და გან- ზმნისწინების გამარტივება

1. აღ- ზმნისწინის ლ თანხმონიანი მრავალ სიტყვაშია დაკარგული. დაკარგულია როგორც თანხმონით, ისე ხმონით დაწყებულ ზმნებში. არ გვევლდება ძვ. ქართული ენის სხვა რომელიმე ძეგლი, რომელშიც ამ ზმნისწინის გამარტივების პროცესი ისე შორს იყოს წასული, როგორც ეს ჩვენს ხელნაწერშია. ეს გარემოება აშკარად მიუთითებს ხალხურ-სასაუბრო მეტყველების ძლიერ გავლენაზე და ამავე დროს იმაზეც, რომ ჩვენი ძეგლის გადაწერის დრო ამ ვითარებისა და აგრეთვე სხვა ორთოგრაფიული და ფონეტიკური მოვლენების გათვალისწინებით არ შეიძლება მე-10 საუკუნეზე ადრე იქნეს დადებული.

ფონეტიკურადაა შეპირობებული აღ- ზმნისწინში უკანაენისმიერი ღ-ს დაკარგვა ამავე რიგის თანხმონეების წინ.

ა) პირველ რიგში უნდა დავიმოწმოთ ზმნები, რომელთა ფუძე ღ-ს შეიცავს; მაგ.:

ღღესა კორცით აღებასა (<აღლებასა) 75... ჭუარი აიღეს 54; გუამი შენი აიღეს 221v; ჭუარი... აიღო 80... აგამალლო 129. ავამალლო 14v, აამალლოთ 244, ამაღლდა 257, ავპალლოთ 110, აპალლდა 163v; 168; 176; 191, აპალლი 188v; 189v; 190; 303; 304, ავამალლოთ 48, ამაღლებულმან 64, ამაღლებულსა 190v, აპალლებასა 207, ამაღლებითა 189v...

82 191v გვერდზე ფსანწინი იხმარება.

ბ) ხ-ს წინ: ახილვას ა შენდაში 92, ახილვად ზეცად 95v...

გ) კ-ს წინ: აკოცენ ცოდვანი ჩემნი 119v; აკოცნეს ცოდვანი სოფლისანი 25; აკოცოს... სიმრავლემ ცოდვათა 73v; აკოცა 159v, აკოცნა: იქვე, აკოცე 79v, აკოცამ 103...

დ) ჰ-ს წინ: სულნი რჩეულთა შენთა თანა აპრაკცენ 274v; მთასა... აპჯედ 292; აპჯედ ძელსა 165v; აპმალდი ზეცად 189...

ამ უკანასკნელ ზმნაში ზოგან ლ-სთან ერთად დაკარგულია აგრეთვე მეორე სუბიექტური პირის ნიშანი ჰ: რამეთუ ამალდი ზეცად 189...

ე) გ-ს წინ: მის თანა აგიარებდა 66v; აგიარებდეს შენ 106 (შდრ. აღიარებდეს 135v); მძლავრმან მან აგიარა 167v; გუემასა შინა აგიარეს 203v; ღმრთად აგიარეს 133; აგიარონ შენ 207v... აგზებული იგი ცეცხლი 16; 40...

ვ) განსაკუთრებით ხშირია ლ-ს დაკარგვის შემთხვევები **ღვ** ფუძის მქონე ზმნის პირიან და უპირო ფორმებში: მაგ.: აღვა 52v; 172v; 173v; 197; 272v, ადგომა 52; 126v; 127v; 128v; 140v; 160v; 163; 178, ადგომასა 5; 89; 126; 170v, ადგომისა 5; 177v; 258, ადგომისაცა 143, ადგომისასა 227, ადგომითა 187; 302v... წინა-აუღევ 5, წინა-აუღევით 9, წინა-აუღვეს 60v, აუღვეს ბრძოლად 55.

შთაბეჭდილება ისეთია, რომ თხრობით კილოში, როდესაც ზმნა მეორე სუბიექტური პირის ფორმითაა და პირის ნიშანი ს მასში წარმოდგენილია, აღ-ზმნისწინის ლ ყოველთვის იკარგება, ხოლო როდესაც ზმნის ეგვეე პირი ბრძანებითი კილოს ფორმითაა და, ცხადია, მეორე სუბიექტური პირის ნიშანი საჭირო აღარ არის, ამ მოვლენას ადგილი არა აქვს. ამის მიხედვით თხრობითი კილოს ფორმა ბრძანებითისაგან არა მარტო იმით განსხვავდება, რომ პირველს მეორე სუბიექტური პირის ნიშანი აქვს, მეორეს კი არა, არამედ იმითაც, რომ თხრობაში ზმნისწინის ლ ჩამოცილებულია, ბრძანებითში კი თავის ადგილასა (შდრ. ასდევ და აღდევ). მაგალითები:

გაქებთ შენ..., რომელი ასდევ და ახარე მოციქულთა 5v; რომელი ასდევ მკუდრეთით დაურჩელად 75; რომელმან ივნე ჩუენთუის და ასდევ მკუდრეთით 154; რომელი დაეფალ და მესამესა დღესა ასდევ 179; ივნე ჩუენთუის და ასდევ მკუდრეთით 158; **მაგრამ:** ლაზარე, აღდევ და გამოვედ გარე 283; აღდევ, ღმერთო, შემეწიენ ჩუენ 76v; აღდევ და გამოვედ გარე 126...

მაგავსი მაგალითები სხვა ძეგლებიდან:

ასდევ მკუდრეთით მესამესა დღესა: სას. პოეზ. ხდ. 427; რომელი ასდევ საფლავით მესამესა დღესა: Опис. 27; შენ ასდევ, უფალო: იქვე, 54; **მაგრამ:** აღდევ და განაბნიენ მტერნი შენნი: სას. პოეზ. სუბ 42; აღდევ, ღმერთო, საჯე შჯაი: Опис. 30; აღდევ წიალთაგან მაძისათა: იქვე, 2...

ერთი შეხედვით, ლ-ს დაკარგვა შეიძლებოდა ხ-ს გავლენისათვის მიგვეწერა (**ღხ > ხ**), მაგრამ ეს არ იქნებოდა სწორი, რადგან თვით ჩვენს ძეგლშიაც გვხვდება არა ერთი შემთხვევა, როცა ზმნისწინის ლ ხ-ს წინაც მოიპოვება: მაგ.: აღსრულება 218v; 199, აღსრულებითა 22, აღსრულებად 19; 42; 54; 136;

285, აღსასრულსა 252, აღსლვაჲ 192, აღსლვამან 159v, აღსლვითა 190, აღსარებული 111, აღსარებით 165...

უფრო მოსალოდნელია, რომ ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში ღ-ს დაკარგვა ღ, ს და ღ თანხმოვნებია ერთად თავმოყრის ბრალი იყოს.

ზ) ღ-ს დაკარგვის შემთხვევები სხვა თანხმოვნების წინ: მამისა მიერ ათქმული; ჭუართა აპყრობაჲ 245v, აპყრობაჲ ქელთა ჩემთაჲ 79, ღამესა ამსთობილნი 133, ავიმსთობთ 208v...

თ) ღ-ს დაკარგვის არა ერთი და ორი შემთხვევა დასტურდება ხმოვნებს შორისაც: ხოლო მან აიარა ძეჲ მამისა 38; აიარნა იგინიცა 82v, აიარებენ 28v, აიარებდეს 82v... სიხარულით აივსნეს 40v; 194... აიძრა კმაჲ მამისაჲ 275v; მან აიკიდა იგი 18v; აიკიდა ძმ თუისი 110v; ამსთუეს 306; აიჭურვოდეს ურჩულონი 36v; აიხნა ცოდვანი 48, აიხნეს 22v, აითქუამს ქრთამსა 155; აიძრა კმაჲ 275v... ჭუარი აემართა 156; 168; 244; 303v; მწრაფლ აემართა 156; აესრულა 259... წინა აუდგ 5v; წინა აუდგეთ 110; აუდგეს ბრძოლად 55; აუარებდით 37v; 75v; 231, იგინი აუთქმიდეს 148; აუთქუფალსა შენსა 19; აუხილნა 193, აუტევეს კმაჲ 289, აუშედნა 225v, აურაცხელი 171v; 201v; 207, აურაცხელსა 21; 66v; 143; 177v...

2. რამდენიმე შემთხვევაში გამარტივებული სახითაა აგრეთვე გან ზმნისწინი, დაკარგულია ბოლოკიდური ნ; მაგ:

ქელის გართხმასა (<განრთხმასა) 150, გამამძრიელე ბელ მექმენ მე 198v; გასჯად არს 158; გაშჩად ცხოველთა 145v, ოდეს მოხუიდე გარჩად ცხოველთა და მკუდართა 116; გაჩინებული დღე მარტსა ცხრასა არს 104v...

რაც შეეხება წარ და გარდა ზმნისწინებს, ისინი ყოველთვის სრული სახითაა დაცული.

ერთად მოხვედრილი ორი ერთნაირი თანხმოვნითაა

ერთის დაკარგვა

ხშირია შემთხვევები, როცა ერთმანეთის გვერდით მოხვედრილი ორი ერთი და იმავე თანხმოვნის ნაცვლად სიტყვაში ერთია წარმოდგენილი. პირველ რიგში ამ მოვლენას ადგილი აქვს სპირანტებისა და სონორი ბგერების შეხვედრისას.

სს>ს

ოთხატენი (<ოთხხატენი). ძეგლში ეს სიტყვა სულ შვიდჯერ ვხვდებოდა და ყოველთვის იგი ერთი ხანითაა დაწერილი:

ვერ იტუირთიედეს ოთხატენი 73; ოთხატენი ცხოველნი გაქებენ შენ 51v; ოთხატენი ცხოველნი ქერაბინ-სერაბინნი გაქებენ 121; ოთხატენი გიტუირთენ 286v; ოთხატელთა საყდართა 287.

17. ჰილ-ეტრატის ილგარი :

შდრ. სხვა ძეგლებიდან:

ოთხბატენი: სას. პოეზ. მმ 11, ოთხბატენი ზეცისა ძალნი:
იქვე, სმმ 30; საყდარნი ოთხბატენი: იქვე, სდა 93...

სს>ს

ამას ადგილი აქვს ს-ზე დასრულებულ სახელთა მხოლობითი რიცხვის მი-
ცემითსა და ნათესაობით-მიცემითში. მაგალითები:

თთუესა ივნისა 197v, თთუესა კთ ივნისა პეტრე-პავლეთამ
224v, თთუესა ივნისა ივანემს შობამ 197v, თთუესა ივლისა
224v, ვადიდებდეთ საკსენებელსა მისა 38; ყოველსა ლაზარე-
მსა იტყუიან 125; აიმღერნა მოკითხვასა ელისაბედისა 294;
სახლსა ზაქარიამსა 200v, ლირს-მყვენ ჩუენ... საკსენებელსა
წმიდისა მარიამისა 220v; ვჰყოფდეთ კსენებასა წმიდისა აბო-
მსა 41...

ს დაკარგულია რთულ ზმნებში: თაყუანი-სცა (<თაყუანის-სცა), ნუგე-
შინი-სცა (<ნუგეშინის-სცა).

მმ>მ

ეს მოვლენა თავს იჩენს მაშინ, როცა ფუძე ნ-ზე გათავებულ ზმნაში გა-
მოხატულია ნარიანი მრავლობითის სახელობითში დასმული პირდაპირი ობი-
ექტი; მაგ.:

მიკსნა (<მიკსნა) ჩუენ 26; რამთა ვიკსნეთ (<ვიხსნეთ
იგინი) ურჩულოებათა ჩუენთაგან 268; აცხოვენეს სულნი ჩუ-
ენნი 227.

მმ>მ

დასტურდება მანით დაწყებულ ზმნათა პირველი ობიექტური პირის ფორ-
მაში. მაგ.:

ალმართე (<ალმართე) მე 112; ვითარ მომართოს (<მომმარ-
თოს) 39v.

თთ>თ

თანინი მრავლობითის მიცემითსა და ნათესაობითში ხშირად ერთი თა-
ნით არის გადმოცემული სიტყვა წარმართი; მაგ.:

წარმართა მოუწოდე 4v; გამოუბრწყინდა მადლი წარმარ-
თა 136... სიბრძნეა ჰურიათა ექმნა საცთურ და წარმართა სი-
სულელე ცხოვრებად 172; წარმართა მოწოდება... აუწყე 130;
შორის სიბრველესა წარმართასა 395a...

⁸⁶ ამ რიგის ფაქტები სპეციალურ ლიტერატურაში შეფასებულია როგორც თემდ-დური მოვ-
ლენები: „ზოგან ხელნაწერში თემდ-დური მოვლენები გვხვდება: ერთი ასო ხოლმე დაწერილი
ორი ერთნაირის ნაცვლით: ერთსა მას შაბათსა 14,10 = ერთსა მას შაბათსა“: ა. შანიძე,
ქართული ხელნაწერებ გრაფიკის, ტფილ. სის უნივერსიტეტის მოამბე, IX, ტფილისი, 1929, გვ. 328.

ხმოვანთაგან ამგვარ მოვლენას ადგილი აქვს ერთ სიტყვაში: **აღსარება** (<აღსარება>); მაგ.:

მეტრსა სძლეს... მართლ-აღსარებითა 109; კმითა ქებისათა და აღსარებისათა 50, რაჟ მიხილა წყლულებისაგან აღსარებული 111...

შესაძლებელია ყველა ზემოაღნიშნული შემთხვევა მივიჩნიოთ წმინდა ორთოგრაფიულ მოვლენად (იწერებოდა ერთი ნიშანი, იკითხებოდა კი ორი), მაგრამ ამის საფუძველი მინც ზეპირ მეტყველებასა და სიტყვის აკუსტიკურ მხარეში უნდა ვეძიოთ. ცნობილია, რომ „როცა ზედიზედ მოდის ორი სრულიად მსგავსი ბგერა... სინამდვილეში (ე. ი. წარმოთქმაში) შესაძლებელია არსებობდეს, როგორც ერთი ბგერა, რომელიც მხოლოდ იმით განსხვავდება ცალკეული ბგერისაგან, რომ... შეიძლება დაყოვნებული იყოს მეტად, ვიდრე ცალკეული“⁵⁴.

ჩვენს ხელნაწერში გვხვდება მრჩობლი თანხმოვნით დაწყებული ცნობილი სიტყვები: **ჩხული** და **თთუე**. პირველში ჩვეულებრივ ორივე **ჩ** არის წარმოდგენილი; მაგ.:

ჩხული 68, ჩხულად 72, ჩხულნი 182v, ჩხულთა 182v, ჩხულთაჲ 277v...

მხოლოდ ორიოდ შემთხვევაში ქარაგმის ქვეშ გვაქვს: **ჩლთა**, **ჩლთა**:
საკსენებელსა ჩლთა ყრმათასა 182; ეროდე მოწყუედაჲ ჩლთა ბრძანა 182.

მეორეში კი მხოლოდ ერთი **თ** მოიპოვება, თუმცა სათანადო სიტყვა ყოველთვის დაქარაგმებულია; მაგ.:

თსა სეკდემბერსა 232, თსა ნოემბერსა 265v, თა დეკემბერსა 18v (აგრეთვე: 9v; 39v; 53; 59; 64; 183)...

ხმოვანთა რედუქცია

ჩვენი ძველი რედუქციის მხრივ ისეთსავე სურათს წარმოგვიდგენს, როგორც X—XI საუკუნეების სხვა ხელნაწერებისთვისაა დამახასიათებელი. სახელთა კუმშვისა და კვეცის შემთხვევები ზშირი არაა, მაგრამ სადაც ამ მოვლენას ვხვდებით, იგი ექვემდებარება ა. შანიძის მიერ დადგენილ ცნობილ წესს: ხმოვანთა რედუქციას ადგილი აქვს მაშინ, როცა ფუძეს ბოლოში დართვის ისეთი მაწარმოებელი ელემენტი, რომელიც ხმოვნით იწყება. აპასთან ერთად, რედუქცია შეიძლება მოუვიდეს მხოლოდ იმ ხმოვანს, რომელიც უახლოესია ამ დართულ ელემენტთან⁵⁵.

რედუქტირებულია ა და ე ხმოვნები ფუძე თანხმოვნით დამთავრებულ სახელთა ბოლო მარცვლებში.

1. ამოღებულია ა ხმოვანი შემდეგ ბოლო მარცვლებში:

ა) -აღ: წყლითა მით 21v, ნათელ-მცე წყლითა 51; შიშისაგან

⁵⁴ გ. ახვლედიანი, ზოვადი და ქართული ენის ფიზიკის საკითხები, თბილისი 1938, გვ. 37.

⁵⁵ ა. შანიძე, შელიწადის ეტიმოლოგიისათვის, წელიწადული. I—II, ტფილისი, 1923—1924, გვ. 7; მისივე, ქართული გრამატიკა, I, მორფოლოგია, ტფილისი, 1930, გვ. 15.

მკეველისა 155v, აღმოსავლით 292 (შდრ. აღმოსავალით 277v), დასავლით 17v; ყურიმლის-ცემასა 181, ყურიმლის-ცემასათვის-იდებს 160v (შდრ. ყურიმალის-ცემამა... თავს-იდვა 160)...

ბ) -ან: პატიოსნითა 169; 244, პატიოსნითა ჭუართა 187, პატიოსნითა სისხლითა 304v, კიდობნად 235.

გ) -არ: ტაძრისა 163, მაცხოვრისა 198, ტალავრითა 211v, ლახურითა 246v...

დ) -ავ: მეძვისა მის ცრემლი 104v, ეზო იგი კარვისა 220v (შდრ. კარავისა 280).

2. აზოლებულია ფუძისეული ეხმოვანი:

ა) -ელ: ნელსაცხებელისა 147 (შდრ. ნელსაცხებელისა 157v), ნელსაცხებლითა 147v, ღრუბლისა 162, ღრუბლითა 284v, ფიცხლითა შრომითა 55v, სახუეველითა 1... მგალობლად 103v, საშუებლად 43v, განსამტკიცებლად 195, დაუცხრომლად 84v, მქადაგებლად 201...

ე-ზე გათავებული გეოგრაფიული სახელი იორდანე ფუძე-კვეცადია. ნათესაობითში ბოლოკიდური ე ჩვეულებრივ იკვეცება და გვაქვს: იორდანისა ლელვანი 43, იორდანისა წყალთა 30, ლელვათა იორდანისათა 43. წყალთა მათ ზედა იორდანისათა 42v, წყალთა მიერ იორდანისათა 43...

სხვა ძეგლების მსგავსად, ჩვენს ხელნაწერში, როგორც ზემოთ დამოწმებული შეადარებელი მასალიდანაც ჩანს, ზოგჯერ პარალელურად გვხვდება ერთი და იმავე სიტყვის შეკუმშული და შეუკუმშველი ფორმები. რაც შეეხება მათ შეფარდებას რაოდენობის მიხედვით, უნდა ითქვას, რომ შეუკუმშველი დიდად სჭარბობს შეკუმშულ ფორმებს. დაეიმოწმებთ რამდენიმე მაგალითს იმ სახელებისას, რომელთა ფუძე ზემოაღნიშნულ მარცვლებზე ბოლოვდება.

-ალ: აღმოსავალით მოვიდეს 277v, აღმოსავალითგან 231v...

-ან: ქუეყანისა 220, ქუეყანად 220v, ქუეყანისა 41v; 105v; 156, ქუეყანისათა 202v, ქუეყანისანი 98v...

-არ: მეგობარება 3, მაცხოვარისაგან 157, მოძღუარისა 155, მაცხოვარებისა 228v, მაცხოვარებითა 103, მზაკვარებათათვის 53v...

-ერ: მტერისა 83v, ძალი მტერისა 50v, მტერისათა 53v, მტერობა 156v...

-ელ: ნელსაცხებელისა 157v, საცხენებელისა 184v, დამბადებელისა 32, მშობელისა 212v, ღმრთის მშობელისა 206, სასუფეველისა 230v, საკურთხეველისა 243, საჭურველითა 105v; 242, ნათლის-მცემელისათა 46 და სხვ.

ახალ ქართულთან შედარებით განსაკუთრებით თვალში საცემია ფუძე-ელ-ზე გათავებულ სახელთა შეუკუმშველი ფორმების ხშირი ხმაარება ვითარებით ბუნებაში:

დაუცხრომლად 14; 34v; 5v; 104; 126v; 190; 199v, მახარებლად 44v, დაუცადებლად 54v, საყუდელად 78v, დამამტკიცებლად 137, დასამტკიცებლად 80v, საცხენებლად 113v, საცხოვრებლად 13v; 124v, უქცეველად 127v, დაუღუმებლად 137, სამხილებ-

ლად 163; 182v, სამკუდირებელად 179v, მოსატევებელად 159, ნუგეშინის-მცემელად 197, ნათლის-მცემელად 199, შეურიგებელად 216v, სწიღებელად 227v, შეურყეველად 235v, მქადაგებელად 206, შესავედრებელად 241 და სხვა მრ.

ყოველი: ნაცვალსახელი საერთოდ და ჩვენს ხელნაწერშიც ნათესაობითსა. მოქმედებითსა და ვითარებითში, როგორც წესი, შეკუმშული სახით იხმარება.

ო-ს ვ-დ დავიწროების შედეგად მიღებულია: **რავედენ** (<რაოდენ), **ივანე** (<იოვანე): რავედენ შემძლებელ იყენეს დატევენად 294v; ივანეს 197v.

ამგვარად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ხელნაწერი რელიქტიის მხრივ მყარ მდგომარეობას არ წარმოგივლდგენს. ეს არ არის მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ძეგლის თავისებურება. ამგვარი სიჭრელე დამახასიათებელი ჩანს, საერთოდ, X—XI საუკუნეების სალიტერატურო ენისათვის, რომელზედაც, უნდა ვიფიქროთ, ამ მიმართულებით სხვადასხვაგვარ გავლენას ახდენდნენ ქართული ენის დიალექტები, რომელთაც მაშინაც, ალბათ, განსხვავებული სიძლიერის რელექტია ახასიათებდათ. სამწერლობო ენაში ხალხურ-სასაუბრო მეტყველების ნაკადის შემოჭრასთან ერთად, ცხადია, ანგარიში ეწეოდა იმ მტკიცე ტრადიციას, რომელზედაც იქმნებოდა ქართული ენის უძველესი ძეგლები.

ბგერის ბაჩინა

ბგერათა გაჩენის შემთხვევები ჩვენს ძეგლში არ არის მრავალფეროვანი. ჩვენი მასალების მიხედვით ეს მოვლენა, რომელიც არ არის შეპირობებული ფონეტიკური ფაქტორებით, ჩვეულებრივ თავს იჩენს ხოლმე სხვა ფორმათა ანალოგიის ან კონტრამინაციის შედეგად.

1. ერთის ნაცვლად ყოველთვის ორი თანით გვხვდება შედგენილი რიცხვითი სახელი **ათორმეტი**; მაგ.:

ათთორმეტნი მოწაფენი 161, ათთორმეტთა გუნდთა 161.

ათთორმეტთა მათ მოწაფეთა 140, ერთმან ათთორმეტთა განმან 146v; 148v.

როგორც ვხედავთ, ამ მაგალითებში შედგენილი რიცხვითი სახელი გამარტივებული კი არ არის, რომლის შედეგად შემდეგში **თორმეტი** მივიღეთ. პირიქით, ერთგვარად გართულებულიცაა, რის გამოც უფრო მეტად დაჩრდილულია თავდაპირველი გაგება იმ მნიშვნელობისა, რომელიც ამ რიცხვით სახელის შემადგენელ ფუძეებს გააჩნიათ (ათი—ორი—მეტი). მოსალოდნელია, რომ იმ პერიოდში, რომელსაც ჩვენი ძეგლი ეკუთვნის, ზეპირ მეტყველებაში „თორმეტი“ უკვე არსებობდა, მაგრამ, ამასთან ერთად, უძველესი ძეგლებს ტრადიციის გავლენით დაწერილობაში შემონახული იყო **ათ-ოც** (ათ-თორმეტი).

2. ერთგვარი გააზრანების შედეგია ჩვენს ხელნაწერში ხმარებული ურთიერთარსებ; მაგ.:

80 „ურთიერთარს“ ВМ. ურთიერთარს“ (Н. М а р р, ТР. 1X, გვ. 72; მისივე. Описание грузинских рукописей Синайского монастыря, გვ. 156; კ. ანკელოვი. „ცხოვრება ტიმოთე ანტიოქელისა“, გვ. 29.

უ რ თ ი ე რ თ ა რ ს ი ტყოდეს 109v; შეძრწუნებულნი უ რ თ ი ე რ თ ა რ ს ი ტყოდეს 192 (შდრ. უ რ თ ი ე რ თ ა ს ი ტყოდეს წმიდანი ორბეოცნი 109)...

3. ძვ. ქართული ენის სხვა ძეგლების მსგავსად, ჩვენს ხელნაწერშიც მოქმედებითი ბრუნვის -ურთ თანდებული მცდარი გააზრანების გამო -თურთ-ის სახით არის წარმოდგენილი; მაგ.:

მოწაფითთურთ 169, ეტლებითთურთ 272, მამით ჩუენითთურთ 91v (შდრ. შვილითურთ 293v).

ეს თანდებული ამ სახით ისე ხშირად გვხვდება ძველ ძეგლებში⁵⁷, რომ იქნებ ნაწილობრივ ამან შეუწყო ხელი, რომ პლ. იოსელიანისა, დ. ჩუბინაშვილისა და დ. ყიფიანის გრამატიკებში იგი თანდებულად იყო მიჩნეული⁵⁸.

რამდენიმე შემთხვევაში ზედმეტი ჩანს უმარცვლო უ:

უმსჯუაეროებისანი (<უმსჯაეროებისანი) 89... შჯიდე თ უ ი თ ო ე უ ლ თ ა 145; დაიდგენს საყდარნი და რჩიდეს თ უ ი თ ო ე უ ლ თ ა 306v; თუთოეულად 165 (შდრ. თითოეული 104).

თუთოეული მიღებული უნდა იყოს თუით და თითოეულ ფორმათა კონტამინაციით.

გვირგვინი მონაცემოვთა

1. ბგერათა მონაცვლეობის მხრივ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ძვ. ქართულიდან ცნობილი ვ და მ თანხმოვნების მონაცვლეობა:

ვითარცა მასკუ ლავი⁵⁹ 201, მასკუ ლავისა 1 (შდრ: ვარსკვლავითა 43v, ვარსკვლავთა 201v, ვარსკვლავთა 68, ვარსკვლავნი 20).

2. ზ-ძ-ს მონაცვლეობის მაგალითია ბძარცა (<ბზარცა): ყინელითა და ნიავისაგან დაიბძარცოდეს ქორცი 106v.

ამოსავალი ჩანს ზ-ს შემცველი ფორმა. შდრ. ზ რ ა ხ ე ა > ძ რ ა ხ ე ა; ზ ა ხ ი ლ ი > ძ ა ხ ი ლ ი და მით.

3. ხ-სა და ზ-ს შენაცვლების შემთხვევები მოდის ბერძნულიდან შემოსულ სახელებზე. რომელთაც ბოლოს ოს დაბოლოება მოუღიო. ხ ჩვეულებრივ ზ-თია წარმოდგენილი; მაგ.:

ანგელოზი 6, ანგელოზად 7v, ანგელოზთა 144, ანგელოზთანი 150v... ნიკოდემოზ 167; 172v.

4. ვედ—ვიდ ფუძის ძირეული თანხმოვანი ვ მეორე სუბიექტური პირის ხ პრეტექსთან მეზობლობაში უმარცვლო უნით არის შენაცვლებული; მაგ.:

მიხუილოდე ადგილსა მას ვნებისასა 158; ოდეს მოხუიდე

⁵⁷ «В твор. падеже после тог ურთ... получает против всякого основания вид თურთ, так... სოფლებით-თურთ. ყოვლით-თურთ... ვრით-თურთ, ჭალაქით-თურთ... წმიდით-თურთ» (Н. Манн, ТР, IX, გვ. 72).

⁵⁸ «ხ. ვ. თ ო ო უ რ ი ა ს ნაშრომი „ბუნებრივი კომპლექსებისათვის“, ენმკის მოამბე, I, გვ. 119.

⁵⁹ ქართული ენის ეპოეგში ამ ფურმის არსებობის შესახებ იხ. ნაშრომები: არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს გარე. ვახუთი დიალექტოლოგიურად. არილი. გვ. 70; მ ი ს ი ე ე, მთიულურის თავისებურებანი, ენმკის მოამბე, II, გვ. 47; ვ. თ ო ო უ რ ი ა ს, ქართლური, არილი, გვ. 136.

გარჩად 116; ეგრეთვე შეხუდ ბქეთა 180v; სახარების კითხვად გახუილოდ 158...

5. ო-სა და უ-ს მონაცვლეობის მაგალითია: რამთა ვნებასაცა შესნა კორცითა არა შეუქრ გულ დენ (<შეორგულდენ) 295.

6. ამ წყებაში შეიძლება განვიხილოთ აგრეთვე ქრისტიანული მწერლობის გზით ქართულში შემოსული ზოგი ებრაული სიტყვის ვითარება. მაგალითად, ა-სა და ო-ს შორის ერთგვარ მერყეობას ვამჩნევთ **ქერობინ** სიტყვაში. მეტწილად ამ სიტყვაში ა მაშინ გვხვდება ხოლმე, როდესაც იგი **ხერაბინ**-თან ერთად იხმარება, ე. ი. **სერაბინ**-ის ა მოქმედებს **ქერობინ**-ის ო-ზე და მას ა-დ აქცევს; მაგ.:

სერაბინნი და ქერაბინნი 192, სერაბინ-ქერაბინნი 52. რომელსა ვერ იტუირთვენ ქერაბინნი, არცაღა იხილვენ სერაბინნი 44; სერაბინნი და ქერაბინნი დაუტხრომელად იტყუიან 129v...

ცალკე ხმარებისას კი ეს სიტყვა ჩვეულებრივ ონით გვხვდება: მაგ.:

ქერობინად გამოჩნდეს 67; საყდრად ქერობინად იწოდა 71; შეძრწუნდეს ქერობინნი 135; უფროსს ქერობინთა გამოსჩნდი 219v; ქერობინთა მიემსგავსნეს 70v: ქერობინთა წილ 289, ქერობინთა მიერ 190v, ქერობინთა ზედა 74v და სხვ.

ანალოგიური ვითარება გვაქვს ძვ. ქართული ენის ზოგიერთ სხვა ძეგლშიც. შდრ. მაგალითად:

ქერაბინ-სერაბინნი: სას. პოეზ. როვ 216, სერაბინნი და ქერაბინნი Опис. 180; **მაგრამ**: ქერობინთა: სას. პოეზ. ნა 149, ქერობინთაგან: იქვე, რე 75, ქერობინთასა: იქვე, რპმ 19,9, ქერობინთა: Опис. 8, ქერობინი: იქვე, 14...

საყურადღებოა, რომ ზოგან **ქერობინ** და **ქერაბინ**-თან ერთად გვხვდება **ქერუბინი**-ც (ყამის-წირვა, ლგ 18).

ეს უკანასკნელი ფაქტი თითქოს იმის მაუწყებელია, რომ ქერობინ-ქერუბინი ქართულში ბერძნულიდან უნდა იყოს შემოსული (შდრ. ბერძნ.

Χερουβίνι, სომხ. **քերուբին**).

7. ერთ შემთხვევაში ბერძნული ფორმითაა წარმოდგენილი ადამიანის სახელი **გიორგი** (Γεώργιος): გეორგი წმიდისაჲ 183. თთუესა ნოებპერსა გ წმიდისა გეორგისი 265v.

8. ძვ. ქართულში დატული ნორმისაებრ ჩვენს ხელნაწერშიც ნასახლარ ზმნებში ვნებითობას დონი აწარმოებს „მხოლოდ მაშინ, როცა სახელის ფუძე ნარნარა (ნ, რ, ლ) ბგერებით არის დაბოლოებული, დანარჩენ შემთხვევებში კი სახელისაგან ზმნის მაწარმოებლად ჩვეულებრივ ნარია ხოლმე“⁶⁰. მაგრამ აქასთან ერთად გვხვდება ნორმიდან გადახვევის შემთხვევებიც, როცა მოსალოდნელი ნარის ნაცვლად დონი გვაქვს; მაგ.:

⁶⁰ ა. შ ა ნ ი ძ ე, ნასახლარი ზმნები ქართულში, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე I, ნაყ. I, გვ. 90; მისი იეკა ძველი ქართული ენა, გვ. 272.

დაგლახაკედეს მისიკულილდმდე 185v (შდრ. დაგლახაკ-
ნეს საყოფელნი კერპანი 240); ცხოვართა ზედა სამწყსოადა შე-
ნისათა ნუ განრისხდები 98.

დასკვნა: 1. საეკლესიო-სასულიერო მწერლობის ენისა და სტილის კონსერვატიული ხასიათის გამო თითქოს მოსალოდნელი იყო ჩვენს ხელნაწერში, რომელიც ჰიმნოგრაფიული ლიტერატურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია, ასე თუ ისე მტკიცედ დაცული ყოფილიყო ძველი კლასიკური ქართულისათვის დამახასიათებელი ერთიანი ორთოგრაფიულ-ფონეტიკური ნორმები. მაგრამ, როგორც ზემოთ წარმოდგენილი მიმოხილვიდან დავრწმუნდით, მასში საკმაოდ დიდი რაოდენობით დასტურდება ისეთი ხასიათის მოვლენები, რომლებიც აშკარად მიუთითებენ ტრადიციულ ნორმათა მოშლის პროცესზე. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ხელშესახება ჩვენს ძეგლში დაცული ცოცხალი სასაუბრო მეტყველების დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესები, რომლებიც, საზოგადოდ, ყველაზე უფრო ადრე იჩენენ თავს სალიტერატურო ენაში და ერთგვარ წინააღმდეგობასაც უწყევენ ამ ენის ნორმალიზაციის ტენდენციას.

2. ტექსტის გადაწერი, რომელიც აღზრდილი ჩანს კლასიკური ქართულის ძეგლებზე, რა თქმა უნდა, ცდილობს ძეგლი გამართოს სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვით, მაგრამ ხალხურ-სასაუბრო მეტყველების ძლიერი გავლენის შედეგად ნებისთ თუ უნებლიეთ ახალ ფორმებსაც მიმართავს.

3. ჩვენს ხელნაწერში წარმოდგენილი ფონეტიკური მოვლენები ცალცალკე X—XI საუკუნეების სხვა ძეგლებშიც გვხვდება, მაგრამ მთლიანად აღებული მათი ერთობლიობა შეიძლება ჩვენი ხელნაწერის თავისებურებად მივიჩნიოთ.

4. ფონეტიკის სფეროში ცოცხალი ენის გავლენას მიეწერება: ნაირ-ნაირი ასიმილაციური და დისიმილაციური პროცესები.

ძეგლში ზოგი ფონეტიკური მოვლენის თავიდან ბოლომდე გატარება:

ა) ღლატყავსა (<ღალადყავსა), რჩული (<შჭული<სჭული), ურჩული-

ება. დარჩილი, სარჩელი;

ბ) ნეფსით<ნებსით;

გ) უფესთაეს<უფეშთაეს;

დ) რ-სა და ღ-ს საურთიერთო და ღ-სა და რ-ს კონტაქტური მეტათეზისი: ძრელი<ძლიერი, უძრული<უძლიერი... სირღმე<სიღრმე;

ე) სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მქდერის დაყრუება: ცხებათ<ცხებად, ვნებათ<ვნებად.

ვ) ბგერათა დაკარგვის სხვადასხვა მოვლენები: თანხმოვანთა კომპლექსების გამარტივება სიტყვის თავში; ვ-ს დაკარგვა ბაგისმიერთა წინ. განსაკუთრებით უმარცვლო უ-ს ხშირი დაკარგვა, რითაც სათანადო სიტყვებს (სახელებს თუ ზმნებს) მთლიანად თანამედროვე ქართულის ფორმა აქვთ მიღებული (საქმეველი, გამოუთქმელი, მზაკვარი, სასმელი, დასაწველი);

ზ) აღ- ზმნისწინის გამარტივება სისტემბერ.

თ) ერთად მოხვედრილი ორი ერთნაირი თანხმოვიდან ერთის დაკარგვა: ოთხატედნი (<ოთხხატედნი), თთუესა იენისა (<იენისსა), წარმართა (<წარმართთა), აღმართე (მე);

ი) ერთსა და იმავე ფონეტიკურ გარემოში შეკუმშული და შეუკუმშავი

ფორმების თანაარსებობა: მკველისა, ყურიმლის-ცემა, აღმოსავლით, ტალავრით, მეძვისა, კარვისა... ნელსაცხებლისა, ფიცხლითა, დაუცხრომლად, მაგრამ: აღმოსავალით, ყურიმალის-ცემაჲ, კარავისა, ნელსაცხებელისა, მაცხოვარებითა, დაუცხრომელად:

კ) ბგერათჲ მონაცვლეობის შემთხვევები: მასკულავი — ვარსკულავი, ბძარვა — ბზარვა, ძრახვა — ზრახვა.

5. როგორც ვხედავთ, ყველა ეს მოვლენა მეტ-ნაკლებად გავრცელებულია ქართული ენის დიალექტებში. ამის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენი ძეგლი თავისი დიალექტიზმებით და ახალი ფორმებით კარგად ასახავს ძველიდან ახალი ქართულისაკენ გარდამავალი პერიოდის დასაწყისს. მასში დადასტურებული გარდამავალი ფორმები საშუალებას იძლევა თვალი ვადევნოთ ამა თუ იმ ფონეტიკურ მოვლენის ისტორიულ განვითარებას.

ჰილ-ეტრატის იაღბრის მორფოლოგია და სინტაქსი¹

მორფოლოგია

სახელები

1. მრავლობითი რიცხვის წარმოება.

ა) ნარ-თანიანი მრავლობითი. თანით გათავებულ ფუძეებთან მრ. რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში (ვარაუდით აგრეთვე მიცემითსა და მოთხრობითში) თნიშანი ფონეტიკური მიზეზების გამო იკარგება² და გვაქვს: ოდეს წარმართა მოუწოდე 4v; შორის სიმრავლესა წარმართასა 39; წარმართა მოწოდებაჲ 130; გამოუბრწყინდა მადლი შენი წარმართა 131v და მისთ. (იხ. ზემოთ. ა. მარტიროსოვის ნაშრომი: ფონეტიკა, გვ. 258—259).

ბ) ებ-იანი მრავლობითი. ჰილ-ეტრატის იაღბარში საკმაოდ მნიშვნელოვანია იმ არსებით სახელთა-რიცხვი, რომელთაც მრ. რიცხვის საწარმოებლად ფართოდ აქვთ გამოყენებული ებ სუფიქსი უფრო ხშირად სახელობითსა და მოქმედებითში, ხოლო იშვიათად — მიცემითსა და ნათესაობითში³. მაგალითები:

სახელობითში — თესლები 63v, 115, 129v, 147, 209v, 245v; თავები 22v, 48, 48v, 115v; რტოები 206v.

მიცემითში — შტოებსა 129v, 130, 131; ყრმებსა 130, 130v; ნიშებსა და სასწაულებსა 278v; თესლებსა 295v.

ნათესაობით-სახელობითში — თესლებისაჲ 117.

მოქმედებითში — რტოებითა 130, 130v, 131v, 132, 133, 289, 289v;

შტოებითა 136v, 139v; დასებით 177; ფრთებითა 296v.

რომ ამ ძეგლში ებ-ს ნარ-თან-თან თანაბრად მხოლოდ მრ. რიცხვის აღნიშვნის ფუნქცია აქვს, ეს ნათლად ჩანს ამ სუფიქსის გამოყენების ფაქტიდან ისეთ ბრუნვებში, როგორიცაა სახ., მიც. და ნათესაობითი, სადაც არავითარ

¹ დაუწერია 1938—1940 წლებში. იბეჭდება შემოკლებითა და უმნიშვნელო ცვლილებით.

² საერთოდ ჩვენს ძეგლში მოსალოდნელია ორი ერთნაირი თანხმონის თავმოყრისას ზოგჯერ ორივე მოიპოვება, მაგრამ ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც მხოლოდ ერთი მათგანია წარმოდგენილი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ძნელი გადაჭრით იმის თქმა, გვაქვს თუ არა საქმე ე. წ. დყოვნებული ბგერის ერთი ნიშნით გადმოცემასთან („დაყოვნებული ბგერა“ ტერმინისათვის იხ. გ. ახვლედიანი, ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები, თბ., 1938, § 38) ისევე, როგორც ეს გრაფში დაცულ ქართულ ხელნაწერებშია შენიშნული (იხ. ა. შანიძე, ქართულ ხელნაწერებზე გრაფიკა, თბ. უნივ. მოამბე, IX, გვ. 328).

³ სხვა ბრუნვებში ებ-იანი მრავლობითის ფორმა ჩვენს ძეგლში არ გვხვდება.

მორფოლოგიურ იძულებას ადგილი არ ჰქონდა და თავისუფლად შეიძლებოდა ებ-ის ნაცვლად ნარ-თანინი მრავლობითი გვექონოდა (შდრ.: სულები და სულნი მართალთანი 106V; ყრმებსა 130; 130V... მაგრამ: ყრმათა 132)⁴.

მრავლობითის ნარ-თანისა და ებ სუფიქსის მორფოლოგიური ფუნქციის იგივეობა არ ნიშნავს მათ თანაბარ როლს მორფოლოგიურ სისტემაში. პირიქით: ჩვენი ძეგლის მიხედვით ჯერ კიდევ საკმაოდ იგრძნობა ებ-ის გამოყენების განსაზღვრული არე, მაგრამ მისი ქმედითი უნარიანობის გაძლიერება აშკარად შეიმჩნევა.

2. სახელთა ბრუნება.

ა) საზოგადო სახელები. საზოგადო სახელთა ბრუნება როგორც ბრუნვათა რაოდენობის, ისე ბრუნვათა ფორმების მიხედვით არსებითად გასდევს იმ საერთო წესს, რომელიც კარგა ხანია დადასტურებულია ძველი ქართულისათვის⁵, მაგრამ შეიმჩნევა ზოგიერთი თავისებურებაც⁶.

წოდებითი ბრუნვა. არსებითი სახელები — კაცთ მოყუარე, მაცხოვარ, ქველის მოქმედ, მრავალ-მოწყალე, მოწყალე და სახიერ შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში წოდებით ბრუნვას საკუთარ სახელთა მსგავსად აწარმოებენ ი ნიშნის გარეშე, სხვა ბრუნვებში კი საზოგადო სახელთა ბრუნების წესს გასდევენ. ამ სახელთაგან სახიერ || სახიერო. მრავალ-მოწყალე || მრავალ-მოწყალეო, მაცხოვარ || მაცხოვარო და კაცთ მოყუარე || კაცთ მოყუარეო ხშირად გვხვდება მე-10 საუკუნის სხვა ძეგლებშიც (იხ. პ. ინგოროსა, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, წიგნი I. ტექსტები. 1913. შემდეგში შემოკლებით: სას. პოეზია; Н. Я. Марр, Описание грузинских рукописей Спайского монастыря, М.-Л., 1940. შემდეგში შემოკლებით: აღწერილობა), ხოლო, როგორც ამჟამად ცნობილია, ასეთი რამ ამ და ამათი ობიექტის ზოგ სხვა სიტყვასთან უცხო არაა არც 864 წლის სინური მრავალთავ-საათვის⁷. მაგალითები:

⁴ ა) ამ სუფიქსის ფუნქციისა და ადგილის გარკვევის ცდა ძველ ქართულში მოცემული აქვს კ. დონდუას თავის სტატიაში: «О двух суффиксах множественности в грузинском» (Язык и мышление, ტ. I, გვ. 43—60. გადაბეჭდილია იზავე ავტორის წერილთა კრებულში: Статьи по общему и кавказскому языкознанию. Ленинград, 1975, გვ. 38—59), მაგრამ ავტორის ზოგიერთი დებულება უცილობლად ვერ მიიჩნევა.

ბ) ნ. შარს არაერთხელ გამოუტყვემს მოსაზრება, რომ ძველ სალიტერატურო ქართულში ებ სუფიქსი შეჭრილია ხალხურა მეტყველებიდან, რომელსაც იგი თავის მხრივ სხვა ენისაგან უნდა მიეღო (იხ. განსაკუთრებით მისი Грамматика древнелитературного грузинского языка. Ленинград, 1925, §§ 51—54. შემდეგში შემოკლებით: ნ. შარსი, გრამატიკა).

⁵ ნ. შარსი. გრამატიკა, §§ 59—84; ა. შანიძე, ძველი ქართული ენა. წიგნი: შანიძე ა., ბარამიძე ა., აბულაძე ილ.—ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, ქრესტომათია საშ. სკოლის VIII კლასისათვის ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1937 (შემდეგში შემოკლებით: ძველი ქართული ენა), §§ 20—30.

⁶ არაფერს ვამბობთ ემფატიური ა ხმოვნის შესახებ, რომელიც შეიძლება იყოს და შეიძლება არა (შდრ. სამოთხის შინა 109V; ღმრთისა სატყუისა დაყენებას ჰკონება 296V... მაგრამ: ნუგეშინის-მცემელსა 120; ვედრე ქრისტე ღმრთისა 123 და მისთ. ასეთი რამ ძველი ქართულს ბევრ ძეგლში შეიმჩნევა.

⁷ იხ. ი. იმნაიშვილი, სინურა მრავალთავი, გამოკვლევა და ლექსიკონი, თბილისი, 1975, გვ. 66—67. შემდეგში შემოკლებით: სინური მრავალთავი.

კაცთ მოყუარე. 30-ზე მეტი შემთხვევიდან ეს სიტყვა წოდებითში მხოლოდ ოთხჯერ არის წარმოდგენილი **ო** ნიშნით: ერთხელ — დამოუკიდებლად (კაცთ მოყუარეო 267v), ხოლო სამ შემთხვევაში — მსაზღვრელ-საზღვრულის წევრად: კაცთ მოყუარეო უფალო 203, 245v 259 (მხედველობაში არაა მიღებული სამი მაგალითი, როცა ასეთ შემთხვევაში სიტყვები ჭარბად წარმოდგენილი და ძნელია გადაკრით თქმა — ივარაუდება თუ არა მასთან **ო** ნიშანი: კცთმყრ ოო 20: კცთმყრე მცხვრო ჩნო 240; კცთმყრე მაცხოვრო ჩნო 24).

მაცხოვარ. 30-ზე მეტი შემთხვევიდან ცალკე ეს სიტყვა წოდებით ბრუნვაში მხოლოდ ერთხელ გვხვდება **ო** ნიშნით (მაცხოვარო 108), დანარჩენ შემთხვევებში კი იგი ბრუნვის ნიშნის გარეშეა.

რაც შეეხება ისეთ შემთხვევებს, როცა მას მსაზღვრელი ახლავს, მაშინ ბრუნვის ნიშანი ან არ მოეპოვება (ქველის მოქმედ მაცხოვარ 26, 121...), ანდა აქვს. თუ მსაზღვრელად კუთვნილებითი ნაცვალსახელია და მოსდევს საზღვრულს (მაცხოვარო ჩუენო 21v, 22, 24, 28v, 29, 49v, 59, 79v, 103v, 113, 12v, 129, 128, 289v, 240...).

ქველის მოქმედ. ამ სიტყვის დამოუკიდებლად ხმარების 14-ზე მეტ შემთხვევაში წოდებითის **ო** ნახმარი არაა, ხოლო როდესაც იგივე სიტყვა მსაზღვრულ-საზღვრულის წევრია, მაშინ შეიძლება ჰქონდეს ნიშანი (მხოლოდ ქველის მოქმედო უფალო 83v, ქველის მოქმედო ღმერთო 111v, 266v...) და შეიძლება არა (უფალო ქველის მოქმედ 81v, ღმერთო ქველის მოქმედ 124v...).

მრავალ-მოწყალე. ხმარების მრავალ შემთხვევათაგან წოდებითის **ო** სამ შემთხვევაში არ მოიპოვება (91v, 126, 145v). ასევეა, როცა იგი მსაზღვრელ-საზღვრულის წევრია: მხოლოდ მრავალმოწყალე 79, ღმერთო მრავალ-მოწყალე 90v, მაცხოვარ მრავალ-მოწყალე 127, 203, 204.

მოწყალე. ათამდე მაგალითიდან წოდებითის **ო** ხელზეა მხოლოდ ერთ შემთხვევაში: მოწყალეო მხოლოდ სახიერ 120v.

სახიერ. ასეა წოდებითში ეს სიტყვა, მაგრამ გვხვდება **ო** დაბოლოებითაც: მკსნენ ჩუენ, სახიერო და კაცთ მოყუარე უფალო 245v; სახიერო და კაცთ მოყუარეო უფალო 259; შენ, რომელმან... იქსენ სოფელი, სახიერო და კაცთ მოყუარეო 267v.

ასევეა, როცა ეს სიტყვა მსაზღვრელ-საზღვრულის წევრია: მხოლოდ სახიერო სულგრძელო და მრავალ-მოწყალეო 116; მოწყალეო მხოლოდ სახიერო 120v; მხოლოდ სახიერო 273.

ერთეულ შემთხვევებში წოდებითი ბრუნვის ზემოთ განხილული მაგალითების მსგავს ფორმებს იძლევიან სხვა სიტყვებიც: სიქადულ, სიხარულ (დიდებაო შენდა, ქრისტე, მოციქულთა სიქადულ, მწფთა სხრლ 93), მკსნელ, მომტყეებელ (მრავალ-მოწყალე, მკნლ, მომტყეებელ, მონანულთა ცხოვართა ზედა სამწყსოჲსა შენისათა 98).

შეიძლება კაცს ეგონოს, თითქოს ქილ-ეტრატის იადგარში შემონახული იყოს ბრუნების ის ერთიანი სისტემა, რომელიც ოდესღაც საერთო იყო ქართულში საზოგადო და საკუთარი სახელებისათვის. მაგრამ ეს ასე არაა. ჭერჯოლი, ის გარემოება, რომ საზოგადო სახელთა წოდებითი ბრუნვა ძირითადად ზოგადი ძეგლის მანძილზე ძველი ქართულის ნორმებს მისდევს, და, მეორეც, რაც მთავარია, ზემოთ განხილული ყოველი სიტყვა წარმოადგენს ქრისტეს ერთგულს. ქვეულია საკუთარ სახელად და როგორც ასეთი ექვემდებარება სა-

კუთარ სახელთა ბრუნების წესს, ძირშივე გამორიცხავს ასეთი მოსაზრების დაშვებას. გამოდის, რომ იგივეობა ამ შემთხვევაში უძველეს საფეხურზე კი არ მიგვიტოვებს, არამედ ახალზე, რომელიც გენეზისშივე გულისხმობს საზოგადო და საკუთარ/სახელთა ბრუნების სხვაობის ფაქტს როგორც საფუძველს. რომელზედაც ქრისტიული იგივეობა აღმოცენდა.

მართალია, წოდ. ბრუნვის ხმარების განხილულ შემთხვევათაგან ზოგიერთ სიტყვას აქვს ხოლმე ბრუნვის ო ნიშანი, რაც გვაფიქრებინებს, რომ ჭერ კიდევ სუსტია საზოგადო და საკუთარ სახელთა ბრუნების გათანაბრების ტენდენცია, მაგრამ ის მეტყუება, რომელიც ამ სახელებს ახასიათებს წოდ. ბრუნვის წარმოებისას განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი მსაზღვრელ-საზღვრულის ერთ-ერთ წევრად გვევლინებიან, მოწმობს დაწყებული პროცესის საკმაოდ გაძლიერებას და მიგვანიშნებს ამ მხრივ უკვე მიღწეულ მეტად მნიშვნელოვან შედეგებზე. ვფიქრობთ, სწორედ საკუთარ სახელად ქცევის მიზეზითაა, რომ ძველ ქართულში „ზოგად სახელთაგან“ „ხუცისი“ და „მოძღუარი“ გამოჩაყლის შეადგენენ იმ მხრივ, რომ ძველისძველ ძეგლებში წოდებითისათვის ო-ს არ მიიღებენ ბოლოში, მაგ., ხუცეს! მოძღუარ!“⁸ თვით ის გარემოება, რომ ეს სიტყვები მონასტერში ერთადერთი ადამიანისადმი მისამართავად გამოიყენებოდა და, მაშასადამე, საკუთარი სახელივით იხმარებოდა, თავისთავად შუქს ჰფენს ამ ფაქტს. ერთადერთი პიროვნებისადმი მისამართავად გამოყენებული საზოგადო სახელის საკუთარ სახელად გადაქცევისა და ბრუნებაში ამის ასახვის პრინციპულად ანალოგიური შემთხვევა გვაქვს ახალ ქართულშიც. მშობლების შესახებ შეიღები იტყვიან ხოლმე: „დელას კაბა“, „მამას ხალათი“ (და არა: „დელის კაბა“, „მამის ხალათი“) მხოლოდ იმის გამო, რომ ეს სიტყვები (დელა, მამა) მათ გავებაში საკუთარი სახელებია, ხოლო ა-ზე გათავებული საკუთარი სახელები კი ფუძის ბოლო ხმოვანს არ იკვეცენ!

მ ი ც ე მ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ა. ამ ბრუნვაში ორჯერ გვხვდება ფორმა „უღაბნოას“: უღაბნოას(ა) აუარე, მამაო ანტონი 53; მოღუაწებითა შუენიერად კრთომისაათა, წინაწარმეტყუელო, და უღაბნოას მკუიდრ ყოფითა 198 (ანალოგიური მაგალითები იხილეთ ქვემოთ საკუთარ სახელებში): სხვა შემთხვევებში მუდამ გვაქვს: უღაბნოსა (20v, 54, 68, 161v, 200, 201v, 228...). ცხადია, „უღაბნოასა“ ფორმაში (მიცემითის ფუნქციით) ა არ გამოითქმოდა.

ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ი დ ა მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ე ბ ი. ამ ბრუნვებში ბოლო-უკვეცელ ხმოვან-ფუძიან არსებით სახელებთან ბრუნვის ნიშნისეული (ი→) ა ზოგჯერ უკვალოდაა დაკარგული. მაგალითები:

ნათესაობით ბრუნვაში — რასა სღევნი შენ იოანეს (შდრ.: რაასა სღევნი შენ იოანეს 225v).

მოქმ. ბრუნვაში — ესრეთ (←ესრეთ) დაეწერე 55 (მინაწერი) (შდრ.: ესრეთ 160v, ესრეთ 161...); რტოებითა ბაიასა-თ-ა 289v.

არს. სახელები მ ა ნ ა ნ ა და ე კ ლ ე ს ი ა ბოლო-უკვეცელ ხმოვან-ფუძიან სახელთა ბრუნების წესს მისდევენ: მანანაასა მის წილ 167, მანანააო 39v; მოციქულთა ქრისტემისთა და ნათელთა სოფლისათა — პეტრეს და პავლის — სუეტთა ეკლესიასათა⁹ ყოველნი ვადიდებდეთ 205v.

⁸ ა. შ ა ნ ი ძ ე, ძე. ქართული ენა, § 22, შენიშვნა 2.

⁹ ამ სიტყვის ასეთივე ფორმა მითითებული აქვს ა. შ ა ნ ი ძ ე ს ა ც (ხანუკი მრავალთავი 83. 117). იგივე ფორმა გვხვდება მეთაუ საუკუნის ძეგლებშიც: იხ. ნ. მ ა რ ი აღწერილობა...

ამავე ბრუნებში, აგრეთვე ვითარებითში ხშირია ფუძის შეუკუმშველობის შემთხვევები. მაგალითები:

ნათესაობითში — ნათლისმცემელისაჲთა 46; ღმრთისმშობელისა მიერ 81, 85v. 88v; მტერისა 91v; ფარისეველისა 100; მღდელისაგან 155v; მქადაგებელისა 296; ნელსაცხებელისა 157v (შდრ.: ნელსაცხებლისა 154v).

მოქმედებითში — ნათლისმცემელთა 293v; აღმოსავალით 277v; 278v, 292 (მაგრამ: აღმოსავალით 292).

ვითარებითში — მახარებელად 44v; მამხილებელად 79; საქონელად 90v; დაუღუშებელად 137; მოუქსენებელად 153; გარუწერელად 174v; მქადაგებელად 201.

საყურადღებოა, რომ „მეძვისა“, რომელიც ახალ ქართულში უკუმშველია, აქ მხოლოდ შეკუმშული სახით გვხვდება.

ვითარებითი ბრუნვა. გვაქვს შემთხვევა, როდესაც ვითარებითი ბრუნვის დეაქრუბელი და თანითაა წარმოდგენილი:¹⁰ მოილო მარიამ ნელსაცხებელი და იწყო ცხებათ ფერკთა უფლისათა 128v; რომელი მოვიდა ნეფსით ვნებათ კორცთა 145v (შდრ.: მო-რამ-ხუელ ვნებად ნეფსით თუისით 146v; რომელი... ნეფსით ვნებად მოვიდა 149v და მისთ.); მესმა სმენაჲ შენი, უფალო, რამეთუ ამაღლი ზეცათ 189v; ამაღლი ზეცათ და დასკედ მარჯუენით... 270 (შდრ.: აჰმაღლი ზეცად 189; მოციქულნი განანათლენ შენითა ზედ აღსვლითა 190); ღრს ვქმნთ თყნსკმდ და გლბთ 214v (=გალობათ).

ამთგან ზეთ (=ზეცათ) ორჯერ გვხვდება ქარავმით და ჩვენ მას თამამად ეხსნით ვითარ. ბრუნვის ფორმით, თუმცა რამდენიმე შემთხვევა მოქმედებითის გამოყენების მიმართულებითის ფუნქციით დადასტურებულია სინურ მრავალთავში¹¹.

ერთი შემთხვევა ვითარებითი ბრუნვის დ ნიშნის თანის სახით წარმოდგენისა „იერუსალიმის განჩინებაშიც“ გვხვდება: უფალმან დამამტყიცა მე დასაბამათ გზათა მისთა საქმეთა ზედა (იხ. К. Кекелидзе. Иерусалимский канонарь VII века, Тифлис, 1912, с. 48)¹².

გვ. 149, 179, ხელნაწერები: №№ 65, 68; აღრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, I. იოანე საბანისძე, II. ბასილ ზარზმელე. ქ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს რედაქციით და შენიშვნებით, თბილისი, 1953 (შემდგომი შემოკლებით: აღრინდელი ფეოდალ. ლიტ.), გვ. 11, 13, თუმცა პარალელურად იხმარება „ეკლესიისაც“ (შდრ.: განაწესა წესი თჳსსა ეკლესიისა: *Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии*, VII, გვ. 30, 31; კათოლიკე ეკლესიისა...: აღრინდელი ფეოდალ. ლიტ., გვ. 12). საინტერესოა, რომ „ეკლესიისა“ გვაქვს ბოლნისის სიონის 493—494 წლის წარწერაშიც, რომლის პირველი მეცნიერული შესწავლა ა. შ ა ნ ი ძ ე ს ეკუთვნის (იხ. Г. Н. Чубини а п в и л и, Болнисский Сион, ნ. მ ა რ ი ს ს ა ხ. ენის, ისტორი სა და მატ. კულტურის ინსტიტუტის (შემდგომი შემოკლებით: ენიშკი) მოამბე, IX, გვ. 69. შდრ. აგრეთვე ა. შ ა ნ ი ძ ე, სინური მრავალთავი 264 წლისა და მისი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის; ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 5, თბ., 1959, გვ. 314—315 (შემდგომი შემოკლებით: სინ. მრავალთავი).

¹⁰ ამ დაყრუბული დ-ს ბუნების შესახებ იხ. გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, ყრუ mediae ქართულში, ჟურნ. „განათლება“, 1920, № 4—5, გვ. 29—33.

¹¹ ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, სინური მრავალთავი, გვ. 55.

¹² ა) ამ ფაქტს ყურადღება ჯერ კიდევ ნ. მარამა მოაქცია (იხ. მისი რეცენზია აღნიშნულ წიგნზე: *Христианский Восток* (შემდგომი შემოკლებით: ХВ), ტ. I, გვ. 114—122;

ბ) მოგვიანო ხანის ძეგლებიდან ანალოგიური მავალითება: არით, ბრმო... (*Тексты и разыскания по арм.- гр. фил.*, т. IV, стр. 83).

ვითარებითი ბრუნვის ნიშნის შესახებ ა. შანიძე აღნიშნავდა: „...სალიტერატურო ქართულში უძველესი დროიდან მოყოლებული მიმართულებითი ბრუნვის დაბოლოება დ იყო და არის დღესაც. დ-ს მოცილებლად თ ჩნდება საშუალო ქართულში/საბრძანებულად, ისიც გვიანდელ ძეგლებში... ცოცხალ კილოებში მიმართულებითი დაბოლოებად დღეს ბევრგან თ არის და კილოების გავლენით იგი სალიტერატურო ენაშიც იჩენს ხოლმე თავს¹³.

ამავე საკითხთან დაკავშირებით არნ. ჩიქობავა წერდა: „ამჟამად დასავლურ კილოებში მხოლოდ თ-ია ვნებითის დაბოლოება. სალიტერატურო ქართულშიც ეს თ არც თუ იშვიათია ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნიდან“¹⁴ და „ეს თ ცნობილია, რომ დ-საგან არის მიღებული“¹⁵. რაც შეეხება ძველ ქართულს, მისთვის „ხომ დ-ს და თ-ს საკითხი აღარც დგას: იქ მხოლოდ და მხოლოდ გვაქვს“¹⁶.

როგორც ვხედავთ, ჩვენი ძეგლის მიხედვით საქმის ვითარება მეტად ნათელია და ეს გვადალბებს, ანგარიში გავუწიოთ მას. ირკვევა, რომ თ ვითარებითი ბრუნვის ნიშნად უცხო არაა ძველი ქართულისათვისაც და რომ ვითარ. ბრუნვის დ-ს თ-დ დაყრუების ტენდენცია იქ უკვე ფაქტია¹⁷. ამ შემთხვევაში აშკარაა ცოცხალი მეტყველების გავლენა სალიტერატურო ენაზე.

სიტყვა ს ი კ უ დ ი ლ ი ვითარებით ბრუნვაში სულ 6-ჯერ გვხვდება. ამთგან 5 შემთხვევაში ფუძისეული ლ შენახულია:¹⁸ კელმწიფეთა თავნი მათნმისცნეს სიკდილდ 85 (დაწერილია უქარაგმოდ); მისცა სკლდდ ურჩულთა მათ 155; ერთი ვინმე თქუენგანი მიმცემს მე სიკვლდდ 155v; სიკვლდდ შიკეშულა იესენ სოფელი 111v; დაგლახაქდეს მისკლდდმდე გლახაქებისა შენისა მიმსგავსებითა 185v.

მხოლოდ ერთი შემთხვევაა, როცა ლ დაკარგულია: სიკდილმდე არაა უარ-გყო 159v. ამ შემთხვევაში შეიძლება გვეფიქრა. გადამწერს ქარაგმა დავიწყნიაო, რადგან ლ-ს გარდა, არ არის უმარცვლო უნიცი. მაგრამ ის გარემოება, რომ ამ უქანასკნელის დაკარგვა ჩვეულებრივია ჩვენი ძეგლისათვის, ასეთ ეჭვს აქარწყლებს.

მდე თანდებულის დართვისას ვითარებითი ბრუნვის ნიშნის დ ზოგჯერ შენახულია, ზოგჯერ კი — არა. შე ე ნ ა ხ ვ ი ს ნ ი მ უ შ ი ა: წარდგომადმდე 80. 119; სიკდილმდე 159v; ცადმდე 281v; აღსრულებადმდე 306v...

დ არ მოიპოვება: ბზობამდე 75v, 76v; აღსრულებამდე 94v; მიმთამდე 186v.

ბ) საკუთარი სახელები. ზოგიერთ საკუთარ სახელს სახელობითში უჩნდება ბრუნვის ნიშანი ი || მ: ადამი 250v, 254, 275 (შდრ.: ადამ 251v. 303v); აბოა 39, 39v; მართაჲ 125, 129; ევაჲ 215.

¹³ იხ. „მიმართულებითი და წოდებითი ბრუნვების დაბოლოებანი (ა. შანიძის მოხსენებები მიხედვით), თეზისები, წიგნში: „სალიტერატურო ქართულის ნორმები“, თბილისი, 1936, გვ. 11).

¹⁴ არნ. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ, თბ., 1936, § 13, გვ. 55.

¹⁵ არნ. ჩიქობავა, მიმართულებითი ბრუნვის მნ. შენელობის, წარმოებისა და ისტორიისათვის, ნ. შარის სახ. ენმკის მოამბე, I, გვ. 15.

¹⁶ იქვე, გვ. 15—16.

¹⁷ ჩვენთვის გაუგებარია, რა ფაქტებს ეყრდნობოდა შ. ჯანაშვილი, როდესაც ასეთ დასკვნას აკეთებდა: „ძველსა და ახალ მწერლობაში დაბოლოება თ და დ თანაბრად იზარება“-ო (იხ. შ. ჯანაშვილი, ქართული გრამატიკა, 1906, გვ. 125).

¹⁸ შდრ. ა. შანიძე, ძველი ქართული ენა, § 22, გვ. 014, შინიშვნა 3.

ხმოვან-ფუძიანებს სახელობითის **ა** გადაჰყვებათ მოთხრ., მიც. და წოდ. ბრუნებშიც.

მოთხრობითში: მიუგო წმიდამან მორწმუნემან უფლისამან აბოჲ და რქუა 39; ტანჯვასა დაუთმო ისმაიტელთასა წმიდამან აბოჲ 40; შეიმოსა სამოსელი ღირსთა მამათაჲ საყუარელმან ქრისტემსმან აბოჲ 40v; ხოლო ანაჲ ვითარცა უშვილომან დაუღლებულმან ღმრთისმშობელი აღმოაცვანა 298.

მიცემითში: ვითარცა წარმეკუეთოს თავი აბოჲს 39v; სიმრავლეჲ ავარეანთაჲ ღაღადებს და ეტყუის აბოჲს 39v; სუროდა მისღვად უფლისა თუ-ლისსა სანატრელსა... აბოჲს 40; ვითარცა ეტყუად, უფალო, მართაჲს 128.

წოდებითში: უკუეთუ ესე ესრეთ არს, აბოჲ, რასა-ესე შეგწამებენ 39; გიხაროდენ, აბოჲ 40.

ასეთი შემთხვევები იშვიათი არ არის. ამასთან გვხვდება თითქმის ერთსა და იმავე სახელებთან. „აბოჲს“ და „მართაჲს“ მიც. ბრუნვაში დადასტურებულია სხვა ძეგლებშიც¹⁹.

ცხადია, **ა** ასეთ შემთხვევებში იწერებოდა, მაგრამ არ გამოითქმოდა.

მიცემითსა და ნათესაობითში სწორი ფორმების გვერდით ზოგჯერ გვაქვს ემფატიკური **ა**-ს დართვის შემთხვევებიც.

მიცემითში: იერუსალემსა 87 (მაგრამ: იერუსალემს 18v), იორდანე-სა 23v, 24v (მაგრამ: იორდანეს 22, 23), ბეთლემსა 182v, იაკობსა 79 (მაგრამ: იაკობს 141v), აბოჲსა 38v.

ნათესაობითში: დავითისა 119v, ანაჲსა და ელისაბედისა საყურვე-ლებათა 298, იორდანისა წყალთა 21, 27v; ყრმანი ბეთლემისანი 182v (შდრ.: ონაჲს-ი 133v, ზებედეჲს-თა 40 და მისთ.).

ხმოვან-ფუძიან საკუთარ სახელებში ნათ. ბრუნვის ნიშნის **ი** ხმოვანი ჩვეულებრივ შენახულია ხოლმე **ა**-ს სახით (აბოჲსი 37v, ქრისტემსი 39, მოსეჲს მერ 63v). მაგრამ გვხვდება: პავლესი (შური აილო პავლესი 38), რომელშიც მოსალოდნელი **ა** აღარ არის.

გვაქვს ერთი შემთხვევა საკ. სახელის ხმარებისა მოქმ. ბრუნვაში ურთ²⁰ თანდებულთან ერთად: მუნ იყო პეტრე იაკობითურთ 211v.

ქრისტე. ეს სახელი წოდ. ბრუნვაში საკუთარ სახელთა ბრუნებას გას-დექს (წოდებობითის **ო**-ს არასოდეს იღებს), ხოლო მიცემითში კი — საზოგადო სახელთა ბრუნებას²¹. რაც შეეხება სახელობითის, ნათესაობითსა და მოთხრო-ბითს. აქ ეს სიტყვა ხან საკუთარ და ხან საზოგადო სახელად არის გაგებული.

ქრისტე გაგებულია საკუთარ სახელად

წოდებობითში: ქრისტე 2v, 4v, 5, 11, 11v, 21, 123v, 125v, 127v, 160v.

შენოშვნა: არაფერს ვამბობთ ისეთ შემთხვევებზე, როგორცაა: გა-ქვთ ონანი შენნი. ქრისტე მაცხოვარ 61... ქრისტე ღმერთო 21... იხილა რაჲ

¹⁹ „აბოჲსი“ (მიცემითში) გვხვდება პაბოს წამების ძეგლში (აღრიდ. ფეოდ. ლიტ., გვ. 11—13), ხოლო „მართაჲს“ (ავრთვე მიცემითში) — აღიშ. ოთხთავში (იოანე 11, 20: მართაჲს ვითარცა ესაჲ), რაც აღნიშნული აქვს თ. ვონიაშვალს თავის საკანდიდატო დისერტაციაში (დიპლომტიკემ-ბისათვის კათოშის ძეგლში, მანქანაზე გადაბეჭდილი, გვ. 161).

²⁰ ჩვენს ძეგლში ურთ თანდებული გვხვდება თურთ სახითაც (იხ. ქვემოთ თანდებულები).

²¹ კრიტიკრ უმაჲ ამ ნათეს. ბრუნვის გასარკვევადაც ემფატიკური **ა**-ს დართვა-დაურთვე-ლობა აოგებული (შდრ.: ა. შ ა ნ ი ძ ე, ხანმეტი მრავალთავი, გვ. 117; მ ი ს ი ე ე, ძველი ქარ-თ. ო. ი. : 5, § 27).

წინამორბედმან, ქრისტე მოწყალე, გარდამოსლვამ შენ ზედა სულისა წმიდი-საჲ 32v და მისთ. ამ მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ ქრისტე საკუთარ სახელადაა მიჩნეული და საზღვრულია, რომელსაც მსაზღვრელი მოსდევს. ცნობილია, რომ ასეთ შემთხვევაში მხოლოდ მსაზღვრელი იბრუნვის, საზღვრული კი უცვლელი რჩება²².

ქ რ ი ს ტ ე გ ა ვ ე ბ უ ლ ი ა ხ ა ნ საზოგადო და ხ ა ნ საკუთარ სახელად:

სახელობითი — მეუფეა ქრისტე 69v, 108, 144, 184, 184v, 190... მაგრამ: მოთმინებითა ქმ სულთა თქუენთა დაიმკუიდრეთ 54v; რომელსა გაქუნდა ქრისტეა თანაშემწუნ 56v; ქრისტეა 70v, 74, 232, 235, 255. ასეთ შემთხვევებში **ე**, ალბათ, არ იკითხებოდა.

მოთხრობითი — ქრისტემან 54v, 58v, 19v, 126, 184v, 201, 209v, 241v, 275... მაგრამ: ხოლო აწ თუით ქრისტე, ამაღლებულმან ჭუარსა ზედა. ყოველნი კაცნი საცთურისაგან იქსნა 64 (შდრ.: ფერი იცვალა ქრისტემან ღმერთმან 209v).

ნათესაობითი — ქრისტემსა 9, ქრისტემსასა 249... მაგრამ: ქრისტემსისა 39, 53, 59, ქრისტემსი 43.

ს ა კ უ თ ა რ ი ს ა ხ ე ლ ი მ რ . რ ი ც ხ ე შ ი . საინტერესო შემთხვევაა, როდესაც უ-და-კავშირად შეერთებული ორი საკ. სახელი მრავლობითშია ხმარებული: პეტრე-პავლეთაჲ დასადებელნი 7V, პეტრე-პავლეთაჲ საჯსენებელი 224V. ასეთი ფორმა ნორმა ძველი ქართულსათვის. ნ. მარის თქმით, «**когда склоняются два существительных, в том числе и собственных имени, соединенных союзом да и или без него, точно составленное слово, то склоняется последнее из них, но по мн. числу, так: Р. ед. ч. козъма-дамианета или козъма და დამიანეთა, вმ. კოზმამსა და დამიანსსა Козьмы и Дамиана**» (გრამატიკა, §75). ყოველივე ის, რაც ზემოთ ითქვა სახელთა ბრუნების შესახებ, იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენს ძეგლში საკუთარი და საზოგადო სახელების ბრუნებას განაპირობებს მძლავრი ტენდენცია უკვე ხელშესახები ფაქტია და რომ ამ შემთხვევაში უმთავრეს ფაქტორს სალიტერატურო ენაში სამეტყველო ნორმების შექრა და იქ დამკვიდრება უნდა წარმოადგენდეს.

გ) **ნაცვალსახელები**. საურთიერო ნაცვალსახელი უ რ თ ი ც ხ ე შ ი - ა რ ს ამ სახით მხოლოდ ერთხელ გვხვდება (ურთიერთარს იტყოდეს წმ-დან-ორმოცნი 109v), ჩვეულებრივ კი ურთიერთას იკითხება (110, 164v. 211. 265. 293v).

რავდენ მხოლოდ ამ სახით გვხვდება (153, 199v, 294v...).

დ) **რიცხვითი სახელები**. **ორმოცობისანი** 104v (და არა: ორმოცობისანი). სადაც **მე** ნაწილაკს²³ ე უკვე დაკარგული აქვს (შდრ.: ორმოცთა 105. 104v...). **ათორმეტი** 140, 148v, 161.

როგორც ცნობილია, დღევანდელი „თორმეტი“ მოდის ათ+თორმეტ-საგან. ჩანს, ჩვენი ძეგლის დაწერის მომენტისათვის უკვე იოქმოდა „ათორმეტი“.

²² ა. შ ა ნ ი ძ ე . ძველი ქართული ენა, § 29.

²³ ამ ნაწილაკს მნიშვნელობის შესახებ იხ. ვ. თ ო ფ უ რ ი ა , ოცობითი ავლის სისტემისათვის ქართველურ ენებში, თბ. უნ. მოამბე, VI.

ტი“, რომელშიც „ათის“ გაგება უკვე აღარ იყო და სწორედ ამიტომ მას ტრადიციის გამო (აღრეულ ძეგლებში ხომ „ათორმეტი“ იყო!) ზოგჯერ წინ კვლავ ათ-ს ურთავდნენ ხოლმე: ათ-თორმეტი²⁴.

თანდებულები

1. **მდე.** ამ თანდებულის დართვისას ვითარ. ბრუნვა ორი სახით გვევლინება: **ღ-**თი და მის გარეშე. ერთი მხრივ გვაქვს: წარდგომადმდე 80, 117; სიკდიდმდე 159v, ცად-მდე 181v. აღსრულებად-მდე 306v... მეორე მხრივ: ბზობა-მდე 75v. 76v. დავშვა-მდე 76, აღსრულება-მდე 94v.

ორ შემთხვევაში **მდე** თანდებულთან ერთად გვხვდება **მი** წინდებულებაც: დაგლახვდეს **მისიკუდილდმდე** გლახაკებისა შენისა მიმსგავსებითა 185v; ჭუარი განმარტებული ნათლითა ბრწყინვალითა, რომელი გამოჩნდა ზედა გოლგოთას. ბრწყინვალე იყო მიმთამდე ზეთის ხილთასა 186v.

2. **წინაშე.** როგორც ცნობილია, ეს თანდებულები ძველ ქართულში ხან მრც. და ხან ნათ. ბრუნვასთან იხმარება. კ. კეკელიძის დაკვირვებით, მიცემითთან არის მაშინ, როცა არს. სახელი უსულო საგანს გამოხატავს, ხოლო ნათესაობითთან, როცა არს. სახელი სულიერ საგანზე მიუთითებს²⁵. ასეა ეს ჩვენს ძეგლშიც. ერთი მხრივ გვხვდება: წინაშე საყურთხვეველსა 18v, წინაშე საყდარსა 306v და მისთ, ხოლო მეორე მხრივ: წინაშე მონისა 31v, წინაშე მძლავრისა 39, 40, წინაშე ღმრთისა 55, წინაშე მეუფისა 79v, 106 და მისთ.

ეტყობა, მისი ადგილი მტიცედ განსაზღვრული არაა — იხმარება როგორც სახელის წინ, ისე შემდეგ (შდრ.: წინაშე საყდართა დიდებისათა 269 და საყდართა დიდებისათა წინაშე 269v, 270v; წინაშე შენსა 145v და შენ წინაშე 145v...). ერთ შემთხვევაში **წინაშე** ნახმარია ზმნიზელის მნიშვნელობითაც: ერნი წინაშე დგანან წმიდათა ანგელოზთანი 129v.

3. **და** თანდებულის ხმარებასთან უნდა გვქონდეს საქმე წინადადებაში: რაფთა ქუეყნისანი თანა-შეგუაერთნე ზეცისათადა 138.

4. მართალია, ორთოგრაფიის საკითხია, მაგრამ არ შეიძლება აქაც არ აღინიშნოს, რომ **თხ** თანდებულები უფრო ხშირად **თუის** სახითაა წარმოდგენილი (შდრ.: რომლისათუის 12v, მაგრამ: ჩუენთათუის 12v და მისთ.).

5. **ურთ** თანდებულები ორ შემთხვევაში **თურთ** სახით გვხვდება: ვცოდეთ, უჯალო, მამით ჩუენით-თურთ 91v, ფარაო ეტლებით-თურთ 272 (შდრ.: დაბაეებულთურთ 117v...).

აქ. ცხაღია, საქმე გვაქვს გადაანალიზებასთან²⁶.

²⁴ მომდევნო ხანის ძეგლებში აშკარა რამ ხშირია. ათცამეტი (Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, VII, გვ. XVII), ათხვამეტი (И. Кипшидзе, Жизнь и изучение св. Антония Раваха, XV, т. II, вып. I, стр. 75).

²⁵ კ. კეკელიძე, „წინაშე“, „თანა“ და „ზედა“ თანდებულთა სინტაქსური ფუნქციონირების ძველ ქართულში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე. ტ. III, 1942, № 2, გვ. 117—182 და № 3, გვ. 223—227 (გადაბეჭდილია მისივე ეტ. უდების 1 ტომში, თბ., 1956, გვ. 300—308).

²⁶ სხვა ძეგლებიდან ანალოგიური მაგალითებია: სოფლებით-თურთ, ყოვლით-თურთ, ერთ-თურთ, ქალაქ თ-თურთ, წმიდით-თურთ (Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, IX, стр. 72).

1. წარმოქმნის თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ისეთი შემთხვევები, როდესაც ზმნის პირიანი ფორმა ან მთელი შესიტყვებაც კი გაგებულა სახელად და იბრუნვის. ასეთებია: აგიაროა 162v; ლალადყავი წართქუან 173; დედება სთქუა დე წმიდაარსი 180v; თუ გინდეს, ესე არს დღეა სთქუა 180. ასეთი რამ ძალბან ხშირად გვხვდება ამგვარი სახის ძეგლებში²⁷.

2. უფროსობით ხარისხში მუდამ გვაქვს მს დაბოლოება²⁸, გარდა ერთი შემთხვევისა: უფროსად მალაღნი 7v (შდრ.: უფროსს 17v, 21v, 26 და სხვ.).

ერთადერთი სიტყვა, რომელიც ამ მხრივ განსხვავებულობას იჩენს, არის უქესთაეს: იგი მხოლოდ ამ სახით გვხვდება (39v, 179, 180, 212v და სხვ.).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ის სახელი, რომელთან შედარებითაც ზედსართავი სახელით აღნიშნული თვისების უფროობაა მოცემული, ჩვეულებრივ ნათესაობით ბრუნვაშია (უფროსს თაფლისა 30v, უწინარეის მთიებისა 74 და მისთ.), მაგრამ ისეთი მაგალითები, როგორცაა უ ძ რ ი ე ლ ე მ ს ჩ ე მ ს ა 45v, უ უ ე ს თ ა ე ს ა ნ გ ე ლ ო ზ თ ა ს ა 180, უნდა იყოს გადმონაშთი ისეთი ვითარებისა, როცა ასეთ შემთხვევაში მიცემითი იხმარებოდა (შდრ.: ა. შ ა ნ ი ძ ე, პირის ნიშანი ბრუნვიან სიტყვასთან ქართველურ ენებში, თბილ. უნ. შრომები, ტ. I, 1936, გვ. 333—340; ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, სინური მრავალთავი, გვ. 64).

3. სადაურობის ელ სუფიქსის მაგიერ ერთ შემთხვევაში გამოყენებულია გეოგრაფიული საკუთარი სახელის მოქმ. ბრუნვა უშუალოდ: იოსებ არიმათიათ სიმდიდრეა შეურაცხ-ყო 172v (შდრ.: იოსებ არიმათიელი 170, 170v, 172).

ზმნა

1. ზმნისწინები.

ა) აღ ხან ამ სახითაა წარმოდგენილი, ხან კი დ-ს დაკარგვით, ეს უკანასკნელი შემთხვევა ძალიან ხშირია; ერთი მხრით გვაქვს: აღუარებთ 32, აღიარეს 184, აღმართებულსა 40v, აღმართნი 119v... აღადგინა 52v, აღდგა 307... აღვიმსოთ 76v... აღმსობასა 67v, აღავსეთ 59v, აღვისო 65v... აღქურა 291v... აღმალღდი 292... და მისთ., მეორე მხრით კი: აიარე 5v, აიარეს 81v... აემართა 303v... ასდევ 304v, აუდევ 5v, ადგომითა 302v, ავიმსობთ 273, აიმსოთეს 306... ავისო 28, აივსნეს 40v... აიჭურვოდეს 38v, ამალღდი 303, 304 და პრ. სხვ.

ერთ შემთხვევაში აღ რეგრესული ასიმილაციის გამო ახ სახით არის წარმოდგენილი: მწრაფლ მოიგო ავაზაკმან სამოთხეა სარწმუნოებითა და პართლ ახსარებითა 254 (შდრ.: აღსარებული 111).

ბ) გან ხშირად წარის დაკარგვით გვხვდება: გაჩინებული დღეა მარტსა ცხრასა არს 104v; გავლეთ ჩუენ 110v; გართხმასა 150; გამაძრელებელ ჰქქვენ მე 198v და სხვ.

²⁷ იხ. პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, ძე. სას. პოეზია; მისივე, თხზ., ტ. III: ნ. შ ა რ ი, აღწერა ლობა; ძლისპირნი, გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ე ლ ე ნ ე მ ე ტ რ ე ვ ე ლ მ ა (შპაღდგში შემოკლებით: ძლისპირნი), თბ., 1971.

²⁸ ამ მხრივ ჩვენი ძეგლი ვაცილებით უფრო თანმიმდევრობას იჩენს, ვიდრე ხანშტი ძეგლებია რომლებშიც ა-ს დაკარგვა ასეთ შემთხვევაში ძალიან ხშირია (შდრ.: ზუპატოსნეს ანისსა, ზუფროსი, ზუეტესსა და მისთ. იხ. ზ. შ ა ნ ი ძ ე, ხანშტი მრავალთავი, გვ. გვ. 126, 148, 149).

გ) ტმეხი. ზმირია ზმნისწინისა და ზმნის ფუძის გათიშვა „რამ“ და „თუ“ კავშირების ჩართვით: საიღუმლოჲ გამოუჩნდა სოფელსა ქრისტე მაცხოვარი ჩუენი, მო-რამ-ვიდა იორდანესა 45v; მო-რამ-ვიდა... მაცხოვარი, სავანეჲ თქუენ თანა დაიღვა 59v; შთა-რამ-ჰკედ მდინარეთა, გიხილეს შენ უფსკრულთა 50; მი-რამ-გიქუა მკლავთა ზედა 66v; მი-თუ-გითხრა... ცოდვამ... უფალო, განცხადებულად, მაქუ მე მკსნელად 71v...

2. მე-2 სუბიექტური პირის ნიშნისა და მე-3 ობიექტური პირის პრეფიქსთა ხმა-რების წესის მხრივ ჰილ-ეტრატის იადგარი წარმოადგენს არა ჰაემეტ ან ხანმეტ ტექსტს, არამედ შემდგომი განვითარების ისეთ საფეხურს, რომლისთვისაც, მართალია, ღრმა კვალი დაუჩნევია ფონეტიკურ ცვლილებებს, მაგრამ ამ პრეფიქსთა მორფოლოგიური ფუნქციისათვის ვერაფერი დაუკლია. მე-2 სუბიექტ. პირისა და მე-3 ობ. პირის პრეფიქსთა ხმარების მტკიცე წესი²⁹ თავიდან ბოლომდე გასდევს ამ ძეგლის ენას, ხოლო ის მაგალითები, რომლებიც ამ წესიდან გადახვევას გვიჩვენებენ, გარდა ორიოდ მაგალითისა, რომლებიც lapsus calami უფროა, ვიდრე წესის შერყევის მაჩვენებელი, წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ ფონეტიკურ ცვლილებათა შედეგს და ოდნავადაც არ ბღალავენ ზუსტ კანონს.

ფონეტიკურ ცვლილებათა გათვალისწინების შემდეგ მე-2 სუბიექტ. პირისა და მე-3 ობ. პირის პრეფიქსები ჩვენს ძეგლში შემდეგი ნიარსახეობით წარმოგვიდგება:

ჰ — ზ, გ, ვ, კ, მ, ნ, პ, რ, ფ, ქ, ყ, ხ, ჯ თანხმოვნების წინ (ჰბრძანე 55v; განჰვლე 56v; განჰკაცენ 55v, აჰმალლი 252v, ჰპოო 110v, შეჰქმენ 20, აჰკოცენ 284v... ჰგონებდეს 110v, ჰნებაეს 120v, ჰრწამს 21v, მოჰფინა 197, ჰხედვიდა 40v...).

ს — დ, თ, ტ, ძ, ც, ჩ, ჯ თანხმოვნების წინ (ასდევ 5v, დასტრგუნე 34v, წარმოსტყუენე 177v, განსწმიდე 21v, დასჯედი 64v, გამოსჩნდი 25v... სძლევა 64, თაყუანის-სცა 199, შესწირვიდეს 8v...).

შ — ჩ თანხმოვნის წინ (2 შემთხვევა: გამოშჩნდი ქუეყანასა ზედა 55v, 276v).

0 — ხმოვნების წინ, ს, ზ, შ სპირანტების, ხოლო ზოგჯერ რ, მ, ყ, ჯ ბგერების წინ (მაგალითები იხ. ქვემოთ).

არც ერთი შემთხვევა ამ პრეფიქსთა ხმარებისა ინ-ენიანი ენებითის ფორმებში³⁰ ან უფროებითი ხარისხის თავკიდურ პრეფიქსად არ გვხვდება³¹.

ცალკე უნდა აღინიშნოს „დმსბლდი“ (დამსდაბლდი დაბანად ფერჯთა მონისაგანისათა 150v), რომელიც მიღებულია „დაჰმდაბლდი“-საგან ჰ და ზ-ს გათასრისა და ღ-ს წინ ჰ-ს ს-დ ქცევის შედეგად. იგივე უნდა ითქვას მე-3 ობ. პი-

²⁹ იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობ. პრეფ. ქსი მესამე პირისა ქართულ წმინდებში, თბ., 1920 (შემდეგში შემოკლებით: პრეფიქსები).

³⁰ ხანმეტ-ჰაემეტ ძეგლებში ინ-ენიან ენებითთან მე-3 ობ. პირის ნიშნის ხმარების შესახებ იხ. შ ა ნ ი ძ ე, ჰაემეტ ძეგლები და მათი მნიშვნელობა, თბ. უნ. მოამბე, III, გვ. 359; ა რ ნ. ჩ ი ქ თ ბ ა ვ ა, ხანმეტ ტექსტების აღმოჩენისათვის, ქურნ. „ჩვენს მეცნიერება“, № 3 (15—16), გვ. 65—84.

³¹ იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე, პირის ნიშანა ბრუნვიან სიტყვასთან ქართველურ ენებში, თბ. სახ. უნ. შრომები, გვ. 333—340.

რის ნიშნის შესახებ ზმნაში — „მსძლავრობს“ (მტერი მსძლავრობს სულსა ჩემსა, 103)³².

პირველი სუბიექტური პირისა და მე-3 ობ. პირის ფორმებში მუდამ დაცულია პრეფიქსთა ასეთი თანამიმდევრობა: ვჰქვს (ვჰკითხო ცხოვრება საუკუნოა 154v, თაქუანის-ვსცეთ 25... ვსძლო. მტერსა 157v...).

„შეესწირავთ“ და მისი ტიპის ზმნები იმავე ძალას ინარჩუნებენ ჩვენს ძეგლში, რომელიც მათ გააჩნიათ ძველ ქართულში („საშინელისა და უხილავისა მიუფისა ექვლესიასა შინა მსხუერპლსა შეესწირავთ 192...). ამჟამად ი. იმნაიშვილის მიერ გარკვეულია, რომ ასეთ ზმნებში მე-3 ობ. პირის პრეფიქსის ხმარება გამოწვეულია ზმნისწინის დართვით³³.

პრეფიქსთა დაკარგვის მაგალითები:

მე-2 სუბ. პირისა — რომელი სუფეგ უკუნისამდე 113v, 149, 239v; რომელი ზი მარჯულ მამისა 93, 125, 233; რომელმან კორციტა შეე... ღმერთი 1v, 124, 147, 224, 233; რაჟამს... შჯიდე 145; მოქალაქობდ 285; რამეთუ ამაღლდი 189v, 103v, 303v, 304 (შდრ.: აჰმაღლდი ზეცად 189; რომელი ჭუარსა ზედა აჰმაღლდი 252, 252v); რომელმან აღმართნი დაცემულნი 118v. 119v. შეურაცხ-ყავ 6v, 53, 56; კორცნი შეურაცხ-ყვენ 7v; ყვენ ესენი მეორედ მშობელ 50v; მონანი ღირს-ყვენ შენისა ღმერთებისა გამოცხადებასა 31v (შდრ.: შეურაცხ-ჰყავ 59; ჰყვენ 87...); წყალნი განსწმიდენ და ცოდვანი სოფლისანი ავოცენ 25v (შდრ.: რომელმან ცოდვანი სოფლისანი აჰვოცენ 284v).

მე-3 ობ. პირისა — შეზავა წყალთა 36; შემსუქალეს. 160; ეითარ სურინჲ 25; სუროდა მოსლვად უფლისა 40. 55, 105, 108v, 185, 204v, 302... აწ არაჲ ვრიდოთ მოკდავთა კორცთა ჩუენთა 110 (შდრ.: მახუილსა არაჲ ჰრიდეთ 9); რწმენა მისი სოფელსა 35, 129; 160, 187v, 203, 197, 207 (შდრ.: რაჲლა ჰრწმენეს ყოველთა 128...); მისაგებელსა რაჲ ხედვიდეს 106v, 109v, 101. 163. 192, 35v (შდრ.: ჰხედვიდა მახუილსა 40v, 40, 182v, 227v...). დაჰბანნა ფერცნი მისნი და თმითა თუისითა წარკოცნა 128v; საცოთური კერპთაჲ მით დაქსნა 80; წმიდათა მოწამეთა ბრძოლაჲ დაქსნეს ურჩულომსა მტერისაჲ 105v (შდრ.: განვჰქსნეთ საკრველნი 89, დაჰქსნდა საცოთური 138)³⁵.

საინტერესოა, რომ, როცა ამავე ზმნების მე-2 სუბ. პირისა და მე-3 ობ. პირის ფორმები გვხვდება, პირის ნიშნები ხელზეა: მახუილსა არაჲ ჰრიდეთ 9; ჰქადაგებდი 230v; ღმრთებთაჲ კერპთაჲ დაჰქსენ 6v; 154v; 159; საცოთური დაჰქსენით 16v, 161v; რამთა დაჰქსნენ საღმობანი სიყუდილისანი 290.

³² შდრ. ა. შანიძე, პრეფიქსები, § 51, გვ. 127.

³³ იხ. ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწილი II, გვ. 163 და შემდგ.

³⁴ მოვიგონოთ ა. შანიძის შენიშვნა ამ ზმნის მიმართ: „მსურის, — ეს თეორიულად აღდგენილ ფორმა, თორემ ტექსტში თითქმის სულ უპრეფიქსო ფორმები გვხვდება“ (პრეფიქსება, § 50, გვ. 119).

³⁵ ჩვენ ვადამწერის შეცდომად მიგვაჩნია ალძრავს (გულის-თქმა ჩემი აღძრავს სულსა ჩემსა 78v), მსახურებენ (მსახურებენ მას 1924) და შეურაცხ-ჰყო (ოსებ არიმათიასთ სიბღღრეჲ შეურაცხ-ჰყო 172v), რადგან პარალელურად გვაქვს: ურჩულოებთა ჩემი აღძრავს სულსა ჩემსა 90v; მსახურებენ 22v; გულისხმა-ყვით 41v; ტანჯავა შეურაცხ-ყვენ 107v (ჰყო რომ უბრალო შეცდომა, აღნიშნული აქვს ა. შანიძესაც. იხ. პრეფიქსები, §§ 55, გვ. 127).

3. მეორე პირის წართქმით ბრძანებითში მე-2 სუბ. პირის პრეფიქსი ჩვეულებრივ არ არის: ცროდეთ, ღრუბელნო, სიმართლესა სიბნელისასა 22; მოცაჲ კელი შენი 41v; აღდეგ, ღმერთო 75v; საყენ, უფალო, მავნებელნი 157...

მაგრამ გვხვდება ასეთ შემთხვევაში მე-2 სუბ. პირის ნიშნის ხმარებაჲც უაჲ ზმნასთან: (სიმრავლეა?) ურჩულოებათა ჩემთა უგულუბელს-ჰყავ, ქრისტე ღმერთო, რამეთუ შენ მიერ არს ლხინებაჲ, მხოლოო ქველის მოქმედ, აცხოვნენ სულნი ჩუენნი, გვედრებით 78v; სიმრავლეა ცოდვათა ჩემთაჲ უგულუბელს-ჰყავ 79... ჩუენნი შეცოდებანი უგულუბელს-ჰყვენ, კაცთ მოყვარე 267v...

4. პირველი ობ. პირის მ, მ/გუ პრეფიქსთა ხმარება. მანით დაწყებული ზმნის ფუძესთან ზოგჯერ წარმოდგენილი არ არის მხ. რიცხვის პირველი ობიექტური პირის ნიშანი მ:³⁶ დღეს ღალადებდა აბოჲ შორის სიმრავლესა წარმართასა, ვითარ მიმელოს მე ცხოვრებაჲ კაცობრივი და ვითარ წარმეკუეთოს თავი აბოჲს, ვითარ მომართოს მახუილმან 39; აღმართე მე, ვითარცა განრღუეული 112 (შდრ.: მომბადლე 79v, 95v, 122v).

მრ. რიცხვის პირველი ობიექტური პირის პრეფიქსად გვხვდება როგორც მ. ისე გუ. არავითარი მორფოლოგიურად განსხვავებული ფუნქცია მათ ხმარებაში არ შეიმჩნევა³⁷. პირიქით: არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ერთსა და იმავე ზმნასთან შესაძლებელია ამ პრეფიქსთაგან განურჩევლად იყოს ერთიც და მეორეც (შდრ.: მყვენ ჩუენ 18v და: ღირს-გუყვენ ჩუენ 145; განმათავსუფლენ ჩუენ 71v და: განგუათავისუფლენ 125v), ანდა ერთსა და იმავე წინადადებაში ერთ ზმნასთან ერთი პრეფიქსია, მეორესთან — მეორე (შეგუიწყალენ და მაცხოვნენ ჩუენ 80v...), რაც ნათლად მოწმობს ამ პრეფიქსების მორფოლოგიურ იგივეობას. ორივე პრეფიქსი უაღრესად ფართოდაა გამოყენებული მთელი ძეგლის მანძილზე.

³⁶ იხ. შენიშვნა 2.

³⁷ შედევლობაში გვაქვს ა. შანაძის მოსაზრება, რომლის თანახმადაც შეიძლება ეს პრეფიქსები მივიჩნიოთ ქართულ ენაში ოდესღაც არსებული ისეთი ექსკლუზიურ-ინკლუზიური ფორმების გადმონაშთად, როგორიც დღევანდელ სვანურში გვაქვს (იხ. ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების 1924 წლ.ს 4 ნომბრის სხდომის ოქმი № 23. „წელიწდული“, გვ. 372—374). ამავე აზრს იზიარებენ ვ. თოფურია (იხ. სვანური ენა, 1, ზმნა, თბილისი, 1931, § 6) და კ. დონდუა (იხ. Категория инклюзива-эксклюзива в сванском и ее следы в древнегрузинском языке: Памяти Н. Я. Марра. Москва-Ленинград, 1938, стр. 143. გადაბეჭდილი იმავე ავტორის წერილთა კრებულში: Статьи по общему и кавказскому языкознанию. Ленинград, 1975, стр. 79—95).

არსებობს ამ საკითხის სხვაგვარი ახსნის ცდაც, რომელიც არნ. ჩიქობავას ეკუთვნის. იგი „ვეფხისტყაოსნის“ ენის შესახებ შენიშვნავს: «Показательно обозначение О₁ множ. числа посредством префикса гუ (შეგუაშინა). Нет ни одного случая употребления в данном случае префикса მ (მაქუს ჩუენ), что встречается в древнегрузинском литературном языке и должно быть квалифицировано, как занизм; отсутствие таких форм у Руставели явный результат ориентации на восточно-грузинские диалекты» (см. К вопросу о диалектизмах в поэме Руставели «Вепхистгаосани». Сборник Руставели к 750-летию «Вепхистгаосани», Тбилиси, 1938, огд. оттиск, стр. 213).

ბ. მარია ერთ დროს გუ-ს ფულგურულადაც კი მიიჩნევდა. (იხ. Н. М а р р, Деяния трех святых бтизнецов мучеников Спелсипа, Еласипа и Меласипа. Записки Восточного Отделения Русского Археологического общества, т. XVII, вып. II, III, стр. 295; მისივე რეცენზია კ. კეკელიძის შუგნით: «Древнегрузинский архиепиретикон», ХВ, т. I, вып. 3, стр. 358—

5. ირიბი ობიექტური პირის ნიშნები თანდებულებიან ბრუნვახთან. ეტყობა, ოდესღაც უთანდებულო მიცემითი წარმოდგენილმა ირიბმა ობიექტმა თანდათან იწყო თანდებულის დართვა, მაგრამ ირიბი ობიექტის პრეფიქსი ინერციით შეინარჩუნა. ასეთია: მოჰვინა სული წმიდაა მოწაფეთა თუისთა ზედა 197v; სიტყვაა უჩრულობისა და მდევს ჩემ ზედა 154v; ნუ განმამორებ წყალობასა შენსა ჩემგან 113v. ასევე გვხვდება: შენდამი სიყუარულითა გიგალობდეს და იტყოდეს 84v; შენდა გშუენის გალობაა 92. ამ ორ მაგალითში ობიექტი ვითარ. ბრუნვაშია, მაგრამ მისი ნიშანი ზმნაში მოიპოვება (მდრ.: შენდა შუენის გალობაა 79). თუ ეს გადამწერის შეცდომა არაა, მეტად საინტერესო მოვლენასთან უნდა გვქონდეს საქმე.

უფრო საფიქრებელია აქ დასახელებული მაგალითების ასეთი ახსნა: შეიძლება ასეთი რამ ჯერ ნათარგმნ ტექსტებში გაჩნდა დედნის ენის გავლენით (ენისა, რომლისათვისაც უცხო იყო ობიექტური პირის ნიშნების ხმარება, ამასთან ზოგჯერ ობიექტებად თანდებულებიან ბრუნვებს იყენებდა და მთარგმნელც მათ შესაბამის ქართულ თანდებულებიან ბრუნვებს უფარდებდა), ხოლო შემდეგ კი ორიგინალურ ძეგლებშიც შეიჭრა.

რაც შეეხება თანდებულებიან მიცემითს, იგი უთანდებულოდაც გვხვდება პარალელურად იმავე ფუნქციით. ერთი მხრივ გვაქვს: მკლავთა ზედა მიწისაგანისათა დასაჯელი 64v; კიცუსა ზედა დასაჯელი 134; მკდომარეა კარაულსა ზედა 136 (ამავე რიგისა უნდა იყოს; სუნნელებაა დიდძალი მიეფინებოდა ზედა ყოველსა ერსა 257v) და მისთ., ხოლო მეორე მხრივ იმავე ზმნასთან გვხვდება: კიცუსა დასაჯელი 134 (ორჯერ); ფრთეთა ქერობინთასა მკდომარე ხარ 291v—292.

6. მეორე ირიბი ობიექტი ზმნასთან. მეორე ირიბი ობიექტია წარმოდგენილი ზმნასთან შემდეგ მაგალითებში: შენდობაა ცოდვთაა მო გუ მადლე სულთა ჩუენთა 13v; გვედრებით შენსა სიწმიდის მოყუარებასა 59. გუილხინე სულთა მონათა შენთასა და ღირს მყვენ, ქრისტე. შენსა სასუფეველსა 266v; გუილხინოს წყლულებათა ჩუენთა და მოგუიტევენს შეცოდებანი ჩუენნი 76; შენი მშუილობაა მო გუ მადლე სულთა ჩუენთა 63. ცხადია, შეიძლება აქაც უცხო ენის გავლენასთან გვქონდეს საქმე (იხ. ზემოთ, 5).

7. შემეწიენ ჩუენ. გვხვდება: „აღდეგ, ღმერთო, შემეწიენ ჩუენ 120v, სადაც შემეწიენ ენიანი ვნებითა, რომელსაც ირიბ ობიექტად აქვს I პირი მრავლობითში და ზმნაში ამ ობიექტის რიცხვის ენ მაჩვენებელია წარმოდგენილი. ამავე რიგისაა: აღდეგ, უფალო, შმწნ ჩუენ და მიცნენ ჩუენ 70v. პაოთალია, ამ უკანასკნელ შემთხვევაში შმწნ ქარაგმითაა, მაგრამ იეკლთა შეჯერებამ გვიჩვენა, რომ ამ წინადადებაში მუდამ „შემეწიენ“ იხმარება. ასე მკვალითად, სინას მთის მონასტრის ხელნაწერებში, რომლებიც ნ. მარმა აღწერა³³. ვკითხულობთ: „აღდეგ, ღმერთო, შემეწიენ ჩუენ“. ასევე ძვ. სსს. პოეზიაში გვხვდება: „აღდეგ, ღმერთო, შემეწიენ მოსავთა სახელისა შენისათა, ტიო 20-27; აღდეგ, ღმერთო, და შემეწიენ ჩუენ“. ტენ X XV. 13.

ჩანს, შემეწიენ შემთხვევითი ფორმა არაა. მამ რატომ გვხვდება იგი? ცხადია, არა იმიტომ, რომ თითქოს აქ საქმე გვქონდეს სახ. ბრუნვაში დასაქ-

³³ ნ. მარი, აღწერილობა, გვ. 30.

ლი პირდ. ობიექტის მრავლობითობის აღმნიშვნელი ენ სუფიქსის გამოყენებასთან ირ. ობიექტის მრ. რიცხვის გადმოსაცემად! არც ის შეიძლება დავუშვათ, რომ ამ შემთხვევაში ირ. ობიექტის მრავლობითობის გადმოსაცემად მრ. რიცხვის მე-3 სუბ. პირის ენ სუფიქსია გამოყენებული, როგორც ეს, ვთქვათ, დღევანდელი ქართულის ზოგ კილოში გვხვდება, როდესაც მე-2 ან მე-3 პირის ირ. ობიექტია (შდრ.: „თქვენ გაქვენ“, „მათ აქვენ“)³⁹. ასეთი რამ წარმოუდგენელია ძვ. ქართულისათვის თუნდაც იმიტომ, რომ იქ საერთოდ მხოლოდ პირველი ირიბი ობიექტური პირის რიცხვი აღინიშნება და ისიც მაშინ, როდესაც გუ პრეფიქსია. სხვა შემთხვევაში ირიბი ობიექტის მრავლობითობა არასოდეს ზმნაში წარმოდგენილი არ არის⁴⁰. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ „შემეწიენ“ გაკეთებულია „შეგუიწყალენ“ ზმნის ანალოგიით. ზმნისა, რომელიც ძალიან ხშირად გვხვდება სწორედ ამ ზმნასთან ერთად და რომელსაც, როგორც გარდამავალ ზმნას, ყოველთვის აქვს პირდ. ობიექტის მრავლობითობის აღმნიშვნელი ენ სუფიქსი.

8. **ნართაული ი.** თანხმოვანზე გათავებულ პირველი პირის ფორმებს წყვეტილში უჩნდებათ ნართაული ი, რომელსაც მწკრივის წარმოებასთან არავითარ კავშირი არა აქვს. მაგალითები:

შეესცეთი 88. 164v, (შდრ.: შეესცეთ 55, მინაწერი); დაეყედი 65v, დასაჯედი 64v, 65v; ვიქმენი (ურჩულო ვიქმენი 208); მიეცი (რომელი შურისათვის ნიეცი კელთა ცოდვილთასა 158v). (შდრ.: აუთქ 19, 190, მოირტყ 153v; დაიღჯ გურიგუინი 153v; შთაასხ 153v და მისთ.).

9. **უნწყებელი.** ეს მწკრივი ზოგჯერ ი დაბოლოების გარეშეა წარმოდგენილი: ქრისტე, მოწოდებასა აუწყებდ 138; მოწოდებასა წარმართთასა წინააუწყებდ 198; გარდამოსლვასა შენსა, ქრისტე, მოისა მისგან თაბორისა ამცნებდ მოწაფეთა შენთა და ეტყოდე მათ 210v; შენ მეუფესა აზილებდ 231; ითხოვდ ნათლის-ლებასა 285; გიხაროდენ და მხიარულ იყავ, ეკლესიაო, ქრისტეს მეუფისა შეწყყნარებითა და უგალობდ მგალობელთა ყოველთა თანა 299; წმიდაო ანტონი... უქორციოთა თანა-მოქალაქებოდ 285v; გზა-მეციო მე, რამათა ვიხილო. რომელსა-იგი წინათვე ეხედვედ 68v; ღალადებდ 306.

10. **სათავისო ქცევის ფორმა.** სათავისო ქცევის ი ნიშანი ერთ შემთხვევაში წარმოდგენილია მით: მღღელისაგან მოგვე განშორებაი 155v (შდრ.: მოიგე 306).

ანალოგიური შემთხვევები ხშირია ამ ეპოქის სხვა ძეგლებშიც.

11. **ენებითი გვარის წარმოება.** სუფიქსიან ენებითში, ნაცვლად მოსალოდნელი ნ—(ენ) მაწარმოებლისა, არა ნარნარ ბგერასთან გვაქვს დ: დასთხინეს სისხლნი მათნი შენთუის, რომელმან დაიმდაბლე თავი თუისი და ხატი მონეზისაჲ შეიკოსე. დაგლახაკედს მისიკუდილდმდე გლახეკებისა შენისა შიმსგავსებთა 185v (შდრ.: დღეს დაგლახაკენს საყოფელნი კერპთან 240v); ნუ განრისხებდი 98 (შდრ.: განრისხნა 38v).

³⁹ შდრ.: არნ. ჩიქობავა, კანურის გრამატიკული ანალიზი, § 28; მისივე: რით არის წარმოდგენილი მრავლობითი სახელობითში დასმული მორფოლოგიური ობიექტი ძველს ქართულში, თბ. უნ. მოამბე, IX, № 9, გვ. 118 (შემდეგში შემოკლებით: რით არის წარმოდგენილი...).

⁴⁰ იხ. ა. შანთაძე, ძვ. ქართული ენა, § 39; არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების სინტაქსი, თბ., 1928, § 85.

როგორც ჩანს, სუფიქსიან ვნებითში დონის ხმაარების არე ამ ეპოქაში უკვე გაფართოებულა და ამიტომაც, რომ იშვიათად, მაგრამ მაინც, ამოტივტივდება ხოლმე იქ, სადაც ისტორიულად მას ადგილი არ უნდა ჰქონოდა⁴¹.

ერთ შემთხვევაში ენიანი ვნებითის წყვეტილის მრ. რიცხვში ეს სუფიქსი არ ჩანს: ეკრძალეთ 75v (მღრ.: ვედერენით 7v).

იმავე ეს სუფიქსის ნ ზოგჯერ არ ჩანს პრეფიქსიანი ვნებითის ისეთი ზმნების ფორმებში, რომელთაც უკანასკნელ თანხმონად ნ აქვთ: მოსალოდნელი ორი ნ-საგან ერთი იკარგება ფონეტიკური მიზეზების გამო. მაგალითები: ღირს-იქმნეს 2; მკუიდარ იქმნეს 11; რომელნიც შეექმნეს 160; რაათა ვიქსნეთ და მიეგმთხინეთ ჩუენცა სასუფეველსა 82v; რაათა ვიქსნეთ ურჩულოებათა ჩუენთაგან 268; განიკურნეს ვნებანი სოფლისანი 48v და მისთ.42.

12. **სუბიექტური პირის ნიშანი რთულ ზმნაში.** „ლაღად-ყო“ ზმნის გამო ა. შანიძე შენიშნავს, რომ „ეს რთული ზმნა ზოგჯერ პრეფიქსს გადასცემს ხოლმე: ვლაღად-ყავ (მოქცევაჲ, 747), ვლაღად-ყავ (წარტყ. იერუს. § 29) და ვლაღად-ყავ-ც კი! (ძვ. სას. პოეზ. 289)“⁴³.

სინას მთის მონასტრის № 41 ხელნაწერის აღწერილობისას ნ. მარს მოკყავს ამონაწერები, რომლებშიც გვხვდება როგორც „ლღდვეკ“. ისე „ვლაღად-ყავ“⁴⁴. ჩვენს ძეგლში ეს ზმნა მხოლოდ და მხოლოდ წინ გადმოსმული პრეფიქსით გვხვდება: ვლაღატყავ 46; ვლაღატყო 95v და მისთ... ამ შემთხვევაში უეჭველია გავლენა აწმყოს „ვლაღადებ“ ფორმისა, რომელშიც ვ პრეფიქსი მუდამ წინ არის.

შ ე ნ ი შ ე ნ ა: ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ, როცა ზმნის პირიანი ფორმა „ვლაღატყავი“ არსებით სახელად არის გამოყენებული (რაც ხშირად გვხვდება ქარაგმით და წინ ვ არასოდეს აქვს), გახსნილი სახით წარმოვადგინოთ არა როგორც „უფალო ღლატყავისა“, არამედ ასე: „უფალო ღლატყავისა“⁴⁵, როგორც ეს ერთ შემთხვევაში გვაქვს კიდევ უქარაგმოდ (89v).

თავისებურია შერეული ფორმა „ვკმა-ყავ“ 118 (მოსალოდნელი იყო კმა-ყავ, ან ვკმა-ყავ).

ეს მაგალითი თვალნათლივ მოწმობს, რომ რთულ ზმნაში სუბიექტის ნიშნის წინ გადმოსმა შემთხვევითი არაა ჩვენი ძეგლის ენისათვის⁴⁶. ჩანს, ეს პროცესი ადრევე დაწყებულა.

13. **მეშველი ზმნა III სერიის ფორმასთან.** ვნ. ზმნის მე-3 პირის ებრა-პირიან ფორმაში, რომელიც მესამე სერიაში მეშველი ზმნით არის წარმოდგენილი, ეს უკანასკნელი შეკვეცილი სახითაა: ყუავილ გარდაფენილა საქსენეპელი თქუენი 10v (მღრ.: განშორებულ არს მშობელთა. ძმათა და მახლობელთა

⁴¹ მღრ. ა. შ ა ნ ი ძ ე, ნასახელარი ზმნები ქართულში, თბ. უნ. მოამბე, № 1, გვ. 95—96. მხედველობაში მისაღები ვ. თოფურიას დასკვნაც. „ვნებითის“ ელ-ის არსებობა ქართულ და სლავურ ზმნებში გვიჩვენებს, რომ ის ახალი წარმონაქმნი არ არის. ამდენად უნდა გადაისინჯოს საკითხი ელ-ის მეორეული წარმოშობის შესახებ“ (იხ. ქართველურ ენათა სიტუაეწარმოებიდან, ენობის მუამბე, V—VI, გვ. 536).

⁴² იხ. შენიშვნა 2.

⁴³ ა. შ ა ნ ი ძ ე, პრეფიქსები, § 20, გვ. 34. შენიშვნა.

⁴⁴ ნ. მ ა რ ს ი, აღწერილობა, გვ. 27—31.

⁴⁵ ისეთსავე ფორმის ასახელებს ნ. მარიც (იქვე, 142, 163...). მღრ.: ძლ-სპირი.

⁴⁶ მღრ.: ა. შ ა ნ ი ძ ე, ძველი ქართული ენა, § 51.

300v). ამავე რიგისა უნდა იყოს „წყულულა“ (შევრდომილ ვარ ურჩულოებათა ჩემთაგან და წულლა სული ჩემი 114), რომელიც ქარაგმითაა.

14. ზმნათა თავისებური ფორმები.

ა) ვარ ზმნის ფორმები აწმყოში ასეთი სახით გვხვდება: ვარი (ვიდრე სრულად არაა წარწყმედულ ვარი, მაცხოვრე 99, 103). ხარი (ღრუბელი ნათლისაჲ ხარი შენ 74).

ბ) მინდა აწმყო და არა უწყვეტელი: მინდა ცრემლთაგან აკოცაჲ შეცოდებათა ჩემთაჲ, უფალო, კელთა წერილთა და სინანულით სათნო-ყოფად შენდა, არამედ მტერი მაცთუნებს და მსძლავრობს სულსა ჩემსა 103 (შდრ.: გამოჩნდა სოფელსა, ვითარცა მას უნდა 235v).

გ) ივლენ ნაცვლად ფორმისა: „ვლენან“ (ივლენ ზღუასა ზედა მოციქულნი 49).

დ) ქარაგმით გვაქვს: რი მმსგ გმზლ და (მმს)ა თნა გნსნბ 293v, რომელიც ასე გავხსენით: „რომელი მამისაგან გამოხუელ და მამისა თანა განისუენებ“, თუმცა კარგად ვიცით, რომ გამოხუელ უცხოა ძველი ქართულისათვის.

ე) მომეც ზმნა ერთხელ „მომე“ სახითაა წარმოდგენილი: მომე ეამი სინანულისაჲ 104,4 (შდრ.: მომეც მე სინანულისა ცნობაჲ 120v).

ვ) სტატეურ ვნებითში გვაქვს: სწერია 18. საინტერესოა, რომ იგი ნახმარია გადამწერის ტექსტში: „ზემო სწერია მეორესა ფურცელსა“ 18.

ზ) სუროდა... ამ ზმნასთან ნათესაობითი ბრუნვა გვხვდება თუის თანდებულობით: სუროდა დიდებულისა სასუფეველისა შენისათუის 55; სუროდა უხრწნელისათუის ქრისტეჲს სასუფეველსა 108v; გიხილე, რომლისათუისცა მსუროდა 64v (შდრ.: გიხილე, რომლისა მსუროდა 65).

სინტაქსი

1. სუბიექტის ბრუნვა ვნებითი გვარის ზმნასთან. არის რამდენიმე შემთხვევა. როდესაც ვნებითი გვარის ზმნასთან სუბიექტი მოთხრობით ბრუნვამია:⁴⁷ ქემნ განჰკორციელი 120v; ვაკურთხევედეთ ყოველნი გარდაცვალებასა წმიდისა ქალწულისასა, რნ მიიცვალა 222v.

ამავე რიგისა არ უნდა იყოს „ურჩულომან ეროდე მიზეზ სიკუდილის იყო (ასეა) 297v. ამ შემთხვევაში „მიზეზ-იყო“ რთულ ზმნაში „იყო“ შეცდომით უნდა იყოს დაწერილი „ყო“-ს ნაცვლად. „მიზეზ-ყო“-ს ასეთი ხმარება სხვაგანაც გვხვდება. ასე მაგალითად, ხანმეტ ლექციონარში ვკითხულობთ: თავადმან მიზეზ-ყო ხუმორესადრე წარსლუად (ლუკა, 26, 28)⁴⁸ და მისთ.

2. სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის მრავლ. რიცხვი და შემასმენელი. თუ სუბიექტის ან პირდაპ. ობიექტის მრავლობითობა ნართიაა წარმოებული, მასთან რიცხვში შეთანხმება შემასმენლისა აუცილებელია. ეს იმდენად ჩვეულებრივია და ისეთ მტკიცე ნორმას წარმოადგენს ძველი ქართულისათვის, რომ მაგალითებს არც დავასახელებთ.

⁴⁷ ცოცხალ დიალექტებში მსგავსი მოვლენის არსებობის შესახებ იხ. ვ. თ. თ. უ რ ი ა, სინტაქსური ანალოგიის ერთი შემთხვევა ქართულში დიალექტების მიხედვით, კურს. „ჩვენი მეცნიერება“, № 1, გვ. 13.

⁴⁸ ა. შ ა ნ ი ძ ე, ხანმეტი ლექციონარი, ცალკე ამონაბეჭდი: თბ. უნ. მოაზმის IX ტომიდან. შდრ. აგრეთვე ჩვენი ძველადან: რამეთუ საშობათაგანე წმიდა-ყო იგი ქრისტემან, გვ. 201.

ენ ფორმანტი ნაწარმოებ ზმნებში⁴⁹ პირდ. ობიექტის ენ სუფიქსის დართვისა და ამ უკანასკნელის ხმოვნის შეკუმშვის შემდეგ მოსალოდნელი ორი ნ-საგან ერთი ზოგჯერ იკარგვის⁵⁰: მიკსნა ჩუენ 4v, 5, 26... მოიესენით სულნი-ცა ჩუენნი 10v; აცხოვნა' ძენი კაცთანი 19v; აცხოვენს სულნი ჩუენნი 221v, 227... გამოაჩინა⁵¹ წმიდანი მოციქულნი 241v... (შდრ.: გამოაჩინა მღვდელთ მოძღუარნი 14v; რომელნი იჩინა საბანელსა 48; რაჟამს მოვიკვნენი მე მრავალნი ცოდვანი ჩემნი 95).

ობიექტ-დაკარგული ჩანს ზმნები: „აიმღერნა“ და „მომხედენ“, რომლებშიც პირდ. ობიექტის მრავლობითობის ნიშანი ხელზეა, ხოლო თვით ობიექტი კი — არა. მაგ., გამობრწყინდა მადლითა წინამორბედი და მუცელსა დედისასა აიმღერნა 199; იხილა იოანე ღმრთისმშობელი და აიმღერნა მოკითხვასა ელისაბედისსა 200v—201; მაშინ აიმღერნა იოანე სიხარულით საშოსა შინა დედისა თუისისა 201; გვედრები, მომხედენ და შემიწყალე მე 123; ვლადატყავ შენდამი, ისმინე ჩემი, მომხედენ და შეგესემინ კმისა ჩემისა 124; ღმერთო ჩემო, მომხედენ 158v.

რამდენიმე შემთხვევაში შემასმენელი მრავლობითშია, ხოლო სუბიექტად ან ობიექტად არის ჩვენებ. ნაცვალსახელი „ესე“ მხ. რიცხვის ფორმით:⁵² ესე გალობათა კუირაესა ზატყესა სთქუნე 47v; და თუ გინდეს, ესეცა სთქუნე 158. ესე იანვარსა სწერიან სრულად 63; რომელმან გუირგუინოსან ჰყვენ წმიდანი მოწამენი, რამეთუ ესე არიან მეოხ ჩუენდა 88.

კრებით სახელთან ხშირად ზნა მრ. რიცხვის ფორმითა წარმოდგენილი: გაკუროთხევენ შენ, უფალო, კრებული წმიდათა 85; ერმან ურჩულომან ჯუარსა შემსჭულავს მეუფეა დიდებისა 160; მოციქულთა კრებულმან გალილეას გიხლეს, თაყუანის-გცეს და იტყოდეს 179; კრებული მორწმუნეთა განწყობილი მთავარანგელოზთა თაყუანის-გცემენ... ლაღადებენ 179. (მაგრამ: კრებული ანგელოზთა გხედვიდა რა... 188v; შენ კრებული მოციქულთა წინა გიძღოდა 221); დღეს სიმრავლემან ურჩულოთამან ზრახვად ბოროტი იზრახეს უფლისათუის 150; ყოველთა მორწმუნეთა სიმრავლეა, ღმრთისმშობელო უბოწო, დღეს საესენებელსა შენსა იხარებენ 212v; სიმრავლეა ანგელოზთა განკუირვებით ლაღადებდეს 223v (შდრ.: ვითარ იხილა სიმრავლემან ანგელოზთამან სული შენი 223v); ვითარცა მთანი გარემომს იერუსალემსა. ეგრეთვე დიდებული ეკლესიაა შენი მოციქულთა გარემომს შემოკრებულ არიან წმიდასა ეკლესიასა შენსა 244v.

სავალობელთა დასახელებისას (ადიდებდითსა, აქებდითსა და სხვა) სახელი არ ჩანს, მაგრამ მასთან აზრობრივად შეწყობილი ზნა მრავლობითშია. ასეთ შემთხვევაში გამოტოვებულ სახელად იგულისხმება „დასადებლნი“. მაგალითად: ადიდებდითსა ზემო დამირჩეს 9; აქებდითსა მისსა ჰპოვნე 04

⁴⁹ იხ. ვ. თ. ფ. უ. რ. ი. ა, ქართულურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, თბ. სახ. უნივ. შრომები, XV, გვ. 41—45.

⁵⁰ იხ. შენიშვნა 2.

⁵¹ ეს ფუძელრეკადი ზნაა.

⁵² ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ „ესე“ თითქმის მრ. რიცხვში არ იხმარება (შდრ. უკან ესენი შეორედ მშობელ 50 v).

(შდრ.: ამის შაბათისა დასადებელნი ქუემო ჰპოვენ 110v, მინაწერი; სხუანი თუვლორობასა ჰპოვენ 205).

შეცლომა: განვიწმიდნეთ თავი ჩნი 122 (უნდა: თავნი ჩუენნი); სარწმუნობით ქადაგეს უჩინონი და დაფარულნი საიდუმლონი 281 (მოსალოდნელი იყო: ქადაგეს).

როდესაც სუბიექტის მრავლობითობა ებ-ითაა ნაწარმოები, შემასმენელი მასთან რიცხვში შეთანხმებულია მხოლოდ ერთ შემთხვევაში, სხვებში კი — არა: გაკურთხევენ შენ, უფალო, სულელები წმიდათა მოწამეთა, რომელთანი სათნო-იყენეს შრომანი მათნი 85 (შდრ.: გაქებს შენ ყოველი თესლები 115; აქუნდა რტოები ბაიასაჲ ყრმებსა 130v...).

ებ-ით წარმოებული მრავლობითობა ობიექტისა არასოდეს ზნნაში წარმოდგენილი არ არის: შემუსრა თავები ვეშაპისა 22; რომელმან შეკმუსრე თავები ვეშაპისა 148v...

3. **შემასმენელი შერწყმულ წინადადებაში.** შერწყმულ წინადადებაში, რომლის ორ ერთნაირ წევრს მხ. რიცხვში დასმული ქვემდებარეები წარმოადგენენ. შემასმენელი შეიძლება მხოლობითში იყოს, ან მრავლობითში: ჯორცი უფლისაჲ. სისხლი მაცხოვრისაჲ წინა-ადგს⁵³, ზეცისა ძალნი უხილავად გმსახურებენ 4: მწუხარებაჲ და სიკუდილი მიეთხრა 174; რომელსა შინა შეიწირვის ჯორცი და სისხლი ქრისტეასი 244; წყალობაჲ და ჭეშმარიტებაჲ შეიმთხუნეს. სიმართლემან და მშუილობამან ურთიერთას ამბორს-უყვეს 265.

4. **შედგენილი შემასმენელი.** შედგენილ შემასმენელში სახელით წარმოდგენილი ნაწილი გვხვდება უმთავრესად წრფ. ბრუნვაში, მაგრამ ზოგჯერ სახ. ბოუნვაშიც: მშობელნი ჩემნი თუ ისმაიტელ არიან, ხოლო მე მსახური ვარ ჭეშმარიტისა ძისა ღმრთისაჲ 39. სხვა მაგალითები: იქმნენ მახარებელ და ქადაგ ჭეშმარიტისა განკაცებისა 18v; განმათავისუფლებელ მექმენ ჩუენ 4: მნათობ. სოფელსა ექმნენით 15v; მხილველ იქმნენით მისსა მას ღიდებასა 19v; შემწრუნებულ იქმნა ეროდ 1; დატევნულ იქმნა 176v; ზღუდე ჩნ⁵⁴ იქმნა ჭუარი 256v; მოსლვაჲ შენი, ქრისტე, წყარო ცხოვრების ექმნა მორწმუნეთა 128v; არაჲ ურწმუნო იქმნენ 126; ქრისტე ღმერთო ჩუენო, საკუთრელებაჲ მოწყალებათა შენთაჲ არაჲ თუ შობითგან ყრმისაჲ მის იქმნა ცხოვრება 192; წოდებულ იყავ 4; მხიარულ იყავ 138; მფარველ მეყავ მონათა შენთა 202v; შრომის მოყუარე იყვენით 18; მღდელთ მოძღუარნო, ეკლესიათა იყვენით დიდება და მღდელთ მოძღვრებისა სიქადულ 10; ჭუარი... ბრწყინვალე იყო 186v (შდრ.: დღეს გამოგუიხნდა... ქრისტე, რომელი იყო მოსაყდრეჲ მამისა თანა უუუნ-სამდე 43)... თაყუანის-ცემულ ხარ 1v; ნათელ ხარ შენ 30; კურთხეულ ხარ. უფალო 129; რომელი რჩელისა მაღიდებელ ხარ და რჩელისა აღმასრულებელ 132; რომელი შეუხებელ და უხილავ ხარ 148v; მსახურ ხარ და ერისთავ 270v; რომელი მიძიკებელ ხარ 275; რომელი სანატრელ ხარ 278... ბრწყინვალე არიან ძალნი თქუენნი, განათლებულ არიან საყოფელნი თქუენნი 10v; ნეტრეულ არიან საკსენებელნი თქუენნი 18; არავინ არს მწე 121; მოწყა-

⁵³ ეს ზნნა მიგვაჩინა აწმყოს ფორმად (მხ. რიცხვ. მე-3 სუბ. პირი) მომდევნო ზნის მი-

ლე არს 143v; უსაშინელეა არს 178 (შდრ.: მე ვარ აღდგომამ, საქმით სიტყუაჲ აღვასრულე 128; მე ვარ ღმერთი მძინარეთაჲ 128; შენ ხარ სიქადული მღდელთაჲ 4v; გურიგუინი ეკლესიათაჲ შენ ხარ, ქრისტე 5...); ყვენ ესენი მეორედ მშობელ 50v; ზიარ მათა მყევენ ჩუენცა 151; მაცხოვარმან გუიგურუინოსან გყო შენ 5v; ქუაბ ავზაჲთა უწოდე 239v; შენგან შობილსა ძე მლს ეწოდოს 276v.

5. მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმების საკითხები⁵⁵.

როგორც ცნობილია, ქართულში მსაზღვრელად შეიძლება იყოს როგორც ზედსართავი, ისე ნათესაობითში დასმული სახელი. იმის მიხედვით, თუ რომელი ამათგანია მსაზღვრელად და სადაა იგი მოთავსებული — საზღვრულის წინ თუ შემდეგ⁵⁶, მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმების⁵⁷ წესიც სხვადასხვაა.

ა) **ზედსართავი მსაზღვრელად.** თუ მსაზღვრელად ზედსართავია, მიუხედავად მისი ადგილმდებარეობისა და ფუძის სახეობისა (თანხმონით მოთავრდება ფუძე თუ ხმონით), საზღვრულთან შეთანხმება აუცილებელია.

თანხმოვან-ფუძიანი ზედსართავი საზღვრულის წინ: ყოველი აბრამეანი 4v; მართლითა სარწმუნოებითა 11; სრულითა სიბრძნითა 11v...

ხმოვან-ფუძიანი ზედსართავი საზღვრულის წინ: წმიდაა სტეფანე 5: შენ მიერ იხარებენ მეუფისა ქეისა 12...

თანხმოვან-ფუძიანი ზედსართავი საზღვრულის შემდეგ:... იტყუიან გმთა დიდებულთა 4...

ხმოვან-ფუძიანი ზედსართავი საზღვრულის შემდეგ:... ძლიერებითა შენითა მოგვამდუ ჩუენ აღდგომამ და ცხორებამ საუკუნოა 4.

ბ) **ნათესაობითში დასმული სახელი მსაზღვრელად.** თუ მსაზღვრელი უშუალოდ წინ უძღვის საზღვრულს და მათ შორის ჩართული არაა ისეთი სიტყვა, რომელსაც საზღვრასთან კავშირი აქვს ან არა აქვს⁵⁸, შეთანხმება ჩვეულებრივ არ ხდება; მაგ., ყოველთა დამბადებელთა უფალო 4; ქვისა დაკრებითა 5; ქრისტეს მონანი 10; წვალეებისა ნისლი 13v; სამებისა ერთარსებითა 14; სამებისა ერთარსებაჲ 16; სიბრძნისა ზღაპართა 19v; ანგელოზთა ერნი 19v...

შენიშვნა: გამონაკლისს შეიძლება წარმოადგენდეს ისეთი შერწყმუ-

⁵⁵ ა) ამ საკითხის განხილვისას ძირითადად ვეყარებით იმ დასკვნებს, რომლებიც მოცემულა, ერთი მხრივ, ნ. მარისა და მ. ბრიერის მიერ (N. Margret M. Brière, *La langue géorgienne*, Paris, 1931, § 264—269. შემდეგში შემოკლებით: ნ. მარი და მ. ბრიერი, ქართული ენა), ხოლო, მეორე მხრივ, ა. შანიძის მიერ (ძვ. ქართ. ენა, §§ 28, 30, გვ. 53—55);

ბ) აქ წარმოდგენილია მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმების მხოლოდ ის საკითხები, რომელთა მიხედვით ჩვენი ძეგლი არათანამედევრობას იჩენს.

⁵⁶ ერთი მტკიცე წესია მსაზღვრელ-საზღვრულის ადგილმდებარეობისათვის შეიტყუებაში არ ირსებობს არა თუ ჩვენი ძეგლის, არამედ საერთოდ ძვ. ქართულისათვის. თუ რამდენად ნებასძლეორობსთან გვაქვს ამ შემთხვევაში საქმე, ამის წარმოდგენას ფრანის ასეთი ვარიაციების შედარება მოგვეცემს: დაგუიციენ შენნი მოსაენი 65V, 81V, 194, 203, 212V, მაგრამ: დაგუიციენ მოსაენი შენნი 198V.

⁵⁷ „შეთანხმებაში“ ყველგან იგულისხმება შეთანხმება ბრუნვა^ა და რ. ცხვი როგორც მხოლოდით, ისე წარ-თანით ნაწარმოებ მრ. რ. ცხვის ფორმებში. ბრუნვაში შეთანხმებისას მტკიცეობაში უნდა ვიქონიოთ მხოლოდ ის ბრუნვები, რომლებიც შეიძლება ჰქონდეს საზღვრულს იმის მიხედვით, საკუთარი სახელია იგი, თუ საზოგადო. მხ-იანი მრავლობითის შესახებ იხ. ქვემოთ, 14.

⁵⁸ იხ. ქვემოთ, გ, შენიშვნა 1, 2.

ლი წინადადება; რომელშიც „და“ კავშირით შეერთებული ორი მსაზღვრელია. ერთსა და იმავე საზღვრულთან და საზღვრული მოსდევს მსაზღვრელს. ასეთ შემთხვევაში შეთანხმების გარკვეულ წესზე ლაპარაკი შეუძლებელია მაგალითთა სიმცირის გამო. გვხვდება როგორც „შენ, ზეცათაო და დიდებისა მეუფეო“ 9v, 274v, ისე „იოანესი და იაკობისი დსაადებლნი“ 9v (ამ უკანასკნელ მაგალითში შეთანხმება არის ბრუნვაში და არა რიცხვში).

თუ ასეთსავე შემთხვევაში მსაზღვრელ-საზღვრულს შორის ჩართულია ისეთი სიტყვა, რომელსაც საზღვრასთან კავშირი არა აქვს, შეთანხმება ჩვეულებრივ ხდება: ეშმაკათსა სძლეთ სიმრავლესა, ანგელოზთასა მიეწიფენით კრებულსა 10: ანგელოზთასა ხელავთ საყოფელსა 15; ზეცისაჲ შეიყუარე მოქალაქობაჲ 301.

შენიშვნა: როდესაც ნათესაობითი დასმულ მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის ჩართულია საზღვრულის განსაზღვრებითი ნაწილაკი „იგი“. შეთანხმება შესაძლებელია იყოს და შესაძლებელია არა⁵⁹. მაგ., შეთანხმება არის: უფალო, პეტრესნი იგი ცრემლნი სინანულად მიითუალენ 157 (მდრ.: იგის- გარეუე; პტრს ცრემლნი 163v); რომელმან აღრაცხა ვარსკვლავთაჲ იგი აურაცხელი კრებული 201v.

შეთანხმება არ არის: უხრწნელებისა იგი სამოსელი 23; გშუენის-ქებათა იგი შესხმაჲ 20; ტაძრისა იგი კრეტსაშემლი 163; პეტრე მოციქულისა იგი სინანული... 164; შევიწყნარეთ ღმრთის მეცნიერებისა იგი მაღლი 228...

ამ უკანასკნელ მაგალითებში თითქოს არც გვაქვს უფლება ვთქვათ, მსაზღვრელი არ იბრუნვისო, რადგან იგი (მან, მას და მისთ) თვით არის ბრუნვის ნიშნის ეკვივალენტი, რაკი მსაზღვრელ ნაწილაკებად გვევლინება.

თუ მსაზღვრელი საზღვრულს მოსდევს, შეთანხმება აუცილებელია: ქუროთა სათნოებისაჲთა 5v; მღდელთ მოძღუართა ქრისტცმთა 10v...

შენიშვნა: 1. შერწყმულ წინადადებაში, რომლის ორ ერთნაირ წევრს წარმოადგენს ნათესაობითი დასმული მსაზღვრელები ერთსა და იმავე საზღვრულთან, შეთანხმების ერთიანი წესი დაცული არ არის: საზღვრულს შეიძლება შეუთანხმდეს ორივე ან მხოლოდ „და“ კავშირის შემდეგ დასმული საზღვრული (მდრ.: მ. მარი და მ. ბრიერი, ქართული ენა, § 268, 10).

დედამან იაკობისმან და იოანესმან 141; შემოქმედი ცათაჲ და ქუეყანიჲსაჲ 156; ხილვაჲ ცათაჲ და ქუეყანისაჲ 161v; რომელი უფალ ხარ ცათაჲ და ქუეყანისაჲ 245; შენ, რომელსა გაქუს კელმწიფებაჲ ცხოველთაჲ და მკუდართაჲ 274; ანგელოზთა კმითა ფსალმუნებისაჲთა და კურთხევისაჲთა აქებდით ზეცათა ღმერთსა 100v... მაგრამ: გარნა შენ მკურნალისა სულთა და კორცთაჲსა 114; რომელსა გაქუს კელმწიფებაჲ ცხოველთა და მკუდართაჲ 302v;

2. ნართანიანი მრავლობითის ნათ. ბრუნვაში დასმული მსაზღვრელისა და ვითარ. ბრუნვის შესახებ იხ. ქვემოთ.

⁵⁹ დამახასიათებელია ამ მხრივ ერთი გარემოება: ჩვენს ძეგლში გვაქვს: სამთა ყრმათა ღირსთა, მვალობელთა ქალდეველთა აგზნებული იგი ცეცხლი ცუარად გარდააქცუეს 140v, ხოლო სინას მონასტრის ერთ-ერთ ხელნაწერში (იხ. ნ. მარი, აღწერილობა, ხელნაწ. № 41) იგივე ფრაზა აგიოს უშუალოდ ნათესაობათშა დასმული მსაზღვრელის შემდეგ გადმოტანის გამო ისე იკითხება: სამთა ყრმათა ღირსთა მვალობელთა ქალდეველთა იგი აგზნებული ცეცხლი ცუარად გარდააქცუეს (იქ. ვი, გვ. 31).

გ) **შედგენილი მსაზღვრელი:** შესაძლებელია ნათესაობითი დასმული მსაზღვრელი თვით იყოს განსაზღვრული ნათესაობითშივე დასმული ან ზედსართავი სახელით, ეს უკანასკნელი თავის მხრივ კვლავ იყენებდა რომელიმე მსაზღვრელით განსაზღვრულნი და ა. შ. თუ პირობით ამგვარად გადაჭკვეულ მსაზღვრელთა ჩვეულებრივ შედგენილ მსაზღვრელს ვუწოდებთ, ხოლო მით განსაზღვრულ სახელს — ძირითად საზღვრულს (ასე მაგ., ფრაზაში: გიხილა შენ მკსნელი ნათესავისა კაცთაჲსაჲ 66 ძირითადი საზღვრული იქნება „მკსნელი“; ხოლო შედგენილი მსაზღვრელი — „ნათესავისა კაცთაჲსაჲ“, რომელთაგანაც ძირითადი საზღვრულის უშუალო მსაზღვრელია „ნათესავისა“, ხოლო ამ უკანასკნელისა კი — „კაცთაჲსაჲ“), მაშინ ამგვარ შემთხვევაში დაცული შეთანხმების წესი შეიძლება ასე გამოგვეთქვა: თუ შედგენილი მსაზღვრელი ძირითად საზღვრულს მოსდევს, ამ უკანასკნელს ეთანხმება შედგენილი მსაზღვრელის მხოლოდ უკანასკნელი წევრი, მიუხედავად იმისა, თუ რა როლს ასრულებს ეს წევრი თვით შედგენილ მსაზღვრელში — მსაზღვრელისას თუ საზღვრულისას⁶⁰.

მაგ.: სარწმუნოებითა შენისა ცხოვრებისათა 13; მეოხებითა, უფალო ჩვენო, ღირსთა მღვდელთ მოძღუართა შენთაჲთა 13; ცეცხლი უწესოჲსა მის საცთურისაჲ 16; აიან ქადაგა დასაბამი ცხოვრებისა ჩუენისაჲ 20; გიხილა შენ მკსნელი ნათესავისა კაცთაჲსაჲ 66 და მისთ.

შენიშვნა: გამონაკლისს წარმოადგენს ისეთი შემთხვევები, როდესაც შედგენილ მსაზღვრელში „მის, ამის“... ნაწევრები მონაწილეობს და მათ უკანასკნელი ადგილი უჭირავთ. ამ შემთხვევაში ძირითად საზღვრულს ეთანხმება ამ ნაწევრით განსაზღვრული სახელი და არა თვით ბოლოს მოქცეული ნაწევარი: ამოთებამ ცხოვრებისაჲ ამის 105; ეზოა იგი ტაძრისაჲ მის 160; 165v: ვჰამ იგი ავაზაკისაჲ მის 165v; როკვაა იგი ქალისაჲ მის 297; ურჩულომან უბრძანა მოწყუელად ჩჩუილთაჲ მათი⁶¹: მსგავსივე წესი ძალაშია (?), როდესაც ოვათ

⁶⁰ ა) შდრ.: ნ. მ ა რ ი, და მ. ბ რ ი რ ი, ქართული ენა, §§ 267, 4; 268; 269. Zorell Franz, Grammatik zur altgeorgischen Bibelübersetzung. Roma, § 4, შენიშვნა, 1, 2.

ბ) ამგვარი შემთხვევები ცალკე სწორედ იმეტომ გამოვყავით, რომ მათში საქმე გვაქვს სპეციფიკურ შეთანხმებასთან. სიციხისათვის განვიხილოთ ასეთი შესიტყვება: „მკსნელი ნათესავისა კაცთაჲსაჲ“ 66; აქ „მკსნელი“ განსაზღვრულია „ნათესავისა“-თი, მაგრამ საზღვრულთან შეთანხმებული არაა; თავის მხრივ „ნათესავისა“ განსაზღვრულია „კაცთაჲსა“-თი და ეს უკანასკნელი შეთანხმებულია არა მხოლოდ თავის საზღვრულთან, არამედ ამ საზღვრულის მიერ განსაზღვრულ საზღვრულში დასმულ საზღვრულთანაც, რისთვისაც მ-ს (— მ სახ. ნიშ.) იღებს (შდრ.: ნ. მ ა რ ი, გრა-მატიკა § 83). სრულიად სამართლიანია ის გაოცება, რომელიც ქართულში არსებული ასეთი შემთხვევების შესახებ გამოთქვა ადოლფ დირმა (იხ. A d o l f D i r r, Einführung in das Studium der kaukasischen Sprachen, Leipzig, 1928, s. 59).

გ) შეთანხმების ასეთი წესის გაუთვალისწინებლობის გამო, „სიბრავლეთაგან ცოდვათა ჩემთაჲსა“-ს კ შევითქვამთ ასეთი შენიშვნა გაუკეთა: Необычность нашего случая и постановка показателя отношения не при сущ. цодვათა, а при определяющем его местоявлении (იხ. К. Ке к е л д з е, Жизнь и подвиги св. Иоанна, католика Урхайского, XV, т. II, вып. 3 გვ. 314). ასევე ნ. მარმა ფრაზაში: „ხოლო თქუენ ვითარცა შევითა ქრისტეს ღმრთისა ცხოველისათა“... — „ქრისტეს“, როგორც საზღვრულთან ბრუნვაში შეუთანხმებელი, შევითაღად ჩათვლიდა „ქრისტესითა“-დ „გაასუროა“ (იხ. Н. М а р р, Деяния трех святых Ближнецов мучеников Спевсипа, Еласипа и Меласипа, Записки Восточного Отделения Русского Археологического общества, XVII, вып. II, III, стр. 295.).

⁶¹ „მათ“ ნაწევრის კუთვნი. ნაცოლსახელად გაგების შედეგად გვაქვს: გულის წყრობაჲ მოხუცებულთა მათთა 136v; განარსებება მღვდელთ მოძღუართა მათთა 137.

შედგენილ მსაზღვრელში ჩართულია რაიმე სიტყვა, რომელსაც საზღვრასთან კავშირი არა აქვს. ამ შემთხვევაში ძირითად საზღვრულს ეთანხმება შედგენილი მსაზღვრელის ის წევრი, რომელიც ჩართული სიტყვის წინაა მოთავსებული, ხოლო ბოლოს მოქცეული წევრი კი — არა: მინდა ცრემლთაგან აკოცა შეცოდებათა ჩემთა, უფალო, კელთა წერილთა 103...

თუ შედგენილი მსაზღვრელი ძირითად საზღვრულს წინ მიუძღვის, მაშინ ძირითად საზღვრულს არ ეთანხმება შედგენილი მსაზღვრელის არც ერთი წევრი: უკორცთა ანგელოზთა კრებულსა 46v; სულისა წმიდისა გამოცხადებითა ერთა გიენეს საებისა წმიდისა მგალობელთა 26; ნათესაისა კაცთაისა მფარველსა 108; წინამორბედისა შენისა მქადაგებლისა ღმრთისა სიტყუისა დაყენებას ჰგონებდა... 296v.

შენიშვნა: 1. როდესაც შედგენილ მსაზღვრელში „მის“... ნაწევარი მონაწილეობს, მაშინ ამ ნაწევარი განსაზღვრული წევრი ძირითად საზღვრულს ხან ეთანხმება და ხან არა. შდრ. ერთი მხრივ: პირველ ქმნულისაჲ მის შიშლოებაჲ 284; ბრძენთაჲ მათ ქალწულთაჲ მღუიარებაჲ მომმადლე, ქრისტე ღმერთო, 289; ხისაჲ მის ნაყოფისა არა ხილვაჲ 301v... მეორე მხრივ: შეკმულს რე ვეშაპისა მის მრავალსახეჲ იგი თავები 11—5v; უცვალებელისა მის ჩუენისა ქსნისა საიდუმლოჲ 297; უჩუენა მერმისა მის ღმრთეებისა თუისისა გამოცხადებაჲ 207v...

2. თუ შედგენილ მსაზღვრელსა და ძირითად საზღვრულს შორის ჩართულია რაიმე სიტყვა, რომელსაც საზღვრასთან კავშირი არა აქვს, ძირითად საზღვრულს ეთანხმება შედგენილი მსაზღვრელის ის წევრი, რომელიც ჩართული სიტყვის წინაა დასმული: დედისა მათისაჲ წადიერებით თხოვაჲ 141v; იოსებ არიმთიელმან წადიერებით დიდისა მის ნათლისა მზისა სიმართლისანი მოითხოვნა კორცნი ძისა ღმრთისანი 170v⁶².

ღ) ზემოთ ჩვენ განვიხილეთ, თუ როგორია საერთოდ ძველ ქართულსა და კერძოდ, ჩვენს ძველში მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმების ის ნორმები, რომლებიც ამ შემთხვევაში გვაინტერესებს.

რა კერძო საკითხები ისმის ამასთან დაკავშირებით კილ-ეტრატის იადგრის ენის მიმართ?

შეცდომაა, რომ გვხვდება: უბიწოჲ კელი უკრწნელსა თავსა შენსასა შეახო 229v (უნდა: ... შენსა...); გიგალობთ შენ შიშით მაცხოვარსა სულთა ჩუნსასა 238v (უნდა: ... ჩუენთასა), რაც ტექსტში გასწორებულია კიდევ.

ამავე რიგის არაა: ნუმცა რაჲ გუაქუს ხორციელებრ იგი ზრახვაჲ 143; აქ „იგი“-ის წინა ი „ხორციელებრ“-ის ბოლო ასოდაც უნდა ვივარაუდოთ, რადგან გარკვეულია, რომ ძველ ქართულში... одна и та же буква используется двукратно, раз в качестве окончания предыдущего слова, другой раз в качестве начала последующего слова (Н. М а р р, Два грузинских архитектурных термина «ачрдил» и «бальвар». ХВ, т. VI, вып. 3, стр. 293). ეს მოვლენა ძალიან ხშირად გვხვდება ჩვენს ძველში⁶³.

⁶² აქ მოკეპული შენიშვნების საფუძველზე გასაგებია სისწორე წინადადებათა: „ჩჩლოთ მთ წრტ:და სსობჲ“ 183 და „ვენებისასა მას წინა-განზადებს გზათა 75 (ამ უკანასკნელ მაგალითში გადაჭერის შეცდომით „ენებისათა მათ“-ის მაგიერ „ვენებისასა მას“ დაუჭერია).

⁶³ მსგავსი მაგალითი: მღოთ მძღრთა ქსათა ღირსად მატრეს-ესცემდეთ ვითარცა შემამკობელთა ზრჭყინჯაულ ეკლესიათა სარჭუნოებითა 10v; სინტაქსური შეთანხმების დაცვით უნდა გგჷონ-

თავისებური მდგომარეობაა, როდესაც საზღვრულს ეთანხმება წინ მო-
თავსებული ნათესაობითში დასმული მსაზღვრელი⁶⁴: ქემსი მცნებაჲ უბიწოდ
დიმარხე 59; ქემსი მცნებაჲ 109; იუდაისი უბადრუკება 154v; 115; ოისა
ადგომი გუახარა ჩუენ ანგელზმან 173v; პეტრე-პავლეიჲ საცსენებელი 224.

შეცდომა: კრებული მოციქულთა (უნდა მოციქულთაჲ) წინა გიძლოდა
221; რტოებითა ბაიასათა 279v (უნდა: ... ბაიასათა).

ე) გადახრა. წესისაგან გადახრად უნდა მივიჩნიოთ შემდეგი შემთხვევე-
ბი:⁶⁵ რომელმან ინებე ქსნაჲ ნათესავისა კეთასა⁶⁶ 120 (უნდა: ... კაცთასაჲ):
დასაბამსა საუკუნისა ცხოვრებისა... უგალობთ 175 (უნდა: ... ცხოვრებისასა...):
დღეს კელთაგან თუისთაჲსა დაბადებულთაჲსა სიმდაბლით სათნო-იყავ... 149v
(უნდა: ... თუისთა); დაჯდომიჲ კიცუსა ზედა რაჲ სათნო-იყავ, ქრისტე, ახლისა
ერისა შენისა მოწოდებასა აუწყებდ, დასცხრა სახეჲ აჩრდილისაჲ პირველისა
რჩულისაჲ მადლისა გამობრწყინებითა შენითა ჩუენდა 138 (უნდა: ... აჩრდი-
ლისა); მადიდებელი საცსენებელისაჲ წმიდათა მოწამეთა 184v (უნდა: ... საც-
სენებელისა...); სახენი სამსკუალთანი კელთა შენთანი უჩუენენ თომას 290v
(უნდა: ... სამსკუალთა კელთა შენთანი...); შენ მიმნიჭებელი კეთილთაჲ ნა-
ყოფთა უხუებითა უხრწნელებისაჲთა 300 (უნდა: ... კეთილთა ნაყოფთა).

„რომელმან აღადგინა საფლავით ლაზარე ოთხისაჲ დღისაჲ“ (126) წინა-
დადებას აკლია სიტყვა: „მკუდარი“, მაგრამ მისი ადგილი გაურკვეველია, რად-
გან, თუ „მკუდარი“ მოთავსდებოდა „ოთხისაჲ დღისაჲ“-ს წინ, უნდა გვქონო-
და „მკუდარი ოთხისა დღისაჲ“ (როგორც ეს ივარაუდება ასეთ შემთხვევაში:
დღეს საფლავისაგან აღადგინე, მაცხოვარ, ლაზარე, (მკუდარი) ოთხისა დღი-
საჲ 127; დღეს აღადგინე, მაცხოვარ, (მკუდარი) ოთხისა დღისაჲ საფლავით
ლაზარე 127), ხოლო, თუ შემდეგ — მაშინ „ოთხისა დღისა მკუდარი“ და არა
ისე, როგორც ეს ერთხელ გვხვდება: ლაზარე ოთხისაჲ მკუდარი აღადგინა
საფლავით 128v.

ასევე გვხვდება: ღმრთისმშობლო, მოსავთა შენთაჲ ვედრებაჲ შეიწირე
250 (უნდა: ... შენთა ...); აღდგომისა შენისაჲ ხარებაჲ 305 (უნდა: ... შენისა):
ყოვლისა სოფლისაჲ განახლებაჲ 177 (უნდა: ... სოფლისა ...); კაცთ
მოყუარებისა შენისასა ღირსყოფასა ვერ გულსხმა-ვპყოვ 91 (უნდა: ... შენი-
სა...); მოწამეთა შენთაჲ ქადაგი 5 (უნდა: ... შენთა ...); უფლისა იესუ ქრისტესა
მოსლვაჲ ... 19v (უნდა: ... ქრისტესს)⁶⁷; დღეს კელთაგან ურჩულოთაჲთა უბ-

დეს: ... შემპყობელთა... ეკლესიათასა... რაც გეჰწნება კიდევ, თუ „სარწმუნოებითა“-ს წინა ხა-
არკვალს „ეკლესიათა“-ს დაბოლოებადაც ვიკულისხმებთ.

⁶⁴ ა) იხ. ზემოთ, ბ;

ბ) ნ. მარი და მ. ბრიერი ასეთ შემთხვევებს საპართიანად ხალხური ენის კუთვნილებად თვ-
ლიან (§ 267).

⁶⁵ იხ. ზემოთ, გ.

⁶⁶ შესაძლებელია ეს ფორმა ქარაგვის გამოც იყოს.

⁶⁷ აქ დასახელებულ მაგალითთა უმრავლესობისათვის შედგენილ მსაზღვრელში კუთვენ. ნაც-
ვილახელი მონაწილეობს და იგი ძირითადი საზღვრულის წინა დასმული უშუალოდ. ეს გარემოე-
ბა ხომ არ გვაფიქრებინებს, რომ ასეთი შემთხვევებისათვის ძეგლში დატული ვითარებაჲ წესი და არა
წესისაგან გადახრა? ვიღაცისათვის რისამე თქმა აქამად ძნელია. მიუთითებთ მხოლოდ იმ გარემოე-
ბაზე, რომ გვხვდება: მღლთ მძღრთა შნთა შრამაჲ კეთლისაჲ 11 v, სადაც ამგვარსავე პირობებში
შეთანხმება არაა.

რალოდ თავი მისი მოეყუთა 229v — აქ ე არ იკითხება, კელთაგან ურჩულო-თაითა გვაქვს ნაცვლად ამისა: კელთაგან ურჩულოთაისა⁶⁸.

მოსალოდნელი ორი სანისაგან ერთის დაკარგვა. შეთანხმება არის, მაგრამ მოსალოდნელი ორი სანისაგან ერთი დაკარგულია⁶⁹ შემდეგ შემთხვევებში: ვადიდებთ საცენებელსა მისა 38; სულ-გრძელებასა მისა ვადიდებთ 143; ბერ-ძენნი კულა ყოველსა ლაზერებსა იტყუიან 125; მეორედ შობისა დიდისა მო-წამისა აბოისა 40v; ვპოფდეთ ცსენებასა წმიდისა აბოისა 41; რომელმან სახ-ლსა ზაქარიასა ვითარცა კარავსა შინა იხილა იოანე 200v; მოკითხვასა ელი-საბედისა 201, 294; თთუესა იენისა 202, 224v; საცსენებელსა წმიდისა მარიამისა 220v (შდრ.: მისსა 64; ცსენებასა ყოვლად ქებულისა და პირველ-მოწა-მისა შენისა სტეფანეისსა 4; თავსა მისსა 6v; მისსა მას დიდებასა 19; სასუფე-ველსა მისსა 39v).

ვ) განსაკუთრებულ განცვიფრებას იწვევს ისეთი შემთხვევები, როდესაც დამატება ან გარემოების აღმნიშვნელი სიტყვა (სიტყვები) გაგებულთა რო-გორც მსაზღვრელი და საზღვრულთან არის შეთანხმებული საერთო წესის მი-ხედვით: ყრმანი ებრაელნი ბითანი მიგვეგებოდეს 130v (=ყრმანი ებრაელნი ბაიათა (მოქმ. ბრ.) მიგვეგებოდეს); (შდრ.: რტოებითა მიგვეგებოდეს (ასეა) 130); შესლვითა ბჭეთა ვშულთა-ითა⁷⁰ 179v; წესნი უყესთაეს ზესკენელს ცათა-ნი ძლევისა გალობასა შენდა შესწირვენ 179; მცხენბლი ჩუენი ღისა მიმართ მმთა ჩნთმსაჲ 234; მიქელ და გაბრიელ დიდნო მთავარანგელოზნო და პირველ ზეცისა ერისთავნო და წინაშე მღვდომელნო ღისანო 271.

აქ ჩვენ ვვარაუდობთ ხალხური მეტყველების ან პოეტური სინტაქსის⁷¹ დიდ გავლენას. ამავე მიზეზით უნდა აიხსნას ფრაზა: სოფელსა ასწავეს... ღმრთისა თაყუანის-ცემად ქეშმარიტისაჲ 204, სადაც შედგენილი მსაზღვრე-ლის შუაში (ღმრთისა... ქეშმარიტისაჲ...) ჩართულია საზღვრული სიტყვა („თა-ყუანის-ცემად“) და შეთანხმების წესი დაცულია. ამის გარეშე გვექნებოდა: „ღმრთისა ქეშმარიტისა თაყუანის-ცემად“ ან „თაყუანის-ცემად ღმრთისა ქეშ-მარიტისაჲ“.

მსგავსი მაგალითებია: „რომელმან უპირატემს თხოვისა ჩუენისაჲ უწყი გულისაჲ (ასეა) თხოვაჲ მვედრებელთაჲ მიცემად წყალობაჲ შენი“ 124 (უნდა: მვედრებელთა გულისა თხოვაჲ... ან: თხოვაჲ მვედრებელთა გულისაჲ || ...თხო-ვაჲ გულისა მვედრებელთაჲ...) და ქრისტემს ღმრთისა დღეჲ ადგომისაჲ, 177 (უნდა: დღეჲ ქრისტემს ღმრთისა ადგომისაჲ || ქრისტემს ღმრთისა ადგომისა დღეჲ...).

გვაქვს საწინააღმდეგო შემთხვევაც, როდესაც ძირითადი საზღვრული განსაზღვრულია ზედსართავით (ზედსართავებით), მსაზღვრელი (მსაზღვრე-ლები) წინ უძღვის საზღვრულს და მათ შორის ჩართულია ნათესაობითში დას-

⁶⁸ მსგავსი ტიპის მაგალითი არაა: დღეს აღესრულა ყოველი, რომელსა დავით წინაშარამტყ-უელი ქაოვაგბდა წინათვე, ვითარმედ ყრმთა ჩჩლთა მწვართათაჲ დამეტკიცოს ქებაჲ 182v; აქ „ყრმთა“-ს წინ იკლივს სიტყვა „პირითა“, რომლის აღდგენის შემდეგ გვექნება სრულიად კანონიე-რი შეთანხმება: პირითა ყრმთა ჩჩლთა მწვართათაჲ დამეტკიცოს ქებაჲ (შდრ.: მათე, 21, 16).

⁶⁹ იხ. შენიშვნა 2.

⁷⁰ რომ აქ შევითხრო ბრუნვაჲ, შდრ.: შეხუედ ბჭეთა ვშულთა 174; 180v; ბჭეთა ვშულთა შესლვითა 174; შემოვაღს დღეს კართა ვშულთა დაუტეენელი ღმრთი 176v.

⁷¹ ჩვენი ძველი ხომ-სასულოერო პოეზია!

მული: მსაზღვრელებისაგან შემდგარი შედგენილი მსაზღვრელი: დღეს გამოუთქმელი და უხილავი უხილავთა შემოქმედისა ძისა ღმრთისაჲ საყდარი ზეცისა წესთაგან იხილვებოდა 73v; მიზეზი ამ შემთხვევაშიც იგივე ხალხური მეტყველების სამწერლობო ენაში შეჭრაა.

ზ) ცნობილია, რომ, როდესაც მსაზღვრელად ნათესაობითში დასმული სახელია და მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს, გათარ. ბრუნვაში ბრუნვის (ა)დ ნიშანი მხოლოდ საზღვრულთანაა, ხოლო მსაზღვრელი სუფთა ფუძითაა წარმოდგენილ⁷². ამ დებულების საფუძველზე შეთანხმების ასეთ სურათს უნდა მოველოდეთ (და მას კიდევ ვხვდებით) ჩვენს ძეგლში: გამოაჩინენ მნათობად სოფლისა 184; მქსნელად სოფლისა 237v, მაგრამ გვაქვს: მზედ სიმართლისად გამობრწყინდი 124; ძედ ღმრთისად შენ გხადოდეს 134: მიმცემელად მაცხოვრისად გამოსჩნდი 152v; ბჰედ ზეცისად გამოსჩნდი 215; ტაძრად სულისა წმიდისად გამოჩნდა 215v; არცა... დაღუმნა სიტყუად სიმართლისად 228v; კილოზნად გქადაგა შენ სიწმიდისად 235; ბჰედ შენ გიხილა ნათლისად ეზეკიელ 235; დედად მაცხოვრისად გამოშჩნდი 276v; ტაძრად სულისა წმიდისად გამოუჩნდი 296; ძედ ღმრთისა ცხოველისად აგიარა პეტრე 295; ნათლად გამობრწყინდეს ცხოვრებისად ღირსნი 13.

შ) როდესაც საზღვრული ებ-იანი მრავლობითითაა წარმოდგენილი, მსაზღვრელი მასთან შეთანხმებულია ბრუნვაში და არა რიცხვში⁷³. მაგ.: თავები ვეშაპისაჲ 22v, 48, 48v; მრავალსახეჲ იგი თავები 115v; სულელები წმიდათა მოწამეთაჲ 85; სულეები ერთა მორწმუნეთაჲ 274v; შტოები ბაიასაჲ 134v; რტოები ბაიასაჲ 130v.

თ) შეცდომაა, რომ გვხვდება: უფლისა სულგრძელებაჲ უძღვებისა მის შვილისაჲ ნებითა განთქუა ურჩულოჲ იუდა 151 (უნდა: ... ურჩულომან იუდა: შდრ.: წმიდამან აბო (დაწერილია აბოჲ) 40... წმიდამან სტეფანე 4v. 5...).

ი) თუ არ იქნება ნავარაუდევო, რომ მრ. რიცხვით წარმოდგენილი საზღვრული დაკარგულია, შეცდომად უნდა ჩაითვალოს შესიტყვევები: შორის ავაზაკთასა 159v; შორის ორთა ავაზაკთასა 16v (შდრ.: შორის ორთა ავაზაკთა 165v; შორის მოწაფეთა 31).

ია) გვხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც მსაზღვრელ-საზღვრულს შორის ჩართულია სხვა სიტყვა ან წინადადებაც კი. მაგ.: რომელთა მოციქულთა მწრაფლ ქადაგებული ეკლესიათა მიერ სოფელსა დაამყარეს მართალი სარწმუნოებაჲ 16; ჩუენ შენითა განგუანათლენ ნათლის-ლებითა 30: გალობასა შენდა შევესწირავთ ანგელოზთასა 242: დიდებაჲ პოვა და სიმდიდრეჲ მოწამემან ზეცისაჲ 260; ვაქებთ შენსა, უფალო, მრავალ-მოწყალებასა 261v; მკვნენ ბრძოლასა შინა უჩინოასა მტერისაჲ მამაჲ ანტონი 57: შეიწირე ჩუენი მადლობით შენდა მიმართ მსხუერპლი 180v.

6. **ობიექტი ვითარებით ბრუნვაში დასმულ საწყისთან.** ვითარებით ბრუნვაში დასმულ საწყისთან ობიექტი გვხვდება როგორც სახელობითში (მიცემად წყალობაჲ შენი 124...), ასევე მიცემითსა (დამსდაბლდი დაბანად თეოკთა მო-

⁷² ა. შანიძეს ეს გარემოება მაინც იმის ძლიერ საბუთად. რომ ვით. ბრუნვის (ა)დ ნიშანი იან-დებულებისაგან მომდინარეობს.

⁷³ ამ გარემოებას ყურადღება იმითომ მივაქციეთ, რომ ძვ. ქართულში შესაძლებელია შეგვხვდეთ ისეთ შემთხვევაში რიცხვში შეთანხმების ერთეულ მავალითებსაც (შდრ.: „რტკლები ქალაქი“, კიენი, 38 და მისთ.).

ნისათა 150v...) და ნათესაობითში (წარავლინა ქრისტემან წმიდანი მოციქულნი განათლებად სოფლისა... 243).

ისეთი მაგალითები, როგორცა „სიმღერა ურჩულოთა დელათაჲ არწმუნებს ეროდეს მოკუეთად თავსა წინამორბედისასა“ 225 და „სიმღერამან ურჩულოთა დელათამან არწმუნა ეროდეს მოკუეთად თავი შენი“ 231, იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ასეთ შემთხვევაში ობიექტის ბრუნვა განსაზღვრულია არა ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისით, არამედ პირიანი ფორმით წარმოდგენილი ზმნით. ამჟამად ოდენ ამ მონაცემებზე დაყრდნობით გადაჭრით რისამე თქმა შეუძლებელია.

განსაკუთრებით საინტერესოა შემთხვევა, როდესაც ერთსა და იმავე წინადადებაში ორი საწყისია წარმოდგენილი ვითარებით ბრუნვაში და პირდაპირი დამატება ერთთან ნარ-თანინი მრავლობითის მიცემითშია წარმოდგენილი, ზოლო მეორესთან — სახელობითში: რომელი საშობოგანვე დედისაჲთ იწოდენ წინაწარმეტყუელად და წარდგომად წინაშე პირსა უფლისასა, განმზადებად გზათა მისთა და მოტეებად ყოველთა შეცოდებანი 230v.

7. ნათ. ბრუნვა მიმართულებითის გაგებით. ისევე, როგორც საერთოდ ძვ. ქართულში, ჩვენს ძეგლში ხშირია ნათ. ბრუნვის⁷⁴ გამოყენება მიმართულებითი ბრუნვის ფუნქციით. ზოგჯერ ასეთი ნათესაობითი იმასვე უდრის, რასაც მთის კილოებსა და გურულში ხმარებული ფორმები: კაცისად (კაცისად—კაცი-ზა) და მისთ.

მაგ.: რამეთუ ისწრაფდი მისლვად უფლისა თუისისა 19; მოვიდა მარიამ მაცხოვრისა 128v; მოვიდა იოსებ არიმართიელი პილატესა 170; ქუეყანისა ქალწული ზეცისა სიძისა მიითხოვა 275v; ამისა ქებასა შევსწირვიდეთ 148; სა-წინელისა და უხილავისა მეუფისა ეკლესიასა შინა მსხუერპლსა შევსწირავ 192 და მისთ.

ამ თვალსაზრისით სრულიად გაუმართლებელია ორი ს: მირბიოდა მისსა 68v; აწ ვისსამე მივივლტით გარნა შენ მოწყალისა და ომრთისა 306v (შდრ.: ვისამე მოვივლტოდი... 114); ასევე სწორი არაა: შეწირნეს მცხესა 184 (უნდა: ... მაცხოვრისა).

8. მოქმ. ბრუნვისა და გან თანდებულისანი ნათ. ბრუნვის პარალელური ხმარება. კითხვაზე საიდან? პასუხობს ხან მოქმედებითი ბრუნვა სუფთა სახით და ხან ნათ. ბრუნვა გან თანდებულის დართვით. მაგ., დღეს ალაღვინე, მაცხოვარ, ოთხისა დღისაჲ საფლავით ლაზარე 127; საფლავით ალვადვინე ლაზარე 128... მაგრამ: დღეს საფლავისაგან ალაღვინე ლაზარე 127.

ამავე კითხვაზე მოქმ. ბრუნვას შეიძლება იგ⁷⁵-ზე დაბოლოებული ფორ-

⁷⁴ არის კი ასეთი ფორმა ნათესაობითი? ნ. მარი და მ. ბრიერი წინადადებას—„შევიდეს იგინი ოთარისა-ა, მამისა-ა მათისა-ა“ ასეთ შენიშვნას უკეთებენ...“ *chacun des trois derniers mots doit être analysé non pas comme un génitif emphatique, mais comme un génitif suivi de la terminaison du cas final* (§ 266).

⁷⁵ 3. შუბარძი, ნ. მარი და ო. შანიძე ასეთ ფორმებს მიიჩნევენ ქართულში ოდესღაც არსებულის დამოუკიდებელი წარმოების მქონე ბრუნვის გადმონაშთად (იხ. *Hugo Schuchardt, Über das Georgische, Wien, 1895*, გვ. 14; ნ. მარი, *გრამატიკა*, § 44, გვ. 30; ო. შანიძე, *წილი წაფის ეტიმოლოგიისათვის, ქართული საენათმეცნიერო საზოგად. „წილმწეული“*, 1923—1924, გვ. 6).

მაც შეენაცვლოს, როგორც ეს ჩვეულებრივია ძველ ქართულში: დათქმული ცოდვათა ღრმით-ამო ვლალადებ 88v, მაგრამ: ღრმევ-ამო ვლალადებ 89.

9. **თანდებული შერწყმული წინადადების ერთგვაროვან წვერებთან.** თანდებული შეიძლება იყოს შერწყმული წინადადების როგორც ყოველ ერთგვაროვან წვერთან, ასევე ერთ-ერთ მათგანთან. ერთი მხრივ გვაქვს: წარმართნი კერპთ მსახურებისაგან და საცთურისა გამოიყვანნით 18; გუორგუინი ღიდებისაჲ შევიმოსოთ ქრისტეს ღმრთისაგან და მაცხოვრისა სულთა ჩუენთაჲსა 109v... და მისთ., ხოლო მეორე მხრივ: „ჩუენ განგუწმიდენ ცოდვათგან და საცთურისაგან“ 30; მოსლეთა შენითა კერპთაგან წარმართთაჲსა და საცთურისაგან ეშმაკისა იქსენ სოფელი 137v.

10. **კავშირები და ნაწილაკები.**

ა) მეტად გავრცელებულია რთული ქვეწყობილი წინადადების კავშირად რაჲ, რომელიც მნიშვნელობით იმასვე უდრის, რასაც კავშირები **როდესაც, ვითარცა, რაჲმს**⁷⁸.

მაგ., ვიხილეს რაჲ დღეს იორდანესა განშუიშლებული (ასეა) შენ. მაცხოვარ, ... 2v; იხილა რაჲ წინამორბედმან, ქრისტე, გარდამოსლვაჲ შენ ზედა სულისა წმიდისაჲ... იტყოდა 32; საიდუმლოჲ გამოუჩნდა სოფელსა ქრისტე მაცხოვარი ჩუენი, მო-რაჲ-ვიდა იორდანესა 45v; შთა-რაჲ-ჰკედ მდინარეთა. გიხილეს შენ უფსკრულთა 50; (სუმიონ) მიგიქუა რაჲ მკლავთა ზედა, ლალატ-ყო 66v.

ბ) ხშირია **და** ნაწილაკის ხმარება „როდესაც“ კავშირის მნიშვნელობით: ცისკრად ლამისთევად-ლა გათენებოდის დასადებელნი 20; წყლის კურთხევად-ლა გავიდოდი(ან), ამას იტყოდინ 23v; შინა-ლა შევიდოდიან, ამას იტყოდინ 24; ლიტანიად-ლა გავიდოდი-ან... 138v; კელითა-ლა ჰბანდე, ამას იტყოდი 154 (შდრ.: ოდეს ცისკრისაჲ ყოველი აღასრულო და სახარების კითხვად გახუდოდი, ამას იტყოდი 158).

გ) მცა ნაწილაკის გამოყენებით გვხვდება ასეთი პირობით-შედგობით-წინადადებები: „თუმცა აჲა ყოფილიყავ, არამცა მომკუდარ იყო ლაზარე“ 125 და „თუმცა აჲა იყავ, არამცა მომკუდარ იყო ლაზარე“ 129.

დ) კითხვის გამოსახატავად იხმარება **ა** ნაწილაკი: უფალო, მე შენგან ჰკჷმს ნათლის-ღებაჲ, შენ ჩემდა მოხუალ-ა ნათლის-ღებად 42.

ე) უარყოფის **არ** ნაწილაკი უმეტეს შემთხვევაში **არაჲ-ს** სახითაა მოცემული, თუმცა **არა-ც** გვხვდება (შდრ.: არაჲ 19v... არა 65). ამ შემთხვევაში **ა**. ალბათ, არ გამოითქმოდა.

⁷⁸ შდრ.: ნ. მარო, და მ. ბრიერი, § 424; აღრინდ. ფოლ. ქართ. ლიტ., გვ. 141.

| | |
|--|----------|
| წინასიტყვაობა (ა. შანიძისა) | 5 |
| ტექსტი | |
| შობა | 7 |
| სტეფანესი | 9 |
| პეტრე-პაულეთა | 10 |
| მღვდელთ მოძღუართანი | 12 |
| იაკობ მოციქულისა და იოანე მახარებლისა — განცხადება | 16 |
| წმიდისა აბოასი | 28 |
| ზატიკისანი | 31 |
| ანტონისი | 39 |
| მამათა | 44 |
| ჭუარის გამოჩინება | 47 |
| მიგებება | 48 |
| კორცით აღებასა | 55 |
| ყველით აღებასა | 56 |
| თევდორე წმიდისა | 60 |
| ორმოცობისანი | 76 |
| ლაზარესი | 89 |
| ბზობასა | 91 |
| აღუსებასა | 121 |
| ახალყურაესა | 122 |
| განრღუეულისა | 127 |
| გეორგი წმიდისა | 129 |
| ჭუარის გამოჩინება | 130 |
| ამალღება | 132 |
| მარტულითა | 135 |
| ივანეს შობა | 139 |
| მოციქულთანი | 142 |
| ფერისცვალება | 145 |
| მარიამობა | 148 |
| პეტრე-პაულეთა | 155 |
| კურიციესი — თეკლასი — იოანეს თავის კუეთა | 156 |
| ღმრთისმშობლისა შობა | 160 |
| ენკენია | 163 |
| ჭუართა აპურობა | 170 |
| თეკლასი | 180 |
| ზაქარიას დაღუმება | 182 |
| ხარიტონისი — წმინდისა გეორგისი | 183 |
| მთავარანგელოზთა | 186 |
| სულთანი | 188 |
| იბაკონი ხარებისანი და ქრისტეს შობისანი | 191 |
| იბაკონი სტეფანესისი | 193 |
| დსაღებელნი მოწამეთანი — წარდგომანი და იბაკონი მოწამეთანი | 193 |
| იბაკონი მოციქულთანი | 196 |
| მღვდელთ მოძღუართანი | 198 |

| | |
|---|-----|
| იბაკონი განცხადებისანი | 197 |
| იბაკონი ანტონისნი | 198 |
| იბაკონი ჭუარის გამოჩინებისანი და ლამპრობისანი | 199 |
| იბაკონი ლაზარეასნი | 200 |
| იბაკონი ბზობისანი | 200 |
| იბაკონი ახალეუიროისანი | 202 |
| განრღუეულისაჲ | 202 |
| ჩჩუილთა ყრმათაჲ | 202 |
| იბაკონი ამაღლებისანი | 203 |
| იბაკონი მარტულიისანი | 203 |
| იბაკონი იოანეჲს შობისანი | 204 |
| იბაკონი ფერისცვალებისანი | 204 |
| იბაკონი ღმრთისშობელისანი | 204 |
| იბაკონი თავის კუეთისანი | 205 |
| იბაკონი მარიამის შობისანი | 206 |
| იბაკონი ენკენისანი | 206 |
| იბაკონი ჭუარისანი | 207 |
| იბაკონი სულთანი | 208 |
| წარდგომანი და იბაკონი აღდგომისანი | 209 |
| ანგელოზთანი | 211 |
| ლიტანიისანა | 212 |
| გამოკლევა | |
| ა. შანიძე, კილ-ეტრატის იადგარი (აღწერილობა) | 213 |
| ა. მარტიროსოვი, ტექსტის გამოცემისათვის | 220 |
| ა. მარტიროსოვი, კილ-ეტრატის იადგარის ორთოგრაფია და ფონეტიკა | 226 |
| ა. ჭიშიაშვილი, კილ-ეტრატის იადგარის მორფოლოგია და სინტაქსი | 267 |

დაბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

გამომცემლობის რედაქტორი ც. ჯ ი მ შ ე ლ ე ი შ ვ ი ლ ი
ტექრედაქტორი ნ. ო კ უ ჯ ა ვ ა
მხატვარი გ. ნ ა დ ი რ ა ძ ე
კორექტორი ზ. ო მ ა რ ა შ ვ ი ლ ი

გადაეცა წარმოებას 7.2.1977; ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.10.1977;
ქალაქის ზომა 70× 108; ქალაქი № 2; ნაბეჭდი თაბახი 22.28;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 22.81;
ტირაჟი 1500; შეკვეთა № 448;
ფასი 3 მან. 10 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

კველი ქართული ენის კვლევები

(საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა)

1. ხანმეტი ლექციონარი (ფოტოტიპირი რეპროდუქცია). გამოსცა და სიმფონია დაურთო ა. შანიძემ. თბილისი, 1944. 065+54 გვ.
2. ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (897, 936 და 973 წწ.). გამოსცა ა. შანიძემ. თბილისი, 1945. 064+385 გვ., 15 ტაბულითურთ.
3. გიორგი მთაწმიდელი, ცხორება იოვანესი და ეფთუმესი. გამოსაცემად დაამზადა ივ. ჯაკეაშვილმა. — გ. მთაწმიდლის ენა „იოვანეს და ეფთუმეს ცხორების“ მიხედვით ა. შანიძისა. თბილისი, 1946. XVI+172 გვ.
4. წიგნი ძუელისა აღთქმისანი (978 წ. ხელნაწერის მიხედვით). ტ. I, ნაკვეთი 1: დაბადებისა, გამოსლვათა. გამოსცა ა. შანიძემ, თბილისი, 1947. XVI+112 გვ.
5. წიგნი ძუელისა აღთქმისანი (978 წ. ხელნაწერის მიხედვით), ტ. I, ნაკვეთი 2: ლევიტელთა, მსაჯულთა, რუთისი, იობისი, ესაიამისი. გამოსცა ა. შანიძემ, თბილისი, 1948. VIII+80 (გვ. 113—192).
6. ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი. თბილისი, 1948—1949. 032+840 გვ.
7. საქმე მოციქულთა. ძველი ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ილია აბულაძემ. 1950. 034+224 გვ.
8. მამათა სწავლანი. X და XI საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ილია აბულაძემ. 1955. XXII+319 გვ., 2 ტაბულითურთ.
9. კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიები. X—XIV საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ქეთევან ლორთქიფანიძემ. 1956. 037+143 გვ.
10. ბალაგრიანის ქართული რედაქციები. გამოსცა, გამოკვლევა და ლექსაკონი დაურთო ილია აბულაძემ. 1957. 048+218 გვ.
11. ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X—XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით. I. ტექსტი. გამოსცა მზექალა შანიძემ. 1960. 032+484 გვ. (ახლავს 11 ტაბულა).
12. ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X—XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით. II. გამოკვლევა და სათანხმებელი მზექალა შანიძისა (დაიბეჭდება).
13. ა. შანიძე. ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი. ქართული რედაქცია. ახლავს დანართი „პეტრიწონის მონასტრის ქართული წარწერები“ და 16 ტაბულა. თბილისი, 1971. 388 გვ.

14. შოთა რუსთველი. ვეფხისტყაოსანი. პირველი ბეჭდური (ვახტანგისეული) გამოცემა 1712 წ., აღდგენილი ა. შანიძის მიერ. ფოტორეპროდუქციული გამოცემა, 1975.
15. ჭილ-ეტრატის იადგარი. გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს ა. შანიძემ, ა. მარტიროსოვმა და ა. ჯიშიაშვილმა ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1977. 298 გვ. (ახლავს ხელნაწერის 15 ფოტოსურათი).